

18

1953

სტადინის სახელმწიფო
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



✓

გრამატიკა

Т Р У Д ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
имени СТАЛИНА

49

სტადინის სახელმწიფო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემობა
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

თბილისი

1953

სტადინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



გ რ მ ა ე ბ

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
имени СТАЛИНА

49

სტადინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

დაიბეჭდა სტაღინის სახელობის თბიღისის სახედმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დაგენილებით

პასუხისმგებელი რედაქტორი პროფ. ნ. კეცოველი
საქ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი

49. ಕಂಥಿಸ

ಅಂತರಾಳಸಿ

1. o. ಡಾಜ್‌ಎ, ದಿಲ್ಲೇವಾಮಂಸಿಲ್ಲಿ ಕ್ರಾಮಿಕಿಂಬಿಸ ತಿರುಗ್ರಾಮಿಲ್ಲಿ ಡಂಪ್ಯಂಭನ್‌ರಿ .	1
2. b. ಕೊಂಡಾಗಾ, o. ಸರ್ತಾಲಿನಿಸ ಶರೂಮಿಸ „ಸಂಪ್ರಾಯಿಕಿಂಬಿಸ ನ್ಯಾಂನಂಮಿತ್ಯಾರ್ಹಿ ತಿರುಭಾಗಿಯಿಂದಿರು ಸ್ವಾತಂತ್ರ್ಯಾರ್ಥಿ“-ನ ಮನಿಶ್ವರ್ವೇಲಂಬಾ ಫ್ಯಾಲಿಸ ಮಿಮಂಕ್ಸೀಯಿಸಾ ಡಾ ಕರ್ಮಾಧಿಕಿಸ ಸಾಕ್ಷಿತ್ಯಾರ್ಥಿಸಾತ್ವಾಸಿ	41
3. g. ಗ್ರಾಂತಿಂದಿನಿ, o. ಸರ್ತಾಲಿನಿ ತಿರುಂತಿರ್ಪುರ್ಹಿ ಸರ್ತಾಲ್ಯಾಗಿಸಾ ಡಾ ತ್ರಾಂತಿರ್ಪುರ್ಹಿ ಕ್ಯಾಲಿ ಶ್ವೇಸಾರ್ಕೆ ಡಿಡಿ ನ್ಯಾಂತಿರ್ಪುರ್ಹಿ ಸಂಪ್ರಾಯಿಕಿಂಬಿಸ ತಿರುಂತಿರ್ಪುರ್ಹಿ ಮಂಭಾಂತಿರ್ಪುರ್ಹಿ ಡಾ ಗಾತ್ರಾರ್ಥಿಸ ಕ್ಯಾರೋಂಡಿಶಿ	53
4. g. ಟಾಂತಿಕಿಂದಿ, b. ಮಾರ್ಟಿಸ ನಾತ್ಯಾಲ್ಯಾಂತ್ಯಾರ್ಹಿ ನಾಲಿಂಬಿಸ ಮೆತ್ತಾಲ್ಯಾಲ್ಲಿನ ಗ್ಯಾರ್ಹಿ ಉಸಾತ್ಯಾಕ್ಷಾಲಂಬಾ o. ಸರ್ತಾಲಿನಿಸ ಸಾರ್ವಾತಿರ್ಪುರ್ಹಿ ಮಂದಿರ್ಪುರ್ಹಿ ಡಿಸ ಶ್ವೇಂಜ್ಯಾ	85
5. b. ಶಿಲ್ಪಿ ಶಿಂಗಿ, ಹಾರ್ತಾಲ್ಯಾಲ್ಲಿನ ನ್ಯಾಂತಾ ಡಿಲ್ಲೇವ್ಯಾರ್ಹಿ ಡಿಸ ಶ್ವೇಂಜ್ಯಾಲಿಸ ಶಿಂಗಿರ್ಹಿ ತಿ ಸಾಕ್ಷಿತ್ಯಾ ನಿ. ಸರ್ತಾಲಿನಿಸ ಸಾರ್ವಾತಿರ್ಪುರ್ಹಿ ಶಿಂಗಿರ್ಹಿ ಡಿಸ ಶ್ವೇಂಜ್ಯಾ .	129
6. b. ಪ್ರಾಣಿಕಿಂತಿರ್ಪುಲಿ, ಸಾಧ್ಯಾರ್ಹಿತಿಸ ಉದ್ವೇಲ್ಯಾಸಿ ಮಂಸಾಂಲ್ಯಾಂಬಿಸಾ ಡಾ ದೀರ್ಘಾಂತಿರ್ಪುಲಿ ನ್ಯಾಂತಿರ್ಪುನಿಸ ಶ್ವೇಂಜ್ಯಾ ಸಾಕ್ಷಿತ್ಯಾ ನಿ. d. ಸರ್ತಾಲಿನಿಸ ಸಾರ್ವಾತಿರ್ಪುರ್ಹಿ ಮಂದಿರ್ಪುರ್ಹಿ ಡಿಸ ಶ್ವೇಂಜ್ಯಾ	143
7. ನಿಲ್ಲಿದ ಅಧ್ಯಾಲ್ಯಾಂದ್ರೀ, ರಾಮಾನುಂದ್ರಿ ಸಾರ್ವಾರ್ಥಿ ನಿಲ್ಲಿದ ಸಾರ್ವಾರ್ಥಿ ಸಿಲ್ವಿಯಾ ಶಾರ್ತಾಲ್ಯಾಲ್ಲಿಸ ಡಾ ಸಂಖ್ಯಾರ್ಥಿ	151
8. j. ಲಂಬತಾತಿಂದ್ರೀ, ಸ್ಯಾಮಾನ್‌ಲಿಂಗಿಸ ಶಿಂಗಿ ಸಾಕ್ಷಿತ್ಯಾ ಸರ್ತಾಲಿನಿರ್ಹಿ ಸಾರ್ವಾತಿರ್ಪುರ್ಹಿ ನಿರ್ಹಿ ಮಂದಿರ್ಪುರ್ಹಿ ಡಿಸ ಶ್ವೇಂಜ್ಯಾ	159
9. m. ಜಾತ್ಯಾರ್ಥಿಂದ್ರೀ, ಮಿಂತಾತಿರ್ಪುರ್ಹಿ ನಿರ್ಹಿ ನಾರಾಲ್ಯಾಂದ್ರೀ ಡಾಸಾವಲ್ಲುರ್-ಶಾರ್ತಾಲ್ಯಾಲ್ಲ ಕ್ರಿಲ್‌ರ್ಹಿ ಡಿಸ	173

СОДЕРЖАНИЕ

49. тома

1. И. Баджадзе, Программный документ всепобеждающего коммунизма	1
2. Н. Коиава, Труд И. В. Сталина „Экономические проблемы социализма в СССР“ и вопросы денежного обращения и кредита	41
3. Г. Гвишиани, И. В. Сталин о политической стратегии и тактике в период подготовки и проведения Великой Октябрьской социалистической революции	53
4. В. Панчвидзе, О методологической несостоятельности четырехэлементного анализа Н. Я. Марра в свете трудов И. В. Сталина о языке	85
5. С. Жгенти, Некоторые вопросы изучения диалектов картвельских языков в свете трудов И. В. Сталина по языкознанию	129
6. С. Каухчишвили, Древнейшее население Греции и вопрос формирования греческого языка в свете сталинского учения о языке	143
7. И. В. Абуладзе, Несколько общих слов в грузинском и армянском языках	151
8. К. Ломтатидзе, Некоторые вопросы семантики в свете сталинского учения о языке	159
9. О. Джапаридзе, Земледельческие орудия позднебронзовой эпохи Западной Грузии	173

ი. ბაჯაძე

ძლიერდების კომუნიზმის პროცესული ღონისძიებები

1952 წლის ოქტომბრის დამდეგს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გახსნის წინადღეებში, გაზეთმა „პრავდამ“ გამოქვეყნა ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური ოეორიული ნაწარმოები „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, რომელიც შემდეგ დასკვერდის შიგნად გამოვიდა. იმავე წლის ნოემბერში აღნიშნული ნაწარმოების ქართული თარგმანი გამოქვეყნდა.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე არსებითი ძვრები მოხდა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ სამყაროში. საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინურ-სტალინური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირი ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან მოწინავე, მსოფლიოში უძლიერეს ინდუსტრიულ-კოლმეურნეობრივ სახელმწიფოდ გადაიქცა. მოისპონ აღამიანის მიერ აღამიანის ექსპლუატაცია, ძირითადად დამთავრდა სოციალისტური საზოგადოების აშენება, რომელიც კანონმდებლობითი წესით განამტკიცა ახალმა სტალინურმა კონსტიტუციამ. საბჭოთა საზოგადოება შევიდა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში. საბჭოთა ხალხმა ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით გაანალებულა ფაშისტური გერმანია, იმპერიალისტური იაპონია, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება მოიპოვა დიდ სამამულო ომში და განაახლა ომით შეწყვეტილი მშვიდობიანი კომუნისტური მშენებლობა. მიუხედავად ფაშისტური ურდოების მიერ მოყენებული უდიდესი ზარალისა, საბჭოთა ხალხმა მეოთხე, ომისშემდგომი პირველი სტალინური ხუთწლედის მანძილზე აღადგინა დაზარალებული რაონები, წარმოების ომისწინა დონე და მჩერველობის სფეროში 73%-ით გაზარდა ამ დონეს.

ომისშემდგომი პირველი სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულების პროცესში ამხანაგ სტალინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაიწყო კომუნიზმის ღიაღ მშენებლობათა, მათ შორის ბუნების ძალთა გამოყენების გეგმების განხორციელება. ომისშემდგომი პირველი ხუთწლედის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღმაფ-

ლობა. 1951 წელს ინდუსტრიული წარმოების მთლიანმა პროდუქციამ 2-ჯერ და უფრო მეტად გადააჭირბა 1940 წლის დონეს. 1952 წელს დამთავრებული მუნიზმის ერთ-ერთი დიდი მშენებლობა — ექსპლოატაციაში გადაეცა ვოლგა-დონის სანაოსნო არხი და მას დიდი ლენინის სახელი ეწოდა. ასეთი ძერების შედეგად ახლებურად დაისვა სოციალისტური წყობილების განვითარების მთელი რიგი საკითხები, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კანონზომი-ერებათა და გზების პრობლემები.

დროის ანწიშნული მონაკვეთის მანძილზე ძირეული ძვრები მოხდა აგრე-
თვე კაპიტალისტური სამყაროს განვითარებაში. 1929-1933 წწ. მსოფლიო
ეკონომიკური კრიზისის შედეგად და შემდეგ უაღრესად გაძვავდა ლბობადი
კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი. 1937 წელს ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული
მრეწველობის 1929 წლის დონე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფ-
რანგეთა და ინგლისში დაიწყო ახალი ეკონომიკური კრიზისი. ამავე დროს
აგრესიული ფაშისტური გერმანია, იტალია და იმპერიალისტური იაპონია
უკვე აწარმოებდნენ მძარცველურ ომს და ამერიკა-ინგლისის რეაქციული
ხროვის დახმარებით გამალებით ემზადებოდნენ მეორე მსოფლიო ომისათვის.
1939 წელს მათ კიდეც გააჩაღეს მეორე მსოფლიო ომი. მეორე მსოფლიო
ომში საბჭოთა კუშირის გამარჯვების საფუძველზე მომაკვდავ კაპიტალიზმს
სამუდამოდ ჩამომორდა მთელი რიგი ქვეყნები, რომლებიც განთავსისუფლდნენ
იმპერიალიზმის უღლისაგან და საბჭოთა ხალხის ძმური დახმარებით შეუდგნენ
ახალი ცხოვრების შენებლობას.

შევეთრად შეიცვალა ძალთა თანაფარიღობა სოციალიზმის სასაჩრებლოდ და
კაპიტალიზმის სახიანოდ, გაღრმავდა და გამძაფრდა კაპიტალიზმის სერო
კრიზისი. ომისშემდგომ წლებში გაიმარჯვა ჩინეთის სახალხო რევოლუციამ,
რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ უდიდესი
მნიშვნელობის მოვლენაა სოციალიზმის ძალთა გაძლიერებისა და კაპიტალიზ-
მის დასუსტების საქმეში. ომისშემდგომ პერიოდში სულ უფრო და უფრო
ძლიერდება სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი, რომელსაც საბჭოთა კავ-
შირი მეთაურობს; სულ უფრო და უფრო სუსტდება რეაქციისა და იმპერია-
ლიზმის ბანაკი, რომელსაც ამერიკის იმპერიალისტური ხროვა მეთაურობს;
მზარდი ინტენსივობით ღრმავდება და მწვავდება კაპიტალიზმის კველა წი-
ნააღმდეგობა. აღნიშნულის შედეგად ახლებურად დაისვა თანამედროვე კაპი-
ტალიზმის მთელი რიგი პრობლემები. მათ პრობლემების მეცნიერულ გამჭე-
ბას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ომის
გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის, პროგრესული კაცობრიობის გამჩავე-
ბის საშმისათვის.

ასეთ ვითარებაში დაიწერა და გამოქვეყნდა ამხანაგ სტალინის ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კაშირში“. ამ ნაშრომში მოთავსებულია ი. სტალინის შენიშვნები 1951 წლის ნოემბრის დისკუსიასთან დაგავშირებულ ეკონომიკურ საკითხებზე, პასუხი ა. ი. ნოტკინის შეკითხვაზე, ლ. დ. იაროშენკოს შეცდომების შესახებ და პასუხი ა. სანინასა და გ. ვენეჯერის მიერ დასმულ კითხვებზე. ეს ნაშრომი შეუდარებელი სიღრმით, სისრულითა

და შორსმხედველობით აშუქებს სოციალისტური წყობილების არსა, სოციალური კომუნიზმის გადასვლის კანონზომიერებებს და თანამედროვე მართვა-ტალიზმის ყველა არსებით თავისებურებას.

* * *

ი. სტალინის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კაშირში“ უპირველეს ყოვლისა განხილულია საკითხი სოციალიზმის დროს ეკონომიკური კანონების ხასიათის შესახებ. ამ საკითხის პირველიგითი განხილვა სრულებით კანონზომიერ მოვლენას წარმოაღენს. ამხანჯ სტალინის განსაზღვრით, „...ისტორიული მეცნიერების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს წარმოების კანონების, საჭარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების კანონების, საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონების შესწავლა და გახსნა.“

მაშასადამე, პროლეტარიატის პარტია, თუ მას სურს იყოს ნამდგილი პარტია, უნდა დაეუფლოს, უწინარეს ყოვლისა, წარმოების განვითარების კანონების ცოდნას, საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონების ცოდნას.

მაშასადამე, პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვას, პროლეტარიატის პარტია როგორც თავისი პროგრამის აგებში, ისე თავის პარტიკულ მოღვაწეობაში უნდა გამოდიოდეს, უწინარეს ყოვლისა, წარმოების განვითარების კანონებიდან, საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონებიდან¹.

როგორც ცნობილია, ზოგიერთი საბჭოთა ეკონომისტი, საზოგადოებ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დაზღის მუშავების ერთი ნაწილი უარყოფდა პოლიტიკური ეკონომიის კანონების ობიექტურ ხასიათს სოციალიზმის დროს. ისინი ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს, მისი განსაკუთრებული ისტორიული როლის გამო, შეუძლია გააუქმოს საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონები, — „შექმნას“ ან „ჩამოაყალიბოს“ ახალი ეკონომიკური კანონები. ასეთი შეხედულების მომხრენი დიდ შეცდომას უშევებდნენ. „ისინი, — ამბობს ი. სტალინი, — როგორც ჩანს, ერთმანეთში ურევნებ მეცნიერების კანონებს, რომლებიც ასახავენ ბუნებასა თუ საზოგადოებაში აღამიანთა ნებისა-გან დამოუკიდებლად მიმდინარე მომენტურ პროცესებს, და იმ კანონებს, რომლებსაც გამოსცემენ ხოლმე მთავრობები, რომლებიც იქმნება აღამიანთა ნებით და რომლებსაც მხოლოდ იურიდიული ძალა აქვთ. მაგრამ მათი ერთ-მანეთში არევა არასგზით არ შეიძლება².“

მეცნიერების, კერძოდ პოლიტიკური ეკონომიის კანონების ობიექტური ხასიათის უარყოფა არსებითად ნიშნავს დაბლექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი დებულების დავიწყებას ან დამახინჯებას და იდეალიზმის პოზიციებზე გადასვლას. როგორც ვიცით, ალნიშნული ძირითადი დებულება ამბობს, რომ აღამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფი-

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოცემა, 1939 წ., გვ. 686.

² ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კაშირში, თბილისი, 1952, გვ. 4.

ერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს უკანონებულებას ცნობიერებას (კ. მარქსი). საზოგადოების ეკონომიკური განვითარებულება კანონების აღამიანთა ნებით შექმნილ კანონებად გამოცხადება ნიშნავდა პოლიტიკური ეკონომიის როგორც მეცნიერების უარყოფას და, მაშასადამე, იგი ეკონომიკური ცხოვრების განვითარების მეცნიერული განსაზღვრისა და მასზე ხელმძღვანელობის უარყოფასაც მოასწავებდა.

ამხანაგმა სტალინმა თავის თეორიულ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გამოაშეკრავა აღნიშნული შეხედულების მცდარი, ანტიმეცნიერული ხასიათი და დასაბუთა, რომ „მარქსიზმს მეცნიერების კანონები ესმის, — სულ ერთია ეხება საქმე ბუნებისმეცნიერების კანონებს თუ პოლიტიკური ეკონომიის კანონებს, — როგორც აღამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესების ასახვა. აღამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიცნონ ისინი, შეისწავლონ ისინი, გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მოქმედებაში, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შეცვალონ ან გააუქმონ ისინი. მით უფრო არ შეუძლიათ მათ ჩამოაყალიბონ ან შექმნან მეცნიერების ახალი კანონები“¹.

მაშასადამე, მატერია, საზოგადოების მატერიალური ცხოვრება ობიექტური და კანონზომიერად განვითარებადი ჩეალობა. ეს ობიექტური რეალობა აღამიანთა ნებით კი არ განისაზღვრება, არამედ წარმოადგენს ცნობიერების წყაროს. თავის მხრივ, აღამიანთა ცნობიერება მატერიას, ყოფიერების ანარეკლია. მეცნიერების ამოცანაა სწორად ასახოს ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად განვითარებადი მატერიას კანონზომიერება და უზრუნველყოს შესაძლებლობა აღნიშნული კანონზომიერების აღამიანის, საზოგადოების ინტერესთა შესაბამისად გამოყენებისა. ამასთან, მარქსისტულ-ლენინური ფილიოსფილური მატერიალიზმი ასაბუთებს, რომ „...სამყარო და მისი კანონზომიერებანი სავსებით შეცნობადია, რომ ჩვენი ცოდნა ბუნების კანონების შესახებ, ცდით, პრაქტიკით შემოწმებული, წარმოადგენს სარწმუნო ცოდნას, რომელსაც ობიექტურ ჰეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვს...“² ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა აგრეთვე იმ შეხედულების ანტიმეცნიერული, მავნე ხასიათი, რომელიც უარყოფდა ეკონომიკური პროცესების, მოვლენების შეცნობის, ახსნისა და გამოყენების შესაძლებლობას. „ამბობენ, რომ ეკონომიკური კანონები სტიქიურ ხასიათს ატარებენ, რომ ამ კანონების მოქმედება გარდავალია, რომ საზოგადოება უძლეურია მათ წინაშეო. ეს არ არის სწორი, ეს არის კანონის გაფეტი-შება, კანონებისაღმი დამონება. დამტკიცებულია, რომ საზოგადოება უძლეური არ არის კანონების წინაშე, რომ საზოგადოებას შეუძლია, რაცი იგი შეიცნობს ეკონომიკურ კანონებს და დაუყრდნობა მათ, შეზღუდოს მათი მოქმედების სფერო, გამოიყენოს ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის...“³ „...აღამიანებს

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 4.

² ი. სტალინი, ლენინიშმის საკითხები, მგ-11 გამოცემა, 1939 წ., გვ. 675

³ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 7.

შეუძლიათ აღმოჩინონ კანონები, შეიცნონ ისინი, დაუფლონ მათ, იქნამდებარება მათი მომარჯვება საქმის სრული ცოდნით, გამოყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის და ამგვარად დაიპყრონ ისინი, მიაღწიონ მათზე ბატონიბას¹.

მაშასადამე, ამხანაგმა სტალინმა მთელი სიცხადით გვიჩვენა მატერიას, ყოფიერების განვითარების კანონზომიერებათა ამსახველი მეცნიერების კანონების ობიექტური ხასიათი. ამავე დროს მან ხაზი გაუსვა საზოგადოების, ადამიანის აქტიურ როლს ობიექტურ კანონზომიერებათა შეცნობის, მათი ამსახველი კანონების აღმოჩენის, დაუფლებისა და გამოყენების საქმეში. ამით ამხანაგმა სტალინმა გამანადგურებელი ლაშვარი ჩასცა ყოველი ჯურის ანტი-მეცნიერულ შეხედულებას, რომელიც უარყოფდა მეცნიერების კანონების ობიექტურ ხასიათს, ანდა ქადაგებდა ამ კანონების შეცნობისა და ადამიანის მიერ მათი დაუფლება-გამოყენების შეუძლებლობას.

როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, ბუნებისმეცნიერებისა და საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონებს თბიექტური ხასიათი აქვთ და ამ მხრივ ისინი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამავე დროს საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონებს, პოლიტიკური ეკონომისის კანონებს, ბუნებისმეცნიერების კანონებისაგან განსხვავებით, მთელი რიგი თავისებურებანი ახასიათებს. პოლიტიკური ეკონომისის კანონების ერთ-ერთი ასეთი თავისებურება „...ის არის, რომ მისი კანონები, ბუნებისმეცნიერების კანონებისაგან განსხვავებით, ახახანგრძლივია, რომ ისინი, მათი უმეტესობა მაინც, გარკვეული ისტორიული პერიოდის განმავლობაში მოქმედებენ, რის შემდეგაც ადგილს უთმობენ ახალ კანონებს. მაგრამ ისინი, ეს კანონები, კი არ ისპობიან, არამედ ძალას კარგავენ ახალი ეკონომიკური პირობების გამო და ტოვებენ ასპარეზს, რათა ადგილი დაუთმონ ახალ კანონებს, რომლებიც აღამიანთა ნებით კი არ იქმნებიან, არამედ ახალი ეკონომიკური პირობების ბაზაზე წარმოიშვებიან“².

ამით ხაზგადოებია საზოგადოების განვითარების განსაზღვრული ისტორიული პერიოდის, თითოეული საზოგადოებრივი ფორმაციის სპეციფიკური ეკონომიკური კანონების შესწავლის აუცილებლობა. სხვანაირად ვერ გავიგებთ საზოგადოებრივ ფორმაციებს შორის განსხვავებას, ერთი საზოგადოებრივი ფორმაციის შეცვლას მეორე საზოგადოებრივი ფორმაციით. ამავე დროს ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა ლ. იაროშენკოს შეხედულების ანტიმარქისტული ხასიათი, რომ, თითქოს, საზოგადოებრივი ფორმაციების ეკონომიკურ განვითარებას არ გააჩნია საერთო ეკონომიკური კანონები, რომ არსებობს ცალკეული ფორმაციების პოლიტიკური ეკონომია და არ არსებობს ყველა საზოგადოებრივი ფორმაციისათვის ერთიანი პოლიტიკური ეკონომია. ამხანაგმა სტალინმა დაასაბუთა, რომ „სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმაციები თავიანთ ეკონომიკურ განვითარებაში ემორჩილებიან არა მარტო თავიანთ სპე-

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრაბლემები სსრ კავშირში, გვ. 10.

² იქვე, გვ. 6.

ციფიკურ ეკონომიკურ კანონებს,. არამედ იმ ეკონომიკურ კანონებსაც, რომ-
ლებიც ყველა ფორმაციისათვის საერთოა... საზოგადოებრივი ფორმატები რომელ
მარტო გამოყოფილია ერთიმეორისაგან თავიანთი სპეციფიკური კანონებით,
არამედ დაკავშირებულიც არიან ერთმანეთთან ყველა ფორმაციისათვის სა-
ერთო ეკონომიკური კანონებით¹.

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა ბუნებისმეცნიერებათა კანონებისაგან ეკო-
ნომიკური განვითარების კანონების გიდევ ერთი განმასხვავებელი თავისებუ-
რება. ბუნებისმეცნიერებაში ახალი კანონის აღმოჩენა და გამოყენება ხდება
ცოტად თუ ბევრად დაუბრკოლებლად.ეკონომიკურ სფეროში აღმოჩენა
და გამოყენება ახალი კანონისა, რომელიც ლახავს საზოგადოების მომაკვდავი
ძალების ინტერესებს, უძლიერეს წინააღმდეგობას აწყდება ამ ძალების მხრივ.
მაშასადამე, საჭიროა ძალა, საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც შეეძლება ამ წი-
ნააღმდეგობის დაძლევა². კლასობრივ საზოგადოებებში ეკონომიკური კანონე-
ბის გამოყენებას კლასობრივი სარჩული აქვს და იგი კლასობრივი ბრძოლის
გზით ხორციელდება. ახალ ეკონომიკურ კანონს იყენებს მოწინავე, რევოლუ-
ციური კლასი, რომელიც სძლევს რეაქციული კლასის, საზოგადოების მომა-
კვდავი ძალების წინააღმდეგობას და გზას უკაფიცს ახალი ეკონომიკური კა-
ვკვდავი ძალების წინააღმდეგობას და გზას უკაფიცს ახალი ეკონომიკური კა-
ნონების მოქმედებას. აქ საზგანმულია კლასობრივ საზოგადოებებში ეკონომი-
კური კანონების გამოყენების კლასობრივი, პარტიული ხასიათი და ამით კვლავ
თვალნათლივა ნაჩვენები ანტიმეცნიერულობა იმ შეხედულებისა, რომელიც
კლასობრივ საზოგადოებებში ეკონომიკური კანონების გამოყენებას ობიექ-
ტივისტური, ზეკლასობრივი თვალსაზრისით განიხილავს. ასეთი შეხედულება
კი არსებითად საზოგადოების მომაკვდავი ძალების, რეაქციული კლასების
ანტისაზოგადოებრივი ინტერესების შენიბნებულ დაცვას წარმოადგენს.

ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა და დასაბუთა საზოგადოების საწარმო-
ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამი-
სობის ეკონომიკური კანონი და ახსნა საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრე-
ბული როლი. საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა
სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკური კანონი დიდი ხანია იკაფიცს
გზას კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამ ქვეყნების წარმოების პროცესის საზოგა-
დოებრივი ხასიათი დაუინებით მოიხოვს წარმოების საშუალებათა კერძო სა-
კუთრების მოსპობას, მთაზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარებას და
ადამიანისაგან აღამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაციას. საწარმოო ძალების
ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკო-
ნომიკური კანონის ამ მოთხოვნის განხორციელებას უძლიერეს წინააღმდეგო-
ბას უწევენ ბურჟუაზიული საზოგადოების მომაკვდავი ძალები, რეაქციული
ექსპლოატატურული კლასები, უწინარეს ყოვლისა იმპერიალისტური ბურჟუ-
აზია. ბურჟუაზიული სახელმწიფო კაპიტალისტური საზოგადოების მომაკვდავი
ძალების, პირველ რიგში მონაპოლისტური კაპიტალის მაქსიმალური კაპიტა-

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 77.

² იქვე, გვ. 8.

ლისტური მოგების უზრუნველყოფის ინტერესებს იცავს და ჰველა ქვეყნის მოწვევას ხმარობს, რომ არ განხორციელდეს საწარმოო ძალების ხასიათისადმი უზრუნველყოფა ებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის კანონის მოთხოვნები. საჭიროა ძალა, რევოლუციური ძალა, რომელიც დამხმობს ექსპლოატატორული კლასის განვითარების დამყარების გზით ფართო ასპარეზს გაუსწინის დასახელებული ეკონომიკური კანონის მოქმედებას.

„ასეთი ძალა, — ამბობს ი. სტალინი, — აღმოჩნდა ჩვენს ქვეყნაში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის სახით, რომლებიც საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენენ. ასეთი ძალა ჯერ კიდევ არ აღმოჩენილა სხვა, კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამაშია იმის საიდუმლოება, რომ საბჭოთა ხელი-სუფლებამ შეძლო გაენადგურებინა საზოგადოების ძველი ძალები, ხოლო საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის კანონმა ჩვენში ფართო გასაქანი პოვა“¹. მაშასადმე, საბჭოთა ხელისუფლება ემყარება საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკურ კანონს, ფართო გასაქანს აღლევს აღნიშნული კანონის მოქმედების და იყენებს მას საზოგადოების, მშრომელი მასების ინტერესებისათვის. აյ „საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებული როლი რომ გარემოებით აისწევა: ჯერ ერთი, იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას კი არ უნდა შეეცვალა ექსპლოატაციის ერთი ფორმა სხვა ფორმით, როგორც ეს იყო ძველ რევოლუციებში, არამედ უნდა მოესპონ ყოველგვარი ექსპლოატაცია; მეორეც, იმით, რომ, ჩვენს ქვეყნაში სოციალისტური მეურნეობის რამე მზა ჩანასახების უქონლობის გამო, მას უნდა შეექმნა, ასე ვთქვათ, „ცარიელ ადგილზე“ მეურნეობის ახალი, სოციალისტური ფორმები“².

ემყარებოდა რა საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკურ კანონს, საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია. მან განასაზოგადოვა წარმოების საშუალებანი და მოსპონ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. მუშათა კლასისა და მშრომელი მასების შემოქმედებითი გეგმიანი შრომის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნა წარმოების საშუალებათა კოლოსალური ზრდა, სოციალისტური საკუთრების განუყოფელი ბატონობის დამკვიდრება და განმტკიცება მთელს სახალხო მეურნეობაში. სოციალისტურ საზოგადოებში წარმოებითი ურთიერთობანი დამყარებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე. „აյ წარმოებითი ურთიერთობანი საგსებით შეესაბამებიან საწარმოო ძალთა მდგომარეობას, ვინაიდან წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი გამაგრებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრებით.“

¹ ი. სტალინი, სოციალისტური ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 8—9

² იქვე, გვ. 7; იხილეთ აგრევოვ იმავე შრომის რუსული ტექსტი, გვ. 7.

ამიტომ სსრ კავშირში არსებული სოციალისტური წარმოებისაზე უფლებული ნობია ჭარბი წარმოების პერიოდული კრიზისები და მათთან დაკავშირებული უზრუნველყოფანი.

ამიტომ საწარმოო ძალები აქ დაჩქარებული ტემპით ვითარდებიან, რაღაც მათი შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობანი მათ სრულ გასაქანს აძლევენ ასეთი განვითარებისათვის¹.

ამხანაგმა სტალინმა თავის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ახსნა სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების დიალექტიდა. მან მოგვცა წარმოებით ურთიერთობათა რაობის, როლისა და პოლიტიკური ეკონომიკისაგნის კლასიური განსაზღვრა.

როგორც ცნობილია, ლ. იაროშენკო ადამიანთა წარმოებით, ე. ი. ეკონომიკურ ურთიერთობებს მარტონდენ საწარმოო ძალთა განვითარების დამტკრუჭებელ როლს აკუთვნებდა. იგი ფიქრობდა, რომ სოციალიზმის ღრმული წარმოებით ურთიერთობათა როლი ქრება და აქ წარმოებით ურთიერთობებს ნოჟამენ საწარმოო ძალები. ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა ასეთი შეხედულების ანტიმეცნიერული, ანტიმარქისტული ხასიათი. ამხანაგმა სტალინმა ახსნა, რომ საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას ამუხრუჭებენ არა ყოველგვარი, არამედ ძველი, საწარმოო ძალთა ხასიათისადმი შეუსაბამი წარმოებითი ურთიერთობანი. ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზე დამყარებული წარმოებითი ურთიერთობანი დიდი ხანია აღარ შეესაბამებიან საწარმოო ძალთა ხასიათს და სულ მეტი და მეტი ზომით ამუხრუჭებენ მათ განვითარებას. 1938 წელს 1913 წლის მიმართ მრეწველობის მთლიანი პროდუქცია შეადგენდა (პროცენტობით): ამერიკის შეერთებულ შტატებში — 120,0-ს, ინგლისში — 113,3-ს, საფრანგეთში — 93,2-ს, ხოლო საბჭოთა კავშირში — 908,8-ს. მათსაცავე, მთავარი კაპიტალისტური ქვეყნებს მრეწველობა არსებითად ვერ გასცილდა 1913 წლის დონეს, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის მრეწველობამ, მიუხედავად პირველი მსოფლიო ომით, მისი მომდევნო სამოქალაქო ომითა და ინტერვენტების შემოსვით გაიმოწვეული ნგრევისა, 1938 წელს 9-ჯერ და უფრო მეტად გადაჭარბა 1913 წლის დონეს. 1938 წელს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია თითქმის ოჯახერ ჭარბობდა 1913 წლის დონეს. მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია კი 1938 წელს არ აღემატებოდა 1913 წლის შესაძარის მაჩვენებელს და, ხშირ შემთხვევაში, ჩამორჩებოდა კიდეც მას. 1951 წელს საბჭოთა კავშირის მრეწველობის პროდუქცია თითქმის 13-ჯერ აღემატებოდა 1929 წლის დონეს. ამავე წელს მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის პროდუქცია 1929 წლის მიმართ შეადგენდა (პროცენტობით): აშშ-ის — 200-ს, ინგლისის — 160-ს, საფრანგეთის — 104-ს და იტალიის — 134-ს. საბჭოთა კავშირმა, მიუხედავად დიდი სა-

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოცემა, 1939 წ., გვ. 693.



შამულო ომის დროს ფაშისტური ურდინების მიერ მიყენებული უდიოტრანსმისი რალისა, თოვჭმის 13-ჯერ გააღიარა მრეწველობის პროდუქცია. მთავრებულებულების ტალისტურ ქვეყნებს შორის მხოლოდ ა. შ. შტატებმა და ინგლისმა შესძლეს მრეწველობის პროდუქციის 1,5—2-ჯერ გადიდება და ისიც სწორედ მეორე მსოფლიო ომისა და მეურნეობის ომისშემდგომი მილიტარიზაციის საფუძველზე განხორციელდა. საბჭოთა კავშირმა მოისშემდგომ პირველ ხუთწლედში აღადგინა სოფლის მეურნეობის მოისწინა დონე და საგრძნობლად გადააჭარბა ამ დონეს. მესაუთე ხუთწლედში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქცია დაახლოებით ერთნახევარჯერ იზრდება; მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში კი სოფლის მეურნეობა არსებითად არ გასცილებია მოისწინა დონეს.

მაშასაღამე, ძევლი, საწარმოო ძალთა ხასიათისაღმი შეუსაბამო წარმოებითი ურთიერთობანი გასაქანს არ იძლევენ კაპიტალისტური ქვეყნების საწარმოო ძალთა განვითარებას. ამ ქვეყნების, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების ინდუსტრიული და სოფლისმეურნეობრივი წარმოება გამძაფრებული ეკონომიკური კრიზისებით, იმებით, მილიტარიზაციით და მუშათა კლასისა და მშრომელი მასების მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით ხასიათდება. საბჭოთა კავშირში ახალი, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი სავსებით შეესაბამებიან საწარმოო ძალთა ხასიათს და უზრუნველყოფენ მათ განუწყვეტელ მძლავრ იღმავლობას.ახალი წარმოებითი ურთიერთობანი წარმოადგენენ იმ მთავარ და გადამწყვეტ ძალას, რომელიც საკუთრივ განსაზღვრავს კიდეც საწარმოო ძალთა შემდგომ, თანაც მძლავრ განვითარებას და ურომლისოდაც საწარმოო ძალები განწირულნი არიან გასაყინავად, როგორც ამას ადგილი აქვს მძამად კაპიტალისტურ ქვეყნებში¹.

ძევლი წარმოებითი ურთიერთობანი ამუსტრუქებენ საწარმოო ძალების განვითარებას. ახალი წარმოებითი ურთიერთობანი მთავარი და გადამწყვეტი ძალაა, რომელიც საკუთრივ განსაზღვრავს კიდეც საწარმოო ძალთა შემდგომ მძლავრ აღმავლობას. „ეს თავისებურება წარმოებით ურთიერთობათა განვითარებისა საწარმოო ძალთა მუხრუჭის როლიდან მათი წინწამყვანი მთავარი მამოძრავებლის როლისავენ და მთავარი მამოძრავებლის როლიდან საწარმოო ძალთა მუხრუჭის როლისავენ, — შეაღენს მარქსისტული მატერიალისტური დაალექტივის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს“².

ამხანაგმა სტალინმა თავის თეორიულ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მოგვცა აღამიანთა წარმოებით ანუ ეკონომიკურ ურთიერთობათა ამომწურავი დახსასიათება და პოლიტიკური ეკონომიკის საგნის კლასიკური განსაზღვრა. „პოლიტიკური ეკონომიკური ურთიერთობანი. ამას ი. სტალინი, — აღამიანთა წარმოებითი, ეკონომიკური ურთიერთობანი. ამას მიეკუთვნება: ა) წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმები; ბ) აქედან გამომდინარე მდგომარეობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა წარმოებაში და მათი ურთიერთდამოკიდებულება, ანუ, როგორც მარქსი ამბობს, „თავიანთი

¹ ი. ს ტალინი. სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 66

² იქვე, გვ. 67—68.

საქმიანობის ურთიერთგაცვლა”; გ) მათგან საესებით დამოკიდებული ფორმულები პროდუქტების განაწილებისა. ყველა ეს ერთად შეადგენს პოლიტიკურულებულებების ნომის საგნზს¹. ამხანაგმა სტალინმა გამოატარავა ლ. იაროშენკოს ანტიმარქსისტული შეხედულება, რომელსაც პოლიტიკური ეკონომის პრობლემები სოციალისტურ წყობილებაში დაკყავდა საწარმოს ძალთა რაციონალური ორგანიზაციის პრობლემებამდე. ლ. იაროშენკო ფაქტიურად უარყოფდა პოლიტიკური ეკონომის საჭიროებას სოციალისტურ საზოგადოებაში და ერთმანეთში ურევდა მეურნეობრივი პოლიტიკისა და პოლიტიკური ეკონომის საგნს. ი. სტალინმა დაგვისაბუთა, რომ პოლიტიკური ეკონომია გვიჩვენებს აღმიანთა წარმოებითი ურთიერთობების რაობას, მათ განვითარებას, იგი ცავლობს საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონებს. მეურნეობრივი პოლიტიკა „...აქედან აკეთებს პრაქტიკულ დასკვნებს, ახდენს მათ კონკრეტიზაციას და ამაზე აგებს თავის ყოველდღიურ მუშაობას. პოლიტიკური ეკონომის სამეურნეო პოლიტიკის საკითხებით დატვირთვა იმას ნიშნავს, რომ დალუპი ის, როგორც მეცნიერება“². აქ ხაზგასმულია სოციალისტურ საზოგადოების წარმოებით ურთიერთობათა შესწავლის, მათი განვითარების თეორიული განზოგადების განსაკუთრებული მნიშვნელობა მეურნეობრივი პოლიტიკის სწორად განსაზღვრისა და საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების წარმატებითი ხელმძღვანელობისათვის. სოციალისტურ საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონების ცოდნისა და დაუფლების გარეშე შეუძლებელია ჩვენი საზოგადოების განვითარების პერსპექტივების მეცნიერული განსაზღვრა. ასეთი განსაზღვრის გარეშე კი შეუძლებელია კომუნიზმის გეგმიანი მშენებლობა, ამ მშენებლობაში მშრომელი მასების დარაზმა. „პარტია,—ამბობს ი. სტალინი,— მშენებლობას ვერ უხელმძღვანელებს, თუ არ ექნა ნათელი პერსპექტივები, ნათელი მიზნები“³.

როგორც ცნობილია, ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სრული შესაბამისობა ზოგიერთს ესმოდა, როგორც მათ შორის წინააღმდეგობის არარსებობა. ასეთი მოსაზრება უარყოფდა სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალთა განვითარებისაგან წარმოებით ურთიერთობათა ჩამორჩენის შესაძლებლობას. ამხანაგმა სტალინმა ახსნა სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალთა მდგომარეობისადმი წარმოებით ურთიერთობათა სრული შესაბამისობის ბუნება. მან გვიჩვენა, რომ სოციალიზმის დროსაც საწარმოო ძალები წარმოების ყველაზე უფრო მოძრავი და რევოლუციური ელემენტია. სოციალისტურ წყობილებაშიაც საწარმოო ძალები უფრო სწრაფად ვითარდება, ვიღრე წარმოებითი ურთიერთობანი, ისინი წინ უსწრებენ წარმოებით ურთიერთობებს, მაშასადამე, აქაც წარმოებითი ურთიერთობების განვითარება ჩამორჩება სა-

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 79.

² იქვე.

³ ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 303.

წარმოო ძალთა ზრდას და ამ ნიაღაგზე მათ შორის არის და იქნება წინააღმდეგობანი. „ხელმძღვანელი ორგანოების სწორი პოლიტიკის პირობებში მიმდინარეობანი არ შეიძლება იქცნენ დაპირისპირებულობად, და აյ საქმე არ შეიძლება მივიღეს კონფლიქტამდე საზოგადოების წარმოებით ურთიერთობათა და საწარმოო ძალთა შორის... ხელმძღვანელი ორგანოების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თავის დროზე შენიშნონ ზრდადი წინააღმდეგობანი და დროზე მიიღონ ზომები მათ დასაძლევად საწარმოო ძალთა ზრდისადმი წარმოებით ურთიერთობათა შეხამების გზით“¹.

სოციალისტურ საზოგადოებაში მოსპობილია ადამიანის ექსპლოატაცია. აქ აღარ არსებობენ ექსპლოატატორული კლასები. მაშასადამე, ამ საზოგადოებაში ადგილი არა აქვს ანტაგონისტურ წინააღმდეგობას საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის. აქ საზოგადოებს ყველა საშუალება გააჩნია შეამჩნიოს წარმოებით ურთიერთობათა მიერ საწარმოო ძალების დამუხტრულების შესაძლებლობა და თავისუროვლად მოიყვანს ჩამორჩენილი წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალთა ხასიათისადმი შესაბამისობაში. „რა თქმა უნდა, სოციალიზმის ღრისაც იქნებიან ჩამორჩენილი ინერტული ძალები, რომელიც ვერ გაიგებენ წარმოებით ურთიერთობებში ცვლილებების აუცილებლობას, მაგრამ მათი დაძლევა, რა თქმა უნდა, ძნელი არ იქნება ისე, რომ საქმე კონფლიქტამდე არ მივიღეს“².

როგორც ვიცით, სოციალისტურ წყობილებაში წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი გამაგრებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრებით. აქ წარმოების საშუალებათა უდიდესი და გადამწყვეტი მასა საყოველთაო-სახალხო კუთვნილებას ანუ სოციალისტური სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს. 1936 წლის მონაცემებით კოლმეურნეობებსა და კომპერაციულ ორგანიზაციებს საბჭოთა კავშირის წარმოებითი ფონდების მარტოოდენ 8,7% ეკუთვნოდათ, ხოლო საერთო-სახალხო კუთვნილება აღნიშნული ფონდების 90%-ს მოიცავდა. მაგვე წელს წვრილი არაკომპერისტებული ხელოსნებისა და ერთპიროვნული გლეხების საწარმოთა წარმოებითი ფონდების ხელითი წონა 0,2%-ს არ ღარებოდა. მმხანაგმა სტალინმა დასაბუთა, რომ ჩვენს ქვეყანაში წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების შედეგად დაკრიგა ძალა კონკურენციისა და წარმოების ანარქიის კანონმა, რომელიც დამახასიათებელია კაპიტალისტურ წყობილებაში სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების ბაზაზე ჩვენში წარმოიშვა და ამოქმედდა სახალხო მეურნეობის გეგმაზომისა (პროპორციული) განვითარების ეკონომიკური კანონი. წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, პირველ ყოვლისა, საყოველთაო-სახალხო კუთვნილება, განუყრელად აკავშირებს ერთმანეთთან სახალხო მეურნეობის დაზღვეს, ქვედარებებსა და საწარმოებს. აქ მოსპობილია კერძო საკუთრების ბარიერები. წარმოების მუშაკები, როგორც ექსპლოატაციისაგან თავისუფალ ადამიანთა

¹ ი სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ გაშირში, გვ. 73.

² იქვე, გვ. 55; იხ. აგრეთვე იგივე წიგნი რუსულად, გვ. 51.

კოლექტივი, პირდაპირაა დაკავშირებული წარმოების საშუალებებთან, დაუყოფილი არსებობს სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა. ამასთან ერთად მოსპობებულია მიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და წარმოების განვითარება ემსახურება არა ექსპლოატაცირების მაქსიმალური მოვების უზრუნველყოფას, არამედ მთელი საზოგადოების მუდამ მზარდ მატერიალურ-ეულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკავშირების ინტერესებს. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში სახალხო მეურნეობას მარტოოდენ გეგმაზოგნით განვითარებას.

ამხანაგმა სტალინმა ახსნა სოციალისტური საზოგადოების სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ექონომიკური კანონის რაობა. მან ვკიჩენა, რომ „...სოციალისტური სახალხო მეურნეობის წარმართვა შეიძლება მხოლოდ სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ექონომიკური კანონის საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობას გეგმაზომიერი განვითარების კანონი ჩვენს მგეგმავ ორგანოებს შესაძლებლობას აძლევს სწორად დაგეგმონ საზოგადოებრივი წარმოება. მაგრამ არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ შესაძლებლობა და სინამდვილე რომ გადავაქციოთ, საჭიროა შევისწავლოთ ეს ექონომიკური კანონი, საჭიროა დავეუფლოთ მას, საჭიროა ვისწავლოთ მისი გამოყენება საქმის სრული ცოდნით, საჭიროა შევაღვინოთ ისეთი გეგმები, რომლებიც მთლიანად ასახავენ ამ კანონის მოთხოვნებს“¹.

ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური ნაშრომის გამოქვეყნებამდე ჩვენი ექონომისტების ნაწილი, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც, აიგივებდა სოციალისტურ დაგეგმვასა და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების ობიექტურ ეკონომიკურ კანონს. ასეთი შეხედულება არსებითად უგულებელყოფა სოციალისტური სახალხო მეურნეობის გეგმიანი წარმართვის ობიექტურ საფუძველს. იგი არ ასხვავებდა ერთმანეთისაგან შესაძლებლობასა და სინამდვილეს; რაც, თავის მხრივ, ხელს უშლიდა სახალხო მეურნეობის გეგმიანი წარმართვის საქმეს. ამხანაგმა სტალინმა ნათელი მოფინა აღნიშნულ საკითხს და ვკიჩენა, რომ სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება ამიერქტური ეკონომიკური კანონია. მაგრამ ეს განვითარება ოვთოდინებით არ ხდება. საჭიროა დასახელებული ობიექტური ეკონომიკური კანონის დაუფლება, მისი მოთხოვნების შესწავლა და ამ მოთხოვნების შესაბამისი გეგმების შედგენა-შესრულება. საბჭოთა ხელისუფლება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ემყარება სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ობიექტურ ეკონომიკურ კანონს და მშრომელი მასების აქტური მონაწილეობით გეგმიანად წარმართავს საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელ აღმავალ განვითარებას.

როგორც ცნობილია, ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ დიდი სამამულო

¹ ი. სტალინი, სოციალისტის ექონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 9.

ომის წინა წლებში არნიშნა ღირებულების კანონის არსებობა საბჭოთა კოცელი ციალისტურ წყობილებაში. მიუხედავად ამისა, ი. სტალინის ნაშრომის ფურცელში ციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში “გამოქვეყნებამდე მოელი რიგი მცდარი შეხედულებები იყო აღნიშნული ღირებულების კანონის ხასიათისა და მოქმედების შესახებ. ეკონომისტების დიდი ნაწილი, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც, წერდა და უხსნიდა მსმენელებს, რომ ღირებულების კანონი სოციალიზმის დროს არსებობს გარდამნილი სახით. ამხანაგმა სტალინმა თავის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გვიჩვენა ამ შეხედულების ანტიმეცნიერული ხასიათი, ასენა საქონლური წარმოებისა და ღირებულების კანონის რაობა და განსაზღვრა მათი მერმისი სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში.

კაპიტალიზმის დროს წარმოების კონცენტრაცია მრეწველობაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მეოცე საუკუნის დამდეგისათვის იგი იმდენად გაიზარდა, რომ დამკიცირდა მონოპოლიების ბატონობა. მრეწველობის კონცენტრაციასთან ერთად იზრდება კონცენტრაცია მიწათმოქმედებაშიც. მაგრამ ეს უკანასკნელი წარმოების კონცენტრაციის ღონის მხრივ ბევრად ჩამორჩება მრეწველობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1939 წლის მონაცემებით გერმანიის სოფლის მეურნეობაში 6662,9 ათასი მეურნეობა იყო. ამათგან წვრილი და საშუალო-გლეხური საწარმოების რაოდენობა 5,8 მილიონს აღემატებოდა. 1940 წელს მერჩის შეერთებულ შტატებში 6.097 ათასი ფერმერული მეურნეობიდან თითქმის 5 მილიონი წვრილი და საშუალო ფერმერულ მეურნეობებს წარმოადგენდა. მაშასადამე, განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სოფლის მეურნეობაშიც კი არის მრავალი მილიონი წვრილი და საშუალო მწარმოებელი, რომელთა ექსპროპრიაცია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობებში, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს ინგლისი, სადაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანა წლებიდან მიწათმოქმედებაში თითქმის აღარ იყო წვრილი და საშუალო მწარმოებლები და შესაძლებელი იყო წარმოების საშუალებათა მთელი მასის საერთო-სახსლონ საკუთრებად გადაქცევა როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში.

შეოცე საუკუნის დამდეგიდან იწყება ეპოქა იმპერიალიზმისა, რომელიც პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის წინადელს წარმოადგენს. ამ ეპოქაში კაპიტალიზმი სრულებით მომწიფებულია სოციალისტური რევოლუციისათვის, სოციალისტური რევოლუცია, კაპიტალისტებისა და მემამულების ექსპროპრიაცია, სოციალისტური წყობილების დამკიცირება და განვითარება საზოგადოების შემდგომი წინსვლის ერთადერთ გამოსავალს, წარმოადგენს. ამავე დროს თითქმის ყველა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის სოფლის მეურნეობაშიც კი არის წვრილი და საშუალო მწარმოებლების დიდი მასა, რომელთა ექსპროპრიაცია არ შეიძლება. წვრილი და საშუალო მწარმოებლების ექსპროპრიაციის გატარება გლეხობას ჩამოაშორებს პროლეტარიატს, დიდი ხნით გადაისცრის მას პროლეტარიატის მტრების ბანაქში და ძირს გამოუთხრის პროლეტარული რევოლუციის საქმეს. მაშასადამე, ისმება კითხვა:

როგორ უნდა მოიქცეს პროლეტარიატი, თუ არსებობს ხელსაყრელი პირობები ხელისუფლების ხელში აღებისათვის და ამავე დროს შეუძლებელია უკანონობების საშუალებათა მთელი მასის საყველთაო-სახალხო კუთვნილებად გადაქცევა და ამ საფუძველზე საქონლური წარმოების მოსპობა? ამ საკითხს ლენინ-სტალინის მოძღვრებამ ამომწურავი პასუხი გასცა.

ვ. ლენინმა და ო. სტალინმა დაასაბუთეს, რომ მუშათა კლასმა უნდა გამოიყენოს ხელსაყრელი პირობები, აიღოს ხელში ხელისუფლება და არ დაელოდოს კაპიტალიზმის მიერ მრავალმილიონიანი წვრილი და საშუალო ინდიუდუალური მწარმოებლების მთლიანად გაჩინავებას. პროლეტარიატმა უნდა გაატაროს წარმოების საშუალებათა ექსპროპრიაცია მრეწველობაში და გადასცეს ისინი საერთო-სახალხო საკუთრებაში. არ უნდა მოხდეს წვრილმწარმოებელთა ექსპროპრიაცია, არამედ უნდა განხორციელდეს მათი თანდათანობითი გაერთიანება წარმოებით კოოპერატივებში და ამრიგად შეიქმნეს მსხვილი სოფლისმეურნეობრივი საწარმოები, კოლმეურნეობანი. ყოველმხრივ უნდა განვითარდეს მსხვილი მანქანური მრეწველობა და კოლმეურნეობებს შეექმნას თანამედროვე ტექნიკური ბაზა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ქალაქისა და სოფლის ურთიერთდაკავშირების წარ მათ შორის კავშირის კანმტკიცებისათვის განსაზღვრული ღრივით შენარჩუნებული უნდა იქნეს საქონლური წარმოება, როგორც გლეხებისათვის ქალაქთან ეკონომიკური კავშირის ერთადერთი მისაღები ფორმა. ყოველმხრივ უნდა განვითარდეს საბჭოთა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა და განიდევნოს საქონელბრუნვიან ყოველი ჯურის კაპიტალისტური ელემენტები. განვითარების ამ ლენინურ-სტალინური გზის სისწორე მთლიანად დაადასტურა საბჭოთა კავშირის გამოცდილებამ. ამ გზით მიღის აგრეთვე სახალხო დემოკრატიული ქვეყნების განვითარებაც. „უცხოელია, რომ ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის, საღაც კი არის წვრილ და საშუალო მწარმოებელთა მეტად თუ ნაკლებად მრავალრიცხოვანი კლასი, განვითარების ეს გზა ერთადერთი შესაძლებელი და მიზანშეწონილი გზაა სოციალიზმის გასამარჯვებლად“¹.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმი გარდამავალი პერიოდის მანძილზე საქონლური წარმოების განვითარება მრავალწყობარი ეკონომიკის არსებობის ვითარებაში ხდება. მიმდინარეობს შეურიგებელი ბრძოლა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტებს შორის, რომელსაც შეღეგად უნდა მოყვეს სოციალიზმის სრული გამარჯვება, კაპიტალისტური ელემენტებისა და აღამიანის მიერ აღამიანის ექსპლოატაციის მოსპობა.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინურ-სტალინური პოლიტიკის განუხელელად განხორციელების გზით საბჭოთა წყობილებამ ჯერ კიდევ პირველ სტალინურ ხუთწლედში ააშენა სოციალიზმის ეკონომიკური საძირკველი და უზრუნველყო საკითხის „ვინ-ვის“ გადაწყვეტა სოციალიზმის სასარგებლოდ, კაპიტალიზმის საზიანოდ. მეორე სტალინური ხუთწლედის მანძილზე საბოლოოდ მოისპონ კაპიტალისტური ელე-

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 16.

შენტები და აღამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. დამკვიდრდა მექანიზაცია რაბის სოციალისტური სისტემის განუყოფელი ბატონობა მთელს სახალხო მეურნეობაში სოციალისტური მეურნეობის ხვედრითი წონა შეაღენდა: მრეწველობის მთლიან პროდუქციაში — 99,9% -ს, სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში (კოლმეურნეთა დამხმარე მეურნეობის ჩათვლით) — 98,8% -ს, საცალო საქონელბრუნვაში — 100% -ს და ნაციონალურ შემოსავალში — 99,3% -ს¹. მაშასადამე, სოციალისტური საერთო-სახალხო და კომპერაციულ-კოლმეურნეობრივი წარმოება თითქმის მთელ საზოგადოებრივ წარმოებას მოიცავდა. სოციალიზმი განუყოფლად ბატონობდა მთელს სახალხო მეურნეობაში, აღარ იყო ეკონომიკის მრავალწლილობა, ძირითადად დამთავრდა სოციალისტური საზოგადოების აშენება.

სოციალიზმის წარმატებითი განვითარების პროცესში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მოითხოვდნენ საქონლური წარმოების, საბჭოთა ვაჭრობისა და ფულის გაუქმებას, პროდუქტების პირდაპირ გაცვლაზე გადასვლას. ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობაზე გამოაშვარავა და გაანადგურა ასეთი შეხედულებანი. „ამ ადამიანებს, — ამბობდა ი. სტალინი 1934 წლის დამდეგს, — რომელნიც ისევე დაშორებული არიან მარქსიზმს, როგორც ცა დედამიწას, ცხადია, არ ესმით, რომ ფული ჩვენში დარჩება ჯერ კიდევ დიღხანს, თვით კომუნიზმის პირველი სტადიის — განვითარების სოციალისტური სტადიის — დამთავრებამდე. მათ არ ესმით, რომ ფული წარმოადგენს ბურჟუაზიული ეკონომიკის იმ იარაღს, რომელიც თავის ხელში აიღო საბჭოთა ხელისუფლებაშ და შეუფარგა სოციალიზმის ინტერესებს იმისათვის, რომ მთელი სიმძლავრით გაშალოს საბჭოთა ვაჭრობა და ამით მოამზადოს პირობები პროდუქტების პირდაპირ გაცვლა-გამოცვლისათვის. მათ არ ესმით, რომ პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ როგორც შემცვლელი და შედეგი იტეალურად მოწერილიგებული საბჭოთა ვაჭრობისა“².

მაშასადამე, კომუნისტური წყობილების განვითარების პირველ, სოციალისტურ სტადიაზე ჯერ კიდევ აუცილებელია ფულისა და საბჭოთა ვაჭრობის არსებობა, საქონლური წარმოებისა და ღირებულების კანონის არსებობა.

ამხანაგმა სტალინმა თავის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გენიალურად ახსნა სოციალიზმის ღრის საქონლური წარმოებისა და ღირებულების კანონის არსებობის აუცილებლობა. „ამჟამად ჩვენში არსებობს სოციალისტური წარმოების ორი ძირითადი ფორმა: სახელმწიფო ფორმი — საერთო-სახალხო, და საკოლმეურნეო, რომელსაც არ შეიძლება საერთო-სახალხო ეწოდოს. სახელმწიფო საწარმოებში წარმოების საშუალებანი და წარმოების პროდუქცია საერთო-სახალხო საკუთრებას შეაღენენ. საქოლმეურნეო საწარმოებში კი, თუმცა წარმოების საშუალებანი (მოწა,

¹ Развитие советской экономики (статистические материалы), М., 1946, стр. 5.

² ი. სტალინი, თხულებანი, ტ. 13, გვ. 361—362.

მანქანები) სახელმწიფოს ეკუთვნის, მაგრამ წარმოების პროდუქცია ცილქე ულ კოლმეურნეობათა საკუთრებას შეაღენს... სახელმწიფოს შეუძლებელი პროდუქციას განაგებდეს, მაშინ როდესაც სალოდ სახელმწიფოს საწარმოთა პროდუქციას განაგებდეს, მაგრამ როდესაც საკოლმეურნეო პროდუქციას, როგორც თავის საკუთრებას, განაგებენ მხოლოდ კოლმეურნეობანი. მაგრამ კოლმეურნეობებს არ სურთ გაასხვისონ თავიანთი პროდუქტები სხვანაირად, თუ არა საქონლის სახით, რომელზედაც გაცვლით მათ სურთ მიღლონ მათვეის საჭირო საჭონელი. სხვა ეკონომიკური კავშირურობის კალექტან, გარდა სასაქონლო ურთიერთობისა, გარდა ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით გაცვლისა, კოლმეურნეობებისათვის ამჟამად მიუღებელია. ამიტომ სასაქონლო წარმოება და საქონელბრუნვა ჩვენში ამჟამად ისეთ-სავე აუცილებლობას წარმოადგენენ, როგორსაც ისინი წარმოადგენლნენ, ვთქვათ, ოცდაათი წლის წინათ, როდესაც ლენინმა გამოაცხადა საქონელბრუნვის ყოველნაირად გაშლის აუცილებლობა¹.

ამრიგად, კომუნისტური წყობილების განვითარების პირველ სტადიაზე თანამედროვე საბჭოთა საზოგადოებაში არსებობს სოციალისტური წარმოების ორი ძირითადი ფორმა — საერთო-სახალხო წარმოება და კოლმეურნეობრივი წარმოება. ამათგან პირველი მოიცავს თითქმის მთელ მრეწველობას. 1933 წლის მონაცემებით მრეწველობის მოლიანი პროდუქციის 92,76%-ს სახელმწიფო საწარმოები აწარმოებდნენ და სახელმწიფოს უშუალო განკარგულებაში იყო. კოოპერაციულ წარმოებას მრეწველობის მოლიანი პროდუქციის 7,17% ეკუთვნოდა. შემდგომ წლებში სახელმწიფო მრეწველობის ხევდრითი წონა გაიზარდა, კოოპერაციული მრეწველობის ხევდრითი წონა საკრძნობლად შემცირდა. ამ მხრივ სოფლის მეურნეობაში არსებითად განსხვავდულ მდგომარეობას აქვს ადგილი. 1936 წლის მონაცემებით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის წარმოებითი ფონდების 76,0% საერთო-სახალხო საკუთრებას შეადგენდა. მრეწველობის ასეთივე მაჩვენებელი 97,35%-ს აღწევდა. მრეწველობაში კოოპერაციული ორგანიზაციების წარმოებითი ფონდები მარტოოდენ 2,6%-ს შეაღენდა. სოფლის მეურნეობაში კოლმეურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების წარმოებითი ფონდების ხევდრითი წონა 20,3%-ს აღწევდა. ამასთან, კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის წარმოებითი ფონდები 3%-ს აღემატებოდა. დიდი სამატულო ომისწინა წლებში კოლმეურნეობრივი წარმოება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ორმესამედზე მეტს იძლეოდა.

მასასადამე, ამჟამად საბჭოთა საზოგადოებაში არსებობს ორი ძირითადი წარმოებითი სექტორი — საერთო-სახალხო წარმოება და კოლმეურნეობრივი წარმოება. კოოპერაციულ წარმოებას შედარებით უმნიშვნელო ადგილი უკავია სოციალისტურ მრეწველობაში. მრეწველობის თითქმის მთელი მასა საერთო-სახალხო წარმოებას წარმოადგენს. სოფლის მეურნეობრივი წარმოების უპირატესი ნაწილი კოლმეურნეობრივ წარმოებას შეაღენს. დანარჩენის დიდ ნაწილს საბჭოთა მეურნეობები, ე. ი. საერთო-სახალხო წარმოება იძლევა.

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 17—18-

ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის განსაზღვრული ნაწილი კუთხით მდგრადი ნება პირად-დამხმარე მეურნეობაზე მოდის. ერთპიროვნულ წვრილებულ მეურნეობებს სოფლის მეურნეობაში უმნიშვნელო ადგილი უკავიათ. 1938 წელს მათგან საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მარტო-ოდენ 1,2% მოდიოდა. ამრიგად, საბჭოთა კავშირის საერთო-სახალხო წარმო-ების სექტორი თითქმის მთელ მრეწველობას მოიცავს, ხოლო სოფლის მეურ-ნეობაში მასზე პროდუქციის დაახლოებით ერთი მეათედი მოდის. საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქციის უდიდეს ნაწილს კოლეგურნეო-ბრივი წარმოების სექტორი იძლევა. სოციალისტური წარმოების ამ ორი ძირი-თადი სექტორის ეკონომიკური კავშირურთიერთობა, სოციალისტური მრე-წველობისა და სოფლის მეურნეობის, ქალქებისა და სოფლის კავშირურთიერ-თობა აუცილებლად მოითხოვს საქონლური წარმოების არსებობას.

მაგრამ ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში არსებული საქონლური წარმოება, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, განსაკუთრებული სახის საქონლურ წარმოებას წარმოადგენს. მას არ შეუძლია მიგვიყვანოს და ვერც მიგვიყვანს კაპიტალიზმის აღმოცენებამდე. სახალხო მეურნეობის განვითარე-ბის ისტორია აღასტურებს, რომ საქონლური წარმოება ყოველთვის არ იწ-ვევდა კაპიტალიზმის წარმოშობას. საქონლური წარმოება არსებობდა მონათ-მფლობელურ საზოგადოებაში, მომსახურებას უწევდა მას, მაგრამ კაპიტალიზ-მის აღმოცენება არ გამოუწევება. საქონლური წარმოება არსებობდა ფეოდა-ლურ საზოგადოებაში და მომსახურებას უწევდა ამ საზოგადოებას. ფეოდა-ლური წყობილების განვითარების პროცესში საქონლურმა წარმოებამ, მარ-თალია, მოამზადა კაპიტალიზმის აღმოცენების ზოგიერთი პირობა, მაგრამ მას არ წარმოუშვია კაპიტალისტური წყობილება. „ეპიტალისტური წარმოება იწ-უება, აქ, საღაც წარმოების საშუალებანი თავმოყრილია კერძო ხელში, ხოლო წარმოების საშუალებებს მოკლებული მუშები იძულებული ხდებიან გაყიდონ თავიანთი სამუშაო ძალა, როგორც საქონელი. უამისოდ კაპიტალისტური წარმოება არ არსებობს“¹. საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოე-ბის საშუალებანი საზოგადოებრივ საკუთრებას შეადგენს, აქ არ არის სამუ-შაო ძალა-საქონელი და მოსპობილია დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის სისტემა. ამიტომ სოციალისტურ საზოგადოებაში არსებულ საქონლურ წარ-მოებას არ შეუძლია მიგვიყვანოს კაპიტალიზმის წარმოშობამდე.

კაპიტალისტური წარმოება საქონლური წარმოების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს. კაპიტალისტურ წყობილებაში საქონლური წარმოება წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებასა და ადამიანის მიერ ადამიანის, დაქირავე-ბული შრომის ექსპლოატაციას ემყარება. აქ საქონლურ წარმოებას შეუზღუ-დველი ყოვლისმომცველი გაგრცელება აქვს. სოციალისტურ საზოგადოებაში საქონლური წარმოების სფერო მკაცრი ფარგლებითაა შეზღუდული. აქ მიწა-წყალი, სახელმწიფოს, კონპერაციული ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობა-თა საწარმოები საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენს. ამ საწარმოებისა

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 16.

და მათში დასაქმებული მუშა-ხელის ყიდვა-გაყიდვას აღვილი არა აქვს. სოციალური სახელმწიფოს საწარმოების მიერ დამზადებული წარმოების უზრუნველყოფა ლებანი, — მანქანები, რომელი იარაღები, მოწყობილობა და სხვ. ქვეყნის შინაგან ეკონომიკურ ბრუნვაში საქონელს არ წარმოადგენენ. ამხანაგმა სტალინმა თავის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მოგვცა საქონლის კლასიკური განსაზღვრა. „საქონელი არის წარმოების ისეთი პროცესი, რომელიც მიეყიდება ყოველ მყიდველს, ამასთანავე საქონლის გაყიდვის დროს საქონელმფლობელი კარგავს მასზე საკუთრების უფლებას, მყიდველი კი ხდება საქონლის მესაკუთრე, რომელსაც შეუძლია გადაყიდოს, დააგირაოს, დაალბოს ის“¹. ამ განსაზღვრიდან ნათელია, რომ სახელმწიფო საწარმოების მიერ დამზადებული წარმოების საშუალებანი, უპირველეს ყოვლისა, მანქანები და მოწყობილობა, რომლებიც მეურნეობრივი ანგარიშიანობის მეთოდის შესაბამისად, საერთო-სახალხო საწარმოებს შორის სახელმწიფო გეგმის საფუძველზე ნაწილდება და მობეჭარება, აღარ წარმოადგენენ საქონელს. მაშასადამე, პროცესის განვითარების შინაგანი ეკონომიკური პრუნვის ასპარეზზე არ შედის საქონლური წარმოების სფეროში. სოციალისტურ საზოგადოებაში არსებული საქონლური წარმოება უკავიტალისტებო საქონლური წარმოებაა. მას ძირითადად საქმე აქვს გაერთიანებულ სოციალისტურ მწარმოებელთა საქონელთან. აქ ისეთი საქონლური წარმოება არსებობს, „...რომლის მოქმედების სფერო შეზღუდულია პირადი მოხმარების საგნებით, რომელიც, ცხალია, არასაზით არ შეიძლება კაბიტალისტურ წარმოებად განვითარდეს და რომლის ხვედრიცა თავის „ფულად მეურნეობასთან“ ერთად მომსახურება გაუწიოს სოციალისტური წარმოების განვითარებისა და განტკიცების საქმეს“². აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში არსებული საქონლური წარმოება ძირეულად განსხვავდება კაბიტალისტური საქონლური წარმოებისაგან. ამასთან დაკავშირებით, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, სოციალისტური წარმოების კატეგორიებისა და მისი განვითარების კანონებისა დახასიათებისას არ შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი ცნებები, როგორიცაა „აუცილებელი“ და „ზედმეტი“ შრომა, „აუცილებელი“ და „ზედმეტი“ პროცესი, „სამუშაო ძალა-საქონელი“ და სხვ. ჩვენში წარმოების საშუალებები საზოგადოებრივი საკუთრებაა, მათი ულიდეს და გადაწყვეტი მასა მუშებისა და გლეხების სოციალისტურ სახელმწიფოს ეკუთვნის. ამიტომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებოდეს სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა და სამუშაო ძალა როგორც საქონელი. აქ არ არის ექსპლოატირებული და ექსპლოატატორი კლასები, რის გამოც აღგილი არა აქვს შრომის დაყოფას აუცილებელ და ზედმეტ შრომად და სხვ. ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა, რომ ჩვენი საწარმოების მიერ დამზადებული წარმოების საშუალებები მხოლოდ საგარეო ვაჭრობის ბრუნვის სფეროში ინარჩუნებენ საქონლის თვისებებს არსებითადაც და ფორმალურადაც. ქვეყნის შიგნით ეკონომიკურა

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 56.

² იქვე, გვ. 19.

ბრუნვის სფეროში მათ აღარ გააჩნიათ საქონლის თვისებები და ინარჩუნებული მარტოოდენ საქონლურ გარსს (ცალკულაცია და სხვ.). ეს უკანასკნელი უწყვეტესობა აიხსნება რომ „...ჩვენს სოციალისტურ პირობებში ეკონომიკური განვითარება მიმდინარებს არა გადატრიალებათა წესით, არამედ თანდათანობითი ცვლილებების წესით, როდესაც ძველი პირზმინდად კი არ უქმდება უბრალოდ, არამედ თავის ბუნებას იცვლის ახლისდა მიხედვით, ინარჩუნებს რა მხოლოდ თავის ფორმას, ხოლო ახალი უბრალოდ კი არ სპობს ძველს, არამედ შეიცრება ძველში, ცვლის მის ბუნებას, მის ფუნქციებს, ამასთან კი არ ამსხვრევს მის ფორმას, არამედ იყენებს მას ახლის განვითარებისათვის. ასეთია საქმის ვითარება არა მარტო საქონლის, არამედ ფულის მიმართაც ჩვენს ეკონომიკურ ბრუნვაში, ისევე როგორც ბანკების მიმართაც, რომლებიც, კარგავენ რა თავიანთ ძველ ფუნქციებს და იძენენ რა ახალს, ინარჩუნებენ ძველ ფორმას, რომელსაც იყენებს სოციალისტური წყობილება... კაპიტალიზმის ძველი კატეგორიებიდან ჩვენში შენარჩუნებულია უმთავრესად ფორმა, გარეგანი სახე, არსებითად კი ისინი ჩვენში ძირფესვიანად შეიცვალნენ სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისად¹.

ჩვენში არსებული საქონლური წარმოების რობის მეცნიერული განსაზღვრის საფუძველზე ამხანაგმა სტალინმა ახსნა ღირებულების კანონის ხასიათი, მისი მოქმედების სფერო და მნიშვნელობა სოციალისტურ მეურნეობაში. რახან სოციალიზმის დროს აუცილებელია განსაკუთრებული სახის საქონლური წარმოება, ამიტომ არსებობს და არ შეიძლება არ არსებობდეს ღირებულების კანონი. „იქ, სადაც არის საქონელი და სასაქონლო წარმოება, არ შეიძლება ღირებულების კანონიც არ იყოს“². მაგრამ ღირებულების კანონის მოქმედების სფერო შეზღუდულია სოციალისტური წყობილების პირობებში. ეს ღირებულების კანონის მოქმედების სფერო ვრცელდება პირველ ყოვლისა საქონლმიმოქცევაზე, უმთავრესად პირადი მოხმარების საქონელთა გაცვლაზე. მარტოოდენ ამ სფეროში ღირებულების კანონი ინარჩუნებს, და ისიც გარკვეულ ფარგლებში, რეგულატორის როლს. მაგრამ საქონელმიმოქცევა, პირადი მოხმარების საქონელთა გაცვლა დაკავშირებულია წარმოებასთან. ამიტომ ღირებულების კანონის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე წარმოებაზე. ღირებულების არ გააჩნია და არც შეიძლება ჰქონდეს წარმოების რეგულატორის როლი სოციალისტურ წყობილებაში, მაგრამ იგი, თუმცა შეზღუდულად, მაინც ზემოქმედებას ახდენს წარმოებაზე და ეს ზემოქმედება გათვალისწინებული უნდა იქნეს წარმოების ხელმძღვანელობის მიერ. „საქმე ის არის, — ამბობს ი. სტალინი, — რომ სამიზმარებლო პროდუქტები, რაც აუცილებელია წარმოების პროცესში სამუშაო ძალის დანახისავალ, ჩვენში იწარმოება და საღდება როგორც ღირებულების კანონის მოქმედებას დაკვემდებარებული საქონელი. სწორედ ეს მშეარავდება ღირებულების კანონის ზემოქმედება წარმოებაზე. ამასთან დაკავშირებით ჩვენს საწარმოებში აქტუალური

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 57—58.

² იქვე, გვ. 21.

მნიშვნელობა აქვთ ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამეურნეო ანგარიშისა და რენტაბელობის საკითხი, თვითღირებულების საკითხი, ფასების სტრუქტურული სხვ. ამიტომ ჩვენს საწარმოებს არ შეუძლიათ გვერდი აუარონ... ღირებულების კანონის გათვალისწინებას¹.

ამხანაგმა სტალინმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უცილებელია წარმოების მუშაკებმა იცოდნენ ღირებულების კანონის რაობა, მისი ზემოქმედება წარმოებაზე, რათა განუხრელად გაატარონ მეურნეობრივი ანგარიშიანობა, სისტემატურად გააუმჯობესონ წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, ზუსტად განახორციელონ ეკონომიკის რეჟიმი და მიაღწიონ საწარმოთა რენტაბელობას. მაგრამ ყოველივე აქ აღნიშნული სრულებითაც არ ნაშნავს ღირებულების კანონის შეუზღუდველ მოქმედებას ჩვენს წარმოებაზე. ნამდვილად ღირებულების კანონის მოქმედება ჩვენში და წარმოებაზე მისი ზემოქმედების ხარისხი შეზღუდულია, ჯერ ერთი, წარმოების საშუალებათა განსაზოგადოებით, წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების არსებობით; მეორე, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ეკონომიკური კანონით და, მესამე, ამ კანონის მოთხოვნებზე დაყრდნობილი ხუთწლიანი და წლიური გეგმებით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მეურნეობრივი პოლიტიკით. „ყოველივე ეს ერთად აღებული იწვევს იმას, რომ ღირებულების კანონის მოქმედების სფერო მკაცრად შეზღუდულია ჩვენში და ღირებულების კანონის ჩვენი წყობილების პირობებში არ შეუძლია შეასრულოს წარმოების რეგულატორის როლი“².

აქედან ნათლად ჩანს, რომ არასწორია შეხედულება, თითქოს სოციალიზმის დროს ღირებულების კანონი არეგულირებს წარმოების დარგებს შორის შრომის განაწილების „პროპორციებს“, რომ ასეთი „მარეგულირებელი როლით“ ღირებულების კანონი დარჩება კომუნიზმის უმაღლეს ფაზაშიაც. ამხანაგმა სტალინმა გამოაშვარავა ასეთი შეხედულების ანტიმუცინირულობა, და კვლავ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჩვენს წყობილებაში წარმოების საშუალებებისა და შრომის განაწილება წარმოების დარგებს შორის ხორციელობება გეგმიანი ხელმძღვანელობის წესით სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის საფუძველზე. საბჭოთა წყობილებაში რენტაბელობა განიხილება მთელი სახალხო მეურნეობისა და განვითარების ხანგრძლივი პერიოდის თვალსაზრისით. მაშიასდამე, კომუნისტური წყობილების ჯერ კიდევ პირველ ფაზაში ღირებულების კანონს არ გააჩნია წარმოების რეგულატორის როლი, სახალხო მეურნეობის დარგებს შორის შრომის განაწილების რეგულატორის როლი. ცხადია, რომ ამ მხრივაც ღირებულების კანონი არ შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში.

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პროცესები სსრ კავშირში, გვ. 22.

² იქვე, გვ. 24.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ღირებულება, თუმცა როგორც დროულად შეულების კანონი, ისტორიული კატეგორიაა. საქონლური წარმოების გაფართოება ბასთა ერთად გაქრება ღირებულებაც თავისი ფორმებით და ღირებულების კანონიც. „კომუნისტური საზოგადოების მეორე ფაზაში პროდუქტების საწარმოებლად დახარჯული შრომის რაოდენობა განიზომება არა შემოვლითი გზით, არა ღირებულებისა და მისი ფორმების მეშვეობით, როგორც ეს არის ხოლმე სასაქონლო წარმოების დროს, არამედ პირდაპირ და უშუალოდ—პროდუქტების საწარმოებლად დახარჯული დროის რაოდენობით, საათების რაოდენობით. რაც შეეხება შრომის განაწილებას, შრომის განაწილება წარმოების დარგებს შორის რეგულირებული იქნება არა ღირებულების კანონით, რომელიც იმ დროისათვის დაყარგავს ძალს, არამედ პროდუქტებზე საზოგადოების მოთხოვნილებათა ზრდით. ეს იქნება ისეთი საზოგადოება, სადაც წარმოება რეგულირებული იქნება საზოგადოების მოთხოვნილებებით, ხოლო საზოგადოების მოთხოვნილებათა ორიცხვის პირებულხარისხოვანი მნიშვნელობა მიენიჭება მგეგმავი ორგანოებისათვის“¹.

* * *

სოციალისტური წყობილების რაობისა და მისი განვითარების კანონზომიერებათა ეგნიალური ანალიზის საფუძველზე ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა კომუნიზმის გადასვლის მომზადების ძირითადი წინამდებარები და ამ პირობების შექმნის გზები.

როგორც ცნობილია, სოციალისტური წყობილება საწარმოო ძალების განვითარების მაღალი დონითა და მძლავრი აღმავლობით ხასიათდება. აյ წარმოების განვითარება ადამიანის, მთელი საზოგადოების წმარიდი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების ინტერესებს ემსახურება. მაგრამ კომუნიზმის განვითარების ამ დაბალ სტადიაზე ჯერ კიდევ არაა მიღწეული პროდუქტების სიუხვე. კომუნისტური წყობილების მაღალ სტადიაში გადასვლის მომზადება, პირველ ყოვლისა, მოითხოვს პროდუქტების სიუხვის შექმნას. ამ მოთხოვნის განხორციელებისათვის აუცილებელია „...მტკიცედ უზრუნველყოთ... მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდა, ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა. წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა აუცილებელია არა მარტო იმიტომ, რომ მან მოწყობილობით უნდა უზრუნველყოს როგორც თავისი საკუთარი საწარმოები, ისე სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგის საწარმოებიც, არამედ აგრეთვე იმიტომ, რომ უიმისოდ საერთოდ შეუძლებელია განხორციელდეს გაფართოებული აღწარმოება“².

ამხანაგ სტალინის ეს დებულება საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი წარმოების განვითარების დამახასიათებელ თვისებათა მეცნიერულ განზოგადებას წარმოადგენს და იგი საფუძვლად უდევს ლენინ-სტალინის პარტიის

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 25.

² იქვე, გვ. 72.

XIX ყრილობის დირექტივებს საბჭოთა კავშირის განვითარების 1951—1955-წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მთლიანი გეგმის შესახებ

შესახებ

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიული წარმოება განუწყვეტელი აღმავლობით ხასიათდებოდა და 1940 წელს მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 11,7-ჯერ ჭარბობდა 1913 წლის შესაღარის მაჩვენებელს. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდამნა-განვითარების შედეგად საბჭოთა კეცენის სოფლისმეურნეობრივი წარმოების მთლიანი პროდუქცია 1940 წელს თითქმის ორჯერ მეტი იყო 1913 წლის დონესთან შედარებით. ორგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, მიუხედავად დიდი სამამულო ომის დროს მოყენებული ზარალისა, 1951 წელს საბჭოთა კავშირის ინდუსტრია 102%-ით მეტ პროდუქციას უშვებდა 1940 წელთან შედარებით. ამავე წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციაც საგრძნობლად მეტი იყო 1940 წლის შესაღარისი მაჩვენებლის მიმართ. სოციალიზმის დროს წარმოებითი ურთიერთობანი სავსებით შეესაბამებიან საწარმოო ძალთა მდგრმარეობას და უზრუნველყოფენ უკანასკნელთა მძლავრ აღმავლობას. ამიტომ აქ საზოგადოებრივი წარმოება განუწყვეტელი და მძლავრი ზრდით ხასიათდება. მეხუთე ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა კავშირის ინდუსტრიული წარმოების დონე 70%-ით ამაღლდება და 1955 წელს 3-ჯერ გადაჭარებებს 1940 წლის შესაღარის მაჩვენებელს.

სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა, ერთი მხრივ, წარმოებითი აპარატის გაღიადების, ამ აპარატის ტექნიკური აღჭურვილობის განუხრელი სრულყოფისა და, მეორე მხრივ, ასესებული წარმოებითი აპარატის უკეთ გამოყენების, შრომის მწარმოებლურობის მძლავრი აღმავლობისა და ეკონომიის რეჟიმის მტკიცედ გატარების გზით ხორციელდება. შრომის მწარმოებლურობის მძლავრი აღმავლობა საბჭოთა ტექნიკის განუხრელ ზრდას, წარმოების მუშაკთა წარმოებითი გამოცდილების, შრომითი ჩვევებისა და ქტივობის გაღიადებას, სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართო გამზღვას ემყარება. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის დროს მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი აღმავლობა აუცილებლად მოითხოვს წარმოების საშუალებათა წარმოების, პირველ ყოვლისა, მიიმე ინდუსტრიისა და, კერძოდ, მანქანათმშენებლობის, უფრო სწრაფი ტექნიკით გადაიღებას. 1940 წლის მონაცემებით საბჭოთა კავშირის მსხვილ მრეწველობაში წარმოების საშუალებათა წარმოება 17-ჯერ მეტი იყო 1913 წელთან შედარებით, ხოლო მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების მთლიანი პროდუქცია 41-ჯერ ჭარბობდა 1913 წლის შესაღარის მაჩვენებელს. 1951 წელს საბჭოთა კავშირის მრეწველობის წარმოების საშუალებათა წარმოება 139%-ით ჭარბობდა 1940 წლის დონეს. ხოლო 1952 წელს იგი 167%-ით მეტ პროდუქციის გამოუშვებს 1940 წელთან შედარებით. მეხუთე ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა კავშირის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის საშუალო-წლიური ტემპი 12% -ს შეადგენს; მათ შორის წარმოების საშუალებათა წარმოება 13%-ით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება 11%-ით იზრდება. 1950 წელს საბჭოთა კავშირის მანქანათმშენებლობის მთლიანი

პროდუქცია 2,3-ჯერ ჭარბობდა 1940 წლის დონეს. მეხუთე ხუთწლეულებრივ ხალხო მეურნეობის ამ გადამშევეტი დარგის პროდუქცია დახლობების უკავშირის უკავშირის უკავშირის უკავშირი 1955 წლს 4,6-ჯერ გადაჭარბებს 1940 წლის შესაღარის მაჩვენებელს.

ამრიგად, როგორც წინა ოთხი ხუთწლედის, ასევე მეხუთე სტალინური ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა კაშირის მრეწველობის წარმოების საშუალებათა წარმოება უპირატესი ზრდით ხასიათდება. ახალ ხუთწლედში ჩვენი სოციალისტური წარმოების ასეთი განვითარება მომზადებს პირობებს მომდევნო წლებში სოციალისტური სახალხო მეურნეობის კიდევ უფრო მძლავრი აღმავლობისათვის და დააჩქარებს კომუნიზმში გადასვლას.

ამხანავ სტალინის განსაზღვრით, კომუნიზმში გადასვლის მომზადების მეორე ძირითადი წინაშარი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ „...კოლმეურნეობებისა და, მაშასადამე, მთელი საზოგადოების სასარგებლოდ განხორციელებული თანდათანობითი გადასვლების გზით საკოლმეურნეო საკუთრება ავიყვანოთ საერთო-სახალხო საკუთრების დონეზე, ხოლო საქონელმიმოქცევა აგრეთვე თანდათანობითი გადასვლების გზით შევცვალოთ პროდუქტგაცვლის სისტემით, რათა ცენტრალურ ხელისუფლებას ან სხვა რომელიმ საზოგადოებრივ-კონომიკურ ცენტრს შეეძლოს საზოგადოების ინტერესებისათვის მოიცავს საზოგადოებრივი წარმოების მთელი პროდუქცია“¹.

კოლმეურნეობრივ-ჯგუფური საკუთრება წვრილმწარმოებელთა, საშუალო და ღარიბი გლეხობის ნებაყოფლობითი კოოპერირების გზით წარმოიშვა. კოლმეურნეობრივი საკუთრებისა და წარმოების განვითარების გზით საბჭოთა წყობილებამ უზრუნველყო სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობა, იხსნა მშრომელი გლეხობა გაჩანაგებისაგან და იგი შეძლებული ცხოვრების გზაზე დააყენა. კოლმეურნეობები, მტს-ების მზარდი ტექნიკით შეიარაღებულნი, ახალ და ახალ წარმატებებს აღწევენ საზოგადოებრივი მეურნეობის გაძლიერებისა და კოლმეურნეობრივი წარმოების აღმავლობის საქმეში. ამჟამად კოლმეურნეობრივ-ჯგუფური საკუთრება და საქონლის მიმოქცევა წარმატებით გამოიყენება სოციალისტური მეურნეობის განვითარებისათვის. უახლოეს მომავალშიც ისინი სარგებლობას მოუტანენ საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობის საქმეს. მაგრამ კომუნიზმის განხორციელების ამოცანა მოითხოვს ერთი მთლიანი სახელმწიფოებრივი გეგმით სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას. უცილებელია სოფლის მეურნეობრივი წარმოების ზრდის ტემპის გაძლიერება, მაღალი მყარი მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის უზრუნველყოფა, ინდუსტრიულ წარმოებასთან სოფლისმეურნეობრივი წარმოების კიდევ უფრო მჭიდრო დაკავშირება და მათი განუშევეტელი შემდგომი ერთობლივი ზრდა. ამ მიზანს ემსახურება კომუნიზმის დიად შენებლობათა სტალინური გეგმების განხორციელების საქმე.

ასეთ ვითარებაში კოლმეურნეობრივ-ჯგუფური საკუთრება და საქონელ-

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 72—73.

ამხანაგმა სტალინმა გაცამტვერა ა. სანინისა და ვ. ვენჯერის მოსახრება იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობრივ-ჯგუფური საქუთრების საერთო-სახალხო საქუთრების ღონიერდე ასამაღლებლად საჭიროა მტს-ების მანქანაიარაღები მიყვიდოთ კოლმეურნეობებს და სახელმწიფო განვტვირთოთ სოფლის მეურნეობაში დიდი კაპიტალდაბანდებისაგან. სანინისა და ვენჯერის აღნიშნული მოსაზრება არასწორია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სოფლისმეურნეობრივი მანქანაიარაღები განუწყვეტლივ და სწრაფად უმჯობესდება, ახალი მანქანებით ძველი მანქანების შეცვლა მრავალი მიღლიარდება მანეთის კაპიტალდაბანდებას მოითხოვს და შედეგს რამდენიმე წლის შემდეგ იძლევა. ასეთი დიდი კაპიტალდაბანდების გაღება კი კოლმეურნეობათა ძალონებს აღემატება. მეორე, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მთავარი სოფლისმეურნეობრივი მანქანაიარაღების კოლმეურნეობებისათვის მიყიდვა ამ უკანასკნელთ გადააქცევს ძირითადი მანქანაიარაღების მესაკუთრეებად და შეუქმნის მათ განსაკუთრებულ შეღომარეობას, რომელიც სახელმწიფო საწარმოებს არ გააჩნიათ. ასეთი ღონისძიება კი არ ამაღლებს კოლმეურნეობრივ საქუთრებას საერთო-სახალხო საქუთრებამდე, არმედ კიდევ უფრო ჩამოაქვეთებს და ღააშორებს მას საერთო-სახალხო საქუთრებისაგან.

მიწა, რომელზეც კოლმეურნეობა მუშაობს, და წარმოების ძირითადი იარაღები, რომელთაც კოლმეურნეობა იყენებს, საერთო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენენ. კოლმეურნეობა თავისი წევრების შრომითა და თავისი თესლით ახორციელებს წარმოებას. კოლმეურნეობრივ საკუთრებაში მთავარია კოლმეურნეობრივი წარმოების პროცესი, რომელიც კოლმეურნეობათ განკარგულებაშია. მნ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი, კოლმეურნეობრივი წარმოების ნამეტი ბაზარზე გადის და ექცევა საქონელმიმოქცევის სისტემაში. „სწორედ ეს გარემოება უშლის ხელს ამჟამად საკოლმეურნეო საკუთრების ამაღლებას საერთო-სახალხო საკუთრების ღონებდე... იმისათვის, რომ საკოლმეურნეო საკუთრება საერთო-სახალხო საკუთრების ღონებდე ავამაღლოთ, საჭიროა საკოლმეურნეო წარმოების ნამეტი ამოვრთოთ საქონელმიმოქცევის სისტემიდან და მოვაქციოთ ის სახელმწიფო მრეწველობასა და კოლმეურნეო-

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 74.

შებს შორის პროდუქტგაცვლის სისტემაში. ამაშია დედაარსი¹. უმღებელები სტალინი აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა „დაჭურის გაცვლის ჩანასახები. საჭიროა ეს ჩანასახები განვავითაროთ პროდუქტთა გაცვლის ფართო სისტემად ისე, რომ „...კოლმეურნეობები თავიანთი პროდუქციისათვის ღებულობდნენ არა მარტო ფულს, არამედ უმთავრესად აუცილებელ ნაწარმს. ასეთი სისტემა მოითხოვს იმ პროდუქციის უაღრესად გადიდებას, რომელსაც ქალაქი სოფელს აწვდის, ამიტომ მისი შემოღება მოგვიხდება განსაკუთრებული აჩქარების გარეშე, ქალაქის ნაწარმის დაგროვების კვალობაზე. მაგრამ მისი თანდათან შემოღება საჭიროა განუხრელად, უყოფისანობი, საქონელმიმოქცევის მოქმედების სფეროს თანმიყოლებით შემცირებისა და პროდუქტგაცვლის მოქმედების სფეროს თანმიყოლებით გაფართოების გზით. ასეთი სისტემა, შეამცირებს რა საქონელმიმოქცევის მოქმედების სფეროს, გააადვილებს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასცლას².

ამხანაგმა სტალინმა თავის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ განსაზღვრა ქალაქისა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის მრავალი საუკუნის მაძილზე არსებული დაბირისპირებულობის რაობა. მან გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება-განმტკიცებასთან ერთად გაქრა ინტერესთა დაბირისპირებულობა ქალაქისა და სოფელს შორის; მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის.

ამავე დროს ჯერ კიდევ დარჩა არსებითი განსხვავება ჩვენი ქვეყნის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. ქე მთავარი ისაა, რომ მრეწველობაში წარმოების საშუალებანი და პროდუქცია საერთო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენს. სოფლის მეურნეობაში კი წარმოების საშუალებათა მცირე ნაწილი და პროდუქციის უცირატესი მასა კოლმეურნეობრივ-ჯვაფური საკუთრებაა. ამ განსხვავებასთანაა დაკავშირებული საქონლური წარმოებისა და მიმოქცევის არსებობა.

სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის ამ არსებითი განსხვავების გაქრობას ჩვენთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. იგი საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე კოლმეურნეობრივ-ჯვაფური საკუთრების ამაღლებისა და საქონელმიმოქცევის პროდუქტგაცვლის სისტემით შეცვლის გზით განხორციელდება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასცლის პროცესში. ასევე გაქრება არსებითი განსხვავება ქალაქისა და სოფელს შორის. ამასთან, „დიდი ქალაქები არათუ არ დაიღუპება, არამედ გაჩნდება კიდევ ახალი დიდი ქალაქები, როგორც კულტურის უაღრესი ზრდის ცენტრები, როგორც ცენტრები არა მარტო დიდი ინდუსტრიისა, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისა და კვების მრეწველობის კველა დარგის მძლავრი განვითარებისა. ეს გარემოება გააადვილებს ქვეყნის

¹ ი. სტალინი. საციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 101—102.

² იქვე. გვ. 102.

კულტურულ აყვავებას და გამოიწვევს ქალაქიდ და სოფლად ყოფაცხოვრებულ პირობების შეთანასწორებას¹. ამასთან ერთად ამხანაგმა სტალინმა უდიშვილეს თა, რომ კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში დარჩება არაარსებითი განსხვავება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. 1948 წელს გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში ამ სტატიის ავტორი წერდა: „კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში სასოფლო-სამეურნეო შრომა საესებით გადაიქცევა ინდუსტრიული შრომის სახესხვაობად“². -ეს დებულება არ ითვალისწინებს კომუნიზმის მაღალ სტადიაზე არაარსებითი განსხვავების არსებობას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის და ამიტომ იგი მცდარია. საზოგადოდ დასახელებული საკითხი განხილული უნდა იყოს არა სოფლისმეურნეობრივი შრომის ინდუსტრიული შრომის სახესხვაობად გადაქცევის, არამედ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის დარჩენილი არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის თვალსაზრისით.

კომუნიზმში გადასცვლის მომზადების მესამე ძრითადი წინასწარი პირობა მოითხოვს, რომ „...მივაღწიოთ საზოგადოების ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფდა მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საქმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, შრომის არსებული დანაწილების გამო, მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული კი არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, არამედ თავისუფლად თირჩორნ პროფესია“³.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ კომუნიზმში გადასცვლის მომზადების ამ მესამე ძრითადი წინასწარი პირობას შესაქმნელად არსებითი ცვლილება უნდა მოხდეს შრომის ახლანდელ მდგომარეობაში. ჯერ ერთი, სამუშაო დღე უნდა შემცირდეს 6 და შემდეგ 5 საათამდეც, რათა საზოგადოების წევრებს საქმაო თავისუფალი დრო ექნეთ ყოველმხრივი განათლების მისაღებად. მეორე, შემოლებული უნდა იქნეს საყოველთაო-საცალდებულო პოლიტექნიკური სწავლება, რაც საშუალებას მისცემს საზოგადოების წევრებს თავისუფლად აირჩიონ პროფესია. მესამე, ძრეულად უნდა გაუმჯობესდეს საბინაო პირობები და ამაღლდეს შუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, სულ ცოტა, ერთიორად. ეს უკანასკნელი ღონისძიება უნდა გატარდეს როგორც ფულადი ხელფასის პირდაპირი გადიდების გზით, ისე განსაკუთრებით მასობრივი მოხმარების საქმნელთა ფასების შემდგომი სისტემატური შემცირებით.

სოციალისტური წყობილების მიზანია უზრუნველყოს მთელი საზოგადოების მუდმივ მზარდ მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაქმაყოფილება. საბჭოთა კავშირის განვითარების გამოცდილება მთლიანად აღასტურებს ამ მიზნის ცხოველმყოფელობას და მის განუხრელ განხორციე-

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 29.

² ი. ბაჯარე, სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის სახესხვაობად გადაქცევის შესახებ, თბილისი, 1948, გვ. 211.

³ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 74.

ლებას. ამასვე დაადასტურებს აგრეთვე საბჭოთა კავშირის განვითარების მუნიციპალური ხუთე სტალინური ხუთწლედი. ახალ ხუთწლედში სახალხო მეურნეობის უფრო და დარღის შემდგომი მძლავრი აღმავლობის საფუძველზე მკვეთრად იზრდება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. 1951—1955 წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავლის დაახლოებით სამი მეოთხედი ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის აღმავლობას მოხმარდება. სახელმწიფო მშენებლობის ხაზით ქალაქებსა და დაბებში 105 მილიონამდე კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ახალი სახლები აშენდება და გადაეცემა საექსპლოატაციოდ. მკვეთრად გაუმჯობესდება ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების საქმე. ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდება შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა რესპუბლიკების დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და საოლქო, სამხარეო და უდიდეს ინდუსტრიულ-ცენტრებში. მომზადება პირობები მომდევნო წლებში საყოველთაო საშუალო განათლების მთლიანდ განხორციელებისათვის. „იმ მიზნით, რომ შემდგომ ამაღლდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სოციალისტური აღმზრდელობითი მნიშვნელობა და იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც საშუალო სკოლს ამთავრებენ, უზრუნველყოფილ იქნას პროფესიების თავისუფალი არჩევის პირობები, დაიწყოს პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება საშუალო სკოლაში და მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რაც საჭიროა საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასასვლელად“¹.

მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი 35%-ით გაიზრდება, ხოლო კოლმეურნეთა შემოსავალი დაახლოებით ორი მეხუთედით გადიდება. ახალი ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა საზოგადოება მორიგ დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებული არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის საქმეში.

ამხანგმა სტალინმა გვიჩვენა, რომ ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში ადამიანის დამატებითი უძრავობაში მოსპობასთან ერთად ამოიფხრა დაპირისპირებულობა ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, ინტერესთა დაპირისპირებულობა. ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშავებს შორის. „ახლა ფიზიკური შრომის აღმიანები და ხელმძღვანელი პერსონალი წარმოადგენენ არა მტრებს, არამედ ამხანგ-მეცნიერებს, ერთიანი საწარმოო კოლექტივის წევრებს, რომლებიც სისსხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი წარმოების წარმატებითა და გაუმჯობესებით“². მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არის არსებითი განსხვავება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის. მუშებისა და გლეხების კულტურულ-ტექნიკური დონე ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება, გონებრივი შრომის მუშავთა კულტურულ-ტექნიკურ დონეს. ეს განსხვავება

¹ პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951—1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესხებ, ობილისი, 1952, გვ. 34.

² ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პროცესები სსრ კავშირში, გვ. 29.

პოისპონბა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პროცესში კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში აღარ იქნება არსებითი განსხვავება და გონიერი შრომას შორის. „მაგრამ რაღაც განსხვავება, თუმცა არაა არსებითი, მაიც დარჩება, თუნდაც იძიტომ, რომ საჭარმოების ხელმძღვანელთა შემაღენლობის მუშაობის პირობები იმგვარივე არ არის, როგორც მუშათა მუშაობის პირობები“¹.

განსაზღვრა რა კომუნიზმში გადასვლის მომზადების ძირითადი წინასწარი პირობები და მათი განხორციელების გზები, ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ყველა ამ ძირითადი წინასწარი პირობის შესრულების შემდეგ შრომა საზოგადოების წევრთა თვალში გადაიქცევა „პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად“ და შესაძლებელი გახდება გადასვლა სოციალისტური ფორმულიდან „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — შრომის მიხედვით“ კომუნისტურ ფორმულაზე „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“. „ეს იქნება ერთი ეკონომიკიდან, სოციალიზმის ეკონომიკიდან, მეორე, უმაღლეს ეკონომიკაში, კომუნიზმის ეკონომიკაში ძირეული გადასვლა“².

* * *

ამხანაგმა სტალინმა თავის თეორიულ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მოგვცა თანამედროვე კაპიტალიზმის თავისებურებათა მეცნიერული დახსიათება. ამ თავისებურებათაგან, პირველ ყოვლისა, საკითხი ეხება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამჭვავებას. ეს კრიზისი დაიწყო პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, განსაუტრებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ელემენტები იმპერიალიზმის ეპოქის დამდეგიდანვე მწიფდებოდა. შეცხრამეტე საუკუნის დამლევიდან, იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. ამ კანონის მოქმედების შედეგად მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლის მანძილზე მკვეთრად დაიზღვა ძალთა თანაფარდობა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ძალთა ახალ თანაფარდობას აღარ შეესაბამებოდა გავლენის სფეროების ძველი განაწილება და გარდუვალი შეიქმნა განაწილებული მსოფლიოს გადანაწილება, და დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ეს იყო მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის პირველი კრიზისი, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის დასწყისი. პირველი მსოფლიო ომის მსეულელობაში მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, მსოფლიო გაითიშა თრ სისტემად, — კაპიტალიზმის საწინააღმდეგოდ წარმოიშვა მეურნეობის სოციალისტური სისტემა. ჩევნი ქვეყანა ჩამოშორდა და დაუპირისპირდა კაპიტალისტურ სამყაროს. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სასიკვდილოდ დასჭრა ლპობადი კაპიტალიზმი და ამით დაამთავრა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის ჩამოყალიბება.

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 32.

² იქვე, გვ. 75



დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომდევნო ოქტომბერი¹ ლი წლის მანძილზე საბჭოთა ქვეყანამ გაანადგურა თეთრგვარიდელები, აუტოკონფიდენციალურობის ინტერესები და წარმატებით აღადგინა სახალხო მეურნეობა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განუხრელად განხორციელების შედეგად პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების შემდინარების მიზნით და აუტომატიზაციის განვითარების საზოგადოება. სოციალისტურმა წყობილებამ მთელი სიცხადით გვიჩვენა თავისი ყოველმხრივი უბირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. საბჭოთა კავშირის, პირველი სოციალისტური ქვეყნის მძლავრმა და განუხრელმა აღმავლობამ გააშიშვლა და გააღრმავა მომაკვდავი კაპიტალიზმის კულტა წინააღმდეგობა. გაძლიერდა კაპიტალიზმის უთანაბრო, ნახტომისებური განვითარება, კვლავ მყენეთად დაირღვა ძალთა თანაფარდობა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, გარდუვალი შეიქმნა გავლენის სფეროების ხელახალი განაწილება, დაიწყო მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის მეორე კრიზისი და, მაშასადამე, მეორე მსოფლიო ომი. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „პირველი კრიზისი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და მეორე კრიზისი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში უნდა განვიხილოთ არა როგორც ცალკეული, ერთომეორისაგან მოწყვეტილი დამოუკიდებელი კრიზისები, არამედ როგორც მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის განვითარების ეტაპები“². ამასთან, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი არის კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის საერთო კრიზისი, რომელიც მოიცავს როგორც ეკონომიკას, ისე პოლიტიკას.

ამრიგად, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის გამდაფრების შედეგად წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომი, დაიწყო აღნიშნული კრიზისის განვითარების მეორე ეტაპი. მეორე მსოფლიო ომის შედეგად დაიშალა ერთიანი ყოვლისმომცველი მსოფლიო ბაზარი, ჩამოყალიბდა და მკვეთრად გაძლიერდა სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი, დამარცხდა სამი დიდი იმპერიალისტური სახელმწიფო (გერმანია, იაპონია, იტალია), დასუსტრნენ ინგლისი და საფრანგეთი, საერთოდ მკვეთრად დასუსტდა კაპიტალიზმისა და რეაქციის ბანაკი. ამას თან მიყვა მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავება და გაძლიერება.

მეორე მსოფლიო ომიდე საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელმაც აშენა სოციალისტური საზოგადოება და დაიწყო კომუნიზმი თანადთანობითი გადასვლა. იგი კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფებოდა. მეორე მსოფლიო ომის დასასრულს და მის შემდეგ კაპიტალისტურ სისტემას ჩამოცილდა მთელი რიგი ქვეყნები, რომელმაც საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებით დაამკვიდრეს სახალხო-დემორატიული წყობილება და დაიწყეს ახალი ცხოვრების მშენებლობა. ამათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა -

¹ ი. სტალინი ინი. სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 61—62; იჩ. აგრეთვე იმავე ნაშრომის რუსული ტექსტი, გვ. 57.

აქვს ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვებას, რომელმაც „...მძიმე ლაზ-კარი ჩასცა მთელ მსოფლიო იმპერიალისტურ სისტემას“ (გ. მალენკოვიულ წმიდა ნიშნულმა ქვეყნებმა საბჭოთა კავშირთან ერთად შექმნეს „...ერთიანი და მძღვრი სოციალისტური ბანაკი, რომელიც უპირისპირდება კაპიტალიზმის ბანაკს. ორი მოპირდაპირე ბანაკის არსებობის ეკონომიკური შედეგი ის იყო, რომ ერთიანი ყოვლისმომცველი მსოფლიო ბაზარი დაიშალა, რის შედეგადაც ჩვენ ახლა გვაქვს ორი პარალელური მსოფლიო ბაზარი, რომლებიც აგრეთვე უპირისიპირდებან ერთიმეორეს“¹.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი თავის ინგლისელ და ფრანგ მაჩანჩალებთან ერთად შეეცადა ბლოკადის შეოხებით ჩაეხმო სოციალისტური ბანაკის ქვეყნების განვითარება. მაგრამ ამ დისკრიმინაციულმა პოლიტიკამ მიზანს ვერ მიაღწია. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, საბჭოთა კავშირმა ომის შემდეგ უზრუნველყო სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმაფლობა. მან უმოკლეს ვადაში აღადგინა წარმოების ომამდელი დონე და ბევრად გადაჭარბა მას. საბჭოთა კავშირმა ფასდაუდებელი დახმარება გაუწია და უშევს სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებს. იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის ბატონობის უღლისგან განთავისუფლებულმა ამ ქვეყნების ხალხებმა აგრეთვე წარმატებით აღადგინეს სახალხო მეურნეობა და უზრუნველყველების მისი შემდგომი აღმავლობა. 1951 წლის მონაცემებით ინდუსტრიული წარმოების ომამდელ დონეს გადაჭარბა: პოლონეთმა — 2,9-ჯერ, ჩეხოსლოვაკიამ — 1,7-ჯერ, უნგრეთმა — 2,5-ჯერ, რუმინეთმა — 1,9-ჯერ, ბულგარეთმა — 4,6-ჯერ და აღბანეთმა — 5-ჯერ და უფრო მეტად. მასთან აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის შემდეგ ეს ქვეყნები ყველაზე უფრო დაზარალდნენ მეორე მსოფლიო ომში. წარმატებით ვითარდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მან 1946 — 51 წლების მანძილზე 2,4-ჯერ გაადიდა ინდუსტრიული წარმოების მოცულობა და 36%-ით გადაჭარბა ომამდელ დონეს. მძლავრი აღმავლობით ხასიათდება აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარება, მან ინდუსტრიული წარმოების მოცულობა 1951 წელს 1949 წელთან შედარებით ორჯერ და უფრო მეტად გაადიდა. სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ახალ და ახალ წარმატებებს აღწევენ სოფლის მეურნეობის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისა და კულტურის განვითარებაში.

აღნიშნულის შედეგად ჩამოყალიბდა, განმტკიცდა და გაძლიერდა სოციალისტური ბანაკის მსოფლიო ბაზარი, რომელიც ხალხთა ნამდვილ თანასწორ-უფლებიანობას და ურთიერთდახმარებას ემყარება. ეს ბაზარი დედამიწის ტერიტორიის 26,6 %-ს და მოსახლეობის ერთმესამედზე მეტს მოიცავს. სულ უფრო და უფრო ძლიერდება სოციალისტური ბანაკის ქვეყნების თანამშრომლობა და ერთიანობა. „...აქედან გამომდინარებს, რომ მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი) ძალთა მხრივ მსოფლიო რესურსების გამოყენების სფერო კი არ გაფართოვდება, არამედ შემცირდება, რომ გასაღების მსოფლიო ბაზარის პირო-

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კაშშირში, გვ. 33.

შები ამ ქვეყნებისათვის სულ უფრო გაუარესდება, ხოლო ამ ქვეყნის შემდეგ საწარმოთა დაუტვირთავისა სულ უფრო გაიზრდება. ნამდვილი რომ პოლიტიკური სისტემის საერთო კრიზისის გაღრმავება მსოფლიო ბაზის დაშლასთან დაკავშირებით¹.

ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა იმ შეხედულების ანტიტეცნიერულობა, რომელიც უარყოფდა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომების გარდავალობას. მან დაასაბუთა, რომ სულ უფრო მჭვავდება და მომავალშიც გამჭვავდება წინააღმდეგობა როგორც კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, ისევე მათ შორის. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური კაპიტალი მეორე მსოფლიო ომისაგან გამდიდრებული გამოვიდა. მაგრამ ამით არ შესუსტებულა კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი ამერიკის შეერთებულ შტატებში. პირიქით, ომისშემდგომ წლებში ეს წინააღმდეგობანი კიდევ უფრო გაძლიერდა. 1948 წლის დამლევს აშშ-ში დაიწყო ახალი ეკონომიკური კრიზისი. ერთი წლის განმავლობაში ინდუსტრიული წარმოების მოცულობა 22%-ით შემცირდა. ამერიკის იმპერიალისტურმა ხროვამ გაშალა სახალხო მეურნეობის მილიტარიზაცია, მოამზადა და გააჩაღა ყაჩაღური ომი გმირი კორელი ხალხის წინააღმდეგ. ამ გარემოებებმა შეანელეს წარმოების საერთო მოცულობის დაცემა, მაგრამ 1952 წლის დამდეგიდან კვლავ მკვეთრად ჩანს ინდუსტრიული წარმოების შემცირების ტენდენცია. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებითი პარატის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუტვირთვია და იქ 13 მილიონამდე მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევარია. ამერიკის იმპერიალიზმი ფეხქვეშ თელავს იაპონიისა და დასავლეთ გერმანიის ხალხთა ინტერესებს, „მარშალის გეგმის“ ხაზით „დახმარების“ ხმაურებში იგი მკვიდრდება ინგლისისა და საფრანგეთის ეკონომიკაში, იგი ცდილობს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის დანამატად გადააქციოს, სისტემატურად ძალისა და გამალებით მოსაპოვებლად.

ცხადია, აღნიშნულ გარემოებათა გამო ძლიერდება და არც შეიძლება არ გაძლიერდეს კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, იაპონიისა და დასავლეთ გერმანიის ხალხების ბრძოლა ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ; იზრდება წინააღმდეგობა ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ძლიერდება კოლონიური და დამოკიდებული ხალხების ბრძოლა და მოუკიდებლობისათვის, იმპერიალისტური ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ. ნათელია, რომ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავებისა და გამჭვავების ვითარებაში, რომელსაც „...საფუძვლად უდევს კაპიტალიზმის მსოფლიო ეკონომიკური სისტემის დაშლის სულ უფრო და უფრო გაძლიერება... და კაპიტალიზმისაგან ჩამოშორებული ქვეყნების—სსრ კავშირის, ჩინეთის და სხვა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების

მზარდი ეკონომიკური ძლიერება...“¹, ძალაში რჩება ომების გარღვევაშეუცველ-პიტალისტურ ქვეყნებს შორის. ამხანაგ სტალინის განსაზღვრით შემცირებისას თვის განაღებულ თანამედროვე მოძრაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმ-ტკიცების საჭერი. აღნიშნული მოძრაობა, ვიდრე იგი იფარგლება მშვიდო-ბის შენარჩუნებით და არ ისხავს კაპიტალიზმის დამხობის ამოცანას, საკმა-რისი არა ომების გარღვევალობის მოსპობისათვის. „ომების გარღვევალობა-რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა მოვსპოო იმპერიალიზმი“².

ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოცია-ლიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონები. მარქსია და ენგელსმა კაპიტალიზ-მის ძირითადი ეკონომიკური კანონის ზოგადი ფორმულა მოვცეს. ვ. ლენინმა განსაზღვრა იმპერიალიზმის რაობა, მისი არსი და სოციალისტური რევოლუცი-ის გამარჯვების კანონზომიერება. ვ. ლენინი სოციალისტური მშვენიერების მხოლოდ დასაშუალის ხანას მოესწრო, ამიტომ მას არ შეეძლო მოვცა სოცია-ლიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის გაშლილი ფორმულირება. ამხანაგმა სტალინმა მეცნიერულად განაზოგადა თანამედროვე კაპიტალიზმის ახალი დი-დი ფაქტიური მასალა, სოციალისტური წყობილების წარმოქმნა-განვითარების მდიდარი გამოცდილება და ამ საფუძველზე განსაზღვრა ძირითადი ეკონომი-კური კანონის რაობა, მოვცა თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონო-მიკური კანონისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის გუნია-ლური განსაზღვრა.

ამხანაგ სტალინის მოძღვრებით საზოგადოებრივი ფორმაციას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ძირითადი ეკონომიკური კანონი. ეს კანონი განსაზღვ-რავს მოცემული ფორმაციის პირობებში არსებული წარმოების განვითარების არა რომელიმე ცალკეულ მხარეს ან რომელიმე ცალკეულ პროცესში, არამედ ამ განვითარების ყველა მთავარ მხარეს და ყველა მთავარ პროცესს, — მაშასა-დამე, იგი განსაზღვრავს მოცემული საზოგადოებრივი წარმოების არსებას, მის არსებას. ამრიგად, კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი განსაზღვრავს კაპიტალისტური წარმოების „...განვითარების ყველა მთავარ მხარეს და ყველა მთავარ პროცესს, — მაშასადამე, განსაზღვრავს კაპიტალისტური წარმოების არსებას, მის არსეს“³. ამ განსაზღვრიდან გამომდინარეობს, რომ ღირებულების კანონი, რომელიც დიდ როლს თამაშობს კაპიტალიზმის წარმოშობა-განვითა-რებაში, არ წარმოაღენს კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაციის ძირითად ეკონომიკურ კანონს. კაპიტალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონად არ ჩაითვლება აგრეთვე კონკურენციისა და წარმოების ანარქიის კანონი და სხვა-დასხვა ქვეყანაში კაპიტალიზმის არათააბარი განვითარების კანონი. არც ერთი აქ დასახელებული ეკონომიკური კანონი არ განსაზღვრავს კაპიტალისტური წარმოების განვითარების ყველა მთავარ მხარესა და პროცესს, რის გამოც არ

¹ ი. ს ტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კაფშირში, გვ. 62.

² იქვე.

³ იქვე

შეიძლება რომელიმე მათგანი კაპიტალიზმის ძირითად ეკონომიკურ ფაქტორები მივიჩნიოთ. ზოგიერთი ეკონომისტი თანამედროვე კაპიტალიზმის შესახებ ეკონომიკურ კანონად მოგების საშუალო ნორმის კანონს აცხადებდა. ეს შეხედულება არაა სწორი, ვინაიდან მოგების საშუალო ნორმა, რომელსაც, ამასთან, კაპიტალის ორგანული შედეგნილობის ზრდის გამო, შემცირების ტენდენცია ახასიათებს, ვერ დააქმაყოფილებს მონოპოლისტური კაპიტალიზმის მოთხოვნილებას. თანამედროვე კაპიტალიზმი მოითხოვს მოგების მაქსიმუმს, რომელიც აუცილებელია ცოტად თუ ბევრად რეგულარული გაფართოებული აღწარმოების განხორციელებისათვის.

ი. სტალინი აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის ცენტრალურ უფრო მიუღება ზედმეტი ღირებულების კანონი. ეს კანონი წინასწარ განსაზღვრავს კაპიტალისტური წარმოების ძირითად ნიშნებს. მაგრამ იგი ძალიან ზოგადი კანონია და არ მოიცავს მოგების უმაღლესი ნორმის მიღების პრობლემას, რაც აუცილებელია მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარებისათვის. ამიტომ საჭიროა ზედმეტი ღირებულების კანონის კონკრეტიზაცია და შემდგომი განვითარება მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობების შესაბამისად, „თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მთავარი ნიშნები და მოთხოვნები, — ამბობს ი. სტალინი, — შეიძლებოდა დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოყალიბებულიყო: მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა, მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს, მებისა და სახალხო მეურნეობის მიღიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველყად¹.

ეს კანონი საშუალებას გვაძლევს აქსნათ წარმოების განვითარების ყველა არსებითი მოვლენა მომაკვდავი კაპიტალიზმის პირობებში. თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის ყველაზე უფრო თვალნათლივ ილუსტრაციას იძლევა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარება მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ წლებში. შემცირებული ოფიციალური მონაცემებითაც კი ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტური მონოპოლიების მოგება 1938 წელს 3,3 მილიარდ დოლარს შეაღენდა, ხოლო 1951 წელს იგი 42,9 მილიარდ დოლარს აღწევდა, ე. ი. 13-ჯერ აღემატებოდა 1938 წლის შესაძლის მაჩვენებელს. ამჟერ დორს აშშ-ბის ინდუსტრიული წარმოების პროცესების მოცულობა 1951 წელს მარტოვდენ ორჯერ მეტი იყო ომისწინა დონესთან შედარებით. ომისშემდგომ წლებში ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა რეალური ხელფასი მკვეთრი შემცირებით ხასიათდებოდა და 1951 წელს 25—30%-ით დაბალი იყო ომისწინა დონესთან შედარებით. 1940—1944 წლების მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების ერთ მილიონამდე წვრილი ფერმერული მეურნეობა გაჩანაგდა. 1951 წელს აშშ-ის

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 42.

ფერმერის საშუალო შემოსავალი 800 დოლარს არ აღემატებოდა და ოფიციალური საცხოვრებელი მინიმუმის მხოლოდ 20%-ს შეაღენდა. ომისშესრულებულების 6 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების ფერმერთა საერთო დავალიანება გორჩევდა და 13,6 მილიონ დოლარმდე გაიზარდა. 1951 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში თეთრი პურის საცალო ფასის ყოველი 100 ცენტიდან ფერმერი მხოლოდ 16 ცენტს ღებულობდა. დანარჩენი 84 ცენტი სხვადასხვა ხარჯსა და უმთავრესად მონაბოლიების მოგებას შეაღენდა. 1952/53 საბიუჯეტო წელს ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი სამხედრო ხარჯები 58,2 მილიარდ დოლარს აღემატება და 58,2-ჯერ ჭაბობს 1937/38 წლის შესაძარის მაჩვენებელს. აღნიშნული სამხედრო ხარჯები და ამერიკის იმპერიალიზმის მიერ კორეელი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღებული ომი ამერიკელი მონაბოლიების, კერძოდ მილიარდერების, მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება. ამერიკის იმპერიალიზმი სულ უფრო მეტად ძარცვას სხვა კაპიტალისტური ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხებს, კერძოდ მშრომელ მასებს. მარტო 1950-1951 წლების მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდების შემოსავალი 23%-ით გაიზარდა.

თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონით, მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების აუცილებლობით აისწენდა ტექნიკის განვითარების, საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების მზარდი დამუხსრულებისა და მათი ელემენტების განადგურების მრავალი ფაქტი, რომელთაც აღიალი აქვთ თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების ცხოვრებაში. დამტკიცებულია, რომ ატომური ენერგიის გამოყენებას შეუძლია დააქაროს და დიდი ნაბიჯით წასწიოს წინ საზოგადოებრივი წარმოების განვითარება. მაგრამ ატომური ენერგიის გამოყენება შეამცირებს ნავთობის, ელექტროენერგეტიკული და წარმოების რიგი სხვა დარგების პროდუქციის ფასებს. იგი ამ მხრივ ზიანს მოუტანს მონაბოლიების, ფინანსური მაგნატების მაქსიმალური მოგების საქმეს. გასაგებია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მონაბოლიებისტური კაპიტალი, ამ კაპიტალის მონაბორილი მთავრობა მშვიდობიანი მეურნეობრივი განვითარებისათვის ატომური ენერგიის გამოყენების კატეგორიულად წინააღმდეგია. სამაგიეროდ იგივე კაპიტალი, ამ კაპიტალის ნებასურვილის შემსრულებელი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გამაღებით ამზადებენ ატომურ ბომბებს, აღლიერებენ სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციას, რომელთაც ყველაზე მაღალი მოგება მილიარდერებისათვის. ატომური იარალის წარმოება, ისე როგორც საზოგადოდ სახალხო მეურნეობის მილიტარიზაცია, შეიარაღების გამაღებული ზრდა გამოყენებულია აგრეთვე დიპლომატიური შანტაჟისათვის, სხვა ქვეყნებზე ბატონობისა და ხალხების სისტემატური გაძარცვისათვის. პირველ მსოფლიო ომში 10 მილიონი ადამიანის სიცოცხლე მოისპო და იგი დაახლოებით 200 მილიარდი დოლარი დაუჯდა კაცობრიობას. მეორე მსოფლიო ომში 50 მილიონამდე ადამიანი იმსხერია. ამ ომზე გაწეული დანახარჯები და მის მიერ განადგურებული ქონების ღირებულება 1384 მილიარდ ოქტორს დოლარს შეაღენს. ეს ომები

მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების მიღების ინტერესებისათვის იშვიათი და საკუთრებული ხალხის მისამართი კაპიტალისტური ქვეყნების, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებმა აღნიშნული ომების ხარჯზე აურაცხელი მოგება მიიღეს.

იმპერიალიზმის ქვეყნებში ტექნიკის განვითარება მონოპოლისტური კაპიტალის ხელშია და მის ინტერესებს ემსახურება. მონოპოლისტური კაპიტალი მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის მიზნით ტექნიკური სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის, ომების გაჩაღება-წარმოების, ე. ი. მშრომელი მასების გაულეტისა და მათი ექსპლოატაცია-გაჩანაგების გაძლიერებისათვის იყენებს. „კაპიტალიზმი მომხრეა ახალი ტექნიკისა, როდესაც ეს ტექნიკა მას უდიდეს მოგებას ჰქილდება. კაპიტალიზმი წინააღმდეგაა ახალი ტექნიკისა და მომხრეა ხელის შრომაზე გადასვლისა, როდესაც ახალი ტექნიკა მას უკვე აღარ ჰქილდება უდიდეს მოგებას“¹. თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი მთელი სიცხადით გვიჩვენებს ამ კაპიტალიზმის ლპობად, პარაზიტულ, რეაქციულ ხასიათს და, მაშესადამე, რევოლუციური გზით მისი მოსპობის გარდუვალობას.

კაპიტალიზმისაგან ძირფესვიანად განსხვავებული ნიშნებით და მოთხოვნებით ხასიათდება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი. ამხანაგ სტალინის განსაზღვრით ამ კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნებია: „...მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“². აქ შეუდარებელი სიღრმითა და სისრულითა ნაჩვენები სოციალისტური წყობილების, სოციალისტური წარმოების განვითარების კედლა მთავარი მხარე და ყველა მთავარი პროცესი, სოციალიზმის არსება, მისი არსი.

სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოების განვითარების მიზანია არა ექსპლოატატორების, ერთი მუჭა მონოპოლისტების მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფა, არამედ ადამიანის, მთელი საზოგადოების მუდმივ მზარდ მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. სოციალისტური საზოგადოების მშრომელები თავისუფალი არიან ექსპლოატაციის უღლისაგან. აქ აღარ არიან ექსპლოატაცია. მაშესადამე, აქ მშრომელების, მთელი საზოგადოების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილება განუწყვეტელი და სწრაფი ზრდით ხასიათდება. ამ საზოგადოებაში მოსპობილია უმუშევრობა და პარაზიტული კლასები, მუქთახორბა. მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა უზრუნველყოფილია სამუშაოთი და ჩაბმულია საზოგადოებრივ სასამართლო შრომაში, აქ მუშათა კლასი, მშრომელი მასები ორგანიზებული არიან მუშათა კლასის ღიერატურის სისტემაში; ისინი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავისი თავისი და საზოგადოებრი-

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 43.

² იქვე, გვ. 44.

ვი წარმოების ბატონ-პატრონი არიან და წარმატებით ავითარებენ ამ წარმოებას მთელი საზოგადოებისა და საზოგადოების თითოეული წევრების მიერ რიალურ-კულტურული კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის უზრუნველ-საყოფად.

სოციალისტური საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვ-ნილებათა მუდმივი ზრდა მოითხოვს წარმოების სტულყოფას, მის განუწყვე-ტელ აღმავლობას, პირადი და წარმოებითი მოხმარების საგნების წარმოების განუწყვეტელ გაღიღებას. საზოგადოებრივი წარმოების ასეთი განვითარება-სრულყოფისათვის აუცილებელია ტექნიკის მაღალი დონე, ამ დონის განუხრე-ლი ამაღლება. აյ წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი გამაგრებუ-ლია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრებით. წარმოების სა-შუალებათა განსაზოგადოების ბაზაზე მოქმედებს სახალხო მეურნეობის გეგმა-ზომიერი განვითარების ეკონომიკური კანონი, რომელიც, თავის მხრივ, სოცია-ლიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს ემყარება. სოციალისტური სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარება სოციალიზმის ძირი-თადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნების შესაბამისად მიმღინარეობს. საბ-ჭოთა სახელმწიფო ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩამავს მშრომელ მასებს და აღნიშნული ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა შესა-ბამისად გეგმიანი ხელმძღვანელობის წესით წარმართავს სახალხო მეურნეობის განვითარებას, უზრუნველყოფას სახალხო მეურნეობის განუწყვეტელ აღმავ-ლობას, მთელი საზოგადოების მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონის-განუხრელ ზრდას.

საბჭოთა კავშირის განვითარება, განსაკუთრებით სტალინური ხუთწლედე-ბის წარმატებითი შესრულება მთელი სიცხადით აღასტურებს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა და ამ კანონიდან გამომდინარე სახალხო ჟეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების ეკონომიკური კა-ნონის ცხოველყოფელობას. ჯერ კიდევ პირველ სტალინურ ხუთწლედამდე საბჭოთა კავშირმა მრეწველობის განვითარების ტემპების მხრივ პირველი აღ-კილი დაიყავა მსოფლიოში. ომამდელი სტალინური ხუთწლედების განმავლო-ბაში, უფრო ზუსტად, 13 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ინდუსტრიული წარმოების მთლიანი პროდუქცია თითქმის 6,5-ჯერ გაიზარდა, ხოლო სოფლის მეურნეობის ასეთივე მაჩვენებელი 2-ჯერ გადიდდა. ინდუსტრიული და სოც-ლისმეურნეობრივი წარმოების ტექნიკის, საზოგადოებრივი წარმოების ახ-ლი ტექნიკით აღჭურვილობის მხრივ საბჭოთა კავშირმა პირველი აღგილი და-კავე მსოფლიოში. საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გან-ვითარება განუხრელი ზრდით ხასიათდებოდა. უმუშევრობა ჯერ კიდევ პირ-ველი ხუთწლედის მესამე წელს მოისპო. საბჭოთა კავშირის ნაციონალური შეინსავალი 1928 წელს 25 მილიარდ მანეთს (1926—27 წლის ფასებით) არ აღემატებოდა, 1940 წელს კი იგი 128, 3 მილიარდ მანეთს შეადგენდა, ე. ი. 13 წლის მანძილზე 5-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ამავე წლების განმავლობაში საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშებისა და მოსამსახურების რაოდენობა თითქმის სამჯერ გადიდდა. 1933—

1940 წლების მანძილზე მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის წარმატებული ფონდი ხუთჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, ხოლო საშუალო წლიური ცის ფასი დაახლოებით 3-ჯერ გადიდა. მესამე სტალინური ხუთწლედის პირველი სამი წლის განვალობაში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გაღებული ხარჯების ოდენობა 5,5-ჯერ აღემატებოდა პირველი ხუთწლედის შესაღარის მაჩვენებელს. სოფლად განხორციელდა კულტურული რევოლუცია, მკვეთრად გაიზარდა საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და ამაღლდა მისი კულტურულ-ტექნიკური დონე.

ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმის გამო საბჭოთა ხალხი იძულებული იყო შეეწყვიტა შშვილბინი კომუნისტური შშენებლობა. ომის წლებში სოციალისტურმა წყობილებამ კიდევ უფრო თვალნათლივ გვიჩვენა თავისი ყოველმხრივი და გადამწყვეტი უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებისთან შედარებით. დროის უმოკლეს მანძილზე და უდიდესი სიძრელეების პირობებში საბჭოთა ხალხმა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა თავისი მუშაობა, შექმნა მომართული სამხედრო მეურნეობა. ომის პირველ ხანებში საბჭოთა კავშირის რაიონების ფრად მნიშვნელოვანი ნაწილი მტრის დროებით ოჯუბაციაში მოექცა და ეს რაიონები გაჩინავდა იქნა. საბჭოთა ხალხმა განახორციელა ამ რაიონებიდან საჭარმოების, მოწყობილობისა და მოსახლეობის დიდი მასის ევაკუაცია და უზრუნველყო ზურგის რაიონებში წარმოების მძლავრი ზრდა. აღნიშნული რაიონების განთავსულების კვალდაკვალ იწყებოდა და ვითარდებოდა დანგრეული მეურნეობის აღდენა, წარმოების ზრდა ამ რაიონებში. მიუხედავად მტრის ბარბაროსული მოქმედებით გამოწვეული უდიდესი ზარალისა, საბჭოთა ხალხმა ომის წლებში გადაიდა კიდევ თავისი ინდუსტრიული წარმოება. 1944 წ. საბჭოთა კავშირის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 4%-ით მეტი იყო 1940 წელთან შედარებით, ხოლო 1945 წელს წარმოების საშუალებათა წარმოების მოცულობა 12%-ით ჭარბობდა 1940 წლის დონეს.

ომისშემდგომ პირველ სტალინურ ხუთწლედში, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა მძლავრი აღმავლობით ხასიათდებოდა. 1947—1950 წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის მრეწველობის მთლიანი პროდუქცია თითქმის 2,2-ჯერ გაიზარდა და 1950 წელს 73%-ით გადააჭარბა 1940 წლის დონეს. აღდგენილ და მნიშვნელოვნად გადაჭარბებულ იქნა აგრეთვე ომისწინა დონე სოფლის მეურნეობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის შედეგად სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი 1940 წელთან შედარებით 8,8 მილიონით გაიზარდა და 1950 წელს 29%-ით გადააჭარბა მოისწინა დონეს. 1950 წელს საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემსავალი 64%-ით მეტი იყო 1940 წელთან შედარებით. ამავე 1950 წელს მუშე-

¹ Сообщение Государственного Планового Комитета СССР и Центрального статистического управления СССР об итогах выполнения четвертого (первого послевоенного) пятилетнего плана СССР на 1946—1950 годы. М. 1951, стр. 17—19.

ბის, გლეხებისა და მოსამსახურების საერთო შემოსავალი 62%-ით ჭარბობდა.
 1940 წლის შესადარის მაჩვენებელს, ომშემდგომ ხუთწლედში გულტურული
 ბარათო სისტემა, გატარდა ფულის რეფორმა და ფართო მოხმარების საგნებ-
 ზე მოხდა ფასების სამგზისი შემცირება. მკვეთრად გაიზარდა მუშაობა კლასის
 რეალური ხელფასი, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და მა-
 ლლდა მოსახლეობის კულტურულ-ტექნიკური დონე. მეხუთე ხუთწლედის
 განვლილი ჰერონდის მანძილზე გრძელდება საბჭოთა კავშირის სახალხო მე-
 ურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლინა. წარმატებით ხორციელდება პუნქ-
 ბის გამოყენების სტალინური გეგმა, კომუნიზმის დიადი მშენებლობანი. განუ-
 ხრელად იზრდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა და მისი კულტურული
 დონე. ახალი ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა კავშირის ინცუსტრიული წარ-
 ვონების დონე 70%-ით ამაღლდება, ხოლო სოფლისმეურნეობრივი წარმოების
 პროდუქცია დახლოებით 1,5-ჯერ გაიზრდება. ამავე პერიოდის განმავლობაში
 საბჭოთა კავშირის ნაციონალური შემოსავალი 60%-ით, ხოლო მუშებისა და
 მოსამსახურების რეალური ხელფასი 35%-ით გადიდდება. მკვეთრად ამაღლ-
 დება მთელი საბჭოთა საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობა და მისი
 კულტურულ-ტექნიკური დონე.

მაშასადამე, სოციალისტური წყობილება საწარმოო ძალების, წარმოების-
 ტექნიკის განუხრელი აღმავლობით, მთელი სახალხო მეურნეობის განუწყვე-
 ტელი გეგმაზომიერი ზრდით ხსიათდება. საზოგადოებრივი წარმოების ეს გა-
 ნუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა მთელი საზოგადოების მატერიალურ-კულ-
 ტურული მოთხოვნილების მაქსიმალური დაქმაყოფილების ინტერესებს ემსა-
 ხურება და უზრუნველყოფს მას. სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი გეგმა-
 ზომიერი აღმავლობითა და ხალხის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების
 დონის განუხრელი ზრდით ხსიათდება აგრეთვე სახალხო-დემოკრატიული
 ქადაგების განვითარება. ეს ფაქტი კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით
 სოციალიზმის გადამწყვეტ უპირატესობათა მორიგ თვალნათლივ დადასტურე-
 ბას წარმოადგენს.

ახასიათებს რა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის ძირეულ
 განსხვავებას თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა-
 გან, ამხანავი სტალინი ამბობს: "...ნაცვლად მაქსიმალური მოგების უზრუნველ-
 ყოფისა, — საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა
 შექსიმალური დაქმაყოფილების უზრუნველყოფა; ნაცვლად წარმოების აღმავ-
 ლობიდან კრიზისისაკენ და კრიზისიდან აღმავლობისაკენ წყვეტილი განვითარე-
 ბისა, — წარმოების განუწყვეტელი ზრდა; ნაცვლად ტექნიკის განვითარების
 პერიოდული წყვეტილებისა, რასაც თან სდევს საზოგადოების საწარმოო ძა-
 ლების დანგრევა, — წარმოების განუწყვეტელი სრულყოფა უმაღლესი ტექნი-
 კის ბაზაზე"¹. თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირითადი ეკო-
 ნომიკური კანონების ძირეული განსხვავების ეს სტალინური განსაზღვრა სა-
 მარცხვინო ბოძზე აკრავს და გამანადგურებელ ლახვარს სცემს იმპერიალიზმის

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 44.

ყოველი ჯურის აპოლოგეტებს. იგი მთელი სიცხადით გვიჩვენებს, რომ მარქსისტები მედროვე საზოგადოების აღმავალი, პროგრესული განვითარება მარტინიუსის სოციალიზმის გზით, კაპიტალიზმის რევოლუციური დამხრბისა და სოციალისტური წყობილების გამარჯვება-განვითარების გზით შეიძლება.

* * *

„ამხანაგ სტალინის შრომები ეკონომიკურ საკითხებსა და ენათმეცმიერების საკითხებზე, — ამბობს ამხანაგი გ. მალენკოვი, — ნაშნავს ახალ ეტაპს მარქსიზმის განვითარებაში, წარმოადგენს მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრებისადმი შემოქმედებითი მიღვომის შესანიშნავ მაგალითს. ამხანაგი სტალინი გვაწავლის, რომ ყოველგვარი დოგმატური მიღვომა თეორიისადმი შეუწყნარებელია და შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს მასების პოლიტიკური აღზრდის საქმეს. ამხანაგ სტალინის თეორიულ აღმოჩენებს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, ისინი აირალებენ ყველა ხალხს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის გზების ცოდნით და კომუნიზმისათვის ჩვენი პარტიის ბრძოლის უძღიდრესი გამოცდილებით“¹.

კ. მარქსმა თავის „კაპიტალიზმი“ ასნა კაპიტალიზმის რაობა, მისი რევოლუციური დახმობის გზრდუვალობა. ვ. ლენინმა თავის ნაწარმოებში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ დაახასიათა იმპერიალიზმი როგორც სოციალისტური რევოლუციის წინადღე და დაასაბუთა ტრთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში ამ რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობა. ი. სტალინმა თავის თეორიულ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ განსაზღვრა სოციალისტური წყობილების რაობა, მისი განვითარების კანონები, კომუნიზმი გადასვლის კანონზომიერებანი და თანამედროვე კაპიტალიზმის ყველა თავისებურება. მან აღმოაჩინა და განსაზღვრა თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონები. ამხანაგ სტალინის ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ კაცუაბრიობის მეცნიერული აზროვნების, მარქსიზმინიზმის ოქროს ფონდის ერთ-ერთი უძვირფასესი შენაძენია. იგი მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური მოძღვრების შემდგომ განვითარებას, ამ განვითარების ახალ, უმაღლეს ეტაპს წარმოადგენს.

ერთი საუკუნის წინათ გამოკვეყნდა მეცნიერული კომუნიზმის პარველი პროგრამული დოკუმენტი — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“. მაშინ ევროპაში კომუნიზმის მარტოოდენ აჩრდილი დაბორგავდა და კაპიტალიზმი ჯერ კიდევ აღმავალი ხაზით ვითარდებოდა.

ამხანაგ სტალინის ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ძლევამოსილი კომუნიზმის პროგრამული დოკუმენტია. იგი ისეთ ეპოქაში დაიწერა და გამოქვეყნდა, როდესაც ასებობს მძლავრი სოციალისტური ბანაკი დიადი საბჭოთა კავშირის მეთაურობით და როდესაც ყველა

¹ გ. მალენკოვი, საანდარიშო მისამართება პარტიის XIX ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ფერტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, თბილისი, 1952, გვ. 132—133.

გზა კომუნიზმისაკენ მიდის. ამხანაგ სტალინის აღნიშნული ნაშროვების უზენაშეს ჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ საფუძვლად დაუდგენია ჩეგნი პარტიის პროგრამის გადამუშავებას. ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ დიადი საბჭოთა კავშირის და მთელი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებათა გენიალურ თეორიულ განზოგადებას წარმოადგენს. იგი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სხვა შრომებთან ერთად აიარადებს საბჭოთა ხალხს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებს, მთელ პროგრესულ-კაცობრიობას კაპიტალიზმის საბოლოო დასამარებისა და კომუნიზმის გარდუვალი გამარჯვების ღრმა რწმენით და რაზმავს მათ ამ მსოფლიო-ისტორიული ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომები, განსაკუთრებით ამხანაგ სტალინის ახალი თეორიული ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ იძლევიან მოვლენების, ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების კანონების ღრმა და ყოველმხრივ ახსნას. ისინი მეცნიერული სიზუსტით გვიჩვენებენ განვითარების დედაარსს და შეუდარებელ შორსმხედველობით განსაზღვრავენ მის პერსპექტივებს. აუცილებელია ამ ნაშრომების ღრმა და გულდასმით შესწავლა, მათი ათვისება და კომუნიზმის დიადმშენებლობაში, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში შემოქმედებით გამოყენება. „ჩეგნი წინსვლის ამოცანები, — ამბობს ამხანაგი მალენკოვი, — ავალებს პარტიის მოღვაწეებს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის მუშაკებს, პირველ რიგში ეკონომისტებს, იხელმძღვანელონ ამხანაგ სტალინის პროგრამული მითითებებით და ყოველმხრივ დამუშაონ მარქსისტულენიური თეორიის საკითხები პარტიულ შემოქმედებითს მუშაობასთან განუყრელ კავშირში“¹.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პოლიტიკური ეკონომიკის კათედრა

(შემოგიდა რედაქციაში 1952. XII. 15.)

¹ გ. მალენკოვი, საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, გვ. 132.

6. ქოიავა

ი. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრინციპები
სსრ კავშირში“-ს, მნიშვნელობა უკავის მიმღებებისა და
ქარების საქითხების საკითხებისათვის

ამხანაგ სტალინის გენიალური შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური
პრობლემები სსრ კავშირში“ თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გა-
ნუზომელია. ამ შრომაში მოცემულია სოციალისტური მშენებლობის გამოცდი-
ლების განზოგადება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მშე-
ნებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტური მშენებლობის დაჩქარები-
სათვის ჯერ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც.

ამხანაგ სტალინის დასხელებულ შრომას უდიდესი მნიშვნელობა აქვს
მთელი მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებისათვის, მთელი მარქსისტულ-
ლენინური პოლიტიკური ეკონომიკისათვის, კერძოდ, პოლიტიკური ეკონომიკის
იმ ნაწილისათვის, რომელიც განიხილავს ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და
ბანკების საკითხებს.

ამხანაგი სტალინი თავის შრომაში ან პირდაპირ ეხება ფულის, კრედიტისა
და ბანკების საკითხს, ან არაპირდაპირ, რამდენადაც მის მიერ მოცემული
დებულებანი წარმოადგენენ უშუალო საფუძველს ფულის მიმოქცევისა და
კრედიტის საკითხების გადასაჭრელად.

ჯერ ერთი, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის კანონებსაც, როგორც
ყველა ეკონომიკურ კანონს, ობიექტური ხსიათი აქვს. ისინი ასახვენ ობიექ-
ტურ პროცესებს, რომელთაც აღილი აქვს აღამიანთა ნებისაგან დამო-
უკიდებლად. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის კანონების მოსპობა, შეცვლა
შეუძლებელია — შეიძლება ამ კანონების შემცნება შესწავლა, გამოყენება
საზოგადოების ინტერესებისათვის.

ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში ჩვენ შემცნებული გვაქვს ფულის მი-
მოქცევის ყველა კანონი და ამ კანონების გამოყენების საფუძველზე შექმნილი
და შენარჩუნებულია ყველაზე უფრო მტკიცე ფულადი სისტემა მოთვლიოში.

ამხანაგი სტალინი შემოქმედებითად ავითარებს მარქსიზმ-ლენინიზმის
ფუძემდებელთა მოდევრებას ფულის აუცილებლობის შესახებ სოციალისტური
მშენებლობისათვის. სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების განზოგა-
დების საფუძველზე ამხანაგმა სტალინმა დამტკიცა, რომ ფული აუცილებელია
სოციალისტურ საზოგადოებაშიც.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1927 წლს უცხოელ მუშათა დელეგაციები-
თან საუბრის დროს ამბობდა: „ჩვენ უნდა მოვაწყოთ ისეთი გადამცემი განმა-

ნაწილებელი პარატი ქალაქსა და სოფელს შორის, რომელიც შესძლებს გადასცინოს და დაემყოფილოს მთელი ჩვენი ქვეყნის ქალაქისა უდიდესობის მოთხოვნილებანი, ისევე როგორც თვითეული აღამიანი ითვალისწინებს თვისი ბიუჯეტით თვის ხარჯებსა და შემოსავალს. და როცა ჩვენ მივაღწევთ ყოველივე ამას, უნდა ვიფიქროთ, რომ დადგება დრო, როცა ფული უკვე აღარ იქნება საჭირო, მაგრამ ამისაგან ჯერ-ჯერობით შორსა ვართ“ (თხზულებანი, ტ. 10, გვ. 243).

უფრო გვიან, სახელდობრ 1934 წელს, ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ „...ფული ჩვენში დარჩება ჯერ კიდევ დიდხანს, თვით კომუნიზმის პირველი სტადიის — განვითარების სოციალისტური სტადიის — დამთავრებამდე“ (საან-გარიშმ მოხსენება პარტიის XVII ყრილობას სკ ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 361 — 362).

ამხანაგი სტალინი თვის გენიალურ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პროცესების სსრ კავშირში“ ავითარებს თვის დებულებას ფულის აუცილებლობის შესახებ სოციალიზმის დროს. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სასაქონლო წარმოება და საქონელბრუნვა სოციალიზმის დროსაც აუცილებლობას წარმოადგენენ. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ამჟამად ჩვენში არსებობს სოციალისტური წარმოების ორი ძირითადი ფორმა: სახელმწიფოებრივი, ე. ი. საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო. სახელმწიფო საწარმოებში წარმოების სამუალებანი და წარმოების პროდუქციაც საერთო-სახალხო საკუთრებას შეაღვენენ. საკოლმეურნეო საწარმოებში მიწა და მანქანები სახელმწიფოს ეკუთვნის, მაგრამ წარმოების პროდუქცია ცალკეულ კოლმეურნეობებს ეკუთვნის; ეს იმით აიხსნება, რომ კოლმეურნეობებში შრომა და თესლი საკუთარია, ხოლო მიწას კოლმეურნეობანი განაგებენ ფაქტიურად როგორც თვის საკუთრებას, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აქვთ უფლება ეს მიწა გაყიდონ, დააგირაონ ან გასცენ იჯარით.

ამ გარემოების გამო სახელმწიფოს შეუძლია განაგებდეს მარტოოდენ სახელმწიფო საწარმოთა პროდუქციას; საკოლმეურნეო პროდუქციას განაგებენ მხოლოდ ცალკე კოლმეურნეობანი. მაგრამ კოლმეურნეობებს სურთ განასხვისონ თვისი პროდუქცია საქონლის სახით; მათ სურთ ამ საქონელზე მიიღონ მათვის საჭირო საქონელი. ამჟამად კოლმეურნეობებისათვის მიუღებდეთა სხვა კონომიკური კავშირურთიერთობა ქალაქთან, გარდა სასაქონლო ურთიერთობისა, და ეს ურთიერთობა კი ნიშნავს გაცვალოს ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით.

საღაც სასაქონლო წარმოება და სასაქონლო მიმოქცევა არსებობს, იქ ღირებულების კანონიც არსებობს. ამ კანონის მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ საქონელთა გაცვლა-გამოცვლა წარმოებდეს მათზე დახარჯეული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის გაზომვა, ღირებულების გაზომვა ხდება არა უშუალოდ სამუშაო სათებითა და ღლებით, არამედ შემოვლილი გზით — ფულის მეშვეობით; ფული გამოდის როგორც ღირებულების საზომი, ხოლო ღირებულების გამოსახვა ფულით არის ფასი.

ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა ღირებულების კანონის მოქმედებული მუნიციპალური საზოგადოებაში. ღირებულების კანონი ობიექტური ეკონომიკური კუნია; იგი არსებობს დამოუკიდებლად ადამიანთა ნებისაგან. არ შეიძლება ითქვეს, რომ ღირებულების კანონი სოციალიზმის ღროს მოქმედება „გარდაქმნილი“ სახით. სოციალისტურ საზოგადოებაში ღირებულების კანონის მოქმედების სფერო შეზღუდულია, მას აյ არ აქვს სტიქიური და განმანადვურებელი ხსიათი, როგორც ეს კაპიტალისტურ საზოგადოებაშია.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ საქონელმიმოქცევის სფეროში, უმთავრესად პირადი მოხმარების საქონლის გაცვლის სფეროში, ღირებულების კანონი ინარჩუნებს გარევეულ ფარგლებში. რეგულატორის როლს. სოციალისტურ წარმოებაში ღირებულების კანონს მარეგულირებელი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ იგი მათც ზემოქმედებას ახდენს წარმოებაზე.

ღირებულების კანონი სოციალიზმის ღროს მოქმედებს ფულისა და ფასების მეშვეობით.

ამხანაგ სტალინის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან დაამტკიცა სასაქონლო წარმოებისა და სასაქონლო მიმოქცევის აუცილებლობა სოციალიზმის ღროს, რომ მან აღმოაჩინა ღირებულების კანონის მოქმედება სოციალიზმის ღროს, რომ მან ყოველივე ამით დაამტკიცა ფულის აუცილებლობა სოციალიზმის ღროს, გვიჩვენა ფულის არსებობის საფუძვლები.

ფულის არსებობა არის კრედიტის აუცილებელი წინამდღვარი; კრედიტის არსებობა იწვევს ბანკების არსებობასაც.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1925 წელს გვასწავლიდა: „საქმე სრულებითაც ის არ არის, რომ გამორიბა და ფულის სისტემა „კაპიტალისტური ეკონომიკის“ მეთოდებია. საქმე ის არის, რომ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტები, რომლებიც კაპიტალისტურ ელემენტებს ებრძეან, ეუფლებიან ბურჟუაზიის ამ მეთოდებსა და იარაღ კაპიტალისტური ელემენტების დასაძლევად, რომ ისინი წარმატებით იყენებენ მათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ და წარმატებით იყენებენ მათ ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის ასაგებად. მაშასადამე, საქმე ის არის, რომ, ჩვენი განვითარების დაალექტიკის მეოხებით, ბურჟუაზიის ამ ინსტრუმენტების ფუნქციები და დანიშნულება პრინციპულით, ძარეულად იცვლება, იცვლება სოციალიზმის სასარგებლობა, კაპიტალიზმის საზიანოდ“ (თხზულებანი, ტ. 7, საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობა, გვ. 404).

თავის გენიალურ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ამხანაგი სტალინი ავითარებს ამ დებულებას და გვასწავლის, რომ ძეველი პირწმინდად არ უქმდება უბრალოდ, ძეველი იცვლის თავის ბუნებას, იცვლის ახლისდა მიხედვით, იგი მხოლოდ ინარჩუნებს თავის ფორმას; ახალი უბრალოდ კი არ სპობს ძეველს, არამედ შეიძრება ძეველში, ცვლის მის ბუნებას, მის ფუნქციებს, მაგრამ ძეველ ფორმას არ ამსხვრევს, პარიქმათ, იყენებს მას ახლის განვითარებისათვის. ამხანაგი სტალინი წერს: „ასეთია საქმის

ვითარება არა მარტო საქონლის, არამედ ფულის მიმართაც ჩვენს ეკონომიკურ / ბრუნვაში, ისევე როგორც ბანკების მიმართაც, რომლებიც, კარგავენ, რაფიც ფული ვიანთ ძველ ფუნქციებს და იძენენ რა ახალს, ინარჩუნებენ ძველს ფრთხისს, ეს რომელსაც იყენებს სოციალისტური წყობილება... კაპიტალიზმის ძველი კატეგორიებიდან ჩვენში შენარჩუნებულია უმთავრესად ფორმა, გარეგანი სახე, არსებითად კი ისინი ჩვენში ძირიქსიანად შეიცვალნენ სოციალისტური სახლხო მეურნეობის განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისად“ (გვ. 57-58).

ამრიგად, ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სოციალისტური ფული პრინციპულად, ძირეულად განსხვავდება კაპიტალისტური ფულისაგან; მას სულ სხვა დანიშნულება, სულ სხვა არსი აქვს და, გამომდინარე ამ არსიდან, სულ სხვა ფუნქციება აქვს. კაპიტალიზმის ინსტრუმენტიდან ფული, კრედიტი, ბანკები გადაქცეულია სოციალიზმის ინსტრუმენტად.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ წარმოების საშუალებანი ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ბრუნვის სფეროში არ არის საქონელი. საქონელი არის ისეთი პროდუქტი, რომელიც მოყიდება ყოველ მყიდველს,—გამყიდველი კარგავს. საკუთრების უფლებას საქონელზე, მყიდველი კი ხდება საქონლის მესაკუთრელი. ჩვენთან წარმოების საშუალება არ მიეყიდება ყოველ მყიდველს, ის კოლმეურნეობასაც კი არ მიეყიდება; სახელმწიფო ანაწილებს წარმოების საშუალებებს და არ კარგავს საკუთრების უფლებას მათზე. წარმოების დირექტორები დამტკიცებული არიან როგორც საბჭოთა სახელმწიფოს რწმუნებულები და ისინი ვალდებული არიან გამოიყენონ წარმოების საშუალებანი თანახმად სახელმწიფოს მიერ მოცემული გეგმებისა. ქვეყნის შიგნით წარმოების საშუალებანი ინარჩუნებენ საქონლის მხოლოდ გარეგნულ გარსს.

წარმოების საშუალებანი საგარეო ვაჭრობის სფეროში საქონელს წარმოაღენენ.

ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში საქონელს არ წარმოაღენს არც მიწა, არც სამუშაო ძალა.

ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე ჩვენთან სასაქონლო მიმოქცევა განისაზღვრება უმთავრესად პირადი მოხმარების საგნებით. ფული არის საბჭოთა ვაჭრობისათვის საერთო ეკივალენტი, იგი არის სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა გამოსახვა.

ჩვენთან წარმოების საშუალებანი შეადგენენ სოციალისტურ საკუთრებას, დაქირავებული შრომის სისტემა არ არსებობს, სამშუალო ძალა არ წარმოადგენს საქონელს, ექსპლოატაციის სისტემა დიდი ხანია ლიკვიდირებულია, — ასეთ პირობებში სასაქონლო წარმოება ვერ მიგვიყვანს კაპიტალიზმად. ეს ყოველივე იმას ნიშნავს, რომ ჩვენში შეუძლებელია ფულის გადაქცევა კაპიტალად, ექსპლოატაციის იარაღად, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნებში. სანამ არსებობდნენ კაპიტალისტური ელემენტები, მანამ არსებობდა ფულის ექსპლოატაციის იარაღად გადაქცევის შეზღუდული შესაძლებლობა, — ეს შესაძლებლობა მოისპოვა კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციასთან ერთად.

ჩვენთან შეუძლებელია ფულის გადაქცევა კაპიტალად, შეუძლებელია ფულადი, სასესხო კაპიტალის, საგანმო კაპიტალის არსებობა და მისაფულუმაც არ ძველზე კაპიტალისტური და სავაჭრო კრედიტის არსებობაც.

სასაქონლო წარმოების არსებობას თან ახლავს ღირებულების კანონის არსებობაც. ღირებულება განიზომება, როგორც ვთქვით, არა უშუალოდ საათებით, არამედ შემოვლილი გზით — ფულით. ფული არის ღირებულების საზომი. სასაქონლო წარმოებას თან ახლავს სასაქონლო მიმოქცევაც. ამასთან დაკავშირებით ფული არის მიმოქცევის საშუალებაც. კრედიტისა და ბანკების არსებობა იწვევს იმას, რომ ფულს აქვთ გადახდის საშუალების ფუნქციაც.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ არ შეიძლება გვერდი აუჯაროთ და ვერც ავუვლით გვერდს ღირებულების კანონის გათვალისწინებას. ეს გარემოება „ჩვენს სამეურნეო მუშაკებს აწვალის სისტემატურად გააუმჯობესონ წარმოების მეთოდები, შეამცირონ წარმოების თვითონირებულება, განახორციელონ სამეურნეო ანგარიში და ეცადონ მიაღწიონ საწარმოთა რენტაბელობას“ (სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 22).

ჩვენი საწარმონი, როგორც წესი, მუშაობენ რენტაბელურად. რენტაბელური მუშობის შედეგად საწარმოს აქვს დაგროვება. დაგროვებას ფულადი სახე აქვს.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნები, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, არის: „მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაქმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“ (იქვე, გვ. 44). ჩვენს ქვეყანაში ადგილი აქვს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელ ზრდას. ჩვენს მშრომელებს შესაძლებლობა აქვთ დაზოგონ მზარდი რეალური შემოსავლიდან ფულადი თანხები ისეთი ხარჯების დასათანავად, რომლის დაფარვა მიმდინარე შემოსავლიდან არ შეუძლიათ (მაგ., ავტომობილი).

ყოველივე ამის საფუძველზე ფულმა უნდა შეასრულოს და კიდეც ასრულებს სოციალისტური დაგროვებისა და მშრომელთა დაზოგვის საშუალების ფუნქციას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მსოფლიო ომისა და მისი სამეურნეო შედეგების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეზულტატად უნდა მიიღინოთ ერთიანი ყოვლისმომცველი მსოფლიო ბაზრის დაშლა. „ორი მოპირდაპირე ბანაკის არსებობის ეკონომიკური შედეგი ის იყო, რომ ერთიანი ყოვლისმომცველი მსოფლიო ბაზარი დაშალა, რის შედეგადაც ჩვენ ახლა გვაქვს ორი პარალელური მსოფლიო ბაზარი, რომლებიც აგრეთვე უპირისპირდებიან ერთობორებს“ (იქვე, გვ. 33).

ერთ მსოფლიო ბაზარს შეაღვენს კაპიტალისტური ქვეყნები, მეორეს — სახალხო დემოკრატიულ ქვეყნები და საბჭოთა კავშირი. ა. შ. შტატები აწარმოებენ კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამონე-

ბას. დამონების ერთ-ერთი იარაღია „მარშალის გეგმა“. სახალხო დემოუნიტური ტიის ქვეყნები საბჭოთა კავშირთან ერთად გვიჩვენებენ თანამშრომლატესტს უკავშირას. საბჭოთა კავშირი უწევს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს ყოველმხრივსა და უანგარო დახმარებას.

ამერიკული დოლარი, ა. შ. შტატების ფულადი სისტემა გამოიყენება კაპიტალისტური ქვეყნების დამონებისათვის, კოლონიების ექსპლოატაციის გაძლიერებისათვის, ახალი მსოფლიო ომის მომზადებისათვის.

საბჭოთა მანეთი, საბჭოთა ფულადი სისტემა გამოიყენება გრანდიოზული მშვიდობიან მშენებლობისათვის, მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

წარმოების საშუალებანი, როგორც აღნიშნეთ, ჩვენთან არ წარმოადგენენ საქონელს. მაგრამ ეს გარემოება არ ავიწროვებს ფულის მიმოქცევის სფეროს. ორი მიზეზის გამო ლაპარაკია წარმოების საშუალებათა ღირებულებაზე, თვითმიმორებულებაზე, ფასზე. მიღებულ წარმოებათა საშუალებაზი მისაცემია ფული. ჯერ ერთი, ეს აუცილებელია, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — კალკულაციისათვის, ანგარიშშორებისათვის, საწარმოთა შემოსავლიანობისა და წამგებიანობის განსაზღვრისათვის, საწარმოთა შემოწმებისა და კონტროლისათვის. მაგრამ ეს საქმის ფორმალური მხარეა. არის მეორე მხარეც. ყოველივე ეს აუცილებელია იმის გამო, რომ საგარეო ვაჭრობის სფეროში განვახორციელოთ უცხო სახელმწიფოთათვის წარმოების საშუალებათა მიყიდვების საქმე, — „აქ, საგარეო ვაჭრობის სფეროში, მაგრამ მხოლოდ ამ ს ფეროში, ჩვენი წარმოების საშუალებანი მართლაც საქონელს წარმოადგენენ და ისინი მართლაც იყიდებიან (უბრყყალებოლ)“ (სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 57, ხაზასშულია ტექსტში).

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონი იძლევა შესაძლებლობას სწორად დაიგეგმოს საზოგადოებრივი წარმოება. მაგრამ იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობა გადაიცეს სინამდვილედ, საჭიროა ამ ეკონომიკური კანონის შესწავლა, დაუფლება, გამოიყენება საქმის სრული ცოდნით, საჭიროა ისეთი გეგმების შედეგენა, რომლებიც მთლიანად ასახავენ ამ კანონის მოთხოვნებს. სახალხო მეურნეობის დაგეგმვას შეუძლია დადებითი შედეგები მოიტანოს იმ შემთხვევაში, თუ: ა) იგა სწორად ასახავს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონის მოთხოვნას, ბ) თუ იგი ყველაფერში შეეხმება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს.

ამხანაგ სტალინის ეს დებულება მთლიანად ეხება საკრედიტო და საკიბრი დაგეგმვას როგორც სახალხო-სამეურნეო გეგმის ნაწილს. ჩვენ შეგვიძლია სწორად დავვეგმოთ კრედიტი და ნაღდი ფულის მოძრაობა იმ შემთხვევაში, თუ მათი დაგეგმვის დროს დაცული იქნება ამხანაგ სტალინის მიერ დასახელებული ორივე პირობა.

საკრედიტო დაგეგმვის წინაშე დგას ამოცანა — შემოღებულ იქნება კრედიტისა და რესურსების დაგეგმვა არა ნაშთის მიხედვით, არამედ მთელი ბრუნვის მიხედვით; საკასო დაგეგმვამ უნდა მოიცვას მთელი ნაღდი ფულის მიერ დასახელებული ორივე პირობა.

შოძრაობა. საკრედიტო და საკასო დაგეგმვა სავსებით უნდა შეეხამებოდეს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ღირებულების კანონის მოქმედება არ იფარებულება საქონელმიმოქცევის სფეროთი, რომ იგი ვრცელდება წარმოებაზე; სოციალისტურ წარმოებაში ამ კანონს არ აქვს მარჯვლირებელი მნიშვნელობა, მაგრამ ეს კანონი ზემოქმედებას ახდენს წარმოებაზე. ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს წარმოებაში სამეურნეო ანგარიშის, რენტაბელობის, თვითლირებულებისა და ფასების საკითხს. ეს გარემოება აიძულებს საწარმოს გათვალისწინოს ღირებულების კანონი. ეს გარემოება ჩვენს სამეურნეო მუშაკებს ასწავლის, როგორც აღვნიშნეთ, სისტემატურად გააუმჯობესონ წარმოების მეთოდები, შეამცირონ წარმოების თვითლირებულება, განახორციელონ სამეურნეო ანგარიში და ეცადონ მიაღწიონ საწარმოთა რენტაბელობას. ეს გარემოება აძლიერებს კრედიტის როლს როგორც კონტროლის იარაღისას. დაკრედიტება გეგმის შესრულების მიხედვით, ნამდვილი საჭიროების ფარგლებში, განამტკიცებს სამეურნეო ანგარიშს.

ამხანაგ სტალინის დებულება ავალებს საფინანსო მუშაკებს ფართოდ გამოყენონ და გააძლიერონ მანეთით კონტროლი.

ამხანაგი გ. მალენკოვი ოვის მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე ამბობდა: „უნდა გავაძლიეროთ... საფინანსო ორგანოების მხრივ მანეთით კონტროლი სამეურნეო გეგმების შესრულებაზე და მომჭირნეობის რეესტრის დაცვაზე“ (საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, გვ. 81).

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, აღმოჩენილი ამხანაგ სტალინის მიერ, ნიშნავს საქონელბრუნვის განუსრულ ზრდასაც, ფასების სისტემატურ შემცირებას, მანეთის მყიდველობითი ძალის განუწყვეტელ ზრდას, ჩვენი ფულადი სისტემის შემდგომ განმტკიცებას.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედება ივალებს საკრედიტო ორგანიზაციებს მზარდ მატერიალურ-სასაქონლო ფასებულობათა დაკრედიტების გაფართოებას, ავალებს მათ დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების უფრო მოქნილი ფორმებისა და მეთოდების შემოღებას.

სასაქონლო წარმოება და სასაქონლო მიმოქცევა უნდა დარჩეს მანამ, სანამ არსებობს ორი ძირითადი საწარმოო სექტორი; ამ პირობებში სასაქონლო მიმოქცევა, ფული და ფულის მიმოქცევა ჩვენი სახალხო მეურნეობის სისტემის აუცილებელი და მეტად სასარგებლო ქლემენტია. „როდესაც ორი ძირითადი საწარმოო სექტორის, სახელმწიფო ბრივი და საკოლმეურნეო სექტორების ნაცვლად განვითარება ერთი ყოვლისმომცველი საწარმოო სექტორი, რომელსაც უფლება ექნება განაგოს ქვეყნის მთელი სამომხმარებლო პროდუქცია, მაშინ საქონელმიმოქცევა მისი „ფულადი მეურნეობითურთ“ გაქრება, როგორც სახალხო მეურნეობის ზედმეტი ელემენტი“ (სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 18).

ამხანაგი სტალინი თავის გენიალურ შრომაში გვიჩვენებს როგორც ფუ-

ლის არსებობის საფუძვლებს სოციალიზმის დროს, ისე ფულის გაქრობის საჭიროების შესახებ უფლებასაც.

ფულის გაქრობამდე უნდა შევინარჩუნოთ მტკიცე ფულის სისტემა. ბრძოლა ფულის შემდგომი განმტკიცებისათვის არ იხსნება. სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში საჭიროა მტკიცე ფული—ამის დამადასტურებელია პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კაშშირის განვითარების 1951—1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

კომუნიზმის მეორე ფაზაში, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, არ იქნება სასაქონლო წარმოება, სასაქონლო მიმოქცევა, გაქრება ღირებულების კანონი, გაქრება ფულიც.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ უაზროა ჩვენთან ლაპარაკი „აუცილებელ“ და „ზედმეტ“ შრომაზე. მუშების შრომა, რომელიც ხმარდება საზოგადოებას წარმოების გასაფართოებლად, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის გასაყითარებლად, თავდაცვის ორგანიზაციას და ა. შ., წარმოადგენს „ხელისუფლების სათავეში მდგომი მუშათა კლასისათვის ისევე აუცილებელს, როგორც მუშისა და მისი ოჯახის პირად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად დახარჯული შრომა“ (იქვე, გვ. 20).

ამხანაგ სტალინის ამ დებულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროცენტის ბუნების გაგებისათვის ჩვენს ქვეყანაში. სასესხო პროცენტი ჩვენში სრულებითაც არ არის ზედმეტი პროცენტის ღირებულების ნაწილი, როგორც ამას დღემდე ვამობდით.

ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი: „მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანავებისა და გაღატავების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გრძარცვის გზით, ბოლოს, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად“ (იქვე, გვ. 42). ამ კანონს მთლიანად ექვემდებარებიან ბანკებიც. მონოპოლიისტური კაპიტალიზმის ეპოქაში ბანკები არ კმაყოფილდებიან საშუალო მოგებით და ყოველივეს აკეთებენ მაქსიმალური მოგების მისაღებად.

ჩვენ ვლაპარაკობდით სახელმწიფო პარატთან მონოპოლიების შეზრდის შესახებ. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ეს გამოთქმა არ აშკარავებს მათი ეკონომიკური დაახლოების აზრს; ხდება არა უბრალოდ შეზრდა, არამედ სახელმწიფო პარატის დაკვემდებარება მონოპოლიებისაღმი. ამ დებულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მონოპოლიისტური ბანკების ხასიათის გაგებისათვის; ლაპარაკი უნდა იყოს არა სახელმწიფო პარატთან საბანკო მონოპოლიების შეზრდის შესახებ, არამედ სახელმწიფო პარატის დაკვემდებარების შესახებ საბანკო მონოპოლიებისაღმი.

ამხანაგი სტალინი ავითარებს მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა მოძღვრებას კრედიტის შესახებ კაპიტალისტურ მეურნეობაში, როდესაც მეტყველებული ამბობს, რომ ქალაქება და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის დაპირისპირებულობის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს. „ქალაქის მიერ სოფლის ექსპლოატაცია, გლეხობის ექსპროპრიაცია და სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის გაჩანაგება მრეწველობის, ვაჭრობის, საკრედიტო სისტემის განვითარების მთელი მსვლელობით კაპიტალიზმის ღრმას“ (იქვე, გვ. 27 — 28). კაპიტალისტური ბანკები, განსაკუთრებით საპიროექო ბანკები, თვით საკრედიტო კოოპერაცია, რომელიც ხელში ჩაიგდო კულაკობამ, მეგაბრენდა, რომელიც ფართოდ არის გაშლილი სოფლად, ემსახურება გლეხობის ექსპროპრიაციას, მოსახლეობის უმრავლესობის გაჩანაგებას. ამერიკელი ფერმერების, ამერიკული სოფლის მოსახლეობის მდგომარეობა ამხანაგ სტალინის ამ დებულების სუკეთესო ილუსტრაციაა.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის პირველი კრიზისი პირველი მსოფლიო ომის ღრმას და მეორე კრიზისი მეორე მსოფლიო ომის ღრმას არის არა დამოუკიდებელი კრიზისები, არამედ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის განვითარების ეტაპები. ეს გვავლებს კაპიტალისტური სახელმწიფოების ფულის მიმოქცევა და კრედიტი კაპიტალიზმის საერთო ურიზისის ეპოქაში განვიხილოთ ამ ორი პერიოდის მიხედვით — ახეთი განხილვა გაამდიდრებს კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკის სათანადო ნაწილებს.

შეუძლებელია ამ წერილში ამოიწუროს ამხანაგ სტალინის შრომის იდეების მთელი სიმდიდრე. აქ მხოლოდ მოცემულია იმის ცდა, რომ აღნინიშნოს ამ გენალური შრომის მნიშვნელობა ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი საკითხისათვის.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია შეუძლებელია ეკონომიკური პრობლემების გარეშე; ამ ეკონომიკურ პრობლემებში შედის ფული, კრედიტი და ბანკებიც. ეს გარემოება გვავალებს ფართოდ და ღრმად დავამუშაოთ ფულის მიმოქცევისა და კრედიტის საკითხები და ამ მუშაობას საფუძვლად დაფუძვათ ამხანაგ სტალინის გენალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

ვსარგებლობ შემთხვევით და ვაცხადებ, რომ ჩემ მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში „ლირებულების კანონი სოციალიზმის ღრმას“ („ბოლშევიკი“, 1942 წ., № 12) და „Советские деньги“ (Заря Востока, 1950 წ., 7/VI) და-შვებული იყო შეცდომები.

პირველ სტატიაში მე ვწერდი, რომ ჩვენში ქალაქისა და სოფლის დაპირისირების საფუძვლები უკვე შერყეულია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის სახეობად გადაქცევის გამო, და აღნიშნავდი, რომ სხვაობა ჯერ კიდევ რჩება. ამავე სტატიაში მე ვწერდი, რომ ჩვენში უკვე შერყეულია გონიერივი და

ფიზიკური შრომის დაპირისპირების ულტრმესი ფესვები, და აღვნიშნავდა რაზეც ასე განსხვავება მათ შორის ჯერ კიდევ არსებობს. ეს დებულება მცდარი და ლაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის დაპირისპირებულობა ჩვენს ქვეყანაში მოსპობილია კაპიტალიზმის და ექსპლოატაციის სისტემის მოსპობასთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური წყობილების განმტკიცებასთან ერთად, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს მათ შორის არსებითი განსხვავება. დროთა მსვლელობაში არსებითი განსხვავება გაქრება, მაგრამ დარჩება არაარსებითი განსხვავება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მუშაობის პირობების განსხვავების გამო, მისი გამო, რომ საწარმოების ხელმძღვანელთა შემაღებულობის მუშაობის პირობები იმგვარივე არ არის, როგორც მუშათა მუშაობის პირობები.

ამავე სტატიაში მე აღვნიშნავდი ზედმეტი შრომისა და ზედმეტი პროდუქტის არსებობას ჩვენში, რაც სწორი არ არის. ჩვენში არ არსებობს არც ზედმეტი შრომა, არც ზედმეტი პროდუქტი. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მუშების შრომა ჩვენს პირობებში, რომელიც ხმარდება საზოგადოებას წარმოების გასაფართოებლად, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის გასავითარებლად, თავდაცვის ორგანიზაციისათვის და ა. შ., წარმოაღენს ამამად ხელისუფლების სათავეში მდგომი მუშათა კლასისათვის ისევე აუცილებელს, როგორც მუშებისა და მისი ოჯახის პირად მოთხოვნილებათა დასაქმაყოფილებლად დახარჯული შრომა.

ორივე ხსენებულ სტატიაში მე ვწერდი, რომ სოციალიზმის დროს ლირებულების კანონი მოქმედებს გარდაქმნილ სახით. ახლა ჩემთვის სავსებით ნათელია, რომ ეს არ არის სწორი. კანონების, მათ შორის ღირებულების კანონის, გარდაქმნა არ შეიძლება. არ შეიძლება კანონების არც მოსპობა, არც სხვა კანონებით შეცვლა. აღამიანებს შეუძლიათ კანონების აღმოჩენა, შემცნება, დაუფლება, გამოყენება საზოგადოების ინტერესებისათვის და არა მოსპობა, გარდაქმნა, შეცვლა. ღირებულების კანონი სოციალიზმის დროსაც არის ობიექტური კანონი, რომელიც ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ეკონომიკური ცხოვრების პროცესების კანონზომიერებას ასახავენ. მაგრამ ღირებულების კანონს ჩვენში ისეთივე გასაჭანი არ აქვს, როგორც კაპიტალიზმის დროს. ღირებულების კანონის მოქმედების სფერო ჩვენი ეკონომიკური წყობილების პირობებში მკაცრად შეზღუდულია და მოქცეულია ჩარჩოებში.

ორივე ხსენებულ სტატიაში მე ვწერდი, რომ წარმოების უმნიშვნელოვანები იარაღები უკვე არ არის საქონელი. ეს დებულება ასეთი სახით მოუღებელია, იგი მოითხოვს დაზუსტებას. ჯერ ერთი, ჩვენში საქონელს არ წარმოაღენენ წარმომადგენენ საქონელს ქვეყნის შიგნით ეკონომიკური ბრუნვის სფეროში, საგარეო გაჭრობის სფეროში კი წარმოების საშუალებანი მართლაც საქონელს წარმოაღენენ.

ჩემს ლექციაში „საბჭოთა მანეთის განმტკიცება და ინფლაცია მარტინულისტური ქვეყნებში“, რომელიც გამოცემულია საქართველოს სსრ პროცესური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ, მე ვწერდი, რომ მატერიალური სტიმულირება სოციალისტური მეურნეობის კანონია, სინამდვილეში კი იგი კანონს არ წარმოადგენს.

ვაღიარებ რა დაშვებულ შეცდომებს, ვაცხადებ, რომ ჩემი მიზანია ღრმად შევისწივლო ამხანაგ სტალინის გენიალური შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კაგშირში“ და საფუძვლად დავუდო იგი ჩემს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას. წინამდებარე სტატია არის ჰირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფინანსებისა და კრედიტის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1952, XII, 15)

3. გვიშიანი

II. სტალინი კოლეგიუმი სტატიაზე და განვითარების შესახებ დიდი რეზომების სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გაგარების ვარიაცია

35 წლის წინათ დიდი იქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციაში დაამხო
კაპიტალისტებისა და მემაულეების ბაზონობა და დაამყარა პროლეტარიატის
დიქტატურა.

დიდი იქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად
კაპიტალიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — კომუნიზმის ერა.

ამხანავი სტალინი თავის ცნობილ ნაშრომში „იქტომბრის რევოლუციის
საერთაშორისო ხასიათი“ აღნიშნავს, რომ იქტომბრის რევოლუცია პ ჩ ი ნ ც ი-
პ უ ლ ა დ განსხვავდება ყველა წინანდელი რევოლუციებისაგან, რომ იგი მიზ-
ნად ისახავდა არა ექსპლოატაციის ერთი ფორმის შეცვლას ექსპლოატაციის მე-
ორე ფორმით, არამედ ადამიანის მიერ აღამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის
მოსპობას.

„სწორედ ამიტომ იქტომბრის რევოლუციის გამარჯვება ნიშნავს
ძირეულ გარდატეხას კაცობრიობის ისტორიაში, ძირეულ გარდატეხას მსოფ-
ლიო კაპიტალიზმის ისტორიულ ბეღში, ძირეულ გარდატეხას მსოფლიო პრო-
ლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ძირეულ გარდატეხას მთელი
მსოფლიოს ექსპლოატაციებული მასების ბრძოლის წესებსა და ორგანიზაციის
ფორმებში, ყოფაცხოვრებასა და ტრადიციებში, კულტურასა და იდეოლო-
გიაში.

ამაშია იმის საფუძველი, რომ იქტომბრის რევოლუცია არის ინტერნა-
ციონალური, მსოფლიო ხასიათის რევოლუცია¹.

ამ მსოფლიო ისტორიული გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზა-
ტორი იყო ლენინ-სტალინის დიადი ბარტია.

ი. სტალინი მიუთითებს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული თეო-
რიით შეიარაღებულმა კომუნისტურმა პარტიამ ერთ საერთო მძღვრ რევო-
ლუციურ ნაკადად შეაერთა ისეთი სხვადასხვავარი რევოლუციური მოძრა-
ობანი, როგორიცაა საერთო-დემოკრატიული მოძრაობა ზავისათვის, გლეხურ-
დემოკრატიული მოძრაობა მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდებისათვის, ჩაგ-

¹ ი. სტალინი, თხ. 10, 1950, გვ. 256.

რული ხალხების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ნაციონალური თანასწორუფლებიანობისათვის და პროლეტარიატის სოციალისტური მიზანებისათვის, ამაც გადაშევიტა კაპიტალიზმის ბედი რუსეთში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად დაიწყო ახალი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში — ეპოქა პროლეტარული რევოლუციებისა კაპიტალისტურ ქვეყნებში, და უმაღლეს საფეხურზე ავიდა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

* * *

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების სულისჩამდგმენები და ორგანიზატორები არიან სოციალისტური რევოლუციის გენიალური სტრატეგები — ლენინი და სტალინი.

პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის თეორიისა და ტაქტიკის საკითხები ლენინელების მიერ გულმოდგინედ და სერიოზულად მუშავებოდა პარტიის წარმოშობის მომენტიდანვე.

პროლეტარიატის გენიალური ბელადები მარქსი და ენგელსი გვასწავლიან, რომ მუშათა კლასის ტაქტიკა უნდა გამომდინარეობდეს ობიექტური პირობების ანალიზიდან, კლასობრივი ბრძოლისა და საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნიდან.

მარქსიზმის ფუძემდებლების ეს გენიალური აზრები დასამარეს II. ინტერნაციონალის ოპორტუნისტებმა. II ინტერნაციონალის ბატონობის პერიოდში არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მუშათა კლასის მთლიანი სტრატეგია და დამუშავებული ტაქტიკა, ვინაიდან ეს იყო უპირატესად პერიოდი ცოტად თუ ბევრად მშვიდობიანი განვითარების პირობებში პროლეტარული პოლიტიკური არმიების შექმნისა და წვრთნისა. ამ პერიოდში იყო მხოლოდ ცალკე აზრები, ნაწყვეტები სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ, მაგრამ ტაქტიკა და სტრატეგია არ ყოფილია. მხოლოდ შემდეგ პერიოდში, პროლეტარიატის აშკარა გამოსვლების პერიოდში, პროლეტარული რევოლუციის პერიოდში შეიძლებოდა გამომუშავებულიყო პროლეტარიატის ბრძოლის მთლიანი სტრატეგია და დამუშავებული ტაქტიკა.

მარქსისა და ენგელსის გენიალური აზრები სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ აწორედ ამ პერიოდში გამოიტანა ლენინმა დღის სინათლეზე.

აწარმოებდნენ რა დაუნდობელ ბრძოლას ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ვ. ლენინი და ი. სტალინი თავიანთ კლასიურ ნაშრომებში არ შემოფარგლულან მარქსისა და ენგელსის ცალკეული ტაქტიკური დებულებების აღდგენით, მათ ისინი შემდგომ განვითარეს, შეავსეს ახალი აზრებითა და დებულებებით და შექმნეს მეცნიერება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის შესახებ.

ვ. ლენინმა თავის გენიალურ შრომაში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ სასტრიკად გააკრიტიკა მენშევიკების, საერთაშორისო ოპორტუნიზმის ტაქტიკა და საფუძველი ჩაუკარა მარქსისტულ-

ტაქტიკას. o. სტალინი „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, მიუთითებს რა ვ. ლენინის ამ გენიალური წიგნის უდიდეს მნიშვნელობაზე, წერს უშადოეს ასეთი ტაქტიკას, ის ამასთან ერთად ამხილებდა სურთაშორისო ოპორტუნიზმის ტაქტიკას, ხოლო ასაბუთებდა რა მარქსისტების ტაქტიკას ბურжуაზიული რევოლუციის პერიოდში და ერთმანეთისაგან განასხვავებდა რა ბურжуაზიულ რევოლუციისა და სოციალისტურ რევოლუციის, — მან ამასთან ერთად ჩამოაყალიბა საფუძვლები მარქსისტული ტაქტიკისა ბურжуაზიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის პერიოდში¹.

o. სტალინმა ოქტომბრის პერიოდში და მის შემდეგ დაწერილ თავის კლასიურ ნაშრომებში შემდგომ განვითარა გენიალური მოძღვრება ლენინიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ ახალი ისტორიული პირობების გათვალისწინებით. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ი. სტალინის ისეთ გენიალურ თეორიულ შრომებს, როგორიცაა „რუსი კომუნისტების პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ“, „რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხისათვის“, „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა“ და სხვ.

o. სტალინი გვასწავლის, რომ პროლეტარიატის მოძრაობა შედგება ორი მხარის ანუ ორი ელემენტისაგან: ობიექტური ანუ სტიქიური ელემენტისაგან და სუბიექტური ანუ შეგნებული ელემენტისაგან. რადგან აბიექტური მხარე, სტიქიური ელემენტი პროცესთა იმ ჯგუფად ყალიბდება, რომელსაც პროლეტარიატის შეგნებული და მარეგულირებელი ნების დამოუკიდებლად უხდება განვითარება, ცხადია, სტრატეგიისა და ტაქტიკის სამოქმედო ასპარეზად რჩება მხოლოდ და მხოლოდ მუშათა მოძრაობის სუბიექტური მხარე.

საინტერესოა იმის გარევევა, თუ რა ხასიათს ატარებს და რა შინაარსის შემცველია მუშათა მოძრაობის ის მხარე, რომელსაც ობიექტური მხარე ეწოდება. აქ თავსდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, კაპიტალიზმის განვითარება, ქველი ხელისუფლების რღვევა, პროლეტარიატისა და მისი გარემონტერიზაცია კლასების სტიქიური მოძრაობა, კლასების შეტაკებანი და სხვ.

პოლიტიკურ სტრატეგიას არაფერი ესაქმება ამ პროცესებთან. რატომ? იმიტომ რომ სტრატეგიას შეუძლია ამ პროცესებისათვის მხოლოდ ანგარიშის გაწევა, მათზე დაყარება და არა გაუჭირება ან შეცვლა.

სტალინმა თავის კლასიურ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კაშირში“ აღნიშნა, რომ ეკონომიკური განვითარების კანონები იბიექტური კანონებია, რომლებიც ასახავენ ეკონომიკური განვითარების პროცესებს საზოგადოებაში, რაც აღმიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად ხდება. აღამანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიცნონ ისინი, გამოიყენონ საზოგადოების სასარგებლოდ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მოსპონ ქველი ან შექმნან ახალი ეკონომიკური კანონები. ეკონომიკური კან-

¹ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი“, 1950, გვ. 81.

ნები აღმიანთა ნებით კი არ იქმნება, არამედ ახალი ეკონომიკური პირობების ბაზაზე წარმოიშვება. უაღრესად მცდარია იმ აღმიანთა შეხედულების უკავშირებების რომლებიც ფიქრობენ, რომ შეიძლება ეკონომიკური განვითარების კანონების შექმნა ან მოსპობა. მეცნიერებას არ შეუძლია იცოცხლოს და განვითარდეს, თუ იგი არ ცნობს ობიექტურ კანონზომიერებებს, თუ არ სწავლობს ამ კანონზომიერებებს.

მარქსიზმის თეორია შეისწავლის, უწინარეს ყოვლისა, კაპიტალიზმის ობიექტურ პროცესებს მათს განვითარებას და კვლომაში და მის მამოძრავებელ ძალებს. მარქსიზმის პროგრამა, ეყრდნობა რა თეორიის დასკვნებს, განსაზღვრავს მუშათა მოძრაობის მიზნებს, რომლებიც მეცნიერულადაა ჩამოყალიბებული პროგრამის პუნქტებში.

რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს — იგი წარმოგვიდგება როგორც ობიექტური პროცესების ასახვა მუშათა კლასის შეგნებაში. სწორედ ეს შეგნებული მხარე იმით არის საყურადღებო, რომ იგი სტრატეგიისა და ტაქტიკის წარმართველ ზემოქმედებას ექვემდებარება. ამ სუბიექტურ მხარეში სტრატეგიას უნარი აქვს დააჩქაროს ან შეანელოს მოძრაობა, წარმართოს მოძრაობა უკეთესი, ნაჯებად მტკიცნეული გზით, ან მძიმე და მტკიცნეული გზით, სტრატეგიის ღირსებათა ან ნაკლიკანებათა მიხედვით.

o. სტალინი დასქენს:

„მოძრაობის დაქტიკური თუ შენელება, მისი გააღვილება თუ შეფერხება, — ასეთია პოლიტიკური სტრატეგიასა და ტაქტიკის გამოყენების სფერო და ფარგლები“¹.

ამრიგად, სტრატეგიასა და ტაქტიკას საქმე აქვს მოძრაობის სუბიექტურ ანუ შეგნებულ მხარესთან. ისინი მთლიანად ეყრდნობიან მარქსიზმის თეორიისა და პროგრამის მონაცემებს და ითვალისწინებენ ყოველგვარ ცვლილებას ობიექტურ ანუ სტიქიურ ვითარებაში.

„სტრატეგია არის, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — პროლეტარიატის მთავარი დარტყმის მიმართულების განსაზღვრა რევოლუციის არსებული ეტაპის საფუძველზე, რევოლუციურ ძალთა (მთავარი და მეორეხარისხოვანი რეზერვების) განლაგების შესაფერისი გეგმის გამომუშავება, ბრძოლა ამ გეგმის განსახორციელებლად რევოლუციის მთელი ამ ეტაპის განმავლობაში“².

ეს განსაზღვრა ღირსშესანიშნავია. იმით, რომ იგი მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის განუყრელ ერთიანობას, სტრატეგიული გეგმების თეორიულ შემუშავებას და მათ პრაქტიკულ გატარებას; ეს განსაზღვრა ანადგურებს პოპრტუნისტულ გათიშვას თეორიისა და პრაქტიკის შორის, სიტყვასა და საქმეს შორის, გათიშვას, რომელიც დამახასიათებელია II ინტერნაციონალისათვის.

ამხანაგი სტალინი უდიდესი სიღრმით აშუქებს რევოლუციის განვითარების დიალექტიკას და ამასთან დაკავშირებით სტრატეგიული და ტაქტიკური

¹ ი. სტალინი, თხ, ტ. 5, 1949, გვ. 178.

² ი. სტალინი, თხ, ტ. 6, 1949, გვ. 175.

ჯემებისა და პარტიის ლოზუნგების ცელიების დიალექტიყას: ანალიტიკურული თებს რა ლენინიზმის სტრატეგიას, ამხანაგი სტალინი თავის შრომის შესახებ „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ მიუთითებს, რომ მისი გეგმები და ამო-ცანები იცვლებიან რევოლუციის ერთი ეტაპიდან რევოლუციის მეორე ეტაპზე გადასცლასთან დაკავშირებით, რომ ჩვენმა რევოლუციამ უკვე განიცადა ორი ეტაპი და ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ შევიდა თავისი განვითარების მესამე ეტაპში.

პირველი ეტაპი — 1903 წელი — 1917 წლის თბერვალი. მეორე ეტაპი — 1917 წლის მარტი — 1917 წლის ოქტომბერი. ამ წერილში ჩვენ განვიხილავთ კომუნისტური პარტიის სტრატეგიას და ტაქტიკას რევოლუციის მეორე ეტაპზე. ამხანაგი სტალინი ასე განსაზღვრავს ბოლშევიკების სტრატეგიას ამ ეტაპზე:

„მიზანი — იმპერიალიზმის დამხობა რუსეთში და იმპერიალისტური ომი-საგან თავის დაწევა. რევოლუციის ძირითადი ძალა — პროლეტარიატი. უახლოესი რეზერვი — უღრაიბების გლეხობა. მეზობელი ქვეყნების პროლეტარიატი, როგორც შესაძლო რეზერვი. გაშიანურებული ომი და იმპერიალიზმის კრიზისი, როგორც ხელსაყრელი მომენტი. ძირითადი დარტყმის მიმართულება: იზოლაცია წვრილბურჟუატიული დემოკრატიისა (მეზევიები, ესე-რები), რომელიც ცდილობს გლეხობის მშრომელი მასების გადაბირებას და რევოლუციის დასრულებას იმპერიალიზმთან შეთანხმების გზით. ძალთა განლაგების გეგმა: პროლეტარიატს კავშირი უღარისებს გლეხობასთან“¹.

სტრატეგიული ხელმძღვანელობის ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმა-ში, რომ სწორად განისაზღვროს მთავარი დარტყმის მიმართულება და სწორად იქნას განლაგებული ძირითადი ძალები, არამედ იმაშიც, რომ საუკეთესოდ იქ-ნას გამოყენებული რეზერვები — პირდაპირი და არაპირდაპირი, და შემდეგ მიყვანილ იქნას ისინი რევოლუციის ფრონტთან, სწორად იქნას შერჩეული ვარამწყვეტი ბრძოლის მომენტი. იმასთან დაკავშირებით ამხანაგი სტალინი მიუთითებს სტრატეგიული ხელმძღვანელობის ოთხ მთავარ პირობაზე, რო-მელთა დაცვა აუცილებელია ბრძოლის წარმატების უზრუნველყოფისათვის.

პირველი პირობა:

„გადამწყვეტ მომენტში რევოლუციის მთავარი ძალების დაგროვება მო-წინააღმდეგისათვის ყველაზე სუსტი პუნქტი, როდესაც რევოლუცია უკვე მომწიფებულია, როდესაც შეტევა მთელი სიძლიერით მიმდინარეობს, როდე-საც აჯანყება, კარზე გვიკაუნებს და როდესაც ავანგარდისათვის რეზერვების მიშველება გამარჯვების გადამწყვეტი პირობაა“².

1917 წლის პარილ-ოქტომბრის პერიოდში მოწინააღმდეგისათვის ომი ყვე-ლაზე სუსტი პუნქტი, იყო. იმპერიალისტური ბურჟუაზია და მისი ლაქიები გა-ნაგრძობდნენ ამ ომს მასების ნათლად გამოხატული ნება-სურვილის საწინააღ-მდეგოდ. გამოდიოდნენ რა ომის წინააღმდეგ, ბოლშევიკებს პროლეტარიატის

¹ ი. სტალინი, თხ., ტ. 6, 1949, გვ. 175—176.

² ივნი, გვ. 181.

მხარეზე გადმოჰყავდათ მოსახლეობის ფართო მასები. პარტიის სტრატეგიის ამოცანა ამ პერიოდში იყო ის, რომ იგი, წერთნიდა რა ავანგარდს ქუჩაში მოიწყებოდა მოსკოვებისათვის მანიფესტაციებისა და დემონსტრაციების გზით, ამასთან ერთად ავანგარდისაკენ რეზერვები მიჰყავდა საბჭოებისა და სხვა რევოლუციურაორგანიზაციების საშუალებით. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით კომუნისტურმა პარტიამ ბრწყინვალედ განახორციელა ეს პირობა დასრულებული ფორმით. ლენინმა და სტალინმა 1917 წლის ოქტომბერში, რომელ ისტორიულ ვითარებაში შემდგომ განავითარეს და გენიალურად გამოიყენეს შეიარაღებული აჯანყების საერთო წესები, რომელიც თავის ღრიზე მიუთითეს მარქსმა და ენგელსმა 1848 წლის რევოლუციებისა და პარტიის კომუნის გამოცდილების საფუძველზე. აჯანყების დაწყების წინ ლენინი მოაგონებდა ბოლშევიკებს, რომ არ შეიძლება რევოლუციასთან თამაში, საჭიროა მტკიცედ იცოდე მისი ბოლომდე მიყვანა, რომ აუცილებელია ძალთა დიდი უპირატესობის დაგროვება გადამწყვეტ აღვილას, გადამწყვეტ მომენტში, რადგან ამის უგულებელყოფა გამოიწვევს აჯანყებულების დამარცხებას, რომ აჯანყების დაწყების შემდგე საჭიროა გაბედულად მოქმედება, შეტევაზე გადასვლა, რომ საჭიროა მოწინააღმდეგებზე თავდასხმა მოულოდნელად, როდესაც მისი ჯარი განაწეულია, და, დასასტულ, საჭიროა ყოველდღიურად წარმატების მიღწევა, მორალური უპირატესობის შენარჩუნება. ამ წესების აუცილებელი დაცვა — ყოველგვარი აჯანყების კანონია. მათი უგულებელყოფა დამარცხებას იწვევს.

მეორე პირობა:

„გადამწყვეტი დარტყმის მომენტის შეჩრევა, აჯანყების დაწყების მომენტის შეჩრევა იმ ვარაუდით, რომ კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია, რომ ავანგარდი უკვე მზად არის ბოლომდე იბრძოლოს, რეზერვი უკვე მზად არის მხარი დაუჭიროს ავანგარდს, ხოლო მტრის რიგებში მაქსიმალური არევდარევაა“¹.

ასეთი სტრატეგიის ნიმუშად, გვასწავლის სტალინი, შეიძლება ჩაითვალოს ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების ჩატარება.

ამ პირობის დარღვევა, მიუთითებს ამხანაგი სტალინი, იწვევს სახიფათო შეცდომას, რომელსაც ეწოდება „ტემპის დაკარგვა“, როდესაც პარტია უკან ჩეხება მოძრაობის მსვლელობას, ანდა ბევრად წინ უსწრებს მას და ამით მარტის საფრთხეს ქმნის. სწორედ ამ სახიფათო შეცდომისაკენ მიღიოდა ზოგიერთების ცდა დაგვეწყო აჯანყება დემოკრატიული თათბირის დაპატიმრებით 1917 წლის სექტემბერში.

ლენინელები ითვალისწინებდნენ და ბრწყინვალედ იყენებდნენ ამ პირობას იმიტომ, რომ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მასებთან და ჩინებულად იცოდნენ მასების რევოლუციური განწყობილების მზარდი აღმავლობა.

მესამე პირობა:

„უკვე მიღებული კურსის განუხრელად გატარება, მიუხედავად მიზნისაკენ მიმავალ გზაზე არსებული ყველა და ყოველგვარი დაბრკოლებისა და

¹ ი. სტალინი, თხზ., ტ. 6, 1949, გვ. 182.

გართულებისა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ავანგარდმა მხედვეფებზე დან არ დაკარგოს ბრძოლის ძირითადი მიზანი, ხოლო მასები არ ჰქონდეს გზას, იარონ ამ მიზნისაკენ და ცდილობდნენ დაირაზმონ ავანგარდის გარშემო¹.

ამ პირობის დარღვევა იწვევს უდიდეს შეცდომას, რომელსაც ეწოდება „კურსის დაკარგვა“: ასეთი შეცდომა იყო, მაგალითად, ბოლშევიკური ფრაქციის გადაწყვეტილება ე.წ. დემოკრატიულ თათბირზე წინაპარლამენტში მონაწილეობის შესახებ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ბოიკოტი გამოეცადებინა წინაპარლამენტისათვის და აიძულა ბოლშევიკების ფრაქცია დაეტოვებინა იგი.

„ლენინსა და სტალინს სერიოზულ შეცდომად მიაჩნდათ წინაპარლამენტში ხანძოკლე მონაწილეობაც კი, ვინაიდან ამ მონაწილეობას შეიძლებოდა ყალბი იმედები დაეთესა მასებში, თითქოს წინაპარლამენტს მართლაც შეეძლო რაიმეს გაეთება მშრომელებისათვის“².

ამხანაგი სტალინი დემოკრატიული თათბირის ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაზე, აგრეთვე თავის სტატიაში „შეთქმულება რევოლუციის წინააღმდეგ“ და სხვა სტატიებში ახასიათებს წინაპარლამენტს როგორც „კორნილოვშინინის ნაბუშარს“, როგორც ბურუუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციის საფარველს.

მეოთხე პირობა:

„რეზერვებით მანევრირება, რომელიც მიზნად ისახავს სწორ უკანდახევას, როდესაც მტერი ძლიერია, როდესაც უკანდახევა აუცილებელია, როდესაც ბრძოლის მიღება, რომელსაც მოწინააღმდეგე თავზე გახვევს, აქვარად საზიანოა, როდესაც უკანდახევა, ძალთა არსებული თანაშეფარდების პირობებში, ერთადერთი საშუალებაა ავანგარდის საშიში მდგომარეობიდან გამყვანისა და მისთვის რეზერვების შენარჩუნებისა“³.

ასეთი სტრატეგიის უველაზე უფრო ნათელ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ბრესტის ზავის შეკვრა, რამაც შესაძლებლობა მისცა პარტიის მეეღლ შესვენება, ღრი მოეგო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, შეენარჩუნებინა თავის მხარეზე გლეხობა, შეეგროვებინა ძალები შინაგან კონტრრევოლუციაზე შეტევისათვის, ბრწყნოვალედ გამოეყენებინა არაინიდაბირი რეზერვები — წინააღმდეგობანი და ბრძოლა იმპერიალიზმის ბანაში. ეს იყო რევოლუციისათვის ძნელი და მძიმე ღრი, როდესაც მეფის ძველი არმია დაიშალა, ხოლო წითელი არმია კიდევ არ იყო შექმნილი, როდესაც ქვეყანას არ შეეძლო ეომნა, როდესაც მშრომელ გლეხობას არ შეეძლო და არ უნდოდა ეომნა. ეს იყო საბჭოთა რესპუბლიკისათვის მომაკვდინებლად სახიფათო მომენტი. ამ უაღრესად კრიტიკულ მომენტში ხალხის მტრები: ტროცკი, ბუხარინი, პიატკოვი, რადეკი, „მემარცხენე“ ფრაზებით შენიღბულნი, გამცემლურ.

¹ o. სტალინი, თხ. 6, 1949, გვ. 183.

² „საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი“, 1950, გვ. 252.

³ o. სტალინი, თხ. 6, 1949 წ, გვ. 184.

პროცესაციულ პოლიტიკას ეწეოდნენ, საქმე იქით მიჰყავდათ, რომ ახლო გაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოასწროდებული ცება, დაეყენებინათ თავით-ფეხებამდე შეიარაღებული საერთაშორისო იმპერიალიზმის დარტყმის ქვეშ; ისინი გააფორმებით გამოდიოდნენ ბრესტის ზავის დაღების წინააღმდეგ რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან სრული თანხმობით.

ამხილებდა რა ტროკისტების გამცემლურ, პროცესაციულ პოლიტიკას, ლენინი ულმობლად აშკარავებდა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების გეგმებს, იმპერიალისტებისას, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეთრიათ საბჭოთა რესპუბლიკა გერმანიასთან ომში.

ლენინმა და სტალინმა გამოაშკარავეს რევოლუციის მტრების მზადვრული გეგმები და გადაარჩინეს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა მომაკვდინებელი ჭიფათისაგან.

ასეთია სტრატეგიული სელმძღვანელობის ოთხი მთავარი პირობა დიდი იქტიმბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში. ამ პირობებს ემორჩილება მისი ტაქტიკაც, ვინაიდან ტაქტიკა, როგორც მიუთითებს ამხანაგი სტალინი, არის სტრატეგიის ნაწილი, იგი მას ემორჩილება, მას ემსხურება. ტაქტიკა იცვლება რევოლუციის მოზღვავებისა და უკუქცევის მიხედვით. ი. სტალინმა შემდეგნაირად განსაზღვრა რევოლუციური ტაქტიკის არსი.

„ტაქტიკა არის პროლეტარიატის მოქმედების ხაზის განსაზღვრა მოძრაობის მოზღვავებისა თუ უკუქცევის, რევოლუციის აღმავლობისა თუ შენელების შედარებით მოკლე პერიოდში, ბრძოლა ამ ხაზის გასატარებლად ბრძოლისა და ორგანიზაციის ძველი ფორმების ახალი ფორმებით შეცვლის გზით, ძველი ლოზუნების ახალი ლოზუნებით შეცვლის გზით, ამ ფორმების შეხმების გზით და სხვ.“¹

ტაქტიკური სელმძღვანელობის ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ სწორად განსაზღვრო პროლეტარიატის მოქმედების ხაზი და აწარმოობრძოლა ამ ხაზის გასატარებლად, არამედ იმაშიც, რომ დაეუფლო პროლეტარიატის ბრძოლისა და ორგანიზაციის კველა ფორმას და უზრუნველყო მათი მართებულად გამოყენება, რაც უცილებელია სტრატეგიული წარმატების მოსაპოვებლად.

ამხანაგი სტალინი მიუთითებს ტაქტიკური სელმძღვანელობის ორ მთავარ პირობაზე:

პირველი პირობა მდგომარეობს იმაში, რომ წამოყენებულ იქნას ბრძოლისა და ორგანიზაციის სეთი ფორმები, რომლებიც ყველაზე უფრო შეეფერებიან მოძრაობის მოცემული მოზღვავებისა თუ უკუქცევის პირობებს, რომელთაც შეუძლიათ მასების რევოლუციურ პოზიციებთან მიყვანის გაადვილება და უზრუნველყოფა, მილიონობით მასების რევოლუციის ფრონტთან მიყვანა, მათი რევოლუციის ფრონტზე განლაგება.

ამისათვის აუცილებელია ავანგარდთან ერთად მრავალმილიონნულმა შემაც შეიგნონ ძველი წესების დამხობის აუცილებლობა, გამოიჩინა უზრუნველყოფისათვის კი გარღისათვის მხარის დაჭრის მზადყოფნა. ამის უზრუნველყოფისათვის კი აუცილებელია ბრძოლის ისეთი ხერხებისა და ორგანიზაციის ფორმების წამყენება, რომელიც გაუადგილებენ მასებს საკუთარი გამოცდილებით შეიცნონ ძველი ხელისუფლების დამხობის აუცილებლობა, გაუადვილებენ მათ რევოლუციური ლოზუნების სისწორის შეცნობას.

კომუნისტების პარტიის ტაქტიკური ხელმძღვანელობის ამ პირობას უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს. პარტია მოწყდებოდა მუშათა კლასის, ხოლო მუშათა კლასი დაქარგავდა გავლენას გლეხობისა და ჯარისკაცების ფართო მასებში, რომ 1917 წლის პრილში გაყოლოდა „მემარცხენე“ კომუნისტების მოწოდებას აჯანყებისაკენ, მოუხედავად იმისა, რომ მენშევიკებსა და ესერებს ჯერ კიდევ საკებით არ ემხილებინათ თავიანთი თავი, როგორც ომისა და იმპერიალიზმის მომხრეებს, მოუხედავად იმისა, რომ მასებს ჯერ კიდევ არ შეეცნოთ თავისი საკუთარი გამოცდილებით სიყალე მენშევიკ-ესერების სიტყვებისა ზაგის, მიწის, თავისუფლების შესახებ.

ამიტომ, ბოლშევიკების ტაქტიკის მთავარ პირობას ამ პერიოდში წარმოადგენდა წვრილბურუუაზიულ პარტიათა შეცდომების „მომინებითი განმარტება“ და საბჭოების შიგნით აშკარა ბრძოლა, — ეს იყო ერთადერთი სწორი ტაქტიკა.

მეორე პირობის შესახებ ამხანაგი სტალინი აღნიშვნავს, რომ საჭიროა:

„ყოველ მოცემულ მომენტში პროცესების ჯაჭვის იმ განსაკუთრებული რგოლის მონახვა, რომლისთვის ხელის ჩაჭიდებითაც შესაძლებელი იქნება- მთელი ჯაჭვის შენარჩუნება და პირობების მომზადება სტრატეგიული წარმა- ტების მისაღწევად“¹.

მაშასადამე, საჭიროა იმ ძირითადი რეოლისა და ძირითადი ამოცანის მონაცემებისა და ამოცანების ჯაჭვში, რომელიც აუცილებელია მთელი ჯაჭვის შენარჩუნებისათვის, წარმატების მიზწევისათვის.

ამ პირობის საილუსტრაციოდ მქანაგ სტალინს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, მათ შორის ვაჭრობა ომიდან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლის ჰეროიზმი, როდესაც სახელმწიფო ინდუსტრიის კავშირი გლეხურ მეურნეობასთან გადაიქცა სოციალისტური მშენებლობის წარმატების მთავარ პირობად. ამ ჰეროიზმი ძირითადი რეოლი პროცესების ჯაჭვში, ძირითადი ამოცანა სხვა. ამოცანებს შორის იყო ვაჭრობის განვითარება, ვინაიდან ინდუსტრიის კავშირა გლეხურ მეურნეობასთან ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში შეუძლებელი იყო ვაჭრობის გარეშე, ვინაიდან წარმოება გასაღების გარეშე ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში ნიშნავდა ინდუსტრიის სიკვდილს.

ლენინ-სტალინის პარტია დაეუფლა ვაჭრობას, დაეუფლა ამ ძირითად რგოლს, მან დაუკავშირა ინდუსტრია გლეხურ ბაზარს და წარმატებით გადა-

ჭრა სხვა ამოცანებიც, შექმნა პირობები სოციალისტური ეკონომიკის საძირ-
კვლის ასაგებად.

ასეთია ჩენი პარტიის ტაქტიკური ხელმძღვანელობის ორი პირობა, რომ-
ლებმაც უზრუნველყვეს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, მისი გან-
მტკიცება.

ამხანაგ სტალინის ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ად-
გილი უჭირავს მის გენიალურ ნაშრომს „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი
კომუნისტების ტაქტიკა“.

ამ შრომაში მთელი სიღრმით გადმოცემულია და შემდგომ განვითარებული
ლენინიზმის ძირითადი მოძღვრება, გენიალურადაა განზოგადებული დიდი
ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოცდილება, მოძღვრება ერთ
ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. ამ შრომაში ამხანაგი სტალინი
არცევს ოქტომბრის რევოლუციის საგარეო და საშინაო ვითარებას, რომელ-
თაც განსაზღვრეს რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შე-
დარებითი სიადგილე. პირველ ყოვლისა, ამხანაგი სტალინი მიუთითებს საგა-
რეო ხასიათის სამ გარემოებაზე, რთაც შესაძლებელი შეიქნა რუსეთში პრო-
ლეტარული რევოლუციის მოხდენით იმპერიალიზმის ჯაჭვის დამსხვრევა,
ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობა.

ჯერ ერთი, ოქტომბრის რევოლუცია დაიწყო ორი ძირითადი იმპერია-
ლისტური დაჯგუფების გააფთხოებული ბრძოლის პერიოდში. ამიტომ, როცა
ეს ორი იმპერიალისტური ბანაკი გართული იყო ურთიერთშორის სამკვდრო-
სამიცოცხლო ბრძოლით, ამ იმპერიალისტ მტაცებლებს არ ჰქონდათ არც დრო,
არც საშუალება წინააღმდეგობა გაეწიათ ოქტომბრის რევოლუციისათვის.

შექმნილი ვითარება, აადგილებდა რა სოციალისტური რევოლუციის მოხ-
დენას, ქმნიდა ერთგვარ ხელსაყრელ პირობას ოქტომბრის რევოლუციის
ძალთა განსამტკიცებლად და დასარატებად.

მეორე გარემოება იყო ის, რომ ოქტომბრის რევოლუციის ხელში იყო
ზავის შძლავრი იარაღი. ომში დააუძლურა, გამოფიტა რუსეთი, მიუხედავად
ამისა, რუსეთის ბურჟუაზია მოითხოვდა „ომს გამარჯვებამდე“.

ომისავან განაწარები მშრომელი მასები „...თვით მოვლენათა ლოგიკაშ
მიიყვანა პროლეტარულ რევოლუციასთან, როგორც ომიდან ერთადერთ გამო-
სავალთან“¹.

ამან გაადვილა ოქტომბრის გადატრიალების შეერთება საძულველი ომის
დამთავრებასთან, რომელმაც რუსეთში მომზდარ პროლეტარულ რევოლუციას
„...მასობრივი თანაგრძნობა მოუპოვა როგორც დასავლეთში, მუშაოთა შორის,
ისე აღმოსავლეთში, ჩაგრულ ხალხთა შორის“².

მესამე გარემოება — ეს იყო რევოლუციური კრიზისის მომწიფება, რო-
გორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. ევროპა შეარყია მძლავრმა რევოლუ-
ციურმა მოძრაობამ, რამაც რევოლუციურ რუსეთს საიმედო მოკავშირეობა

¹ ი. სტალინი, თხ. ტ. 6, გვ. 409.

² იქვე, გვ. 409.

Հայոց օրու համար առաջնական դասավայրեաթի եղան. Մեռմալա օմքերուն-
լուսերի ըստ առաջնական համար պահպան է կատարել առաջնական կազմութեա-
յաց առաջնական համար պահպան է կատարել առաջնական կազմութեա-

Ընդունակ մօստարեցձա, հոմ, հաշորց ք Տայրութեանունու մէքհուալունքէօ
Ռիպելնեն լամբէրածաւ հոսքետուն Շնօնալմլցէց, մատ Խելշի Ռվագօնքնեն մօցց
Վէշէնմ մշմէցն. ամ հզառլուգուրմա մալցէմա պարունակութեան ամսանուրու ցանչուն
Արալուգրանու հզառլուգուս հոսքետին մու Ցհմուլանու Տայրութեանունու մէք-
հուալունքէօնին Շնօնալմլցէց.

ასეთი იყო საგარეო ხასიათის გარემოებანი, რომლებმაც განსაზღვრეს ჯუსეფში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედარებითი სიადვილე.

ამხანაგი სტალინი ზემოხსენებულ შრომაში მიუთითებს აგრეთვე მთელ საიდ საშინაო პირობებზე, რომლებმაც ოქტომბრის ჩეკოლუციის გმარჯვება აუაღვიობს. ამხანაგი სტალინი ჩამოთვლის შემდეგ მთავარ პირობებს:

რევოლუციის ისეთი ბელადი რომ არ ყოფილიყო, როგორიც იყო რესე-
ტის მუშათა კლასი, რომელმაც ხალხის ნდობა დაიმსახურა, მაშინ არ იქნე-
ბოდა არც მუშებისა და გლეხების კავშირი, ხოლო ასეთი კავშირის გარეშე
ოქტომბრის რევოლუცია ვერ გაიმარჯვებდა.

მეორე პირობა — ეს იყო რევოლუციისათვის მხარდაჭერა ღარიბი გლეხობისა და ჯარისკაცთა უმრავლესობის მხრით, რომელთაც სწყუროდათ ზავი და მძრა. ამხანაგი სტალინი, ამუშავებს რა შემდგომ ამ საკითხს „საკ. პ. ბ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, აღნიშნავს, რომ რუსეთის მუშათა კლასს ჰყავდა ისეთი სერიოზული მოკავშირე რევოლუციაში, როგორიც იყო ღარიბი გლეხობა, რომელიც გლეხური მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდა; რევოლუციის დაწყებიდან ჩვე თვის განმავლობაში მან ისეთი გა- მოცდილება შეიძინა, რომელიც თამამად გაუთანაბრდებოდა „ნორმალური“ განვითარების რამდენიმე თეული წლის გამოცდილებას. რევოლუციის მან- დილზე უღირიბესმა გლეხობამ ყველა პარტია გამოცადა საქმით და დაწყებუნ- და, რომ კადეტები, ესერები და მეწევიები სერიოზულად არ შეიწუხებენ თავს გლეხობისათვის — არ წაეჩხუბებიან მემამულებს. გლეხები დაწყებუნ- დნენ, რომ გლეხთა საჭიროების დაქმაყოფილებისათვის მხოლოდ ერთია პარ- ტია — კომუნისტების პარტია იბრძის, რომელიც მზადაა გასრისოს მემოუ- ლენი. ეს გარემოება რეალურ საფუძვლად დაედვა მუშებისა და ღარიბი გლე- ხობის კავშირს, რამაც განსაზღვრა საშუალო გლეხების მოქმედება, რომელიც დიდხანს მერყეობდა და მხოლოდ ოქტომბრის აჯანყების წინ იბრუნა პირი რევოლუციისაცენ, — შეუერთდა ღარიბ გლეხობას.

უდავოა, რომ ასეთი კავშირის გარეშე ოქტომბრის რევოლუცია მოწყობული
მარჯვებდა.

მესამე პირობა იყო ის, რომ რევოლუციის სათავეში იდგა, რო-
გორც მისი ხელმძღვანელი ძალა, გამობრძმედილი პარტია, კომუნისტების
პარტია, რომელიც ძლიერია თავისი გამოცდილებით, წლობით გამომუშვებუ-
ლი დისციპლინით და მშრომელ მასებთან უდიდესი კავშირით.

ამხანაგი სტალინი, ამუშავებს რა შემდგომ ამ საკითხს, „საკ. კ. პ. (ბ) ისტო-
რიის მოკლე კურსში“ აღნიშნავს, რომ მუშათა კლასს სათავეში ედგა პოლი-
ტიკურ ბრძოლებში ნაცადი პარტია, კომუნისტური პარტია, რომელიც საკმაოდ
გამოცდილია იმისათვის, რომ წაიყვანოს ხალხი გადამწყვეტ იერიშზე, და საკ-
მაოდ წინდახედულია იმისათვის, რომ გვერდი აუაროს ყველა და ყოველგვარ
წყალქვეშა ქვებს მიზნისაცენ მიმავალ გზაზე.

მეოთხე პირობა — ოქტომბრის რევოლუციის წინაშე იდგნენ ისეთი,
შედარებით ადგილად დასაძლევი, მტრები, როგორიც იყვნენ ცოტად თუ ბევ-
რად სუსტი რუსეთის ბურუუაზია, გლეხთა „ამბოხებებით“ საბოლოოდ დემო-
რალიზებული მემამულეთა კლასი და საცხებით გაყოტრებული ესერებისა და
მენშევიკების შემთანხმებლური პარტიები.

ამხანაგი სტალინი, ამუშავებს რა შემდგომ ამ საკითხს, „საკ. კ. პ. (ბ) ისტო-
რიის მოკლე კურსში“ აღნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციას თავის წინა-
შე ჰყავდა ისეთი, შედარებით სუსტი, ცუდად ორგანიზებული, პოლიტიკურად
ნაკლებად გამოცდილი მტერი, როგორიც იყო რუსეთის ბურუუაზია. რუსეთის
ბურუუაზიას არ ჰქონდა არც დიდი მაშტაბის პოლიტიკური კომბინაციებისა-
და პოლიტიკური მატყუარობის გამოცდილება, როგორიც მოეპოვება, მაგა-
ლითად, საფრანგეთის ბურუუაზიას, არც ისეთი თაღლითური კომპრომისების
სკოლა, როგორიც აქვს ინგლისის ბურუუაზიას. რუსეთის ბურუუაზიამ იმაზე;
უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, რომ ძირითადად განეგრძო საძულველი მეფის
პოლიტიკა. ამიტომ ხალხმა მეფისადმი სიძულვილი ბურუუაზიაზე და მის
დროებითს მთავრობაზე გადაიტანა.

ბურუუაზია მანამ ახერხებდა ძალაუფლების შენარჩუნებას, ვიდრე ესე-
რებისა და მენშევიკების შემთანხმებლურ პარტიებს ხალხში ერთგვარი გავლე-
ნა ჰქონდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მენშევიკები და ესერები მხილებული
იყვნენ, როგორც იმპერიალისტური ბურუუაზიის აგენტები, მათ საბოლოოდ
დაკარგეს ნდობა ხალხში, რის გამო ბურუუაზია და მისი დროებითი მთავრობა
ჰქონდი გამოკიდებული აღმოჩნდნენ.

მეცუთე პირობა — ახალგაზრდა სახელმწიფოს უდიდესი ფართობი-
უზრუნველყოფდა რევოლუციისათვის სულის მოთქმას, ძალების მოკრებას —
თავისუფალ მანევრირებას, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა.

მეექვსე პირობა — ოქტომბრის რევოლუციას კონტრრევოლუციას-
თან ბრძოლის დროს შეეძლო იმედი ჰქონდა ქვეყნის შიგნით ახსებული
სურსათის, სათბობისა და ნედლეულის რესურსების საკმიო მარაგის გამოყე-
ნებისა.

ასეთია ის საგარეო და საშინაო პირობები, რომლებმაც უზრუნველყვე-

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედარებით აღვილა გა-
მარჯვება.

ამ შრომაში ამხანაგი სტალინი იძლევა აგრეთვე ოქტომბრის ჩევოლეციას ორი თავისებურების კლასიურ განასაზღვრას; ეს თავისებურებანი არა მარტო მკაფიოდ გამოხატვენ იქტიომბრის ჩევოლეციის დედაარსს, არამედ ჩინებულად ააშეკარავებენ ტროცკის კონტრრევოლუციური „პერმანენტული ჩევოლეციის“ თეორიის ოპორტუნისტულ ბუნებას.

პირველი თავის ცენტრული მიმაში მდგომარეობს, რომ ოქტომბერის ჩეკოლუცია არის პროლეტარიატის დიქტატურის ლენინური თეორიის კლასიური განხორციელება. პროლეტარიატის დიქტატურა წარმოიშვა ჩვენში, როგორც ძალაუფლება, აღმოცენებული პროლეტარიატისა და გლეხობის მშრომელი მასების კავშირის საფუძველზე, გლეხობისა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა პროლეტარიატი.

ამხანგი სტალინი აღნიშნავს, რომ პროლეტარიატის მხარეზე ქალაქისა და სოფლის წერილი ბურჟუაზიის მშრომელი მასების გადმობირების საკითხი პროლეტარული რევოლუციის უმნაშვნელოვანესი საკითხია, რომ რევოლუციის ბედი და პროლეტარიატის დიქტატურის სიმტკიცე დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის დაუჭერს მხარს მშრომელი ხალხი — ბურჟუაზიას თუ პროლეტარიატს, ვისი რეზერვი იქნება ის — ბურჟუაზიის რეზერვი, თუ პროლეტარიატის რეზერვი. 1848 და 1871 წლების რევოლუციები საფრინგეთში და-მარტინი უმთავრესად იმიტომ, რომ გლეხთა რეზერვები ბურჟუაზიის მხარეზე აღმოჩნდნენ. ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ მან შეძლო წაერთმია ბურჟუაზიისათვის გლეხთა რეზერვები, შეძლო პროლეტარიატის მხარეზე გადაეყვანა ეს რეზერვები, — პროლეტარიატი კი ამ რევოლუციაში აღმოჩნდა ქალაქისა და სოფლის მშრომელი ხალხის მრავალმილიონნაინ მასების ერთადერთი ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა.

„ვისაც ეს ვერ გაუგია, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — ის ვერასოდეს ვერ გაიგებს ვერც ოქტომბრის ჩეკოლუციის ხასიათს, ვერც პროლეტარიატის დიქტატურის ბუნებას, ვერც ჩვენი პროლეტარული ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის თავისებურებას“¹.

მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ოქტომბრის რევოლუცია წარმოადგენს პროლეტარიული რევოლუციის ლენინური თეორიის პრაქტიკულად გამოყენების ნიმუშს.

ლენინმა იმპერიალისტური სახელმწიფოების უთანაბრო განვითარების კანონზე დაყრდნობით დაუპირისპირა თბორტუნისტებს თავისი თეორია ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, თუნდაც ეს ქვეყანა კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებული იყოს. ოქტომბრის რევოლუციამ საკეთოით დაადასტურა პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის სისტორე.

პროლეტარიატის დიქტატურა განმტკიცდა ჩვენში, როგორც შედეგი სო-

¹ ନେତ୍ରାଳୋଗୋ, ଟଙ୍କେ., ପୃ. 6, 1949, ୩୩: ୫୧୪,

ციალიზმის გამარჯვებისა ერთ, კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებულ ქალაქებისაში, იმ დროს როდესაც კაპიტალისტურად უფრო განვითარებულ ქალაქებში კაპიტალიზმი კვლავ რჩება.

„ვისაც ვერ გაუგია ოქტომბრის რევოლუციის ეს თავისებურება, ის ვერ რასოდეს ვერ გაიგებს ამ რევოლუციის ვერც ინტერნაციონალურ ბუნებას, ვერც მის კოლოსალურ საერთაშორისო ძლიერებას, ვერც მის თავისებურ საგარეო პოლიტიკას“¹.

ამთავდა ოქტომბრის რევოლუციის ორი თავისებურება, რომელიც განსაზღვრავს ამ რევოლუციის შინაგან აზრსა და ისტორიულ მნიშვნელობას.

ამხანგამა სტალინმა ამ წიგნში მოგვცა კომუნისტური პარტიის ტაქტიკის ძირითად თავისებურებათა გენიალური ანალიზი დადა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში.

პირველი თავისებურება — 1917 წლის ოქტომბერის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბოლშევიკების ინიციატივით გაჩნდნენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

1917 წლის 27 ოქტომბერის სახელმწიფო სათათბიროს ლიბერალურმა დეკუტატებმა ესერ-მენშევიკთა ლიცერებთან მალულად შეთანხმებით შექმნეს სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი რომანქოს მეთაურობით. რამდენიმე დღის შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტი და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომის ესერ-მენშევიკი ლიდერები შეთანხმდნენ დროებითი მთავრობის შექმნის შესახებ. ამრიგად, თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბურჟუაზიული მთავრობის გვერდით ასე-ბობდა მეორე ძალაუფლება — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. გამოვიდა ორი ხელისუფლების გადახლართვა: ერთი მხრივ — ბურჟუაზიის დიქტატურისა, დროებითი მთავრობის სახით, და, მეორე მხრივ — პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურისა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სახით.

ვ. ლენინი ხახს უსვამდა, რომ, ვიდრე საბჭოებში ბატონობს ესერებისა და მენშევიკების ბლოკი, კომუნისტების ამოცანა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ განუმარტოს მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოები „....რთად ერთი შესაძლებელი ფორმა რევოლუციური მთავრობისა და ამიტომ, ვიდრე ეს მთავრობა ბურჟუაზიის გავლენას განიცდის, ჩვენს ამოცანას უნდა შეაღენდეს მხოლოდ მოთმინებით, სისტემატური, დაუინებითი, განსაკუთრებით მასების პრაქტიკულ მოთხოვნილებებთან შეეგუბული განმარტება მათი ტაქტიკის შეცდომებისა.“

ვიდრე უმცირესობას წარმოვადგენთ, ჩვენ ვაწარმოებთ კრიტიკას, ვარკვევთ შეცდომებს და იმავე დროს ვქადაგებთ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მუშათა დეპუტატების საბჭოებისთვის გადაცემის აუცილებლობას, რათა მასებმა გამოცდილებით დააღწიონ თავი შეცდომებს“².

¹ ი. სტალინი, თხ. ტ. 6, 1949, გვ. 422—423.

² ვ. ლენინი, თხ. ტ. 24, გვ. 5—6.

ჩაიგდო რა ხელში ძალაუფლება, ბურუუაზიამ დაიწყო მზადება რევოლუციური ციის ჩაბობისათვის, ლენინელების განადგურებისათვის, საბჭოების უფლურებელი ბისა და კონტრევოლუციური დიქტატურის დამყარებისათვის. მან მიზნად დაისახა პროლეტარიატის განადგურება მანამდე, სანამ კომუნისტების ავან-გარდი მოასწრებდა თავისი პოლიტიკური არმიის ჩამოყალიბების დამთავრებას. შეთქმულების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო კადეტების პარტიის ცენტრ. კომიტეტი მეფის არმიის მეთაურთა შემადგენლობის ზედაფენებ-თან ერთად. კადეტები, ისევე როგორც ფრანგი „რესუბლიკელები“ 1848 წლის იგნისის დღეებში, ბიძგს აძლევდნენ რუსეთის კავენიაკს — კორნილოვს.

ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მითითებებით, კომუნისტურმა პარტიის გაშალა ბრძოლა ბურუუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის. ორხელისუფლებიანობა არ შეიძლებოდა დიდხანს არსებულიყო. ლენინი მიუთითებდა, რომ საბჭოებს შეუძლიათ განვითარდნენ და გამოავლინონ თავისი ძალა იმ შემთხვევაში, თუ თავის ხელში აიღებენ სახელმწიფო ხელისუფლებას, რომ საბჭოები — ეს ისეთი დაწესებულებებია, რომელთაც არ შეუძლიათ არც უკან სვლა, არც ერთ აღგილზე გახერება, არამედ მათ შეუძლიათ იარსებონ მხოლოდ წინსვლით.

ვ. ლენინის აპრილის თეზისები, რომლებმაც მისცეს პარტიას ნათელი რევოლუციური ხაზი, წარმოადგენდა სტრატეგიულ გეგმას ახალ ისტორიულ ეტაპზე.

ვ. ლენინის აპრილის თეზისები იძლეოდნენ პარტიის ბრძოლის გენიალურ გეგმას რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლისათვის. ამ სტრატეგიული გეგმის შესაბამისად კომუნისტებმა გაშალეს ქვეყნის შიგნით უდიდესი მუშაობა. ამ ამოცანის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო ქალაქება და სოფლის მშრომელი მასების თავის მხარეზე გაღმოყვანა, რევოლუციური პოლიტიკური არმიის შექმნა.

ლენინელები ბრძოლის მსვლელობაში შენიდნენ ასეთ არმიას აპრილიდან აქტობრამდე.

აი, როგორ განსაზღვრავს პოლიტიკური არმიის არს ი. სტალინი:

„პოლიტიკური არმია სამხედრო არმია როდია. თუ სამხედრო სარდლობა იწყებს ომს უცვე მზა არმიით, პარტიას უხდება თავისი არმიის შექმნა თვით ბრძოლის მსვლელობაში, კლასთა შეტაკების მსვლელობაში, იმისდა მიხედვით, რაც თვით მასები საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებან პარტიის ლოზუნების სისწორეში, მისი პოლიტიკის სისწორეში“¹.

ცნობილია, რომ პოლიტიკური არმია იქმნებოდა კლასობრივი ბრძოლისა და შეტაკებების პროცესში 1917 წლის აპრილიდან ოქტომბრიდე აპრილის მანიფესტაციით, იგნისისა და ივლისის დემონსტრაციებით, რაიონულ და საერთო-საქალაქო თვითმმართველობის არჩევნებით, კორნილოვშჩინასთან ბრძოლით და საბჭოების დაპყრობის გზით: აპრილის კონფერენციის გადაწყვეტი-

ლებათა საფუძველზე პარტია აწარმოებდა უდიდეს მუშაობას მასების მიხედვის მიხედვისათვის.

ვიდრე მზად არ იყო პოლიტიკური არმია, კომუნისტური პარტია ლენინისა და სტალინის მეთაურობით შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგი იყო. ხოლო ოქტომბრის აჯანყების წინადღით, როდესაც პოლიტიკური არმიის ფორმირება უკვე დამთავრებული იყო, ვ. ლენინი, აღარებდა რა აპრილი ივლისის ვითარებას ოქტომბრის აჯანყების წინ მომხდარ ამბებს, წერდა:

„საქმის ვითარება სწორედ ისეთი არ არის, როგორც 20—21 აპრილის, 9 ივნისის, 3 ივლისის წინ იყო, რაღაც მაშინ იყო სტიქიური აღტყიანება, არმელსაც ჩვენ, როგორც პარტია, ან ვერ ვამჩნევდით (20 აპრილს), ან ვაკავებდით და ვაყალიბებდით მშვიდობიან დემონსტრაციად (9 ივნისს და 3 ივლისს). ვინაიდან ჩვენ მაშინ კარგად ვიცოდით, რომ საბჭოები ჯერ კიდევ ვ არ იყვნენ ჩვენი, რომ გლეხებს კიდევ ვ სწამდათ ლიბერლან-ჩერნოვების გზა და არა ბოლშევიკური (აჯანყების) გზა, რომ, მაშასაღამე, ხალხის უმრავლესობა შეუძლებელი იყო ჩვენს მხარეზე ყოფილიყო, რომ, მაშასაღამე, აჯანყება ნაადრევი იყო“¹.

სულ სხვანაირი მდგომარეობა შეიქმნა ოქტომბრისათვის. იმ დროისათვის მშრომელებმა უკვე გაიარეს პოლიტიკური ბრძოლის დიადი სკოლა და კომუნისტურმა პარტიამ შეძლო მებრძოლი პოლიტიკური არმიის შექმნა.

o. სტალინი წერს:

„1) პარტია ოქტომბრის მზადების მთელი პერიოდის მანძილზე თავის ბრძოლაში განუხრელად ეყრდნობოდა მასობრივი რევოლუციური მოძრაობის სტიქიურ აღმავლობას;

2) სტიქიურ აღმავლობას რომ ეყრდნობოდა, პარტია ინარჩუნებდა მოძრაობის განუყოფელ ხელმძღვანელობას;

3) მოძრაობის ასეთი ხელმძღვანელობა უადვილებდა მას მასობრივი პოლიტიკური არმიის შექმნას ოქტომბრის აჯანყებისათვის;

4) ამგვარ პოლიტიკას არ შეეძლო არ გამოიწვია ის, რომ ოქტომბრის მთელი მომზადება ჩატარდა ერთი პარტიის, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით;

5) ოქტომბრის ასეთმა მომზადებამ, თავის მხრივ, გამოიწვია ის, რომ ოქტომბრის აჯანყების შედეგად ძალაუფლება ერთი პარტიის, ბოლშევიკების პარტიის ხელში აღმოჩნდა“².

o. სტალინი წერს, რომ ერთი პარტიის, კომუნისტების პარტიის, განუყოფელი ხელმძღვანელობა წარმოადგენს ლენინიზმის ტაქტიკის პირველთავის გებურებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოძადების პერიოდში.

ამრიგად, კომუნისტების ტაქტიკის პირველი თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში არის ერთი პარტიის, ბოლშევიკების პარტიის განუ-

¹ ვ. ლენინი, თხ., ტ. 26, 1952, გვ. 240.

² o. სტალინი, თხ., ტ. 6, 1949, გვ. 436.

ყოფელი ხელმძღვანელობა. ამის გარეშე სოციალისტური რევოლუციური მოძრავება იმპერიალიზმის ვითარებაში შეუძლებელი იქნებოდა. ამავსაუკუნეების დანართის წარმატების ეს თავისებურება დადგებითად ასხვავებს ჩვენს რევოლუციის პარტიის კომუნისაგან, სადაც ხელმძღვანელობა განაწილებული იყო ორ პარტიას შორის, რომელთაგან არცერთი არ იყო კომუნისტური (ბლანკისტები და პრუდონისტები).

კომუნისტების ტაქტიკის პირველი თავისებურების შესწავლასა და მისი ცხოვრებაში გატარების გამოცდილების განზოგადებას კონკრეტული სპეციალურ-ნაციონალური პირობების გათვალისწინებით აქვს უღილესი საერთაშორისო მნიშვნელობა. მის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენ რევოლუციები სახალხო დემოკრატიის შევყენებში.

ამ პერიოდში იმპერიალიზმის ყველაზე საშიშ სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული პარტიები, ესერებისა და მენშევიკების პარტიები.

ეს პარტიის იყვნენ იმპერიალიზმისა და მშრომელი მასების შეთანხმების პარტიის.

„ბუნებრივია, რომ ბოლშევკები მაშინ მთავარ დარტყმებს მიმართავ-
ლნენ ამ პარტიების წინააღმდეგ, ვინაიდან ამ პარტიების იზოლაციის გარეშე
არ შეიძლებოდა იმპერიალიზმთან შერჩომელი მასკბის გათ იშვის იმედი
გვქონოდა, ხოლო თუ ეს გათიშვა უზრუნველყოფილი არ იქნებოდა, — არ შე-
იძლებოდა საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების იმედი გვქონოდა“¹.

1917 წელს გაჩაღდა ბრძოლა კომუნისტებსა და წერილობურებუაზიულ პარტიებს შორის მასებისათვის. ბრძოლის მსვლელობაში მეშვეოიგები და ესერები წავიდნენ ბურებუაზიასთან კოალიციაზე, ისინი სავსებით მხარს უჭირ-დნენ ღრმებითი მთავრობის ყოველგვარ კონტრრევოლუციურ ღონისძიებას.

მილიონბით შრომელი მასები საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებოდნენ მეშვეობებისა და ესტრების ანტირევოლუციურ პოლიტიკაში. კომუნისტური პარტია ყოველ ნაბიჯზე სპობდა შემთანხმებლური პარტიების გავლენას. შრომელ გლეხობაზე. მათი იზოლაციით შრომელი გლეხობისაგან, მან უზრუნველყო მუშათა და გლეხთა მტკიცე პოლიტიკური კავშირი.

„ამ პერიოდის დამახასიათებელი ნიშანია გლეხობის შურიმელი მასების შემდგომი გარევალუციურება, მათი იმედების გაცრუება ესერებისა და მენ-შევიყებისაღმი, მათი ჩამოცილება ამ პატრიტიზმისაგან, მათი შემობრუნება პირ-დატრირებულებისაკენ პროლეტარიატს, როგორც ერთადერთი ბოლომდე

რევოლუციური ძალის ირგვლივ, რომელსაც შეეძლო ქვეყნისათვის ზავის მო-
პოვება¹.

ამ პერიოდის ისტორია, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — არის ისტო-
რია, ერთი მხრით, ესერებისა და მენშევიკების, ხოლო, მეორე მხრით, კომუ-
ნისტების ბრძოლისა გლეხობის მშრომელი მასებისათვის, ამ მასების მიმხრო-
ბისათვის.

ამხანაგი სტალინი ხაზს უსვამს, რომ ამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტეს კო-
ლიციურმა პერიოდმა, კერებშინის პერიოდმა, ესერებისა და მენშევიკების
მიერ მემატულეთა მიწების კონფისკაციაზე უარის თქმამ, ესერებისა და მენ-
შევიკების ბრძოლამ ომის განგრძობისათვის, ფრონტზე შეტევამ ივნისში, ჯა-
რისკაცთათვის სიკვდილით დასჯის შემოღებამ და კარრილოვის აჯანყებამ.

ამ მოვლენებმა ბრძოლის ბედი გადაწყვიტეს მხოლოდ და მხოლოდ
ლენინზმის სტრატეგიის სასარგებლოდ.

„ამრიგად, მენშევიკებისა და ესერების პარტიების იზოლაცია, როგორც
ძირითადი ხაზი ოქტომბრის მომზადების საჭმის ხელმძღვანელობაში, — ასე-
თია ბოლშევიკების ტაქტიკის მეორე თავისებურება.

არა გვგნია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ბოლშევიკების ტაქტიკის
ამ თავისებურების გარეშე მუშათა კრასისა და გლეხობის მშრომელი მასების
ძაგლირი ჰავერში გამოკიდებული დარჩებოდა².

ი. სტალინმა მყაფიოდ და ნათლად ჩამოაყალიბა ლენინზმის ძირითადი-
სტრატეგიული კანონი.

1) რევოლუციის მტრების ყველაზე საშიშ სოციალურ დასაყრდენს
მოახლოვებული რევოლუციური აფეთქების პერიოდში წარმოადგენენ შემ-
თ ან მე ბლუ რი პარტიები;

2) მტრის (ცარიზმის ან ბურჟუაზიის) დამხობა შეუძლებელია ამ პარტიე-
ბის იზოლაციის გარეშე;

3) ამიტომ რევოლუციის მომზადების პერიოდში მთავარი ისრები მიმარ-
თული უნდა იყოს ამ პარტიების იზოლაციისაკენ, მათგან მშრომელთა ფართო
მასების ჩამოშორებისაკენ³.

ი. სტალინის ეს მითითებები ამჟამადაც წარმოადგენენ ბასრ იარაღს ყვე-
ლა ქვეყნის კომუნისტებისათვის მათს ბრძოლაში მასების მისამხრობად,
მშრომელთა მტრებზე გამარჯვებისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის.

შემთანხმებლური მემარჯვენე სოციალისტური პარტიების მშრომელი მა-
სებისაგან ჩამოცილებისათვის ბრძოლა წარმოადგენს კომუნისტური პარტიე-
ბის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მე სამე თავისებურება — კომუნისტური პარტიის ტაქტიკის ერთ-
ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში

¹ ი. სტალინი, თხ, ტ. 6, 1949, გვ. 439.

² იქვე, გვ. 440.

³ იქვე, გვ. 437.

იყო ბრძოლა იმისათვის, რომ საბჭოები მასების მობილიზაციის ორგანიზებული
დან ძალაუფლების ორგანოებად გადაქცეულიყო.

ლენინმა და სტალინმა განსაზღვრეს საბჭოების ისტორიული როლი, რო-
გორც ჯანების ორგანოები, ახალი რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახი.

ვ. ლენინი „წერილებში შორიდან“ ხახს უსვამდა, რომ საბჭოების შექმნა
ჭარმოადგენს კომუნისტების უმნიშვნელოვანეს, უპირველეს, გადაუდებელ
ამოცანას.

ი. სტალინი თავის სტატიაში „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბ-
ჭოების შესახებ“ აგრეთვე მიუთითებდა საბჭოების უდიდეს რევოლუციურ
მნიშვნელობაზე. იგი წერდა:

„განამტკიცონ ეს საბჭოები, ყველვან მოაწყონ ისინი, ერთმანეთთან დაა-
კავშირონ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალური საბჭოს, რო-
გორც ხალხის რევოლუციური ხელისუფლების ორგანოს, მეთაურობით, —
აი ჩა მიმართულებით უნდა მუშაობდნენ რევოლუციური სოციალ-დემო-
კრატები“¹.

ვ. ლენინმა თავის განთქმულ პპრილის თეზისებში, გაითვალისწინა რა
პარიზის კომუნის, 1905 წლისა და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გა-
მოცდილება, აღმოაჩინა საბჭოები როგორც პროლეტარიატის დიქტატურის
სახელმწიფოებრივი ფორმა.

„...საბჭოების რესპუბლიკა, — ამბობდა ი. სტალინი, — არის ის ნაძებნი
და, ბოლოს, ნაპოვნი პოლიტიკური ფორმა, რომლის ჩარჩოებში უნდა მოხდეს
პროლეტარიატის ეკონომიკური განთავისუფლება, სოციალიზმის სრული გა-
მარჯვება.

პარიზის კომუნა ამ ფორმის ჩანასახი იყო. საბჭოთა ხელისუფლება მის
განვითარებას და დამთავრებას ჭარმოადგენს“².

საბჭოები — ლენინისა და სტალინის მოძღვრების თანახმად — ეს არის
გიგანტური ნაბიჯი დემოკრატიზმის განვითარებაში, საბჭოები — არის ნამ-
დვილი დემოკრატია ექსპლოატირებულთათვის, იგი არის სოციალისტური დე-
მოკრატის უმაღლესი ტიპი. საბჭოები არის ახალი სახელმწიფოებრივი პა-
რატი, რომელიც გვაძლევს მუშათა და გლეხთა შეიარაღებულ ძალებს, აპარა-
ტი, რომელიც ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული შშჩომელთა ფართო
მასებთან. ეს აპარატი შესაძლებლობას აძლევს რევოლუციის ავანგარდს აღ-
ზარდოს და თან წაიკვანოს მშრომელთა მილიონიანი მასები.

საბჭოები ასწავლიან მშრომელებს სახელმწიფოს მართვას.

ა. რატომ, როგორც აღნიშვნა სტალინი, ჩასჭიდეს ხელი ლენინელებმა
საბჭოებს, როგორც ძირითად ორგანიზაციულ რგოლს, რომელსაც შეეძლო
ოქტომბრის რევოლუციის ორგანიზაციის გაადვილება და პროლეტარული სა-
ხელმწიფოებრიობის ახალი ძლიერი აპარატის შექმნა.

ლოზუნგმა „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ — აღნიშნავს ი. სტალინი,

¹ ი. სტალინი, თხ., ტ. 3, 1948, გვ. 2

² ი. სტალინი, თხ., ტ. 6, 1949, გვ. 141.

მისი შინაგანი განვითარების თვალსაზრისით, ორი სტადია განვლო: პირველი ბოლშევიკების დამარცხებამდე ივლისში და მეორე — კორნილოვის უფლებამდე ბის დამარცხების შემდეგ.

განვითარების პირველ სტადიაზე ეს ლოზუნგი ნიშნავდა მენშევიკებისა და ესერების ბლოკის გაწყვეტას კადეტებთან, საბჭოთა მთავრობის შედგენას მენშევიკებისა და ესერებისაგან და თავისუფალი აგიტაციის უფლებას ოპოზიციისათვის (ლენინელებისათვის) საბჭოების შიგნით პარტიების თავისუფალი ბრძოლის ვარაუდით.

ლენინელები არ მოუწოდებდნენ მასებს დაუყოვნებლივი შეიარაღებული აჯანყებისაკენ იმიტომ, რომ ამ დროისათვის დროებითი მთავრობა ჯერ კი-დევ სარგებლობდა ნდობით საბჭოებში. ისინა იმედს ამყარებდნენ თავისუფალი აგიტაციის გამოყენებაზე საბჭოების დაპყრობისა და მთავრობის შემაღენლობის რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გზით შეცვლის საქმეში.

ეს გეგმა არ ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურას და აადვილებდა დიქტატურის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების მომზღებას.

იყლისის მოვლენების შემდეგ ძირფესვაინად შეცვლილი პოლიტიკური მდგომარეობა მოითხოვდა პარტიისაგან ახალი ტაქტიკისა და ლოზუნგების გამომუშავებას. ამ ამოცანის გადასაჭრელად შეიცრიბა პარტიის VI ყრილობა. ყრილობამ პარტიას გეზი მისცა შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ. ი. სტალინი პარტიის VI ყრილობაზე ამბობდა:

„...ლოზუნგი რევოლუციური დაწესებულების ორგანიზაციის ფორმით კი არ განისაზღვრება, არამედ იმ შინაარსით, რომელიც მოცემული დაწესებულების სისხლსა და ხორცს შეადგენს. საბჭოების შემაღენლობაში კადეტები რომ შედიოდნენ, ჩვენ არასოდეს არ წამოვაყენებდით მათვის ძალაუფლების გადაცემის ლოზუნგს.

ახლა ჩვენ ვაყენებთ პროლეტარიატისა და ულაზიბესი გლეხობის ხელში ძალაუფლების გადაცემის ლოზუნგს. მაშასაღამე, საქმე, ფორმა კი არ არის, არამედ ის, თუ რომელ კლასს გადაცემა ძალაუფლება, საქმე საბჭოების შემაღენლობაა¹.

პოლიტიკურ მოვლენათა მსგლელობამ დაადასტურა პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა სისწორე.

12 აგვისტოს მოსკოვში დროებითი მთავრობის მიერ მოწვევულ იქნა სახელმწიფო თაბირი. ამ თაბირის შემდეგ კონტრრევოლუცია მობილიზაციას უკეთებს (პერებს) თავის ძალებს და აწყობს კონტრრევოლუციურ შეთქმულებას კორნილოვის ხელმძღვანელობით. მაგრამ კორნილოვის შეთქმულება განადგურებულ იქნა. კორნილოვშინის განადგურებამ გვიჩვენა, რომ კომუნისტური პარტია გადაიქცა რევოლუციის გადამწყვეტ ძალად. ის არ იყო მმართველი პარტია, მაგრამ ამ დღეებში მოქმედებდა ჩოგორუ ნამდვილი მმართველი პარტია.

„...კორნილოვშჩინის განაღურებამ ცხადყო, რომ თითქოს მომევთამ
საბჭოები სინამდვილეში ჩეკოლუციური წინააღმდეგობის გაწევის უნდა დაითვა-
ძალას შეიცვლნენ. უკველი იყო, რომ სწორედ საბჭოებმა და მათმა რევგო-
მებმა გადაუღობეს გზა კორნილოვის ჯარებს და გასტეხეს მათი ძალები.

კორნილებშინასთან ბრძოლამ გამოაცოცხელა მუშათა და ჯარისკაცთა დღესუტატების საბჭოები, რომლებიც ის იყო დაუძლურების გზას დაადგნენ, გაანთვავისუფლა ისინი შემთანხმებლური პოლიტიკის ტყვეობიდან, 'გამოიყვანა ისინი რევოლუციური ბრძოლის ფართზე გზაზე და მოაბრუნა ბოლშევიკური პარტიისაკენ“¹.

კორნილოვშჩინასთან ბრძოლაშ საშუალება მისცა ლენინელებს განემტკა-
ცებინათ თავისი გავლენა საბჭოებში. პეტროგრადისა და მოსკოვის საბჭოების
ბოლშევიზაცია ნიშნავდა იმას, რომ წარმატებითი აჯანყებისათვის აუცილებე-
ლი, ძირითადი წინამძღვრები უკვე მიმწიფებული იყო.

ახალ პირობებში, იცლისის მოყლევების შემდეგ, ღრმებით მოხსნილი ლოზუნები „მთელი ძალაუფლება საბორებს“ კვლავ დადგა დღის წესრიგში.

ეს ლოზუნგი მძიმი განვითარების მეორე სტადიაზე ძირდესვინად შეიცვალა. მეორე ეტაპზე ის ნიშნავდა სრულ გათიშვას იმპერიალიზმთან, საბჭო-ბის აჯანყებას ღრმობითი მთავრობის წინააღმდეგ, ძალაუფლების გადაცემას საბჭოების ხელში, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ.

ეს ლოზუნგი მოახდევებდა რევოლუციის პირდაპირ მისვლას პროლეტა-რიატის დიქტატურასთან აჯანყების გზით, უფრო მეტიც, ის ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზაციის და სახელმწიფოებრივ გაფორმებას.

3. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ კომუნისტებს, რომლებმაც უმრავლესობა
მიიღეს ორივე დედაქალაქის საბჭოებში, შეუძლიათ და უნდა იღონ კიდევ
ხელში სახელმწიფო ძალაუფლება.

ვ. ლენინი, ახასიათებდა რა საბჭოებს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, რეპ (ბ) VII ყრილობაზე მმბობდა:

„რესეტის რევოლუციის სახალხო შეძლებების, რომელმაც გაიარა 1905 წლის დიადი გამოცდილება, ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვალში რომ არ შეექმნა საბჭოები, ისინა ვერავთარ შემთხვევაში ვერ შეძლებდნენ ძალა-უფლების აღებას ოქტომბერში, რაღაც წარმატება დამოკიდებული იყო მხო-ლოდ იმ მოძრაობის უკვე მზამზარეული ორგანიზაციული ფორმების აჩვებო-ბაზე, რომელიც მილიონებს მოედო. ეს მზა ფორმა იყო საბჭოები, და ამიტო-მაც პოლიტიკურ დარგში ჩვენ მოგველოდა ის ბრწყინვალე წარმატებან, ის განუწყვეტელი ტრიუმფალური მსვლელობა, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, ვი-ნაიდან პოლიტიკური ხელისუფლების ახალი ფორმა მზად იყო, და ჩვენ ისლა-ვერჩებოდა, რომ საბჭოების ხელისუფლება იმ ეგბრიონალური მდგომარეობი-სან, რომელშიც იგი იმყოფებოდა რევოლუციის პირველ ოვეებში, რამდენა-

¹ „საქ. ქ. 3. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი“, 1950, 83. 240.

მე დეკრეტით გადავყექცია რუსეთის სახელმწიფოში დამკაიღრებული კულტურული ნინიერად აღიარებულ ფორმად — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში დაიმსახურება

ლენინი და სტალინი სასტიკად აკრიტიკებდნენ კ. კაუცის ანტიმეცნიერულ შეხედულებებს საბჭობის სახელმწიფო ძალაუფლებად გადაქცევის უარყოფის შესახებ.

„სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოებად საბჭოების გადაქცევის ტაქტიკის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ის იყო, რომ იგი თიშვადა იმპერიალიზმისა-გან მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს, სახელს უტეხდა მენშევიკებისა და ესერებს პარტიებს, როგორც იმპერიალიზმის იარაღს, და ეს მასები, მა-კომუნისტები, პირდაპირი გზით მიჰყავდა პროლეტარიატის დიქტატურასთან.

ამრიგად, სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოებად საბჭოების გადაქცევის პოლიტიკა, როგორც შემთანხმებლური პარტიების იზოლაციისა და პროლეტარიატის ღიერტატურის გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობა, — ასეთია ბოლშევიკების ტაქტიკის შესამე თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში².

მეოთხე თავისებურება — 1923 წლის ი. სტალინმა გამოაქვეყნა
სტატია „რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებისათვის“. შემოქმედებითი მარქსიზმის აღ შესანიშნავ ნაწარმოებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკითხებს ლოზუნების შესახებ.

სტალინის განსაზღვრით, არსებობს აგიტაციის ლოზუნგი და მოქმედების ლოზუნგი, რომელთა ერთმანეთში აჩევა არ შეიძლება, სახიფათოა.

o. სტალინი ხაზს უსვამს:

„ლოზუნგების არევა დირექტივებში, ან აგიტაციის ლოზუნგის არევა მოქმედების ლოზუნგში, ისევე სახიფათოა, როგორც სახიფათოა, ხოლო ზოგჯერ დამღუცველიცაა ნაადრევი თუ დაგვიანებული გამოსვლები“.

მაგალითად, ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ პრილის დასაწყისში იყო პროპაგანდის ლოზუნგი, ივნისში იგი გადაიქცა აგიტაციის ლოზუნგად, ოქტომბერში გადაიქცა მოქმედების ლოზუნგად, ხოლო ოქტომბერის დასასრულს იგი გადაიქცა დირექტივად.

„ს ტრატეგიის და ტაქტიკის ისტორიაში მდგომარეობს, რომ მოხერხებულად და თავის დროზე აქციის აგიტაციის ლოზუნგი მოქმედების ლოზუნგად, მოქმედების ლოზუნგიც აგრეთვე თავის დროზე და მოხერხებულად ჩამოასხას გარკვეულ კონკრეტულ დირექტივებიც“.

მაგრამ მასების დარწმუნებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ პროპა-
განდა და აგიტაცია, ამისათვის აუცილებელია ოვით მასების საკუთარი პოლა-
ტიკური გამოცდილება, — აუცილებელია, რომ მილიონობით მასებმა თვით-

¹ 3. ଅମ୍ବାବନ, ତରିକା, ପୃ. 27, 1952, ୩୩: ୯୦-୯୧.

² ନୀତିବାଙ୍ମିଳୀ, ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ ଅଧିକାରୀ, ପର୍ଯ୍ୟନ୍ତ ଅଧିକାରୀ, ୧୯୫୧, ୩୩, ୪୪୪.

³ ଉ. ପର୍ମାଣୁନୀ, ତଥ୍. ୧, ୫୩, ୧୮୯, ୧୯୦.

१८३०, ४३, ७२.

გამოსცადონ თავიანთი საკუთარი გამოცდილებით ძველი წყობილების ფარმაცეუტიკული ბისა და ახალი პოლიტიკური წყობილების დამყარების გარდუვალობაზე მიმდინარეობდა.

არ იყო საკმარისი, მაგალითად, ის, რომ პარტია დარწმუნდა დროებით მთავრობის დამხობის გარდუვალობაში 1917 წლის აპრილში. ფორმულის „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ გადასაქცევად პერსპექტივი ვიდი ან საღლე ისო ლოზუნგი ნგად აუცილებელი იყო გადამწყვეტი ფაქტორი, რომ თვით მასები დარწმუნებულიყვნენ ამ ლოზუნგის სისწორეში და აღმოჩენათ პარტიისათვის მხარდაჭერა მისი ცხოვრებაში გასატარებლად.

o. სტალინი გვასწავლის, რომ უნდა განვასხვავოთ ფორმულა, როგორც უახლოესი მომავლის პერსპექტივა, და ფორმულა, როგორც საღლე ისო ლოზუნგი ნგა.

1917 წლის აპრილში კომუნისტურმა პარტიამ კარგად იცოდა, რომ დროებითი მთავრობის არსებობა შეუთასებელია საბჭოების მოღვაწეობასთან, რომ ძალაუფლება უნდა გადავიდეს საბჭოების ხელში, მაგრამ ლენინმა გადაჭრით გაილაშერა ბაგდატივების ჯგუფის წინააღმდეგ, როდესაც მან წამოაყენა ლოზუნგი „ძირს დროებით მთავრობა, მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ იმიტომ, რომ მშრომელთა ფართო მასები და თვით საბჭოები არ იყვნენ მზად ამ ლოზუნგის, როგორც სადღეისო ლოზუნგის, გამოყენებისათვის.

„...საქმე სრულებითაც ის კი არ არის, რომ „პირველმა“ წამოიძახო, წინ წაირჩინო და ჩამალო რევოლუციის საქმე, არამედ ის, რომ თავის დროზე სთქვა, ამასთან სთქვა ისე, რომ ნათქვამს ხელი ჩასჭიდონ მასებმა და საქმე და აქციით ივი“¹.

თავის გენიალურ ნაშრომში „ოქტომბრის რევოლუცია და რესი კომუნისტების ტაქტიკა“ o. სტალინმა მკაფიოდ განსაზღვრა, თუ როგორ და რატომ ახერხებდნენ ლენინელები გადაექციათ თავიანთი პარტიული ლოზუნგები მილიონიანი მასების ლოზუნგებად, როგორ ახერხებდნენ კომუნისტები მშრომელი მასების დარწმუნებას თავისი პოლიტიკის სისწორეში.

„ოქტომბრის მომზადების პერიოდში ბოლშევიკების ტაქტიკის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ახერხებდა სისწორით დაესახა ის გზები და მოსახვევები, რომლებსაც მასები ბუნებრივად მიჰყავთ პარტიის ლოზუნგებთან, ასე ვთქვათ, თვით რევოლუციის ზღურბლთან, და რომლებიც, ამრიგად, უაღვილებენ მასებს საკუთარი გამოცდილებით შეიგრძნონ, შეამოწმონ და შეიცნონ ამ ლოზუნგების სისწორე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ბოლშევიკების ტაქტიკის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთმანეთში არ უჩევს ხელმძღვანელობას პარტიის მიმართ და ხელმძღვანელობას მასების მიმართ“².

პარტიისა და მილიონობით მასების ხელმძღვანელობის შესახებ ამ დებუ-

¹ o. სტალინი, თბ., ტ. 9, 1949, გვ. 384.

² o. სტალინი, თბ., ტ. 6, 1949, გვ. 445.

ლების საილუსტრაციოდ ო. სტალინს მოპყავს კომუნისტების ტაქტიკაზე ფუნქციების კრების მიმართ.

შესლებული

როგორც ცნობილია, დამფუძნებელი კრება იყო ბურჟუაზიული პარლამენტი და ძირიესვიანად ეწინააღმდეგებოდა საბჭოების რესპუბლიკის საფუძვლებს. ლენინელები, იცავდნენ რა ლოგიზმს „საბჭოების რესპუბლიკა თავიდან ბოლომდე“, ამასთანავე მოითხოვდნენ დროებითი მთავრობისაგან დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას. ლენინელები ამხილებდნენ დროებით მთავრობას იმაში, რომ იგი ავიანურებდა დამფუძნებელი კრების მოწვევას. მუშათა საფაბრიკო და საქართველო კრებებზე გამოჰქონდათ რეზოლუციები დამფუძნებელი კრების მოწვევის გადაჭრითი მოთხოვნით. კომუნისტებმა მონაწილეობა მიიღეს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. კომუნისტები ოქტომბრის რევოლუციამდე და მის შემდეგ უშვებდნენ საბჭოების რესპუბლიკისა და დამფუძნებელი კრების დროებითი კომბინაციის შესაძლებლობას. კომუნისტების ეს ტაქტიკა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებს ძალიან უცნაურად ეჩვენებოდათ. მათ დაიწყეს იმის მტკიცება, ვითომდა ლენინელებს არ ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა საბჭოთა სისტემის არსზე, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციაზე. ამხილებდა რა კ. კაუცისა და კომპანიის ცილისმწამებლურ დებულებებს, ვ. ლენინი წერდა:

„ეს ბურჟუაზიული სიცრულეა. ნამდვილად მე უკვე 1917 წ. 4 აპრილს, პეტროგრადში ჩამოსვლის პირველ დღესვე, წამოვაყენე „თეზისები“, სადაც მოვითხოვდი ს ა ბ ჭ ი თ ა რესპუბლიკას და არა ბ უ რ უ ა ზ ი უ ლ - პ ა რ ლ ა-მ ე ნ ტ უ რ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ს. კერძნების დროს მე ეს მრავალჯერ გავიმეორე პრესაში და კრებებზე. ბოლშვიკების პარტიამ საქვეყნოდ და ოფიციალურად განაცხადა ეს თავისი კონფერენციის გადაწყვეტილებებში 1917 წლის 29 აპრილს. ამის არ ცოდნა იმას ნიშნავს, რომ არ გინდოდ ეს სიმართლე იცოდე რუსეთის სოციალისტური რევოლუციის შესახებ. ვისაც არა სურს გაიგოს, რომ ბურჟუაზიულ-პარლამენტური რესპუბლიკა დამფუძნებელი კრებითურთ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ასეთივე რესპუბლიკასთან შედარებით, რომელსაც დამფუძნებელი კრება არა აქვს, ხოლო ს ა ბ ჭ ი თ ა რესპუბლიკა წინგადადგმული ორი ნაბიჯია მასთან შედარებით, ვისაც ამის გაეგება არა სურს, ის თვალს ხუჭავს განსხვავებაზე ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის“¹.

ეხებოდა რა დამფუძნებელი კრების არჩევნებში ჩვენს მონაწილეობას, ვ. ლენინი წერდა, რომ ჩვენ, კომუნისტები, მონაწილეობას ვღებულობდით დამფუძნებელი კრების არჩევნებში 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, შეუხედავად იმისა, რომ რუსმა კომუნისტებმა იცოდნენ, რომ რუსეთში პარლამენტარიზმი პოლიტიკურად დრომოქმული იყო, ვინაიდან საქმე იმაში კი არ არის, დიდი ხანია თუ არა—რაც ასებოდენ ბურჟუაზიული პარლამენტები, არამედ იმაში, თუ რამდენად მ ზ ა დ ა რ ი ა ნ მ შ რ ი მ ე ლ თ ა ფ ა რ თ მ მასები მიიღონ საბჭოთა წყობილება და გარეკონ ან დაუშვან ბურჟუაზიული დემო-

¹ ვ. ლენინი, თხ. ტ. 29, 1952, გვ. 589.

კრატიული პარლამენტის გარეკვა, რომ რუსეთში სექტემბერ-ოქტომბერში /
შერჩევები მასები, განსაკუთრებული პირობების გამო, იშვიათად იყოფნა-წრიმოვა
ზაღებული საბჭოთა წყობილების მიღებისათვის და თვით დემოკრატიულ-
ბურჟუაზიული პარლამენტის გარეკვისათვის. მიუხედავად ამისა, კომუნის-
ტებს არ გამოუცხადებიათ ბოკოკორი დამფუძნებელი კრებისათვის, მონაწილე-
ობდნენ არჩევნებში პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების და-
პურობამდე და მის შემდეგაც.

კითხვაზე, თუ რატომ იბრძონენ ლენინელები 1917 წელს საბჭოების ძალაუფლებისათვის და ამავე დროს აშოროებდნენ კამპანიას დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივი მოწვევისათვის, ი. სტალინი გვასწვლის:

„1) დამფუძნებელი კრების იღეა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იღეა იყო მოსახლეობის ფართო მასებში;

2) დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივი მოწვევის ლოგუნგი აადგი-
ლებდა დროებითი მთავრობის კონტროლერვოლუციური ბუნების მხილებას;

3) ხალხის მასების თვალში დამტურნებელი კრების იდეის სახელის გასა-
ტეხად საჭირო იყო ამ მასების მიუვანა დამტურნებელი კრების კედლებთან —
მიწის, ზევის, საბჭოების ძალაუფლების მოთხოვნით, რაც, ამგვარად, შეატა-
კებდა მათ ნამდვილ და ცოტხალ დამტურნებელ კრებასთან;

4) მხოლოდ ამ ვზით შეიძლებოდა გაგვეადვილებინა მასებისათვის საკუთარი გამოცდილებით დაწმუნებულიყვნენ დამფუძნებელი კრების კონტრ-რეგიონული რეგიონის და მისი გარეკვის უცილებლობაში;

5) ყოველივე ეს, ბუნებრივად, გულისხმობდა საბჭოების რესპუბლიკისა და დამფუძნებელი კრების ღრმობითი კომბინაციის დაშვების შესაძლებლობას, როგორც დამთურნებული კრების დაწლვის ერთ-ერთ საშუალებას;

6) ასეთი კომბინაცია, თუკი იგი განხორციელდებოდა საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასცვლის პირზე, მოასწავებდა მხოლოდ დამუქმნებელი კრების დაკვემდებარებას საბჭოებისადმი, მის გადაქცევას საბჭოების რანამატად, მის უმტკივნეულო კვლებას¹

„ამრიგად, უნარი მასების დარწმუნებისა, მათი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, პარტიული ლოზუნების სისწორეში ამ მასების მიყვანით ჩევოლუციურ პოზიციებთან, როგორც პარტიის მხარეზე მიღიონობით მშრომელთა

ପ୍ରଦୀପ କାଳିନାଥ, ପତ୍ରକ୍ଷେତ୍ର, ପ୍ରଦୀପ, ୧୯୫୩, ୪୪୬.

დადმოყვანის უმნიშვნელოვანესი პირობა, — ასეთია ბოლშევიკების ტაქტიზის ტაქტიზის მეოთხე თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში¹. ცისლიის ტაქტიზის მეოთხე თავისებურება ოქტომბრის მომზადების პერიოდში¹.

ლენინ-სტალინის პარტიის ტაქტიზის ეს თავისებურება, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განარჯვების საქმეში, იყო, არის და იქნება გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების მოღვაწეობაში მშრომელი მასების თავის მხარეზე მიმხრობისათვის.

* * *

ამრიგად, ლენინ-სტალინის დიადი პარტია იყენებდა ყველა და ყოველგვარ პირობას რევოლუციის წარმატებით გატარებისათვის. კომუნისტების ც. კ.-ის 1917 წლის 10 ოქტომბრის ისტორიული გადაწყვეტილება აჯანყების შესახებ მიუთითებს, რომ რუსეთის რევოლუციის საერთაშორისო მდგომარეობაც — მთელს ევროპაში მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ზრდა, სამხედრო მდგომარეობაც — ბურჟუაზიის გადაწყვეტილება ჩაებარებინათ პიტერი, მოწვიათ უცხოეთის იმპერიალიზმის ჯარები რევოლუციის ჩასახშობად, ლენინელების მიერ საბჭოებში უმრავლესობის მოპოვებაც, რაც მიღებულ იქნა გლეხთა აჯანყებებსა და ხალხთა ნდობის კომუნისტური პარტიისაკენ მობრუნებასთან დაკავშირებით, მეორე კორნილოვშინის აშკარა მომზადებაც, — ყველაფერი ეს დღის წესრიგში იყენებს შეიარაღებულ აჯანყებას. ამიტომ ამ სხდომაზე გადაწყდა უახლოეს დღეებში ღაწყებულიყო შეიარაღებული აჯანყება.

ლენინმა და სტალინმა გენიალურად გაითვალისწინეს აჯანყების მომენტი, როდესაც ძალაუფლების მერყეობამ, კრიზისმა და დაბნეულობამ რევოლუციის მოწინააღმდეგების რიგებში მიაღწია უმაღლეს წერტილს, როდესაც მერწვეოკებმა და ესერებმა განიცადეს სრული მარცხი, შეირცხვინეს და გამოიმუღავნეს თავი მშრომელი მასების წინაშე, რომლებიც სწრაფად გადადიოდნენ კომუნისტების მხარეზე.

16 ოქტომბერს შედგა პარტიის ც. კ.-ის გაფართოებული სხდომა, რომელზეც არჩეულ იქნა პარტიული ცენტრი აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ამხანაგ ი. სტალინის მეთაურობით.

გამცემლებმა ზინოვიევმა და კამენევმა გამოაქვეყნეს მენშევიურ გაზეთში განცხადება კომუნისტების მიერ შესაბლებელი აჯანყების მომზადების შესახებ და, ამგვარად, გაუმდევნეს მტრებს კომუნისტების გეგმები. ეს ღალატი იყო. მაგრამ ვერაც მოღალატეებს ბურჟუაზის გადარჩენა დაღუპვისაგან არ შეეძლოთ.

24 ოქტომბერს ლენინი მოითხოვდა არ დატოვებინათ ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელში 25-მდე და საქმე უნდა მომხდარიყო საღამოს ან ღამით.

24 ოქტომბერს დილით კერძნებიმ გასცა ბრძანება პარტიის ცენტრალური ორგანოს „რაბოჩი პუტის“ დახურვის შესახებ და ჯავშნიანი ავტომობილები

¹ ი. სტალინი, თბ., ტ. 6, გვ. 450.

გაგზავნა რედაქციისა და სტამბის შენობასთან. მაგრამ დილის 10 სააფექტოფენების ი. სტალინის მითითებით წითელგვარდიელებმა და რევოლუციურმა პუნქტონიურმა ცებმა უკან დახევინეს კერძნების ჯავშნოსან ავტომობილებს და რედაქციასთან გაძლიერებული მცველი რაზმი დაყენეს.

დილის 11 საათისათვის გამოვიდა „რაბოჩი პუტ“ სტალინის მიერ დაწერილი მოწინავე სტატიით „რა გვესაჭიროება ჩვენ?“ მოწოდებით — დაემხოთ ღრმებით მთავრობა.

აჯანყება დაიწყო 24 ოქტომბერს. რევოლუციის მტრების კონტრდარტყმები უკუგდებულ იქნა — აჯანყების გაიმარჯვა. 25 ოქტომბერს საღამოს გაიხსნა საბჭოების II ყრილობა. ყრილობის სახელით გამოცხადებულ იქნა, რომ მთელი ძალაუფლება გადადის საბჭოების ხელში.

„1917 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის იანვარ-თებერვლამდე საბჭოთა რევოლუცია უკვე გავრცელდა მთელ ჩვენს ქვეყანაში. ვეებერთელა ქვეყნის ტერიტორიაზე საბჭოების ძალაუფლების გავრცელება ისეთი სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, რომ ლენინმა მას საბჭოთა ხელისუფლების „ტრიუმფალური მარში“ უწოდა.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა¹.

ოქტომბრის რევოლუციით წარმოშობილმა საბჭოთა საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ ურყევი ფაქტებით დაამტკიცა თავისი გაღამწვეტი უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

35 წლის მანძილზე, განსაკუთრებით სტალინური ხუთწლედების განმავლობაში, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობამ ისეთი პროგრესი განიცადა, რომლის მისაღწვევად კაპიტალისტურ ქვეყნებს საუკუნეები დასჭირდებოდა.

წარმატებით ხორციელდება ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმა. მწყობრში ჩადგა ვ. ლენინის სახელობის ვოლგა—დონის სანაოსნო არხი, წარმატებით მიმღინარეობს პიდროელექტროსადგურების მშენებლობა ვოლგაზე, დონზე, ღნეპრისა და ამუ-დარიაზე; კომპლექსურად შენდება გიგანტური არხები, სარწყავი სისტემები, რომლებიც მორწყავენ და წყლით უზრუნველყოფენ ვოლგის იქითა მხარის, სამხრეთ უკრაინის, ჩრდილოეთ ყირიმის, კასპიის სირეთის, შუაზიისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ვრცელი ტერიტორიის მილიონობით ჰექტარ მიწას.

მესუთე ხუთწლიანი გეგმის დინერტივებში, რომელიც დაამტკიცა პარტიის XIX ყრილობამ, მკაფიო გამოხატულება პოვა ამხანაგ სტალინის მიერ აღმოჩენილმა, მეცნიერულად დასაბუთებულმა სოციალიზმის ძირითადმა ეკონომიკურმა კანონმა.

ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულება დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის განვითარების გზაზე.

¹ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი“, 1950, გვ. 261.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოცდილზემოგზით და დესი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნის მშრომელთათვის, ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიისათვის. ეს გამოცდილება განხოგადებული და შეჯამებულა ლენინისა და სტალინის უკვდავ შრომებში.

ლენინის სტრატეგიისა და ტაქტიკის ყოვლისძლე ძალა განმტკიცებულია სამი რევოლუციის გამოცდილებით. ამ მეცნიერული სტრატეგიისა და ტაქტიკის საფუძველზე მოპოვებულ იქნა უდიდესი მიღწევები კომუნისტის გამარჯვებისათვის მტკიცე საძირკვლების შექმნის საქმეში. ლენინ-სტალინის პარტიის სტრატეგიასა და ტაქტიკას აქვს უდიდესი საერთაშორისო-ინტერნაციონალური მნიშვნელობა. ი. სტალინი წერს:

„...ყოველი ქვეყნის კომუნისტური პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა შეიძლება სწორი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ჩაიკერტბიან „თავისი“ ქვეყნის, „თავისი“ სამშობლოს, „თავისი“ პროლეტარიატის ინტერესების წრეში,— არამედ პირიქით, თავისი ქვეყნის პირობებსა და კითარებას რომ ითვალისწინებენ, უპირველეს აღგილზე აყენებენ საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს, სხვა ქვეყნების რევოლუციის ინტერესებს, ე. ი. თუ ისინი არსებოთად, თავისი სულისკვეთებით ინტერნაციონალისტური არიან, თუ ისინი ატარებენ „იმის მაქსიმუმს, როს განხორციელებაც ერთ (თავის) ქვეყანაშია შესაძლებელი, ყველა ქვეყანაში რევოლუციის განვითარების, მხარდაჭერის, გაღვივების მიზნით“¹.

ლენინისა და სტალინის მოძღვრება სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ წარმოადგენს სახელმძღვანელოს მოქმედებისათვის ყველა მოძმე კომუნისტური პარტიისათვის.

ი. სტალინმა მიუთითა, რომ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაარღვია. იმპერიალიზმის საერთაშორისო ფრონტი, რომ ოქტომბრის რევოლუცია ნაციონალური ძალიდან გადაიქცა საერთაშორისო ძალად, ხოლო რუსი მუშები საერთაშორისო პროლეტარიატის ჩამორჩენილი რაზმიდან მის ავანგარდად, რომელიც თავისი თავდადებული ბრძოლით აღიძებს დასავლეთის მუშებს და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, იყენებენ რა საბჭოთა კავშირის მდიდარ გამოცდილებას, განუხრელად მიღიან წინ სოციალიზმის გზით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ცოცხლობს და იმარჯვებს ჩვენი სახელმოვანი კომუნისტური პარტიის საქმეებში, საბჭოთა კავშირის გმირი ხალხის საქმეებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, მისი ცხოველმყოფელი იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ სოციალისტურ მშენებლობაში, რომელიც წარმოებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ცოცხლობენ და იმარჯვებენ დიდი ჩინელი ხალხის ისტორიულ წინსვლაში, გერმანიის მშეიღბებისმოყვარე დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასა და განმტკიცებაში, რომლის შესახებ

¹ ი. სტალინი, თხ. ტ. 5, 1949, გვ. 87.

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, „გერმანიის დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე რესპუბლიკის შექმნა მობრუნების პუნქტია ევროპის ისტორიაში“—ოქტომბერის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მომხრეთა ბრძოლაში — იმპერიალისტური აგრესის ძალების წინააღმდეგ, ახალი ობის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

ლენინისა და სტალინის მეცნიერული თეორია სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების ხელში წარმოადგენს ბასრ იარაღს მშრომელი მასების გასათავისუფლებლად კაპიტალიზმის უღლისაგან.

ლენინი და სტალინი ყოველთვის ასწავლიდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს, რომ ბურჟუაზია ეყრდნობა თავის აგენტურას მუშათა მოძრაობაში, რომ ამ მოდარაჯე ქოფაების გარეშე, ოპორტუნისტების გარეშე — მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების გარეშე, ბურჟუაზია დიდი ხნით აღრე ჩაბარდებოდა ისტორიას. ამხანაგი სტალინი არაერთხელ მიუთითებდა, რომ შეუძლებელია ბოლო მოუღო კაპიტალიზმს, თუ ბოლო არ მოუღე სოციალ-დემოკრატიზმს მუშათა მობაში.

დღეს ეს სიტყვები უშუალოდ მიმარჯვენე სოციალისტების, ამერიკის იმპერიალიზმის ამ აგენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ მუშათა კლასის გათიშვას და ყოველნაირად უჭერენ მხარს იმპერიალისტურ პოლიტიკას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება წარმოადგენს მარქსიზმის გამარჯვებას რეფორმიზმზე, ლენინიზმის გამარჯვებას სოციალ-დემოკრატიზმზე.

სოციალისტური გარდაქმნების სტრატეგია და ტაქტიკა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ისევე როგორც კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების სტრატეგია და ტაქტიკა, მთლიანად და სავსებით ეყარება ლენინურ-სტალინურ მოძღვრებას კლასობრივი ბრძოლის შესახებ. მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის შესახებ ლენინურ-სტალინური მოძღვრების საფუძველზე და ჩვენი ქვეყნის უმდიდრეს გამოცდილებაზე დაყრდნობით გახდა შესაძლებელი ამ ქვეყნებში ძველი, ანტისალხური რეჟიმის ესოდენ სწრაფი ლიკვიდაცია, მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირის განხორციელება.

სსრ კავშირის ძლიერებაზე დაყრდნობით სახალხო დემოკრატიული ქვეყნებისათვის არსებობს კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ განვითარების მეტად ხელსაყრელი პირობები. დღეს ვინც უარყოფს ლენინიზმის საერთაშორისო მნიშვნელობას, ის კონტრრევოლუციური ტროკუზმის პოზიციებზე დგას. ტიტო-ჩანკვიაზის ხროვამ, იმპერიალიზმის ამ დაქირავებულმა აგენტებმა, იუგოსლავია მოაქცია ამერიკის კაპიტალის ბატონიზმის ქვეშ, ამ ქვეყანაში ამჟამად არსებული რეჟიმის ფაშისტური რეჟიმია.

დღეს ამერიკელ იმპერიალისტებს სურთ წაშალონ ერთა შორის ნაციონა-

ლური საზღვრები იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ თვით ამერიკის დმპერია ლიზმის მსოფლიო ბატონობა. ამერიკის იმპერიალიზმის მსოფლიო ტრანსპორტი იარაღს, მის იდეოლოგიურ საფარს წარმოადგენს უთვისტომო ბურუუაზიული კოსმოპოლიტიზმი. იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის რეაქციული იდეა მეორე მსოფლიო ომამდე თავის „თეორიულ“ დასაბუთებას რასიულ თეორიაში პოულობდა. ღღღს, მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის დამარცხების შემდეგ, მსოფლიო ბატონობის „იდეის“ დასაბუთების ცდას წარმოადგენს უთვისტომო კოსმოპოლიტიზმი. ამჩიგად, უთვისტომო კოსმოპოლიტიზმი, რასიული თეორია იმპერიალიზმის იდეოლოგიური იარაღია ხალხთა წინააღმდეგ ბრძოლაში.. ეჭვი არ არის, რომ ამერიკის მსოფლიო ბატონობის იდეას იგივე. მოუგა, რაც მოუგიდა პიტლერის მსოფლიო ბატონობის იდეას. იმპერიალიზმის ყოველგვარი მისწრაფება მსოფლიო ბატონობისაკენ გარღუვალი დამარცხებით უნდა დამთავრდეს. ასეთია ისტორიის ულმობელი კანონი.

ლენინურ-სტალინური მოძღვრება, რომელიც წარმოადგენს შშრომელთა თავისუფლებისა და ბეღნიერების გზისმაჩვენებელ ჩირალდანს, გადაიქცა მატერიალურ ძალად, მთელი მსოფლიოს უბრალო აღამანების შვეიცარიანობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის დამრავმავ ძალად.

ამხანაგ სტალინის გენიალური შრომები „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, მისი ისტორიული სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე თარაღებს მთელი მსოფლიოს მოწინავე კაციონირობას მარქსისტულ-ლენინური თეორიის ბასრი იარაღით.

ლენინი და სტალინი გვასწავლიან; რომ ჩვენ, კომუნისტები, ხალხის მასაში მაინც წვეთი ვართ ზღვაში, და ჩვენ შეგვიძლია მართვა მხოლოდ მაშინ, როცა სწორად გამოვხატავთ იმას, რაც ხალხს შეუგნია. უამისოდ კომუნისტური პარტიები გერ გაუძღვებიან მუშათა კლასს, ხოლო მუშათა კლასი ვერ გაიყოლებს მასებს და მთელი მანქანა დაიშლება. სწორად გამოხატო ის, რაც ხალხს შეუგნია, სწორედ ეს არის ის აუცილებელი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს პარტიისათვის მუშათა კლასის დიქტატურის სისტემაში ძირითადი ხელმძღვანელი ძალის საპატიო როლს.

ი. სტალინი გვასწავლის, რომ კაციტალის ბატონობის ქვეყნებში კომუნისტურ და დემოკრატიულ პარტიებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აუღიათ ძალაუფლება, ვალდებულება ეკისრებათ — აღმართონ ბურუუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა და ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დროშა, რომელიც იქ გადაგდებულია, თუ მათ სურთ შემოიკიბონ ხალხის უმრავლესობა, თუ მათ სურთ იყვნენ თავიანთი ქვეყნის პატრიოტები და ხელმძღვანელი ძალა გახდნენ.

„ხელმძღვანელობის ხელვება,— წერს ამხანაგი სტალინი, — სერიოზული საქმეა. არ შეიძლება ჩამორჩე მოძრაობას, ვინაიდან ჩამორჩენა ნიშნავს იმას, რომ მოსწყდე მასებს. მაგრამ არც წინწარბენა შეიძლება, ვინაიდან წინწარბენა ნიშნავს მასებთან კავშირის გაწყვეტას და თავის განმარტოებას. ვი-



საც სურს უხელმძღვანელოს მოძრაობას და ამასთან ერთად შეინარჩუნებული კავშირი მილიონიან მასებთან, მან უნდა აწარმოოს ბრძოლა ორ ფრონტზე — ჩამორჩენილთა წინააღმდეგაც და წინგაპეულთა წინააღმდეგაც¹¹.

კომუნიზმის იდეები დაუფლნენ მთელი ქვეყნის მილიონობით მშრომელთა მასებს. ხალხი და კომუნიზმი ერთიან უძლეველ ძალად შეერთდა. მთელი მსოფლიოს მშრომელი მასები, კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით, გაბედულად მიღიან წინ კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ, მათ მიუძღვება მშვიდობის მტკიცე და საიმედო ბურჯი, მსოფლიო რევოლუციური, და მუშათა მოძრაობის პირველი „დამკვრელი ბრიგადა“ — საბჭოთა კავშირი.

სტალინის სახელობის
ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სარქისომ-ლენინიზმის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1952 ქ 25).

32. ვაკები

6. მარის რთხელემანებოვანი ენალიზის მეთოდოლოგიური
უსაფეროება ი. სტალინის სახათხმაურო
მოძღვანების შექმენები*

1.

მოწინავე საბჭოთა მეცნიერების ისტორიაში, ჩვენი იდეოლოგიური ცხოვ-
რების მატიანეში 1950 წელი შევა ბრწყინვალე თარიღად: მეცნიერების
კორიფეული ი. სტალინმა გამოაქვეყნა გენიალური შრომები: «მარქსიზმის
შესახებ ენათმეცნიერებაში», «ენათმეცნიერების ზოგიერთ საკითხზე», «პასუხი
ამხანაგებს»¹.

შემოქმედებითი მარქსიზმის პრინციპების საფუძველზე ი. სტალინმა ამხი-
ლა 6. მარის მცდარი, ვულგარიზატორული, ანტიმარქსისტული შეხედულებანი
და დასამუთა ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები. უკვე საყოველ-
თაოდ ალიარებულია, რომ ი. სტალინმა თავისი ენათმეცნიერული შრომებით
შექმნა ახალი ერთაპი საბჭოთა ენათმეცნიერების განვითა-
რებაში, მან დააფუძნა შარქსისტული ენათმეცნიერება და
ბრწყინვალედ გააშუქა ზოგადი ენათმეცნიერების მთელი
რიგი ძირითადი, ფუძემდებელი პრობლემები და კონკრეტუ-
ლი ენათმეცნიერული კვლევა-და-დების საკითხები.

იმავე დროს ი. სტალინმა ახალ საფეხურზე იყვანა მარქსიზმ-ლენინიზმის
თეორია, ახლებურად დასვა და გადაჭრა ძირითადი პრობლემები დიალექტი-
კური და ისტორიული მატერიალიზმისა.

ცნობილია, რომ მარქსი-ენგელსი-ლენინი-სტალინი ყოველთვის აქცევდნენ
დიდ ყურადღებას ენობრივ საკითხებს. მათ შრომებში წარმოდგენილია ბევრი
გამონათქვამი, რომლებშიც მოცემულია ფუძემდებელი დებულებები ენათმეც-
ნიერების ამა თუ იმ საკითხზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა

* წაკითხულია მოსსენბად საქართველოს მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის
II (VIII) სამეცნიერო სესიაზე 1951 წლის 15 ივნისს. იხ. «ენათმეცნიერების ინსტიტუტის
II (VIII) სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ი. სტალინის გენიალური შრომის «მარქსიზმის შესა-
ხებ ენათმეცნიერებაში» გამოსვლის წლით სავისდღის მდგრ. მუშაობის გეგმა და მოსსენბათა თეზისე-
ბი», თბილისი, 1951, გვ. 9—13. იბეჭდება ზოგიერთი ცვლილებით.

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1950, გვ. 1—53.

o. სტალინის ადრინდელი შრომები: «როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიული ტიას ნაციონალური საკითხი» (1904 წელი)¹, «ანარქიზმი თუ სოციალიზმისა» (1906 წელი)² და «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი» (1913 წელი)³.

მაგრამ სრულებით განსაკუთრებული მნიშვნელობისა და ღირებულებისაა ის შრომები, რომლებიც ი. სტალინმა გამოაქვეყნა 1950 წელს საენარმეცნიერო დისკუსიასთან დაკავშირებით. ამ შრომებში ი. სტალინმა ჩამოყალიბა მარქსისტული ენათმეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდოლოგია და კონკრეტული მეთოდები. ი. სტალინმა შექმნა ენათმეცნიერება როგორც მარქსისტული სამეცნიერო დისკაპლინა.

თავის დროშე (XIX საუკუნის I მეოთხედში) შედარებით-ისტორიული მეთოდოლოგიის დანერგვამ დადებითი გავლენა მოახდინა ენათმეცნიერების განვითარებაში. ამ მეთოდოლოგიამ ენობრივი მოვლენების კვლევაში შეიტანა კანონზომიერი განვითარების იდეა და ამით განდევნა მეტაფიზიკური თვალსაზრისი და ლოგიცისტური პრინციპები. შედარებით-ისტორიულა ენათმეცნიერებამ გარკვეული მიღწევები მოიპოვა XIX საუკუნის განმავლობაში, ბევრი მნიშვნელოვანი დებულება წამოაყენა ენობრივი განვითარების საკითხებზე. მაგრამ ჭეშმარიტი მეცნიერული შემეცნება ენობრივი მოვლენებისა შესაძლებელი იყო და არის მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე. ი. სტალინმა არსებითი გარდატეხა მოახდინა ენათმეცნიერების ისტორიაში საზოგადოდ და საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარებაში—კრძოდ. ი. სტალინმა ჩამოაყალიბა მარქსისტული ენათმეცნიერების მთლიანი სისტემა და ამით შექმნა ენათმეცნიერება როგორც ნამდვილი მეცნიერება.

ენათმეცნიერების ზოგადთეორიული საკითხების გარკვევასთან ერთად თავის შრომაში «მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები» ი. სტალინმა სპეციალურად გააშუქა ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპებიც. ცნობილია საზოგადოდ, რომ ი. სტალინი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდოლოგიის საკითხებს, სახელდობრ, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საკითხებს. თავის კლასიკურ შრომებს, როგორიცაა, მაგალითად, «ნარქიზმი თუ სოციალიზმი» ანდა «ლენინიზმის საკითხების შესახებ», ი. სტალინი პრობლემის კვლევას იწყებს პირველ რიგში მეთოდოლოგიური პრინციპების დადგენით. სახელდობრ, ანარქიზმი თუ სოციალიზმი» იწყება სპეციალური თავით «დიალექტიკური მეთოდი»⁴, რომელშიც ბრწყინვალედაა გაშუქებული ამ მეთოდის არსი. ამგვარადვე თავისი მეორე შრომის «ლენინიზმის საკითხების» მეორე თავიდან. სტალინმა მიუძღვნა მეთოდის საკითხს⁵. აღარას ვიტყვით «საკ. კ. პ. (ბ)».

¹ ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 43 შმდ.

² იქვე, გვ. 294 შმდ.

³ იქვე, ტ. II, გვ. 312 შმდ.

⁴ იქვე, ტ. I, გვ. 279 შმდ.

⁵ იქვე, ტ. VI, გვ. 93 შმდ.

ისტორიის მოკლე კურსზე¹, რომელშიც წარმოდგენილია დიალექტიაური და ისტორიული მატერიალიზმის მეთოდოლოგიის სრული დასაბუთება². პილიორის მისტორიის მოკლე კურსზე, რომ ნ. მარის ვულგარულ-მარქსისტული მოძღვრების კრიტიკული განხილვის დროს ი. სტალინმა ყურადღება გაამახვილა ნ. მარის მეთოდოლოგიაზე და ამომწურავი დახასიათება მისცა მის «ოთხელემენტოვანი ანალიზის» მეთოდს. ი. სტალინი იმბობს: „ნ. ი. მარი მყვირალა ფრაზებით დასცინის ისტორიულ-შედარებითს მეთოდს, როგორც «იდეალისტურს». ამავე დროს კი უნდა ვთქვათ, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, მიუხედავად მისი სერიოზული ნაკლოვანებებისა, მაინც უკეთესია, ვიდრე ნ. ი. მარის მართლაც იდეალისტური ოთხელემენტოვანი ანალიზი, რაღაც პირველი ბიძგს იძლევა მუშაობისათვის, ენების შესწოვლისათვის, მეორე კი მხოლოდ იმის ბიძგს იძლევა, რომ მხარებოზე წამოწვე და ყბადაღებული ოთხი ელემენტის გარემო იმარჩიელო“³.

ი. სტალინის ამ დებულებაში წარმოდგენილია სახელმძღვანელო მითითება მის შესახებ, თუ როგორ უნდა შევაფასოთ ნ. მარის ოთხელემენტოვანი ანალიზის მეთოდი, როგორი კავალიფიტაცია უნდა მივცეთ მას. საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ-ერთი საპატიო ამოცანაა, ღრმად ჩაწვდეს ი. სტალინის ამ დებულების შინაგან არს და კონკრეტულად გვიჩვენოს ნ. მარის მეთოდოლოგიის პრინციპული მცდარობა და პრაქტიკული უვარვისობა ენათმეცნიერული კვლევისათვის.

ი. სტალინი ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის თვალსაზრისით ორ კონკრეტულ ამოცანას სახავს საბჭოთა ენათმეცნიერების წინაშე. ერთი მხრივ, საჭიროა თვალსაზრისოდ გაირკვეს ნ. მარის პალეონტოლოგიური (respective-ლემენტოვანი ანალიზის) მეთოდის არსი, მისი მეთოდოლოგიური მცდარობა. მეორე მხრივ, საჭიროა ნათლად გავითვალისწინოთ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის რაობა, მისი ლირებულება ენათმეცნიერული კვლევისათვის, კერძოდ კი მისი «სერიოზული ნაკლოვანებანი».

ამ ნარკვევში მიზნად გისახავთ, ი. სტალინის ზოგადი სახელმძღვანელო დებულების საფუძველზე განვიხილოთ ნ. მარის ოთხელემენტოვანი ანალიზის მეთოდოლოგიური რაობა, ამ მეთოდის მიმართება ნ. მარის ზოგადთეორიულ დებულებებთან, უჩევენოთ ამ მეთოდის იდეალისტური ბურება და მისი უვარვისობა კონკრეტული ენათმეცნიერული კვლევისათვის.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მარის პალეონტოლოგიური (respective-ლემენტოვანი ანალიზის) მეთოდი შშირად ყოფილა მსჯელობის საგანი. ოღონდ, ჩვეულებრივ, მას განიხილავდნენ მარტონდენ მისი «ტექნიკური» საფუძვლების თვალსაზრისით. უნდა ისიც ითქვას, რომ ოთხელემენტოვანი ანალიზის ნაკლოვანებანი, პირველ რიგში, ყველაზე უფრო რელიეფურად სწო-

¹ ი. სტალინი, საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, ქართული გამოცემა, 1951 წ., გვ. 128. შშდ.

² ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 31.

რედ მისი «ტექნიკის» თვალსაზრისით შეინიშნება. საკმარისია, თუ მარტინ ტომა გავიხსენოთ, რომ ნ. მარისათვის არ არსებობდა მყარი კანონზომიერ მიზანის რათა ცვალებადობაში, ეს ბერითი ცვალებადობანი კი ოთხელემენტო-ვანი ანალიზის სულსა და გულს წარმოადგენენ.

ნამდვილად კი არსებითად უნდა მივიჩნიოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა თეორიული საფუძველი დაედო ნ. მარის პალეონტოლოგიურ (resp. ოთხელემენტოვანი ანალიზის) მეთოდს, რა დებულებებია ნ. მარისათვის ამოსა-ვალი ამ შემთხვევაში, როგორია მის შეხედულებათა ლოგიკური მსვლელობა.

ამ საკითხების მეცნიერულად გარკვევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ახლა, როდესაც ი. სტალინმა თვის საენათმეცნიერო შრომებში მოგვცა ღრმა ანალიზი ნ. მარის მცდარი ანტიმარქისტული მოძღვრებისა ზოგადთეორიული თვალსაზრისით. ყოველგვარი შეცდომის გასათვალისწინებლად და მის აღმო-თვალსაზრისით. ყოველგვარი შეცდომის გვასწავლიან მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკო-სები, მისი ფეხსვები მოინახოს. პალეონტოლოგიური (resp. ოთხელემენტოვანი ანალიზის) მეთოდის ფეხსვები ნ. მარის მცდარ ზოგად დებულებებში უნდა ვეძიოთ. პალეონტოლოგიური (resp. ოთხელემენტოვანი ანალიზის) მეთოდის ვრცელი დროს კი სწორედ ეს მომენტი რჩებოდა, ჩვეულებრივ, უგულებელ-კრიტიკის დროს კი სწორედ ეს მომენტი რჩებოდა, ჩვეულებრივ, უგულებელ-კოფილი:

ნარკვევში შეძლებისდა გვარად წარმოდგენილია ნ. მარის მეთოდოლო-გიის სწორედ ზოგადთეორიული მხარის ანალიზი. რაც შეეხება პალეონტო-გიის სწორედ ზოგადთეორიული მეთოდის «ტექნიკა», ამ მხარეს ლოგიური (ოთხელემენტოვანი ანალიზის) მეთოდის «ტექნიკა», ამ მხოლოდ მოკლედ განვიხილავთ, მით უმეტეს, რომ ოთხელემენტოვანი ანა-ლიზი ამ თვალსაზრისით საფუძვლიანადაა გარჩეული და გაკრიტიკებული¹.

ამასთანავე უნდა მიეთითოს იმ გარემოებასაც, რომ ნ. მარი თვის კვლევა-ძეებაში პალეონტოლოგიური მეთოდის ჩამოყალიბებამდეც არ იყენებდა მეცნიერულად გამართულ მეთოდს, თუმცა ამ წინა პერიოდში იგი თოქებს შედარებით-ისტორიული მეთოდის მიმდევარი იყო. საჭიროა ამ მხრი-ვაც გამომზეურდეს ნ. მარის მეთოდოლოგიური შეცდომები და კრიტიკულ თვალით გვისინჯოს იმ პერიოდის მისი შრომები, როდესაც იგი ჯერ კიდევ არ იყო ე. წ. «ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების» ავტორი. ამიტომ, ვიდ-არ ისე ე. წ. «ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების» ავტორი. ამიტომ, ვიდ-არ ნ. მარის პალეონტოლოგიური მეთოდის განხილვაზე გადავიდოდეთ, წი-ნასწარ მოკლედ უნდა გავითვალისწინოთ ნ. მარის კვლევის მეთოდოლოგია 1924 წლამდე.

2.

როგორც თვითონ ნ. მარი, ისე მისი მიმდევრებიც ხშირად აღნიშნავ-დნენ, რომ მისი «ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება» განვითარების პირველ ეტაპზე ძველი ენათმეცნიერების, კერძოდ შედარებით-ისტორიული ენათ-

¹ იხ. არჩ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II. ძირითადი პრობლემები, გვ. 321 გვ. 322. ბ. А. Серебренников, Сравнительно-исторический метод и критика так называемого четырехэлементного анализа Н. Я. Марра: «Вопросы языкоизнания в свете трудов И. В. Сталина», Москва, 1952, გვ. 245 გვ. 246.

მეცნიერების (resp. ინფო-ეკროპული ენათმეცნიერების) გაგრძელების შემადგენლობა. 6. მარი პირდაპირ აცხადებს:

შესაბუღავები
შესაბუღავები

„...Яфетическое языкознание отнюдь не вылетело подобно Афине-Палладе из головы Зевса: 1) оно родилось в той же буржуазно сложенной и скроенной научной среде, более того—началось, разумеется, как антитеза, в нормах индоевропейской лингвистики, без которой его и не было бы“¹.

ამასვე ადასტურებს 6. მარის მიმდევარი ი. მეშჩანინვი:

„Решительный сдвиг в основной концепции Н. Я. Марра произошел, конечно, лишь после 1924 г., выдвинувшего резкое противоположение в самой яфетиологии до этого и после него. До указанной даты яфетиологию можно было бы назвать даже диссидентским течением в той же индоевропейской лингвистике, возражавшим против ее положений, но в тоже время без радикального сноса разрывава².“

თავი რომ დავანებოთ 6. მარის გამოთქმას „в той же буржуазно сложенной и скроенной научной среде“, ნათლად ჩანს, რომ 6. მარი თავის მოლვაშეობას უკავშირებდა «ძველი ენათმეცნიერების» განვითარებას და მას მიაჩნდა, რომ გარკვეულ პერიოდში იგი არ გამოდიოდა «ძველი ენათმეცნიერების» ფარგლებიდან.

ეს საკითხი არსებითს დაზუსტებას მოითხოვს. ცხადია, თავდაპირველად 6. მარი, როგორც „воспитанный в традициях индоевропейской школы“...³, თვისი კვლევაში იყენებდა შედარებით ისტორიულ მეთოდს, მაგრამ ამ მეთოდის პრინციპები მას იმთავითებე თავისებურად ესმოდა. ძირითადი თავისებურება 6. მარის კვლევისა ამ პერიოდში ის იყო, რომ იგი ენობრივ ფაქტებს ყოველთვის განიხილავდა წინასწარ დაშვებული ჰიპოთეტური დებულების საფუძველზე. ამის გამო 6. მარი ხშირად არ იძლეოდა ფაქტების სწორ, მეცნიერულ ინალიზს, იგი არ ითვალისწინებდა ისტორიულ ვითარებას და ამდენად ენობრივი ფაქტები, შეიძლება ითქვას, წარმოდგენილი პქონდა დამახინჯებულად. ცხადია, ამ ფაქტებზე დამყარებული სათანადო თეორიული დებულებებიც შეიცავდა შეცდომებს. 6. მარის მოლვაშეობის ყოველ ეტაპზე ჩვენ შევხვდებით ამ ვითარების დადასტურებას.

ცნობილია, რომ 6. მარმა თავისი ენათმეცნიერული მოლგაშეობა დაიწყო წერილით: «ბუნება და თვისება ქართულის ენისა». ამ წერილში მან წამოაყენა დებულება, რომ ქართული ენა ენათესავება სემიტურ ენებსა თ. „ქართული ენა ნათესავია ხორციელად და სულიერად, ე. ი. სიტყვის ძირებით და გრამატიკით, სემიტურის ენათა ჯგუფისა, მაგრამ იგი არ არის იმდენად დაახლოვებული ხენებში ენებთან, რამდენადც ის ენანი ურთიერთ შორის, და, სჩანს, ქართული ენა (საკუთრად ქართული, მეგრული

¹ 6. მარი, Пред. к «Классифиц. переч.»: ИР, Ч. I, გვ. 222.

² ი. მეშჩანინვი, Новое учение, გვ. 8.

³ იქვე, გვ. 8.

ლაზური და სვანური) წარმომდგარია ერთის მამათმთავრის ენისაგან, მართლწევა
ლიც თითქმის ისევე ჰევანებია სემიტურს ენებს, როგორც ეს სემიტური ენებს
ჰევანან ერთმანეთსა“¹.

თავისთავად ამ დებულებაში არაჩეულებრივი არაფერი იქნებოდა, რომ
იგი ენობრივი ფაქტების მეცნიერული ანალიზის შედეგად მიეღო 6. მარს.
მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს დებულება 6. მარმა წამოაყენა აპრილულიდ,
გარეშე ფაქტების შედარებით-ისტორიული ანალიზისა. შემდეგშიც, როცა
6. მარი დაუბრუნდა ამ თეზისის დასაბუთებას, მან სათანადო ენობრივი ფაქ-
ტების შედარება ჩაეთი სახით წარმოგვიდგინა, რომ იგი სრულებით ეწინა-
ოლდებოდა შედარებით-ისტორიული მეთოდოლოგიის პრინციპებს. ამას
ქვემოთ ვნახავთ (პ.ვე, გვ. 92 გვ.).

1903 წელს გამოდის 6. გარის «Грамматика древнеармянского языка. Этимология». СПб. 1903». ეს ნაშრომი არ წარმოადგენს სომხური ენის სტრუქტურის ანალიზს ჩვეულებრივი გაგებით, ზედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების პრინციპების მიხედვით. უპირველეს ყოვლისა ამ გრამატიკას საფუძველად უდევს აგრძელებული დებულება:

„Армянский язык до сих пор изучали и продолжают изучать лишь с точки зрения родства его с индо-европейской лингвистической семьёю. Но индо-европейским или арийским элементом не исчерпывается природа армянского языка. В армянском с индо-европейским слоем неразрывно слит осадок какой-то неизвестной лингвистической семьи“?

6. მარი ცდილობს აღმოჩინოს ეს ახალი ლინგვის ტიკური ოჯახი და გაარევოს სომხური ენის ნათესაობა ქართულთან. იგი ამბობს:

„Факты давно принудили меня признать, что грузинский язык родственен с семитическими, хотя он не так близок к ним, как семитические к друг другу. С другой стороны, для меня стало ясно, что некоторыми существенными сторонами своего естества армянский язык находится в родстве с грузинским“³.

Հոգործ զեղացտ, մի Շեմտեզեցականը 6. Բարև լյուսորդությունը կազմուած է ան-
ցըրեցեցն տացուու Ֆինությունու քաջուլցա, տուրքու Սամեխու յնա տացուու
«ահապատա մեարեցնու» յենացեսացը բռցու վարությունը⁴. մի քաջուլցան Խաչու-
ցը լուսա Սամեխու յնա, Հոգործ զուուտ, տաճատան ցածրությունը Ֆինությունու գու-
յնաց, Հոգործ զուուտ մոլցիւլու ռուու — ուայցիւրու և օնճռ-Հարությունու — յալ-
շենքնու Շեշչարեցնունու. Սամեխու յնու վայցիւրուն կալուց ամ Շերմանի
մոլուանաց Շեշչարեցնունու. ամ Խոցագու Եղանակութիւնունու. Բարուալու, յև շրա-
մաբար Շեշչարեցն սապարությունու անալ մասալու և Խոց Շեմտեզեցական անալ

¹ 6. მარი, ბუგება და თვისება ქართულის ენისა, «ივერია», 1888 წ., № 86; «По этапам развития яфет. теории», 1926, №. 3—4.

² 6. մարտ, Грамматика древнеармянского языка, 83. XXXI (Եսո հզընօ. 3. դ.).

³ იქვე, (ხაზი ჩვენია. ვ. ო.).

საყურადღებო დებულებასაც, მაგრამ მთლიანიდ იგი არაა უგებული მეტყველების შესლილი მეთოდოლოგიის საფუძვლებზე.

თვალსაჩინოდ მულავნდება 6. მარის თავისებური კვლევის ხერხები, თავისებური გაგება შედარებით-ის ტორიული მეთოდისა მის ცნობილ «ძირითად ტაბულებში»¹. ამ შრომაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ქართული ენის სტრუქტურის ძირითადი მოვლენები. მაგრამ ბევრ საყურადღებო დებულებასთან ერთად ეს ნაშრომი იძლევა ძველი ქართულის აგებულების მცდარ სურათს. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ 6. მარი ძველ ქართულს სწავლობს არა თავისთავად, შინაგანი აგებულების თვალსაზრისით; არამედ პირველ რიგში მას აინტერესებს ქართულის მონათესაობა სემიტური რთან. იგი ამბობს:

„Грамматика, по которой составлены следующие ниже таблицы, основана на теории, уже разработанной в существенных частях,—теории о родстве грузинского языка с семитическими“².

ამ წინასწარ აღებული დებულების დასამტკიცებლად 6. მარი ქართული ენის ფაქტებს აძლევდა ისეთ კვალიფიკაციას, რომელიც, მისი აზრით, მიუდგებოდა სემიტური ენების ფაქტებს. ცხადია, ამ შემთხვევაში აშკარად დარღვეულია შედარებით-ისტორიული მეთოდის ძირითადი მოთხოვნილება. ამის შედეგად შედარების პროცესში და ძველი ქართულის ენობრივი მოვლენების განხილვის როოს ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით შეცდომებს. თავი რომ დავანებოთ სხვა გარემოებებს, სრულებით მცდარია ერთ-ერთი ამოსავალი დებულება:

„Принципиально родство в морфологии выражается в том, что в грузинском гласных служат показателями этимологических категорий, что же касается корней, то они состоят исключительно из согласных, как обстоит дело и в семитических языках“³.

ცხადია, სრულებით მცდარი დებულებაა, რომელიც არ ევუბა ქართული ენის გრამატიკულ წყობას. ქართული ენის მორფოლოგიაში ხმოვანსა და თანხმოვანს პრინციპულური ფუნქციებია აქვთ. ეს გასაგები იქნებოდა 6. მარისათვისაც, ის რომ გატაცებული არ ყოფილიყო ქართულის სემიტურთან მონათესაობის თეორიით.

ენათა შორის ნათესაობის დასამტკიცებლად რას მოითხოვს შედარებით-ისტორიული მეთოდი? ცნობილია, რომ ძირითადი საბუთი ნათესაობისა ისაა, რომ ენათა შორის დასტურდება ქანონზომიერი შესატყვისობანი. ეს შესატყვისობანი ემყარებიან ერთი და იმავე მასალის ქანონზომიერ დიფე-


¹ Н. Марр, Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка. С предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими. СПб. 1908, стр. 16, XX таблиц.

² 6. მარი, Основные таблицы, გვ. 7 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

³ იქვე, გვ. 2 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

რენციაციას, რაც, ცხადია, შედეგია ენათა ისტორიული განვითარების¹ ამასთანავე შესატყვისობანი უნდა დაღინდეს ცალკე ძირისათვის (რეპ-ფუნქცია ძისათვის) და ცალკე ფორმანტისეული ელემენტები ისათვის. ჩენენ აღარ ჩამოვთვლით ყველა წესს, რაც საჭიროა ენათა ნათესაობის დასაღვენად.

როგორ ადგენს ნ. მარი ქართულისა და სემიტურის ნათესაობას? ავი-ლოთ პირველი სიტყვა, რომელსაც ნ. მარი არჩევს. ესაა — «შზე»². შედარების პროცესში ნ. მარი ერთმანეთს უპიროისპირებს შემდეგ მასალას:



არაბ. შამს-უნ

1. ქართ. ზზე ← *ზმეჴ, გურ. ბზე

მეგრ. ბჟა ← *უმაჴ — ‘მზე’

ჭან. მჟორა ← *უმოჴ-ა — ‘მზე’

2. სამსახურ-ი ← სმახ-ვერ-ი

(შდრ. ემსახურა...)

3. სამხარა ← სამხ-არ-ი — ‘მზიანი’:

აქედან:

ა) შუაღლე, საშუაღლეო

ბ) სამხრ-ეთ-ი

4. ქართ. მზინა ← *ზმინა, ვულგ. ბზინა

ნ. მარი ფიქრობს, რომ აქ გათვალისწინებულ სიტყვებში წარმოდგენილია საერთო მასალა, რაც, მისი აზრით, ამ ენათა ნათესაობის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, სემიტ. შვს ძირს (შდრ. არაბ. შამს-უნ-‘მზე’). ნ. მარმა მოუძებნა იაფეტ. *სმჴ ძირი, რომელიც ჰიპოთეტურად აღდგენილია ქართველურ ენათა მასალის საფუძველზე. მაგრამ პირდაპირ საოცარია, რამდენი შეცდომაა დაშვებული ქართველური ენების მასალის ანალიზის დროს ამ ძირის აღდგენის პროცესში. ნ. მარი სრულებით ანგარიშს არ უწევს ქართველურ ენათა აგებულებას და შინაგან კანონზომიერებას. სახელდობრ:

1. უპირველეს ყოვლისა გაუმართლებელია წარმოდგენილ სიტყვებში ხმოვანთა შესატყვისობის უგულებელყოფა. ქართულ ენაში (საერთოდ ქართველურ ენებში) ხმოვნები არსებითად ისეთივე ელემენტებია ფუძისა (ანდა ძირისა), როგორც თანხმოვნები. ქართულ ენაში (ქართველურ ენებში) ფუძის ხმოვნებს არ ეკისრება მარტოოდენ მორთვოლოგიური ფუნქციები, როგორც ამას ფიქრობდა ნ. მარი (ხოლო თანხმოვნებს — ძირთა გადმოცემის ფუნქცია).

¹ არნ. ჩიქობავა, ზოგ. ენათმეცნ., II, გვ. 210: „შედარება შეიძლება, თუ ერთი და იმავე მასალის კანონზომიერი დიფერენციაცია მოცემული; შედარება არ შეიძლება, თუ სულ სხვადასხვა ოდენობაა, განსხვავდებული წარმოშობის ფუძეები გვაქს“.

² ნ. მარი, Основные таблицы, გვ. 3, შემ. 1.

2. ქართველურ ენებში არსებული სიტყვები არ უდგება იმ სემინტერაქცია (resp. არაბულ) ძირს, რომელსაც ნ. მარი განიხილავს ამ შემთხვევაში. მარი დასტურდება ქართველურ ენებში. მაგალითად, ნ. მარი ისტორიულ მონაცემებს სიტყვებს, რომლებიც საერთოდ არ დასტურდება ქართველურ ენებში. მაგალითად, ნ. მარი ისტორიულ არა-ლურ მონაცემად თვლის სიტყვებს:

*ჰმეჲ→მზე...

*სმახ-ვერ-ი→მსახური...

*ჰმინა→მზინა || ბზინა

ვარსკვლავით აღნიშნული სიტყვები პიმოთეტურადა იღდგენილი: ასეთი ფუნქცია (resp. ძირები) ქართულს არა აქვს არც თანამედროვე ვითარებაში, არც ისტორიულად ჰქონია.

ამგვარადვე აღდგენილი მეგრულ-ჭანური სიტყვებიც:

*ჰმაჲ→ბჟა—‘მზე’

*ჰმორა→მჟორა—‘მზერა’...

3. ნ. მარი ყურადღებას არ აქცევს სიტყვის აგებულებას, მის შემადგენელ ელემენტებს: მისთვის ერთია, რას შეეხება მსჯელობა: ძირს (resp. ფუძეს) თუ აფიქსს. მაგალითად, იგი ერთ ერთ სიტყვას ასე შლის:

მსახური←სმახ-ვერი (*არ აქვს!)

ნამდვილად კი ეს სიტყვა, ცნობილია, ამგვარად იშლება: მ-სა-ხ-ურ-ი, სადაც ძირიად გამოიყოფა -ხ- (შლრ. სა-ხ-ლ-ი, ჭან. ო-ხ-ორ-ი)¹, ხოლო მ-, სა-, -ურ ფორმანტებია (რომელთა შესატყვისს ნ. მარი არ აკლენს სემი-ტურში).

ამგვარადვე ბოლომდე მართებულად არაა დაშლილი: სა-მხ-არ-ი, სადაც ძირი უნდა იყოს -ხ-, სა- და -არ კი ფორმანტები.

ამრიგად, ნ. მარი სრულებით არ ითვალისწინებს შედარებით-ისტორიული მეთოდის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს: შედარება უნდა მოხდეს ცალკე ძირისა და ცალკე ფორმანტებისა.

4. სასურველი ოდენობის მისაღებად ნ. მარი ნებისმიერად ვარაუდობს ისეთ თავისებურ ფონეტიკურ პროცესებს (ბერიათა გადასმის, ბერიათა შენაცვლებას, ბერიათა ჩართვას, დაკარგვას და სხვა), რომლებიც სინამდვილეში არ დასტურდება. მაგალითად, ბერიათა გადასმისა და დაკარგვის პროცესით მიიღება: *ჰმეჲ→მზე... ბერიათა გადასმით, შენაცვლებით და დაკარგვით: მეგრ. *ჰმაჲ→ბჟა — ‘მზე’...

ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ზოგი ბერიათი ცვლილება შეიძლება მართლაც დასტურდებოდეს საზოგადოდ ამა თუ იმ ენაში, მაგრამ ნ. მარი მათ ანიჭებს უნივერსალურ ხასიათს, ამ ცვლილებებს არ განიხილავს გარკ-

¹ არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექს., გვ. 159; სახ. ფუძ.; გვ. 51, 80.

ვეული პირობების მიხედვით. ცხადია, ამ შემთხვევაშიც ირლვევა შედარებული ბით-ისტორიული კვლევის წესები.

ამრიგად, ამ ერთი მაგალითის განხილვაც საკმარისია იმის შესახებ, რომ ნ. მარი არსებითად არ იცავდა შედარებით-ისტორიული მეთოლის პრინციპებს, და ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ნ. მარი იყო მიმღევარი ამ მეთოდოლოგიისა, უსაფუძვლოა.

კვლევა-ძების ეს წესი ახასიათებს ნ. მარის ყველა შრომას მეტ ნაკლებად. საამისო ფაქტები შეიძლება თავისუფლად მოვიყანოთ როგორც მისი დიდი გამოკვლევებიდან, ისე მისი მრავალრიცხვობანი სტატიებიდანაც.

რასაკიორველია, ამასთან ერთად ნ. მარი არაიშვიათად ავლენდა საყურადღებო ენობრივ ფაქტებს, წირმოგვიდგენდა საყურადღებო დებულებებს და მოსაზრებებს, მაგრამ ეს ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტები მეტყველებდნენ თავისთავად, თუ შეიძლება ასე ითქვას, და ნ. მარი იძულებული იყო, მიჰყოლოდა ფაქტების ლოგიკას. ასეთი ანალიზის დროს ნ. მარის კვლევა ექვემდებარებოდა იედარებით-ისტორიული მეთოდის პრინციპებს.

როგორც ირკვევა, ნ. მარის მეთოდოლოგიის განვითარება თავისებური გზით მიმდინარეობდა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ იგი შეეცდებოდა მარქსიზმის «დანერგვას» ენათმეცნიერებაში. ნათელი ხდება, რომ ამ გარემოებამ ხელი შეუწყობს ნ. მარს, ადვილად შეეცემა ზურგი შედარებით-ისტორიული მეთოდისათვის და ახალი — პალეონტოლოგიური — «მეთოდი» ჩამოეყალიბებინა. ეს მოხდა 1924 წლიდან მოყოლებული.

3

1924 წლიდან ნ. მარმა, მისივე სიტყვით, მოახდინა გარდატეხა თავის შსოფლმხედველობაში და ამასთან დაკავშირებით შეიმუშავა ახალი მეთოდოლოგიაც. ამ მობრუნების შესახებ ნ. მარმა გვაცნობა ორგვერდიან მანიფესტში: «Индоевропейские языки Средиземноморья»¹, რომელშიც ნათქვამია შემდეგი:

„Работа последних месяцев над палеонтологией речи на основании разъясненных фактов самих яфетических языков и усвоенных из них элементов в неяфетических языках неожиданно для меня вскрыла положение, более чреватое последствиями, чем все до сих пор высказывавшееся мною о значении яфетидов в их роли в созидании средиземноморской культуры в доисторические иprotoисторическую эпохи. Утверждаю, что индоевропейской семьи языков расово отличной не существует...“

„Индоевропейские языки составляют особую семью, но не расовую, а как порождение особой степени, более сложной, скрещения, вызванной переворотом в общественности в зависимости от новых форм производства, связанных, повидимому, с открытием металлов и широким их использованием в хозяйстве, может быть и в сопутствии привходящих пермутаций физической среды; индоевропейская семья языков типологическая есть создание новых хозяйствственно-общественных условий, по мате-

¹ პირველად გამოქვეყნდა: ДАН СССР, Серия В, 1924, ვ. 6—7: ი. რ. ტ., 83. 185—186.

риалам же, а пережиточно и по многим конструктивным частям, это дальнейшее состояние тех же яфетических языков, в Средиземноморье—своих или местных, определенной стадии их развития, в общем новая по строю информация¹.

გარდამავალ საფეხურს, ნ. მარის აზრით, წარმოადგენს ამ განვითარების პროცესში ჰიბრიდული სომხური ენა, ნაწილობრივ ალბანური. ეს ენები:

„...не воплощение позднейшего скрещения индоевропейских языков с яфетическими, а представители переходного состояния на промежуточном этапе между чистыми яфетическими и совершенными индоевропейскими языками; это — языки, отошедшие от доисторического состояния яфетической семьи и не дожедшиеся до полного индоевропеизма“².

ერთი შეხედვით ამ წერილში განხილულია თითქოს კერძობითი საკითხი: რა როლი ენიჭება იაფეტური ენების ფაქტებს ინდოევროპულ ენათა მასალაში? ნამდვილად კი ამ წერილში არსებითია ის, რომ აქ ნ. მარი ახალი მსოფლმხედველობის პრინციპებს აყალიბებს. კერძოდ, უურადღებას იქცევს ნ. მარის ძირითადი დებულება, რომ ენათა განვითარება უკავშირდება «სამეურნეო-საზოგადოებრივი» პირობებს. („...Индоевропейская семья языков типологически есть создание новых хозяйствственно-общественных условий...“, — ამბობს ნ. მარი. (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.). ამ დებულების საფუძველზე ნ. მარი ენათა განვითარებაში ვარაუდობს «სტადიებს». როგორც ცნობილია, ეს «სტადიური» განვითარება შემდგომში გადაიტკა «ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების» ერთ-ერთ ძირითად პრინციპად. ნათელია, რომ «სამეურნეო-საზოგადოებრივი» პირობების გამოყენება ენობრივი განვითარების კანონზომიერების ასახსნელად გამოწვეულია იმით, რომ ნ. მარი სწორედ ამ ღრივიდან ცდილობს მარჯისზე პრინციპების გამოყენებას ენათმეცნიერულ კვლევაში. საგულისხმოა ამ თვალსაზრისით ი. მეშჩანინოვის შეხედულება ამ გარდატეხის შესახებ ნ. მარის მოძღვრებაში. ი. მეშჩანინოვის სიტყვით, ენათა განვითარებისათვის „Причина устанавливается уже другая, а именно: смена видов производства вызывает перемену в общественном строе, что в свою очередь отражается также и в языковой структуре“³.

ი. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების შუქზე ამჟამად ჩვენთვის ნათელია, თუ რა შეცდომას შეიცავს ნ. მარის წარმოადგენილი თვალსაზრისი, რომელსაც საფუძვლად უდევს დებულება ენის «ჩედნაშენურობის» შესახებ⁴. ნ. მარის და მის მიმდევრებს კი განსაკუთრებულ დამსახურებად მიაჩნდათ სწორედ ამ დებულების წამოყენება და მტკიცება...

¹ ნ. მარი, იაფ. ენ. Средиз.: ИР, ტ. I, გვ. 185 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

² იქვე, გვ. 185 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

³ ი. მეშჩანინოვი, Новое учение, გვ. 17 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

⁴ იბ. აქვე, გვ. 97.

ამავე წერილში ხაზგასმითაა აღნიშნული ის გარემოება, რომ ენათმეცნიერებაში დადატრიალების» მოხდენის საშუალება ნ. მარს მიეცა პალეონთოგიური კვლევის შეალობით („Работа последних месяцев над палеонтологией речи...”, — ამბობს ნ. მარი).

ნ. მარი თავისი ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ამრიგადუკავშირებს ახალი, პალეონტოლოგიური, მეთოდოლოგიის შექმნას. ამ დროიდან მოყვალებული პალეონტოლოგიური მეთოდი ხდება ნ. მარის საენათმეცნიერო კვლევის დასაყრდენი, ამ მეთოდის მეოხებით საბუთდებოდა «ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების» მცდარი, ვულგარულ-მარქსისტული დებულებები¹.

რაში მდგომარეობს პალეონტოლოგიური მეთოდის (resp. ოთხელემენტოვანი ანალიზის მეთოდის) იდეოლოგიური არსი? უნდა აღინიშოს, რომ, როგორც სხვა შემთხვევაშიც, ნ. მარს არ წარმოუდგენია ჩამოკვეთილი დასაბუთება პალეონტოლოგიური მეთოდის შინაარსისა და მისი კონკრეტული გამოყენების პირობების შესახებ. არც მის მოწაფეებს გაურკვევიათ ეს საკითხი. პირიქით, როგორც ირკვევა, ნ. მარის მოწაფეებს არსებითად არც ესმოდათ ამ მეთოდის რაობა და მისი ადგილი ნ. მარის მოძღვრებაში, რადგან ზოგჯერ ისინი ფიქრობდნენ, რომ ნ. მარის «ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება» პალეონტოლოგიური მეთოდის გარეშეც შესაძლებელია². ყველაზე სრული ანალიზი და პრინციპული დახასიათება ოთხელემენტოვანი პალეონტოლოგიური მეთოდისა წარმოდგენილი აქვს პროფ. არნ. ჩიქობავის თავის «ზოგად ენათმეცნიერებაში»³, სადაც გარკვეულია როგორც ამ «მეთოდის» ენათმეცნიერული შინაარსი, ისე დასაბუთებულია მისი უვარებისობა ენათმეცნიერული კვლევისათვის.

¹ ნ. მარს, წინათაც ჰქონდა პალეონტოლოგიური მეთოდი, ოღონდ მაშინ პალეონტოლოგია იხმარებოდა სხვაგვარი გაეხით. 1916 წ. ნ. მარი წერდა:

„Лингвистическая палеонтология в кавказских языках дает возможность вскрывать паразитическую историю взаимоотношений, в корень подрывающую националистические или традиционные построения истории и народов Кавказа в более древние и древнейшие эпохи. Лингвистическая палеонтология постепенно дает средства доказываться в абхазской речи до ее первичных слов. Но этого мало. Предстоит еще более трудная, еще более сложная работа — путем сравнения подлинного первичного пласта абхазской речи с более близкими по родству языками, именно с другими коренными горскими языками Кавказа, с одной стороны, выяснить историю и этого слоя абхазского языка, а с другой, — доследовать до первичных общих форм всех горских языков. Само собой понятно, что вся эта работа должна быть построена на данных сравнительно-исторической грамматики горских языков, от отсутствия которой сильно страдает общая сравнительная грамматика яфетических языков“: ნ. მარი, Кавказовед. и абх. языկ, ИР, ტ. I, გვ. 77 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

² იბ. აქვთ, გვ. 118 შედ.

³ არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, წიგნი II, გვ. 231 — 273.

4.

პალეონტოლოგიური მეთოდის არსისა და მისი მეთოდოლოგიური უსაფუძვლობა გავება მოითხოვს ნ. მარის «ხალი საენათმეცნიერო მოძღვრების» დებულებათა ზოგად გათვალისწინებას. საქმე ისაა, რომ ნ. მარისათვის ახალი მეთოდის ჩამოყალიბება უკილებელი გახდა «ხალი მოძღვრების» შემუშავებისათვის. ზოგჯერ პალეონტოლოგიური მეთოდი წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებელი მოვლენა ნ. მარის მოღვაწეობაში¹. მაგრამ ასეთი თვალსაზრისი მართებული არაა. პალეონტოლოგიური მეთოდის იდეოლოგიური არსის გავება შემდებელია, თუ ჩვენ არ გავითვალისწინეთ ნ. მარის მოძღვრების ძირითადი დებულებები და მათი შინაგანი ლოგიკური კავშირი. კერძოდ, უნდა ნათლად გვესმოდეს, რა გზით და როგორ ცდილობდა ნ. მარი მარქსიზმის შეტანას ენათმეცნიერებაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება ნათელი ნ. მარის ძირითადი შეცდომები და პალეონტოლოგიური ძიების მეთოდოლოგიური მცდარობაც. ცხადია, პირველ რიგში უნდა გაირკვეს საკითხის ეს მხარე.

ი. სტალინმა აღნიშნა: „ნ. ი. მარს მართლაც სურდა და ცდილობდა მარქსისტი ყოფილიყო, მაგრამ მან ვერ შეძლო გამხდარიყო მარქსისტი. იგი მარქსიზმის მხოლოდ და მხოლოდ გამაუბრალოებელი და ვულგარიზატორი იყო, როგორც «პროლეტკულტურელები» ან «რაბპელები»².

5. მარისათვის საბედისწერო სწორედ ის აღმოჩნდა, რომ მარქსიზმის განსახორციელებლად ენათმეცნიერებაში მას ესახებოდა და თავისებური და სრულიად მცდარი გზა. პირველ რიგში ნ. მარმა ენა აღიარა ზედნაშენურ მოვლენად და ამისდა მიხედვით კლასობრივ მოვლენადაც.

ი. სტალინმა ბრწყინვალედ დაასაბუთა და თვალსაჩინო გახადა შემოქმედებითი მარქსიზმის პრინციპების საფუძველზე, რომ ენა არაა ზედნაშენური მოვლენა და, მაშასადამე, არც კლასობრივი. ი. სტალინი გვასწავლის: „რაც შეეხბა შემდგომ განვითარებას საგვარეულო ენებიდან ტომების ენებამდე, ტომების ენებიდან ხალხების ენებამდე და ხალხების ენებიდან ეროვნულ ენებამდე, — ყველგან განვითარების ყველა ეტაპზე ენა, როგორც საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, საერთო და ერთიანი იყო საზოგადოებისათვის, იგი თანაბრიდ ემსახურებოდა საზოგადოების წევრებს დამოუკიდებლად მათი სოციალური მდგრადირებისა“³.

ნ. მარი კი ფიქრობდა და ასაბუთებდა, რომ ენაში — როგორც «ზედნაშენურ» მოვლენაში — ზედნაშენთა მსგავსად უნდა აისახოს ბაზისი, საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება და საზოგადოებრივი იდეოლოგია. ამას იგი მრავალგან აცხადებს პირდაპირ. მაგალითად, ერთგან იგი ამბობს:

„Язык отражает в себе все стадии развития всех примерно приведенных и еще других сторон создавшейся человечеством культуры и всех устанавливавшихся в его сознании взаимоотношений между не только человеком, в начале всегда кол-

¹ აქვთ, გვ. 118 შმდ.

² ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 30.

³ იქვთ, გვ. 10.

клетивно воспринимавшимся, но и между коллективом в целом и окружающим его видимым миром.

Язык отразил в себе все пути и все ступени развития материальной и надстроечной культуры, усовершенствования орудий ее производства и все изгибы связанныго с таким материально возникшим прогрессом общественного мышления¹.

ამ მცდარი დებულებიდან ამოსული და მის საფუძველზე ნ. მარი ლოგიკური თანმიმდევრობით აყალიბებდა ახალ დებულებებს, რომელთაც უნდა აქტსნათ ენობრივი განვითარების კანონზომიერება. ი. სტალინმა ნათლად გვიჩვენა, რომ ნ. მარის მოძღვრებაში ძირითად ჟეცდომას ჭარმთადგენდა ენის ზედნაშენურობის დებულება. ბუნებრივია ამიტომ, რომ ი. სტალინმა თავისი გენიალური შრომა «მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში» დაწყო საკითხით: „სჭორია თუ არა, რომ ენა არის ბაზისის ზედნაშენი?“². ი. სტალინის უდიდესი დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან დაასაბუთა და თვალსაჩინოდ გაგვითვალისწინა დებულება, რომ ენა არ არის ზედნაშენური მოვლენა.

როგორ ხორციელდება ენაში «ზედნაშენურობა» ნ. მარის აზრით?

ენის კავშირი ბაზისთან, საზოგადოებრივი იდეოლოგიის ასახვა ენაში (ენის «ზედნაშენურობის» საჩვენებლად), ნ. მარის აზრით, შესაძლებელია აზროვნების მეშვეობით. ნ. მარი ყველგან გახაზავდა, რომ ენობრივი მოვლენები უნდა შევისწავლოთ მხოლოდ და მხოლოდ აზროვნებასთან მცირო კავშირშით. იგი ფიქრობდა, რომ საზოგადოებრივი იდეოლოგია უპირველეს ყოვლისა აისახება აზროვნებაში. ენა უშუალოდ კავშირშია აზროვნებასთან და, მაშასადაც, საზოგადოებრივი იდეოლოგია აზროვნების მეოხებით ვლინდება ენაში, იმგარადვე, როგოც ეს ხდება ზედნაშენურ მოვლენებში. ამიტომ, ენობრივი განვითარების კანონზომიერება რომ გავიგოთ, საჭიროა შევისწავლოთ აზროვნება, მისი ჭარმოშობა და მისი განვითარების კანონზომიერებათ.

ამ მომენტს განსაკუთრებით მიუთითებდა ი. მეშჩანინვიც:

„Н. Я. Марр прекрасно понимал то исключительное значение, которое для языковедческой работы имеет определение понятия языка. Оно уже имелось в готовом виде, точном, ясном и кратком: язык есть непосредственная действительность мысли, язык есть действительное сознание³. Н. Я. Марру оставалось лишь положить в основу своих исследований это определение, данное классиками марксизма, и сделать из него соответствующие выводы. По его утверждению, развитие хозяйственных форм и социального строя обусловливают движение речи в путях ее перестройки. Это движение идет через мышление“⁴.

¹ ნ. მარი, იაზიკ, ი.р., ტ. II, გვ. 127 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

² ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 3.

³ კ. მარკს და ფ. ენგელს, ნемецкая идеология, Соч., IV, გვ. 20, 434.

⁴ ი. მეშჩანინვიც, იჩერგავით, გვ. 15 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

აზროვნების საკითხს ამიტომ ნ. მარი ხშირად ეხება, ხოლო 1931 წელს
მან მას უძღვნა სპეციალური გამოკვლევაც¹. ამ გამოკვლევაში, სხვათ მოძღვრების
შეჯამებულია საზოგადოდ «ახალი საენაომეცნიერო მოძღვრების» «მიღწევები»,
ხოლო სპეციალურადაა განხილული ენისა და აზროვნების ურთიერთობის
პრობლემა ზოგადენაომეცნიერული თვალსაზრისით.

პირველ რიგში ნ. მარი პირდაპირ აღნიშნავს:

„Отстранение лингвиста от суждения о мышлении это — наследие европейской буржуазной лингвистики, как проклятие, тяготевшее над всеми нашими предприятиями и по организации исследовательских и учебных дел, не только по языку. Старое учение об языке правильно отказывалось от мышления, как предмета его компетенции, ибо речь им изучалась без мышления. В нем существовали законы фонетики — звуковых явлений, но не было законов семантики — законов возникновения того или иного смысла, законов осмыслиения речи и затем частей ее, в том числе слов. Значения слов не получали никакого идеологического обоснования“².

უპირველს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მარი უმართებულოდ
უკიუინებს «ძველ ენათმეცნიერებას», რომ იგი ენის საკითხებს არ სწავლობდა
აზროვნებასთან კავშირშით. ნ. მარი ამ ზემოთხვევაში ჩემალავს ენათმეცნიერე-
ბის ისტორიის ცნობილ ფაქტებს. ამასთან დაკავშირებით გაუგებარია ნ. მა-
რის განცხადება, რომ «ძველ ენათმეცნიერებაში» „Не было законов семан-
тики — законов возникновения того или иного смысла, законов осмысле-
ния речи и затем частей ее, в том числе слов“.

მართალია, ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სიტყვის მნიშვნელობას
სწავლობს — სემასიოლოგია — გვიან ჩამოყალიბდა, მაგრამ XIX საუკუნის
ბოლოს და XX საუკუნეში იგი სწრაფად განვითარდა. თანამედროვე ბურ-
ჟუაზიულ ენათმეცნიერებაში, პირიქით, სემასიოლოგია და სემანტიკური კვლევა
გადაიქცა წამყვანად. ამზად სემანტიკურმა კვლევამ, განსაკუთრებით ჩრდი-
ლო ამერიკის ენათმეცნიერებაში, მიიღო ისეთი სახე, რომ იგი ცდილობს გან-
დევნოს ენათმეცნიერების სხვა დარგები³.

ნ. მარი იმიტომ უარყოფდა სემანტიკური კვლევა-ძიების არსებობას
დეველი ენათმეცნიერებისა განვითარებაში, რომ მას სემანტიკური კვლევა-
ძიება ახალ საფუძველზე სურდა დაემყარებინა. სახელდობრ, სემანტიკური
კვლევა მას აინტერესებს თავისი ძირითადი თეზისის — ენა არის «ზეღნაშენური»
მოვლენა — დასაბუთების თვალსაზრისით. ამ გარემოებას ნ. მარი პირდაპირ
მიუთითებს:

„Новое учение об языке по яфетической теории основано в первую голову
на закономерности возникновения и развития сначала речи, потом слов, как со-

¹ ნ. მარი, ენის კონსტრუქციების მეთოდოლოგიური უსაფუძვლობა
— საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე 26. IV. 1931 წ.

² ნ. მარი, ენის კონსტრუქციების მეთოდოლოგიური უსაფუძვლობა
— საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე 26. IV. 1931 წ.

³ ა. მ. კორნფორტ, ვ დაუმომავ ენის კონსტრუქციების მეთოდოლოგიური უსაფუძვლობა — საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე 26. IV. 1931 წ.

циальных стоимостей, порожденных производственными отношениями в процессе их диалектического развития, и оформленных мышлением соответственных стадий и в том же порядке возникших их взаимоотношений, увязок, служебных частей. Благодаря палеонтологии речи, вскрывшей смыслу значений слов, этих надстроек социальных стоимостей, на различных ступенях стадиального развития, новое учение об языке не выделяет вопроса о происхождении мышления из глотологии (языкотворчества), и, ставя проблему о происхождении языка, как основную, тем самым считает первоочередной и проблему мышления, отводя служебное место технике речи, звуковая она или речная¹.

ცხადია, მგვარი თვალსაზრისით «დელ ენათმეცნიერებას» სემანტიკური კვლევა არა ჰქონდა და ვერც ექნებოდა. ნ. მარიც ამიტომ აცხადებს, რომ სიტყვის მნიშვნელობის კვლევა წინათ არ წარმოებდა.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ საქმის ნამდვილი ვითარება? ნათელია, რომ არავის ეეჭვება ენასა და აზროვნებას შორის მჭიდრო კავშირის არსებობა, რომ ენობრივი განვითარების შესწავლა შეუძლებელია აზროვნების განვითარების გარეშე, რომ ენის ლექსიკური შედგენილობის, ძირითადი ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული წყობის ცვალებადობაში გარკვეულ როლს თამაშობს აზროვნების განვითარება. მაგრამ იმავე დროს ნათელია ისიც, რომ ენის განვითარებას აქვს თავისი შინაგანი კანონზომიერება და რომ თვით აზროვნების წარმოქმნა-ჩამოყალიბება და განვითარება ხდება ბერითი ენის ბაზაზე. ი. სტალინმა პირდაპირ მიგვითით, რომ „ადამიანის თავში რა აზრებიც უნდა გაჩნდნენ და რა დროსაც უნდა გაჩნდნენ, მათ შეუძლიათ გაჩნდნენ და იარსებონ მხოლოდ ენობრივი მასალის ბაზაზე, ენობრივი ტერმინებისა და ფრაზების ბაზაზე. ენობრივი მასალისაგან თავისუფალი, ენის ბუნებითი მატერიისაგან』 თავისუფალი შიშველი აზრები არ არსებობს. «ნააზრის უშუალო სინამდვილეა» (მარქსი)².

ნ. მარის ძირითადი მეთოდოლოგიური შეცდომა უპირველეს ყოვლისა სწორედ ის იყო, რომ მან სრული ავტონომია მიანიჭა აზროვნებას. იგი აღვენდა აზროვნების განვითარების თავისებურ კანონზომიერებას, რომელსაც აბსოლუტურად დაუქვემდებარა ენობრივი განვითარების კანონზომიერება. ი. სტალინმა ხაზასმით ამხილა ნ. მარის ეს მცდარი პოზიცია:

„ა) ნ. ი. მარი აზროვნებას წყვეტს ენისაგან;

ბ) ნ. ი. მარს მიაჩნია, რომ ადამიანთა ურთიერთობა შეიძლება განხორციელდეს უენოდაც, თვით აზროვნების შემწეობით, რომელიც თავისუფალი იქნება ენის ბუნებითი მატერიისაგან», თავისუფალი იქნება ბუნების ნორმებისაგან;

გ) წყვეტს რა აზროვნებას ენისაგან და «ათავისუფლებს» რა მას ენის ბუნებითი მატერიისაგან», ნ. ი. მარი. იდეალიზმის ჭაობში ეფლობა³.

მეორე მარივ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ნ. მარი ერთმანეთი-საგან არ ასხვავებს აზროვნებას და ცნობიერებას. ყველგან, სადაც:

¹ ნ. მარი, ქართ և მышление, ИР, ტ. III, გვ. 106 (ნაზი ჩენია. ვ. ფ.).

² ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკონტენტო, გვ. 37.

³ იქვე, გვ. 36 — 37.

6. მარი კონკრეტულ ენობრივ ფაქტებს განიხილავს; მას მხედველობაში ცნობიერების მოვლენები და არა აზროვნება ზოგადად, როგორც გარკვეული საზოგადოებრივი მოვლენა.

6. მარი პირდაპირ აცხადებს:

„Мышление в первичном состоянии есть коллективное осознание коллективного производства с коллективным орудием и производственных отношений; язык—коллективное выявление коллективного осознания в оформлении и объеме, в зависимости от техники мышления и мировоззрения“¹.

ცხადია, ცნობიერების ანალიზი 6. მარისათვის საჭირო იყო იმიტომ, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ენის ფაქტების დაკავშირება ბაზისთან, ენის გამოცხადება «ზედნაშენურ» (resp. «კლასობრივ») მოვლენად.

რამდენადც ენობრივი მოვლენების კვლევა 6. მარმა დაუკავშირა აზროვნების (resp. ცნობიერების) კვლევას, ბუნებრივია, რომ მან განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სიტყვის მნიშვნელობაზე, მის სემანტიკურ მხარეზე. სემანტიკის როლის შესახებ «ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში», კერძოდ ოთხელემენტოვანი კვლევის საქმეში, 6. მარი თვითონვე გვაუწყებს შემდეგს:

„Творческая мощь четырех элементов в исследовательском деле—это семантика, порожденная на различных стадиях в различных путях различными орудиями производства. Семантика дала добраться шаг за шагом палеонтологию речи до процесса организации языкового материала, проникнуть в нее. Благодаря ей четыре лингвистических элемента открыли новый путь увязки, уже увязали даже отрешенные фонетические нормы, как производные, с идеологией общественности, как производительницы, в путях диалектического материализма“².

სემანტიკა (resp. სემასიოლოგია) არის მოძღვრება სიტყვის მნიშვნელობის შესახებ. სიტყვის მნიშვნელობა იცვლება ისტორიულად და ამ ცვალებადობას ახასიათებს სრულიად გარკვეული კანონზომიერება. სემასიოლოგია ჩამოყალიბდება იწყებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში³; ამ დარგის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის შედარებით-ისტორიულ ენათმეცნიერებას, «დველ ენათ მეცნიერებას», როგორც 6. მარი უწოდებდა მას. 6. მარის თავისებური თვალსაზრისი სიტყვის სემანტიკის კვლევის პრიცესში იმაში მდგომარეობს. რომ იგი მნიშვნელობის ცვალებაში აღგენს ისეთსავე კანონზომიერებას, როგორიც დასტურდება ზედნაშენური მოვლენების განვითარებაში. სემანტიკურ კვლევას ამის გამო 6. მარის უკანასკნელი ხანის მოღვაწეობაში, შეიძლება

¹ 6. მარი, Язык и мышление, ИР, ტ. III, გვ. 112 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

² 6. მარი, К сем. палеонт., ИР, ტ. II, გვ. 250—251 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

³ იხ. H. Paul, Prinzipien der Sprachgeschichte, 1919, გვ. 74 შმდ.

J. Schrijnen, Einführung in das Studium der indogerm. Sprachwissenschaft, ვ. 145 შმდ.

ითქვას, გაბატონებული ადგილი უჭირავს. 1924 წლიდან მოყოლებული მისი შრომები საცხეა სხვადასხვა ენის სიტყვათა ეტიმოლოგიებთ, რაც მომდევნობა რიგში ვარაუდობს ამ სიტყვათა სემანტიკის გარკვევას. რა საკითხსაც უნდა ეხებოდეს ამ პერიოდის ნ. მარის ნაშრომი, მასში უხვადაა წარმოდგენილი სემანტიკური კვლევა, სიტყვის მნიშვნელობის განვითარების პრობლემაზე. ასეთ ვთარებას ხაზგასმით მიუთითებს ი. მეშჩანინვიც:

„Яфетическое языкознание утверждает, что семантика вытекает, как и морфология речи, из общественного строя человечества, из его сложившихся хозяйствственно-экономических условий“¹.

„Углубление в палеонтологию выдвинуло особое значение семантики слов, поставив учет её непременным условием яфетидологических работ. Особое внимание на семантику было обращено еще в «Яфетическом Кавказе и третием этническом элементе в созидании Средиземноморской культуры» (1920—23 гг.). С последующим усилением палеонтологии семантика все более и более выдвигается на первый план“².

იმავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ნ. მარი ცდილობს სემანტიკური ცვალებადობის კანონზომიერებაში აღმოაჩინოს დიალექტიკური განვითარების კანონზომიერებანი, დიალექტიკის კანონები. ასე, მაგალითად, მნიშვნელობის განვითარების პროცესში ნ. მარი განსაკუთრებით ხშირად იყენებდა წინააღმდეგობათა ერთიანობის პრინციპს³:

ბუნებრივია, რომ ამის გამო და ამ დებულების საფუძველზე ნ. მარი სკეციალურად იკვლევს სემანტიკური გადასვლების «კანონზომიერებას» და დადგენს მთელ რიგ მცდარ სემანტიკურ კანონებს. «ახალ საენათმეცნიერო-მოძღვრებაში» შემუშავდა მთელი სისტემა სემანტიკურ «კანონთა». ეს ყალბი სისტემა საფუძვლად დაედო ნ. შარის მთელ ბოლოდროინდელ ქვლევა-ძიებას. ეს საკითხი ცალკე განხილვას მოითხოვს.

სემანტიკური ძიებანი, ალბათ, იმითაც იზიდავდა ნ. მარს, რომ სემანტიკური კანონზომიერებანი საზოგადოდ სცილდებიან ცალკეული ენების ფარგლებს. ეს გარემოება საშუალებას აძლევდა ნ. მარს ერთიანი გლობოგონიური პროცესის შესახებ ელაბარაკა ენითა განვითარებაში. საყრადღებოა ამ თვალსაზრისით ნ. მარის მითითება: „...Семантическое положение по формуле ‘слеза’ ← ‘вода глаза’ || ‘очей вода’ имеет мировое распространение за пределами яфетических языков или языков яфетической стадии развития“⁴.

ე. წ. «ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების» განხილულ მომენტთან დაკავშირებით საყურადღებოა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მივიღა ნ. მარი გრამატიკის უარყოფამდე, რატომ გამოაცხადა მან გრამატიკა ფურმალობად. ენის გრამატიკულ კატეგორიებსაც ხომ აქვთ თავისი სემანტიკა, მნიშვნელობა? გრამატიკული წყობის განვითარებაში ხომ ჩნდება ახალი კატეგორიები და, უხადია, ახალი სემანტიკური მოვლენები?

¹ ი. მეშჩანინვიცი, Введение в яфетидологию, გვ. 64 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

² იქვე.

³ შდრ. ნ. მარი, კ. сем. палеонт., ИР, ტ. II, გვ. 253, 269.

⁴ ნ. მარი, ჩინური ენის ენოლოგია რეზ. ი. მეშჩანინვიცი, ი. მეშჩანინვიცი, ვ. ფ.).

ცნობილია, რომ ნ. მარი ერთხანს კატეგორიების გენეზისი. ამ მიზნით იგი, ცხადია, ყურადღებას ამახვილებდა გრამატიკული კატეგორიების სემანტიკურ მხარეზე (resp. ფუნქციაზე) და თავისი ზოგადი დებულების საფუძვლზე ხსნიდა გრამატიკული კატეგორიების ჩამოყალიბებას. ამ მხრივ საყურადღებოა, მაგალითად, ნ. მარის შეხედულება სქესის კატეგორიის წარმოქმნის შესახებ. ნ. მარი 1926 წელს «მტკიცებდა»:

„Грамматический женский род по своему происхождению вовсе не естественноисторическое явление, оно вовсе и не оторванное от материальной реальности, общественности, отвлеченное схематическое морфологическое явление, как это может казаться, да и кажется языковедам-формалистам. Признаки рода вышли из признаков деления всех предметов на категории трех миров, верхнего, нижнего или среднего и преисподнего, находящихся, каждый мир, во владении соответствующего божества“¹.

შემდეგში ნ. მარი თანდათან ნაჯერ ყურადღებას უთმობს გრამატიკული კატეგორიების კვლევას, ხოლო საბოლოოდ, როგორც ცნობილია, მან საზოგადო უარყო გრამატიკა. ცხადია, ნ. მარის მეთოდოლოგიამ შინაგანი მარცხი განიცადა გრამატიკული წყობის კვლევის საქმეში, რამდენადაც მან ვერ მოიპოვა გრამატიკული კატეგორიების წარმოქმნასა და განვითარებაში ენის ჰედნაშენურობისა ფაქტები. არც შეიძლებოდა მოებოვებინა, რადგანაც, როგორც დღეს საყოველთაოდ ცნობილია, ენა არ განექუთვნება ჰედნა-შენურ მოვლენებს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ნ. მარი მივიდა გრამატიკის უარყოფამდე. 1930 წელს მან განაცხადა:

„Формальное идеалистическое учение, на котором построена так называемая грамматика, абсолютно не приспособлено к увязке и живой речью подлинной, ни её базой, производством и производственными отношениями и с ними растущими общественностью и мировоззрением. Оно не имеет понятия о том, что язык есть изменчивая историческая ценность, оно не может дать конкретного представления ни о смене одной в языках системы другой, из нее рождающейся с борьбой в диалектическом развитии, системой“².

მაშასადამე, ნ. მარის აზრით გრამატიკა უარსაყოფია იმიტომ, რომ იგი არ უკავშირდება არც წარმოებას, არც საწარმოო ურთიერთობებს, საზოგადოებრივობას, მსოფლიხედ ველობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გრამატიკული წყობის ფაქტებში არ ჩნდება ენის ჰედნაშენურობა, არ ჩნდება ენის კულასობრივობა. ამიტომ, ნ. მარის აზრით, გრამატიკა წარმოადგენს ფუჭ ფორმალობას“.

მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სემანტიკური კვლევა-ძიება არ იყო და არ არის უცხო შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერებისთვისაც.

¹ 6. მარი, ლингв. намеч. эпохи, ИР, ტ. III, გვ. 52 (ჩაზი ჩვენია. ვ. ფ.); შდრ. ИР, ტ. II, გვ. 254.

² 6. მარი, К реформе письма и грамматики, ИР, ტ. II, გვ. 374—375 (ჩაზი ჩვენია. ვ. ფ.).

შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება გარკვეულ ყურადღებას აქვთ უკავშირული სემანტიკის კვლევას, იგი ადგენდა სემანტიკური გადასვლების კანონზომიტურის მათ შორის შესატყვისობის გარკვევისას აუცილებელია სემანტიკურ გადასვლათა გათვალისწინება¹. ამ მხრივ სემანტიკის საფუძვლით განსაზღვრული აღგილი უკავია შედარებით-ისტორიულ კვლევაში.

ბუნებრივია, რომ ი. სტალინმა ყურადღება გაამახვილა სემანტიკის პრობლემაზე და პირდაპირ მიგვითითა: „სემანტიკა (სემასიოლოგია) ენათმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სიტყვათა და გამოთქმათა შინაარსობრივ მხარეს სერიოზული მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლის საქმეში. ამიტომ სემანტიკისათვის (სემასიოლოგისათვის) უზრუნველყოფილ უნდა იქნას მისი შესაფერისი აღგილი ენათმეცნიერებაში“².

ნ. მარის პალეონტოლოგიურ მეთოდოლოგიაში ჩვეულებრივს სემასიოლოგიურ კვლევა-ძიგბასთან შედარებით პრინციპულად ახალი ისაა, რომ მან ამ «სემანტიკური გადასვლების» დასაბუთება მოინდომა ბერძობრივი გადასვლებითაც (ფონეტიკური პროცესების საფუძველზე). ნ. მარისათვის საკითხი მხოლოდ იმას კი არ ეხებოდა, რომ ‘მუხა’ მნიშვნელობის «გადაწევით» იძლევა ‘ზე’ ცნებას³, მისთვის მთავარია, რომ ‘მუხა’ || ‘ზე’ ცნების აღსანიშნავად მსოფლიოს ყველა ენაში გამოვლინდეს ერთი და იგივე ანდა ერთიმეორისგან მომდინარე ბერძოლითი კომპლექსი. ნ. მარისათვის არსებითია ის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას უკავშირდებოდეს არა მარტო ენის სემანტიკა, სიტყვათა მნიშვნელობა—რაც სრულებით ბუნებრივია გარკვეული კანონზომიერების დაცვით—არაედ სიტყვათა ბერძობრივი მხარეს⁴: ნ. მარის აზრით, ენის ბერძოლით მხარის განვითარება უნდა ასახავდეს საზოგადოებრივ განვითარებას (ბაზისისა და ზედნაშენების განვითარებას). ეს ოვალსაზრისი ნ. მარს მრავალჯერ გამოუთვევამს და შინაგანად ყველგან იგულისხმება მის კვლევაში. ნ. მარი პირდაპირ მიუთითებს, რომ: „Звуки не менялись [без]⁵ изменений смысла, звуковая разновидность была и идеологической разновидностью, и нет ни одного теперь формально учитываемого звукового явления, которое не имело бы функции, идеологически зависящей не от употребления, а от заказа общественности“⁶. მეორე აღგილას ნათქვამია: „...частной проблеме во всяком случае приходится подходить с того общего положения, что звуковая речь

¹ იქ. არნ. ჩიქობავა, ზოგ. ენათმეცნიერება, II, გვ. 214: „ფონეტიკური გადახრის გარდა შედარებისას გასათვალისწინებელია სემასიოლოგიური გადახრა—ცვლილება დიფერენცირებული მასალის მნიშვნელობაში“ (ხაზი ავტორისაა. გ. ფ.).

² ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნ. საკითხები, გვ. 35—36.

³ აძვევ. გვ. 113 შტდ.

⁴ აქ «ნეა» გამოტოვებული უნდა იყოს კორექტურის დროს (?!).

⁵ ნ. მარი, ქართველი, ИР, ტ. III, გვ. 99.

началась с хозяйствственно-общественного осознания и не было в ходу в хозяйственной общественной оценки предметов, с чем не разрывно связан и куль¹.

За́лეონбტოლოგიური (resp. ოთხელემენტოვანი ანალიზის) მეთოდის არსებობის ციკლის სწორედ ეს გარემოება წარმოადგენს. ოთხელემენტოვანი კვლევა იმ სახით, როგორც იგი ჩამოაყალიბა ნ. მარმა თავისი მოღვაწეობის ბოლო წლებში, ლოგიკურად გამომდინარეობს სწორედ ამ პოსტულატიდან: სემანტიკურ ცვალებადობათა და კანონზომიერებათა შესატყვისად უნდა დადასტურებულიყო ბერითი ცვალებადობანი და კანონზომიერებანი. «ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების» პალეონტოლოგიური (ოთხელემენტოვანი ანალიზის) მეთოდი მოწოდებული იყო ეს იმოცანა «გადაეჭყვიტა». ნ. მარი პირდაპირ აღნიშნავს:

„Учет тех же фактов в диахроническом разрезе дает возможность проследить палеонтологически от значимости отдельных фонем, ныне воспринимаемых лишь формально, как отрешенные от материального базиса идеологические символы, до лингвистических элементов (A, B, C, D), пережитками которых они являются. Многочисленные разновидности этих элементов в яфетических языках выступают с общей функцией служить увязкой языка и мышления, звука и значения².“

ამ ვულგარულ-მარქსისტული დებულების ილუსტრაციას წარმოადგენს ნ. მარის პალეონტოლოგიური «ძიების» მთელი პრაქტიკა, რომლის ერთი ნიმუში განხილულია ქვემოთ³. ასეთი პალეონტოლოგიური ანალიზის შესაძლებლობას აძლევს ნ. მარს ოთხი ლინგვისტიკური ელემენტი.

5.

პალეონტოლოგიური (resp. ოთხელემენტოვანი ანალიზის) მეთოდის კონკრეტული ენათმეცნიერული შინაარსი, მისი ფონეტიკური საფუძველი მდგრადირეობს შემდეგში: ნ. მარის აზრით, მსოფლიოს ყველა ენის ბერითი შედგენილობა დაიყვანება ოთხ ელემენტამდე, ე. ი. ოთხ გარკვეულ ბერითს კომპლექსის მდე. ეს კომპლექსებია: სალ (A), ბერ (B), უონ (C), როვ (D). ნ. მარი აცხადებდა:

„Пожалуй, не могу я рассчитывать и на знакомство с положением или учением о четырех элементах, т. е. с тем, что все слова всех языков, поскольку они являются продуктом одного творческого процесса, состоят всего-навсего из четырех элементов, каждое слово из одного или двух, реже трех элементов; в лексическом составе какого бы то ни было языка нет слова, содержащего что-либо сверх все тех же четырех элементов“⁴.

¹ ნ. მარი, Средства передв., ИР, ტ. III, გვ. 128 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

² წინათ პალეონტოლოგიის წინაშე სხვა ამოცანა ისახებოდა. შდრ. აქვე, გვ. 96.

³ ნ. მარი, Яфетические языки, ИР, ტ. I, გვ. 299 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

⁴ აქვე, გვ. 113 შდრ.

⁵ ნ. მარი, Общ. курс, ИР, ტ. II, გვ. 16.

6. მარი ფიქრობდა, რომ ყოველი ენის ყოველი სიტყვა თავისი გერი-
თი შედგენილობით გამოიყენება რომელიმე ელემენტიდან, ოღონდ უწყდა ფული-
ცოდეთ პალეონტოლოგიური მეთოდის გამოყენება. ოთხი ელემენტიდან
ლომ სახით «ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში» ერთბაშად არ ჩამოყალი-
ბებულა, საზოგადოდ ელემენტურ ანალიზს სხვადასხვა დროს სხვადასხვა და-
ნიშნულება ჰქონდა. გენეტურად ეს ელემენტები 6. მარისათვის წარმოადგენენ
აღამიანის მეტყველების პირველადი ბგერითი კომპლექსების კანონზომიერ
განვითარებას, მაშასადამე, ელემენტების საკითხი უკავშირდება ენის წარმო-
შობის პრობლემასაც. მაგრამ ამ მხარეს აქ ვერ განვიხილავთ. ამჟამად არსე-
ბითია საკითხი, თუ როგორ უნდა დავადგინოთ 6. მარის მიხედვით ოთხი
ელემენტი მსოფლიოს ენათა ბგერითი მრავალფეროვნებაში¹. ფაქტია, რომ
თანამედროვე მსოფლიოს ენებში ბგერითი სისტემა სხვადასხვაა. კიდევ უფრო
განსხვავდება ერთმანეთისაგან ერთი და იმავე ცნების ბგერითი გამოსახულე-
ბა სხვადასხვა ენაში. როგორ შეიძლება სიტყვათა მრავალფეროვან ბგერითი
გამოსახულებაში ერთვეარობის გამოვლენა, ე. ი. ოთხი ელემენტის დადგენა²?
6. მარი ამას «ახერხებს» თავის სებური ფონეტიკური კანონზომიე-
რების საფუძველზე. საჭმე ისაა, რომ, 6. მარის აზრით, ოთხი ელემენტი (ე. ი.
ოთხი ბგერობრივი კომპლექსი: ხალ, ბერ, ლონ, როშ) იცვლება ფონეტი-
კურად და ამ ცვალებადობის შედეგად მათ შეუძლიათ მიიღონ მრავალ-
გვარი სახეობა. თუ ჩენ გავითვალისწინებთ ამ ცვალებადობის კანო-
ნებს, და მათ საფუძველზე შევისწავლით სიტყვათა ბგერითი სახის მრავალ-
გვარობას, შესაძლებელი გახდება ყოველი სიტყვის ბგერითი შედგენილობაში
ასეთი თუ ისეთი სახით რომელიმე ელემენტი (ზოგჯერ ორი ან სამიც!) დად-
გინდეს. მაშასადამე, 6. მარის აზრით, მთავარია, ვიცოდეთ, რა ცვალებადობა
შეიძლება განიცადონ ელემენტებმა³.

6. მარმა თავი მოუყარა ყველა შესაძლებელ ფონეტიკურ პროცესს, რო-
მელიც კი, მისი აზრით, დასტურდება ოთხი ელემენტის გარდასახებაში, და
თავის «ზოგად კურსში» წარმოგვიდგინა ოთხი ელემენტის კანონზო-
მიერ ნაირსახეობათა ტაბულა⁴ შემდეგი სახით:

¹ 6. მარი არ წარმოუდგენია ნათელი დასაბუთება ოთხელემენტოვანი პალეონ-
ტოლოგიისა. ზოგჯერ დასაბუთებას იგი არც თვლიდა საჭიროდ. ერთგან იგი ამბობს: „Вз-
тем об элементах. Некоторые вещи доказывать нет необходимости, их можно показывать. Так, например, видишь, что элементы существуют. Вопрос не в том, как они возникли. Наблюдение показало, что есть всего 4 элемента. Почему, не знаю. Это просто факт, а почему, это другой вопрос. Мы можем давать различные объяснения, но факты не могут только потому существовать, что нашли объяснение или не нашли“: 6. მარი, ქ. ბაკ. დისკ., გვ. 44 (ზაზი ჩეგნა. 3. ფ.).

² ალასანდრავია, რომ 6. მარმა ჩამოყალიბა ფონეტიკური პროცესების სრულებით თა-
ვისებური სისტემა და ტერმინლოგიაც: იხ. 6. მარი, მუს. კურს, იР, ტ. II, გვ. 37 შედ-

³ 6. მარი, მუს. კურს, იР, ტ. II, გვ. 96—99.



დეზასპირაციით:

კან→გან→ქან

დეზასპირაციით:

კონ→გონ→ქონ (\longleftrightarrow კუნ→გუნ→ქუნ)

IV. ელემენტი D—როშ:

სიბილანტური შტო:

ლას (|| ნას) → ლაზ (|| ნაზ)
↗ ლაწ (|| ნაწ) → ლაძ (|| ნაძ)
→ ლაც (|| ნაც)

როშ (|| ნოშ) \longleftrightarrow რუშ (|| ნუშ) →
როჟ (|| ნოჟ) \longleftrightarrow რუჟ (|| ნუჟ)
|| როჭ (|| ნოჭ) \longleftrightarrow რუჭ (|| ნუჭ)
→ როჯ (|| ნოჯ) \longleftrightarrow რუჯ (|| ნუჯ)
→ როჩ (|| ნოჩ) \longleftrightarrow რუჩ (|| ნუჩ)

დესიბილაციით:

ლატ (|| ნატ) → ლად (|| ნად)
→ ლათ (|| ნათ)

დესიბილაციით:

|| როტ (|| ნოტ) \longleftrightarrow რუტ (|| ნუტ)
→ როდ (|| ნოდ) \longleftrightarrow რუდ (|| ნუდ)
→ როთ (|| ნოთ) \longleftrightarrow რუთ (|| ნუთ)

ოთხი ელემენტის სახესხვაობები ამით არ ამოიწურება. გარკვეული შემთხვევებისათვის ნ. მარი ვარაუდობს, რომ ელემენტებს ჰქონდა დიფუზური თავკიდური თანხმოვანი. მაშინ ელემენტი იძლევა სხვა ვარიანტებს, მავალითად:

I. ელემენტი A—საჭ:

სისინა ჯგუფი:
ს/ჰალ→ზ/ გალ
↗ წყალ→ძღალ→ცხალ

შინაშინა ჯგუფი:
შ/ჰორ (\rightarrow შ/ჸურ) → შ/გორ
(\longleftrightarrow შ/გურ)
↗ ჰყორ → ჯლორ → ჩხორ
(\longleftrightarrow ჰყურ → ჯლურ → ჩხურ)
წინაენისმიერის დესიბილაციით:

წრალ→დღალ→თხალ
ცრალ→დღალ→თხალ

ტყორ→დღორ→თხორ (\longleftrightarrow ტყურ
→ დღურ→თხურ)

უკანაენისმიერის დეზასპირაციით: ჰყორ → ძგორ → ცქორ
(\longleftrightarrow ჰყურ → ძგურ → ცქურ)

ორივე პროცესის შეერთებით:

ტკორ→დგორ→თქორ (\longleftrightarrow ტკურ
→ დგურ→თქურ)

უკანაენისმიერის დეზასპირაციით:
ცრალ→დგალ→ცქალ
• ორივე პროცესის შეერთებით:
ტკალ→დგალ→თქალ

მაგრამ ელემენტთა სახესხვაობანი კიდევ შეიძლება გავამრავლოთ. ნ. მარი აღნიშნავს. „Помимо отсутствия в предложененной таблице скрещенных разновидностей, как-то: ხარ или даже ზარ, равно ცოლ и т. п., а с другой

стороны შოლ, შოლ и т. п., в ней не указаны 1) разновидности с перестановкой (შოლ → შოლ ~ შოლ ← შოლ и т. д., и т. д.) или ცოდნული ჟи-
циею губных гласных გ<→გ<→უ: გზრ<→შირ უშორ<→შურ) или с перебойными их эквивалентами შერ ~ შირ, ნერ ~ ნირ и т. д.) или с их полной утратой (შიр и т. п.); 2) разновидности с утратой спирантов გალ || ორ<→ურ или აბ || ონ<→უნ или ლა (|| ნა) || რო (|| ნო)<→რუ (|| ნუ), равно плавных в элементе А—პა (→'გ'ა) || 'გ'ო (→'გ'ო) ←→ 'გ'უ (→'გ'უ и т. д.), в элементе В—გა (←→მა) || (გო<→მო) ←→ გუ (←→მუ) и т. д.¹.

ელემენტთა «გარდასახება» ამგვარად შეიძლება უსაზღვროდ. ამის შედე-
გად ყოველი ელემენტი იძლევა ფონეტიკურ ვარიანტთა უსაზღვრო რიცხვს.
მაგალითად, А (სალ) ელემენტი (თუ გავითვალისწინებთ მხოლოდ მის ზოგი-
ერთ სახეობას) სიტყვაში შეიძლება ერთ-ერთი შემდეგი ბგერითი კომპლექ-
სით იყოს წარმოდგენილი:

ს ი ს ი ნ ა ჯგუფში:

სალ: ზალ || წალ || ძალ || ცალ
ტალ || დალ || თალ
ჰალ || ყალ || ყალ || ლალ || ხალ
ქალ || გალ || ქალ
წყალ || ძღალ || ცხალ
ტყალ || დღალ || თხალ
წყალ || ძგალ || ცქალ
ტყალ || დგალ || თქალ და ა. შმდ.

შ ი შ ი ნ ა ჯგუფში:

შორ || უორ || შურ || უურ ||
ჭორ || ჯორ || ჩორ || ჭურ || ჯურ
= ჩურ
ოორ || ღორ || თორ || ტურ || ღურ
|| თურ
ჭორ || ცურ || ღურ ||
ყორ || ღორ || ჭორ || ცურ || ღურ
|| ჭურ
კორ || გორ || ქორ || კურ || გურ
|| ქურ
ჭყორ || ჯღორ || ჩხორ || ჭყურ
|| ჯღურ || ჩხურ
ტყორ || ღღორ || თხორ || ტყურ
|| ღღურ || თხურ
ჭკორ || ჯგორ || ჩქორ || ჭკურ
|| ჯგურ || ჩქურ
ტკორ || ღგორ || თქორ || ტკურ
|| ღგურ || თქურ და ა. შმდ.

ყოველი მათგანი შეიძლება შეგხვდეს სხვადასხვა ენაში და შეიძლება შეესაბამებოდეს ერთ-ერთ სახეობას მეორე ენაში. ამიტომ «აღვილია» ერთი და იმავე ცნების გამომხატველი სხვადასხვა სიტყვა (სხვადასხვა ბგერითი კომპლექსი) ერთმანეთს შევუდაროთ, დავიყვანოთ ერთ ელემენტამდე და ამით «ვამტკიცოთ» ამ სიტყვების გენეტური ერთობლივი წარმომავლობა. ასეთი გამარტივებული ხერხით უდარებდა ნ. მარი მსოფლიოს ყველა ენის სიტყვებს ერთმანეთს და «ამტკიცებდა» ამ ენათა ტიბოლოგიურ მსგავსებას, არკვევდა.

¹ ნ. მარი, მთავრობის მეცნიერებელი კურსი, იურიდიკური მუნიციპალიტეტის და სამსახურის მთავრობის მეცნიერებელი კურსი, გვ. 99 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

ენათა «ერთიან გლობალური პროცესს». პალეონტოლოგიური (resp. თოხ-
ელემენტოვანი ანალიზის) მეთოდის არსი ამაში მდგომარეობს. შეტანილების და-
ადვილებდა ისიც, რომ სემანტიკური ფალასელების საფუძველზე ამ კომპლე-
ქსებმა სხვადასხვა ვითარებაში შეიძლება სხვადასხვა ცნება აღნიშნონ. ამ
სხვადასხვა ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვებიც შეიძლება გამოვიყენოთ ერთ-
მანეთისაგან, რამდენადაც მოხერხდება ამ სიტყვების ბეგრითი შედეგენილობის
დაყვნა რომელიმე ელემენტამდე. ხოლო რომ მოხერხდება, ეს უკველია:
ელემენტების ფარდასახებათა ფორმულები ამის საშუალებას გვაძლევს.

ავილოთ, მაგალითად, ასეთი ვითარება: ვთქვათ, ჩვენ გვინდა გავარკვიოთ „ხე“ ცნება. ნ.· მარი ეძებს ამ ცნების აღმნიშვნელ სიტყვებს სხვადასხვა ენაში—განურჩევლად ამ ენათა ნათესაობრივი კავშირისა. ელემენტების «გარდასახებათა» ფორმულების საფუძველზე ნ. მარი იმტკიცებს, რომ „ხე“ ცნებას ბევრ ენაში გამოხატავს ერთი და იგივე სიტყვა (გენეტურად ერთმანეთთან დაკავშირებული ბევრითი კომპლექსები), რასაც, მისი აზრით, ასეთი მასალის შედარება აღასტურებს:

A (၆၅၉) ၁၉၂၀၁၀၀၈၁၀

ქართ. ძელ-ი
მეგრ. ჯა'ლ¹ ← ჯარ → სპარს. დარ-უ — 'ნე'
სომხ. Շառ \ Քար — 'նե'

B (၃၁၆) ခြေားသမဂ္ဂ:

ଜୀବନତ. ମନ୍ଦିର-୧
ହିନ୍ଦ. ମନ—ମୁଖ୍ୟ
ରୂପ. ମନ୍ଦିର←ମୁଖ୍ୟ←ମୁଖ୍ୟ→ମନ୍ଦିର
ଜୀବନତ. ଯୁକ୍ତ-ପ୍ରେଲ (ଶ୍ରେଷ୍ଠବାର୍ଗେଣ.)
ଜୀବନତ. ଯୁକ୍ତ-ତାଙ୍କଳ (ଶ୍ରେଷ୍ଠବାର୍ଗେଣ.)

მაშასალამე: მორ // მო // ბორ // პურ // მურ // ფურ // ფორ და ა. შმდ. ბგე-
რითი კომპლექსები ბერ ელემენტის მონაცემია და აგრეთვე აღნიშნავენ „ხე“
({ნებას (ზრდ. ბერ ელემენტის ფორმულები, აქვე, გვ. 107).}

ეს კომპლექსები გვხვდება შეჯვარედინებულ სიტყვებში:

B+A (ბერ+სალ) ელემენტით:

ქართ. ფურ-ცელ-ი

ქართ. ფო-თოლი-ი←დიალექტ. ფორ-თოლი-ი
სპარს. დირე-ხტ¹

¹ Б. В. Маро, Общ. курс, ИР, ч. II, 83. 66 №80.

² ნათელი არაა, ამ და შემდეგი სიტყვების პირველი ნაწილი (დირ-, დენ-, დრა-) რა-ტრომა ხერ ელემენტის უზუღლის.

ბერძ. დენ+დრონ—

ფაპლ. დრა-ხო—

სომხ. დრა - ხო—‘ბაღი’

A+B (სალ+ბირ) ელემენტით:

კომი: ტუ-ბუ—‘მუხა’ (როუ-მუ<→ტუ-მო)

სუომი, ესტ. ტა-მირ'—‘მუხა’

ბარის ჩერემ. ტუ-მო

მთის ჩერემ. ტუ-მ (რუს. луб)

სომხ. ტერე-‘გო’—‘ფოთლები’

A+C (სალ+აონ) ელემენტით:

ბასკ. არ-ტე—‘შუხა’

ბასკ. არ-ტო—‘სიმინდი’, ‘მჭადი’←‘რკო’

რუს. «дерево»→дре-во

ლათ. არ-ბორ ‘ხე’

ამგვარი უცნაური «ანალიზის» შედეგად ნ. მარი «დგენს» რომ ზემოგან-ზილულ ენებში ‘ხე’ ცნებას გამოხატავს ერთი და იგივე ანდა ერთი და იმა-ვე ელემენტიდან მომდინარე ბერითი კომპლექსი. საქმე რომ ეხებოდეს მხო-ლოდ ისეთ ენებს, როგორიცაა რუსული, ლათინური, სომხური, სპარსული, ბერძნული, ცხადია, სადაც არა იქნებოდა რა, რადგანაც ესენი მონათე სავე ენებია და, ცხადია, ერთი და იმავე ცნების აღსანიშნა-ვად საერთო სიტყვები ექნებათ. ნ. მარის კვლევის თავისებურება ისაა, რომ იგი ეხება სხვა ოჯახების (უგრულ - ფინურს, იბერიულ - კავკა-სიურს და შმდ). ენებაც: იგი ახდენს უნივერსალურ შედარებას. მართლაც რუს. дерево || дрѣво გარეშე ელემენტური ანალიზისა მშვენივრად შეესატყვი-სება სხვა ინდოევროპული ენების მასალას. დავიმოწმოთ ა. პრეობრავენსკის ეტიმოლოგიური ლექსიკონი. აი როგორი შედარებაა წარმოდგენილი ამ ლექ-სიკონში¹:

ძვ. რუს. дерево

ძვ. სლავ. дрѣво

სანსკრ. dāru, drū—‘შეზა’

ჰენდ. dāuru, drū—‘ხე-ტყე’ (მასალა)



ბერძ.	ბერძ—‘ხე’, ‘მუხი’
ღათ.	ღათ—‘ხე’ (მცენარე) ‘მუხა’
ღიტ.	ღიტ—‘ხები’
გალ.	გალ—‘მუხა’
გუთ.	გუთ—‘ხე’
ძე. ისლ.	ძე—‘ხე’
ანგლო.-საქს.	ანგლო.-საქს. treo—‘ხე’
შუაზემოგერმ.	შუაზემოგერმ. zirwe, zirbel—‘კედარი’
ინდოევრ.-ფუძე:	*dereulo—‘ხე’ (მცენ)

ნ. მარი არ რჩება ამ მასალის ფარგლებში, თუმცა, სხვათა შორის, თავისი იმ აზრის დასაბუთება, რომ ‘ხე’ და ‘მუხა’ ერთი სიტყვით გამოიხატება, მარტივად შეეძლო: საქმარისი იყო გაეთვალისწინებინა ბრძნ. ბრ-შ-ც—‘ხე’ || ‘მუხა’. ნ. მარისათვის მთავარია, გავიდეს ერთი ოჯახის ფარგლებს იქით, განიხილოს მსოფლიოს ყველა ენა და მათ განვითარებაში ერთიანი გლობურობის პროცესი დაადასტუროს.

რამდენადაა შესაძლებელი ნ. მარის მიერ «ლემენტთა ტაბულებში» ნავარაუდევი ფონეტიკური პროცესები? უნდა ითქვას, რომ ელემენტების «გარდასახებათა» სქემაში წარმოდგენილი ზოგი მოვლენა შესაძლებელია რეალურად მართლაც დასტურდებოდეს ამა თუ იმ ვითარებაში. მაგალითად, ფორმულა: ზალ→ძალ, ე. ი. ჲ ბგერის გადასცლა ძ ბგერაში, გვხვდება ქართულშიც (ძვ. ქართ. ზროხა, ზახ.-... ახ. ქართ. ძროხა, ძახ-ილ-ი და შმდ.). ნ. მარის არსებითი შეცდომა ის არის, რომ მის მიერ დაგენილ ფონეტიკურ პროცესებს არაფერი ზღუდავს, მათი მოქმედება არ იფარვლება არც დროისა და არც სივრცის მიხედვით. ამის გამო ამ ფონეტიკურ პროცესებს არ შეიძლება კანონზომიერი ხასიათი ჰქონდეთ. ამდენად ისინი სრულიად უვარებისნი არიან ენათმეცნიერული კვლევისათვის. მართებულად იღნიშნავდა პროფ. არნ. ჩიქობავა ჯერ კიდევ: 1945 წელს: „ნ. მარისათვის ფონეტიკურ ცვალებადობას სრულებით არაფერი ზღუდავს: არც დრო, არც სივრცე (ენობრივი კოლექტივი), იგი ზეისტორიული, კონკრეტულ ენათაგან დამოუკიდებელი კანონზომიერებაა: ელემენტთა ცვლა ხსენებული სქემების მიხედვით ყველა ენაში თანაბრად გამოიყენება, ძველი სამწერლო ენა იქნება თუ ახალი, ლათინური, ქართული თუ ჩინური“¹.

მაშასადამე, შეიძლება დაგვასკვნათ: ოთხი ლემენტისა და მათი მრავალ-გვარი «გარდასახების» საფუძველზე პალეონტოლოგიური ანალიზის მეთოდით

¹ არნ. ჩიქობავა, ზოგ. ენათმეცნიერება, II, გვ. 238.

6. მარი «ადგენდა», რომ გარკვეულ საგნებს (resp. ცნებებს) მსოფლიოს უკანასკნელი უნდა შეესატყვისებოდეს ერთი და იგიშიში მიმიკა რითი კომპლექსი, ყოველ შემთხვევაში ამ კომპლექსთა დამ-თხვევა უნდა არსებობდეს ენობრივი განვითარების გარ-კვეულ სტადიაზე». მასთან, 6. მარი თავისი მცდარი თვალსაზრისის შესაბამისად ითვალისწინებს აზროვნების განვითარების საფეხურებსა და ექონომიკურსა და სოციალურ პირობებს, მისი აზრით, სიტყვათა სემანტიკური და ბერძნობრივი ცვალებაღობის საფუძველს. ამგვარი წესით იგი «ამტკიცებს» ენის «ზორანაშენურობას» და «კლასობრივობას».

օւս սառցեսքրոպոռ, այ և յաէիր Ցըլքամճլց մուզոնթա პալյոնենքրո-
լոցիոր (ռտեղլեմբներան) ույթ, Ցըլքամճլց ազոլոտ, մագալոտագ, ‘Ցպեա’
սուրպան սյմանքոյուս անալուս. ամ Տուրպան პալյոնենքրոլոցիոր յըմինլոցիուս
սագուշելաւ ու դըմշլցի պահանջուր յըյոնենմուշրո ցանցութարկեծու
քրոպաշո տաշաձանուցելաւ սազբեծաւ եմարոնթա հյուս, Ցըլքամճլց ք ց ցածազուց
քշությ, սօմնենց դա սեցա. այսու Ցըլքամճլց դըմշլցի պահանջուր ամ-
բարուս ան յարչուս ցարելի ռտեղլեմբներան անալունիուս. ցրու օւպան,
հոմ այսու համ Տայահանցեցելու, Ցըլքամճլց պահանջուր անինցը. ամ դը-
մշլցի օսամթիւնուցելաւ ան յարչուսուցաւ հիշուցենոյու մեջելոնթու Ցըլքամ-
ճլցի ցատացալութիւնեցի ազամունիուս ցունուլոցիուս, Ցըլքամճլց անինցը,
յըյոնենմուշրո ուրոնրուս. դա սեցա Ցըլքամճլց անալունիուս. 6. Ցա-
րուսաւուս ք արևեցուու տցու Ցպեա դա Ցըլքամճլց սուրպաշուս Ցըլքամճլց
գցենուլումի մոնաթու Ցամույնեցելու գըմշլցի սածուու. ուր լուսունթեն
Ցպեա-Ցի (Ցըլքամճլց սուրպաշուս) ունցուս քշուս ալմեննշենցու կոմիլյուս, եմ-
լու Ցըլքամճլց յը յամիլյուս գայուցանուու հյուս || Ցպեա սուրպաշուս սյմանքոյուս.

Знайдено вълново — 'шодуль'

ნ. მარტი გმივარად აყალიბებს თავის დებულებას:

„Одно из древнейших, притом культовых слов человеческой речи это ‘дуб’. ‘Дуб’ в то-же время и источник питания, по положению о функциональной семантике передавший свое название, resp. название своих плодов—‘жулудей’, хлебным злакам, где ‘мансы’, где ‘ячменю’, ‘просу’, а где ‘шенице’ или ‘хлебу’“.

6. მარის აზრით, «მუ-ზა» ორელემენტოვანი სიტყვაა: სა- სალ ელე-
მენტისეულია, ზუ ბერ — ელემენტისეული. უნდა დავამტკიცოთ, რომ „სა“
პალეონტოლოგიურიდ აღნიშვნას 『ხე』 ცნებას. ამიტომ, 6. მარი ეძებს მსა-
ფლიოს ენგაში სალ — ელემენტის ფორმულის საფუძველზე (იხ. აქვთ, გვ. 107) შე-
საბამის ბეგრიოს კომპლექსებს, რომლებიც ან პირდაპირ მიუთითებენ „ხე“
ცნებაზე, ანდა რაიმე მიახლოვებულ მნიშვნელობას მაიც გაღმოსცემენ. 6. მა-
რი დაგენს, შემდეგ ურთიერთხავშირს:

¹ 6. 8. 60, Китайский язык и палеонтология речи, ИР, №. IV, 83-104 (всего 539-602 с. ил.).



1. ხა←ჭან. ყა—‘შტო’

→მეგრ. ჭა- ‘ტოტი’←‘ზე’ (მოელის მიხედვით ნაწილი)

ჭა || ჯა←უალ || ჯალ (მეგრ. ჯალ ეფ-ი—‘ზეები’)

აქედან: ჯალ→დალ→თალ.

თალ დასტურდება: ბერძნ. θάλλα-იς—‘ბუჩქი’,

2. ხა-ს სპირანტული ვარიანტია ქართ. ხე, რომლის შესაბამისი კომპ-ლექსები გვხვდება სხვა ენებშიც. ამოსავალია ფორმულა:

ხე || ხა← || ღვ || ღა←ღვ || ყა resp. ხე || ჟა... .

მაგრამ ამ კომპლექსებს სალ ელემენტის შესაბამისად აკლია ბოლო ლ || რ (შდრ. ზემოთ: ყალ — ‘ტოტი’ || ზე’). ამ ლ || რ-ს ეპივალენტია: ს || ზ/რ || ჟ→ც || ჩ

ამ ფორმულების საფუძველზე მოინახა:

ებრ. עַבְּדִי—‘ხე’

არაბ. عَذْبَلْ—‘ჯოხი’ (ანუ ‘ხე’—ნ. მარით)

3. ხ შეიძლება მივიღოთ დიფუზური *h^a* (პ/ს)-ბგერისაგან, რომელიც დაშლის შემდეგ გვაძლევს ორ რიგს:

h^a ↗ წყ→ჭკ→ტყ...
 ↖ ჟ... .

ამ ფორმულის საფუძველზე გამოვლინდება:

ქართ. ტყა←ტყელ—(‘ზეები’).

მეგრ. ტყა←ტყალ—(შდრ. ტყალ-ეფ-ი- ‘ტყეები’).

ამ მასალის შეპირისპირების შედეგად, ნ. მარის აზრით, ირკვევა ამგვარად, რომ ‘ხე’ ცნებას სხვადასხვა ენაში აღნიშნავს ერთი (სალ) ელემენტის შემცველი (თუ მისგან მომდინარე?) ბგერითი კომპლექსები. ამდენად, ნ. მარის აზრით, ერთმანეთის შესაბამისია სიტყვები, რომლებიც ბგერითად ამჟამად განსხვავდებინ, მაგრამ პალეონტოლოგიური თვალსაზრისით გენეტიკურად უკავშირდებიან ერთმანეთს:

ჭან. ყა—‘შტო’

მეგრ. ჭა (←უალ)—‘შტო’

მეგრ. ჯა (←ჯალ)—‘ზე’,

ბერძნ. θάλλα-იς—‘ბუჩქი’

ქართ. ხე—

ებრ. עַבְּדִי—‘ხე’

არაბ. ڦاڻ—‘ჯოხი’

ქართ. ტყა—

მეგრ. ტყა (←*ტყალ)—‘ტყე’...

უფრო გალრმავებული პალეონტოლოგიური ანალიზით ამ სიტყვებს შეიძლება სხვა სიტყვებიც და ცნებებიც დაუკავშირდეს. ამგვარ ძიებას ნ. მარის «კვლევაში» საზღვარი არა იქვს.

ახლა ავიღოთ ‘მუ-ხა’ სიტყვის თავიდური მუ- კომპლექსი. მუ- კომპლექსი

1. მუ $\leftarrow\rightarrow$ მო ბერ (B) ელემენტის მონაცემია. ეს მუ || მო, ნ. მარის პირით, პირელ ყოვლისა აღნიშნავს ‘მუა’ || ‘ხე’ ცნებას. მუ $\leftarrow\rightarrow$ მო შეკვეცილია. ბერ ელემენტს ბოლოში (რ) თანაოვანი აქვს. მუ $\leftarrow\rightarrow$ მო-ს სრული სახე უნდა იყოს: მო $\leftarrow\rightarrow$ მუ $\leftarrow\rightarrow$ მალ || მორ $\leftarrow\rightarrow$ მურ/ფურ. აქვე გამოყენებულია ფორმულები: a. მუ $\leftarrow\rightarrow$ ბ- \rightarrow ფ; b. მუ || მუ $\leftarrow\rightarrow$ ბ...

ამ ფორმულების საფუძველზე განხილულია სხვადასხვა ენის მასალა და დადგენილია, რომ მუ $\leftarrow\rightarrow$ მო და მისი გარიანტები აღნიშნავენ ‘მუხა’ || ‘რკო’ || ‘ხე’ ცნებებს:

ჩინ.	mu - 'ხე'
ქართ.	მორ-ი
კომი, უდმ.,	
მორდვ.	ru - 'ხე'
სუომი, ესტ.	pū = puu \leftarrow pur - 'ხე'
ქართ.	ფურ- (სიტყვაში: ფურ-ცილი \leftarrow 'ხე' + ?)
ბერძნ.	βάλ-αν-ος — 'რკო' 'მუხა'
ლათ.	ar-bor resp. ar-bos - 'ხე'
რუს.	der+e=vo[r]- resp. drev-

მსგავსი ფაქტები სხვა ენებიდანცაა მოყვანილი. მაგრამ მთავარი ახლა იწყება. მუ $\leftarrow\rightarrow$ მო || მურ $\leftarrow\rightarrow$ მორ და მათი გარიანტები რომ ‘მუხა’ || ‘რკო’ || ‘ხე’ ცნებებს აღნიშნავს, ნ. მარისათვის ეჭვს გარეშეა. ახლა საჭიროა ‘მური’ ცნებაც აისახოს ამ ბერ ელემენტის გარიანტებში. ნ. მარი ამასაც ადასტურებს: იგი ეძებს მსგავს ბგერით კომპლექსებს, რომლებიც ‘მურ’ ცნებას გამოხატავს. ასეთებია: მურ || ბალ || გალ. მაგალითად:

ქართ.	მურ-ი
ქართ.	ხორ-ბალ-ი (შდრ. ბერძნ. βάλ-αν-ος — 'რკო')
მეგრ.	ქო-ბალ-ი — 'პური'
ჭან.	ქო-ვალ — 'პური'

სამი უკანასკნელი სიტყვა შეჯვარედინებულია (A+B ელემენტი).

ამ სიტყვებში გამოვლენილი პირველი ელემენტი ხორ || ქო, ნ. მარის აზრით, აგრეთვე შეიძლება აღნიშნავდეს ‘პურ’ ცნებას. ამის საბუთებია:

ბასკ. ‘პურ — ’თხილის გული’ (ე. ი. პურის მარცვალიც?)

ოსური: ხორ — ‘მარცვალი პური’ (‘зерновой хлеб’)

შუმ. *kur (\leftarrow kur) — (kug — ‘печь’, ‘печь хлеб’)...

პალეონტოლოგიური «ძიება» ამით არ წყდება. ნ. მარი არკვევს სხვა სიტყვებსაც. ჩვენთვის მთავარია და საკმარისი ის, რომ ნ. მარმა მუ $\leftarrow\rightarrow$ მო და შესაბამისი კომპლექსები გააჩინანა როგორც ‘რკო’ resp. ‘პური’ || ‘მუხა’ resp. ‘ხე’, ხოლო ქართული მუ-ხა უდროს „პურ-ხე“ სიტყვას... მაშესადამე, ნ. მარის აზრით, ‘ფუნქციონალური სემანტიკის’ საფუძველზე (მუ — ‘ხე’ \rightarrow ‘მუხა’ ‘რკო’ \rightarrow ‘პური’) ირკვევა, რომ აღამიანი ჯერ საკვებად ხმარობდა რკოს, შემდეგ პური შემოიღო და რკოს სახელი გადაიტანა მასხე; სადაც მუხა არ იყო, იქ „вместо ‘дуба с жолудями’ появляется, как источник питания,

'кедр с его плодами (*Cedrus*)', и в этом именно кругу мы застаем у енисейских остатков, или кетов, скрещенный термин *i-m*, перенятый из тунгусского *тап-чу-тап*—'дуб' (→'жолудь') в значении 'кедрового ореха'...»

პალეონტოლოგიური კვლევის კონკრეტული ნიმუში ამგვარად წარმო-
გვიდგება. საანალიზო მასალაში ნ. მარი განიხილავს ს ხვადასხვა ენისა-
(ქართული, რუსული, ჩინური, კომი, უდმურტული, სუმი, ესტონური, მორდ-
ვული, ბერძნული, ოსური, ბასკური, არაბული, ებრაული, შუმერული და
და ა. შმდ.), და ს ხვადასხვა ის ტორიული საფეხურის ფაქტებს.
ამასთან, ზოგ შემთხვევაში ნ. მარი განიხილავს მართლაც რეალურად არსებულ
მონაცემებს (მაგალითად, ქართ. ბურ-ი, ბერძნ., ბალანი). მაგრამ ჩვეულებრივ:
იგი გვაწვდის ჰიპოთეტურ ფაქტებს (მაგალითად, გაუგებარია, რატომაა დაშ-
ლილი: ხორ+ბალ-ი, რომელშიც ვითომეც ხორ—'პური'+ბალ—'პური'). ვი-
საც სპეციალურად არ უკვლევია ამ ენების სტრუქტურა და ისტორია, მას-
შეიძლება მოეჩენოს, რომ ამ მასალის მიხედვით მართლაც შეიძლება ამ ენე-
ბის ფაქტების დაკავშირება ერთმანეთთან²: მაგრამ თუ ღრმად გვითვალის-
წინებთ ცალკეული ენების აგებულებასა და მათ ისტორიას, თუ იმთავითვე
გამოკრიცხავთ ნ. მარის აპრიორულ ამოსავალ დებულებებს, მაშინ წარმო-
დგენილ ფაქტებს სულ სხვა კვალიფიკაცია მიეცემა, ხოლო მათს უმრავლე-
სობას ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ იღმოაჩნდება. თუნდაც რომ
სრული უმცველობით დამტკიცდეს, რომ აღამიანი თავდაპირველად რეას ხმა-
რობდა საკვებად, სრულებით დაუსაბუთებელი და უსარგებლოა, ზემოგანხი-
ლული სიტყვების ერთმანეთთან გენერიკურად დაკავშირება, გაუმართლებელია
ის ძაგიური ფონეტიკური გადასვლები, რომელთაც ერთაგება ნ. მარი თავისი
პალეონტოლოგიური ძიების დროს.

6. მარი იძულებული იყო ეს მცდარი გზა ერჩია იმის გამო, რომ სხვა გზა
ასეთი დებულების ფარა ცნონ ულად დასაბუთებისა არ არსებობდა და
არც არსებობს. ამასთან, როგორც აღნიშნეთ, 6. მარის კონცეფციაში ერთ-ერთ
ძირითად მომენტი წარმოადგენს ის, რომ იგი ვარაუდობდა უშაულო მიხე-
ზობრივი კანის არსებობას სამეურნეო-საზოგადოებრივ განვითარებასა და
ბევრით ცვალებადობას ზორის (ამით 6. მარის სურდა, ძარქვისჩი მისი «შეეტანა»
ენათმეცნიერებაში). 6. მარი სრულებით უგულებელყოფდა ენისა, კერძოდ მი-
სი ბევრით მხარის, განვითარების შინაგან კანონებს. ი. სტალინმა თავის
გენიალურ შრომაში «ძარქვისჩი და ენათმეცნიერების საკითხები» გვიჩვენა,
რომ ენობრივ განვითარებას აქვს თავისი კანონზომიერება. საყრდენობა,
რომ ი. სტალინი ამ დებულებას ასაბუთოს სწორედ იმ ადგილის, სიღაც-
ივი ამხილებს. 6. მარის ანტიმარქისისტულ დებულებას ენათა შეჯვარედინების³
შესახებ. ი. სტალინი ამბობს: „ნამდვილად შეჯვარედინებას დროს ერთ-ერთი

¹ Б. Земо, Кит. язык и палеонт., ИР, ф. IV, зз. 107.

³ ენითა შეჯვარედინების დებულება უშუალო კავშირშია ოთხელემენტოვანი ანალიზის მქონე დოკუმენტისათვა.

ენა ჩეულებრივად იმარჯვებს, ინარჩუნებს თავის გრამატიკულ წყობურ უსაფუძღლობას ჩუნცემაზე თავის ძირითად ლექსიკურ ფონდს და განაგრძობს განვითარებულ ტერმინების განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით, მეორე ენა კი თანდათანობით კარგვის თავის თვისობრიობას და თანდათანობით კვდება¹.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ფრ. ენგელსმა წერილში ი. ბლოხისადმი ყურადღება გააძინებილა სწორედ ენის ბერითი მხარის განვითარების საკუთარ კანონზომიერებაზე. ფრ. ენგელსი წერს: „ჩვენს ისტორიას ვქმნით ჩვენ თვითონ, მაგრამ, ჯერ ერთი, ჩვენ ვქმნით მას ფრიად განსაზღვრული წინამდლერებისა და პირობების ფარგლებში. მათ შორის ეკონომიკური საბოლოო ანგარიშით წარმოადგენენ გადამწყვეტს. მაგრამ პოლიტიკური პირობებიც და ა. შ., ადამიანთა თავებში არსებული ტრადიციებიც კი, თამაშობენ გარკვეულ როლს, თუმცა არა გადამწყვეტს. პრუსიის სახელმწიფო წარმოაშვა და ვითარდებოდა აგრეთვე ისტორიული და, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკური მიზეზების წყალობით. მაგრამ განა შეიძლება ვამტკიცოთ, თუ არ გვინდა გადავიძეთ პედანტებად, რომ ჩრდილო-გერმანიის მრავალ წერილმანი სახელმწიფოთა შორის სწორედ ბრანდენბურგი იყო განკუთვნილი იმ დიადი სახელმწიფოს როლისთვის, რომელშიც ხორცი შეისხდა ეკონომიკურმა სხვაობამ, ენობრივმა განსხვავებამ, ხოლო რეფორმაციის დროიდან—რელიგიურმა სხვაობამაც, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, ამასთან ეს ვითარება წინასწარ განსაზღვრული იყო მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური აუცილებლობით, ხოლო სხვა მომენტები არ ახდენდნენ აგრეთვე გავლენას... საეჭვოა, ვინმერ მოახერხოს, თუ სასაცილოდ არ გაიხდის თავს, ეკონომიკურ ნიადაგზე ახსნას ყოველი მცირე გერმანული სახელმწიფოს არსებობა წარისულსა და აწყობში, ანდა ეკონომიკურ ნიადაგზე ახსნას წარმოშობა თანხმოვანთა ზემო-გერმანული ცვლილებებისა, რომელმაც სუდეტებიდან ტაუნაუსამდე გადაჭიმული მთავრებილით წარმოშობილი გეოგრაფიული განყოფა გააფართოება ნაპრალამდე, რომელიც გადის მთელ გერმანიაზე².

ნაოცლია, რომ უსაფუძღლოა ნ. მარის დებულება ბერითი ცვალებადობის უშუალო მიზეზობრივი კავშირის შესახებ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან. ამდენად ნ. მარის ფონეტიკური გადასცვლების ფორმულები მცდარია მეთოდოლოგიურად და არ მართლდება ენათა ისტორიული განვითარების ფაქტებით. პალეონტოლოგიური კვლევის წმინდა ენათმეცნიერული მხარე, ამრიგად, სრულებით დაუსაბუთებელია და გაუმართლებელი მეცნიერული თვალსაზრისით.

ჩვენ კვალდაპვალ მივყევით ნ. მარის ერთ-ერთი პალეონტოლოგიური «ძიების» პროცესში იმ მიზნით, რომ თვალსაჩინოდ გვეჩენებინა, თუ რას წარ-

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 27.

² ე. მარკ დ. ჟიგელი, ციხ., ტ. XVIII, გვ. 245—46 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.). შედრ. ჩვენი ფრ. ენგელსის ფრანგული დალაგეტი და მისი მნიშვნელობა ენათმეცნიერულისთვის: «სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები», ტ. XXIII, 1942 წ., გვ. 114—115.

მოადგენს პალეონტოლოგიური მეთოდი პრაქტიკულად, თუ როგორ «ახორი ციელებდა» ნ. მარი თავის ზოგად მცდარ დებულებებს ენათმეცნიერულზე შესრულებულ ვის პროცესში.

6.

პალეონტოლოგიურ მეთოდს (ე. ი. ოთხელემენტოვანი ანალიზის შეთოდს) ფაქტურად იყენებდა მხოლოდ თვითონ ნ. მარი. ნ. მარის მიმღევრები ამ მეთოდს ან არ იყენებდნენ, ანდა ვერ იყენებდნენ. ასეთი ვითარება ცხადი შეიქმნა განსაკუთრებით ნ. მარის სიკვდილის შემდეგ. კერძოდ ი. მეშჩანინოვი, რომელიც ითვლებოდა ნ. მარის მოძღვრების უშუალო გამგრძელებლად, თანდათანობით ხელს იღებს ოთხელემენტოვანი ანალიზის შეთოდზე და მის მაგივრად ასაბუთებს პალეონტოლოგიური კვლევის შეთოდოლოგიის ახალი გაგებით¹. სახელდობრ. ი. მეშჩანინოვის ზოგადენათმეცნიერული შრომები «Новое учение о языке» (1936 წ.), «Общее языкознание» (1940 წ.), «Члены предложения и части речи» (1945 წ.) აღარ შეიცავენ ოთხელემენტოვანი ანალიზის მომენტებს, თუმცა პალეონტოლოგიური მეთოდი მათში ძალაში რჩება.

თორიოული დასაბუთება პალეონტოლოგიური მეთოდოლოგიის ახალგაგებისა ი. მეშჩანინოვმა წარმოადგინა 1940 წელს მოხსენებაში: «Очередные задачи советского языкоznания» (წაკითხული იუ ლენინგრადში 14.XI. 1940 წ.)². ეს მოხსენება თითქოს წარმოადგენს ერთგვარ პასუხს პროფ. არნ. ჩიქობავას მოხსენებისას: «Проблема языка, как предмета лингвистики, в свете основных задач советского языковедения» (წაკითხული იუ ლენინგრадში 27.V.1940 წ.)³. პროფ. არნ. ჩიქობავა სპეციალურად განიხილავს ნ. მარის ოთხელემენტოვანი ანალიზის მეთოდს და გვიჩვენებს მის მეთოდოლოგიურ უსაფუძვლობას ენათმეცნიერული კვლევისათვის. აյად ი. მეშჩანინოვი თავის მოხსენებაში შეეცადა ნ. მარის «ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება» დაცვა და, კერძოდ, «დასაბუთებინა», რომ ოთხელემენტოვანი ანალიზი არ ფარავს პალეონტოლოგიურ მეთოდს. ის ერთმანეთისაგან მიჯნავს ამორგვარ ანალიზს.

უპირველეს ყოვლისა ი. მეშჩანინოვი განსაზღვრავს პალეონტოლოგიურ მეთოდს (resp. ოთხელემენტოვან ანალიზს), გვიხსნის მის არსებობას:

... Под палеонтологическим анализом подразумевается исследование языкового процесса в его целом, или отдельного языкового строя в частности, или даже отдельно взятого языкового факта в путях их «перевоплощения», т. е. в путях качественной перестройки, следовательно, в путях диалектического движения⁴.

¹ აკად. ი. მეშჩანინოვის შეხედულებანი პალეონტოლოგიური მეთოდოლოგიის საკითხებზე სპეციალურ კრიტიკულ განწილებას მოითხოვს. აქ წარმოდგენილი იქნება. მხოლოდ ზოგად დებულებები.

² «Известия Академии наук СССР. Отделение литературы и языка», 1940, № 3, გვ. 3—27.

³ «ენამეც- მოამბე», ტ. X, გვ. 355—410.

⁴ ი. მეშჩანინოვი, «Очер. задачи», გვ. 19 (ხაზი ჩვენია. ვ. ვ.).

პალეონტოლოგიური ანალიზის ეს გაგება საზოგადოდ ცნობილია¹. თი თვალსაზრისი 6. მარის დებულებათა სისტემაში შედის. ამიტომ, უსაფუძვლობა ი. მეშჩანინოვისათვის ამოსავალია 6. მარის ზოგადი დებულება ენათა «გარდასახების», ე. ი. სტადიური განვითარების დებულება. მაგრამ შემდეგში ი. მეშჩანინოვი ისეთ დებულებას წარმოგვიდებს, რომელიც აღარ უკავშირდება 6. მარის კონცეციას. იგი ამბობს:

„Многие, основываясь, между прочим, и на высказываниях самого Н. Я. Марра, теснейшим образом связывают палеонтологическое исследование с лингвистическим анализом по четырем элементам, проводя между ними знак равенства... Между тем, такого знака равенства здесь нет, и отожествление палеонтологического анализа с анализом по четырем элементам неверно“².

ი. მეშჩანინოვის ამ დებულებაში აშკარა წინააღმდეგობა ჩანს. კერძოდ, გაუგებარია აზრი იმის შესახებ, რომ, მართალია, 6. მარი აღივებდა პალეონტოლოგიურსა და ოთხელემენტოვან ანალიზს, მაგრამ ეს სწორი არ არისო. თუ კი ი. მეშჩანინოვი იდგა 6. მარის პოზიციაზე, ცხადია, 6. მარის დებულებები მისთვის სავალდებულო უნდა ყოფილიყო. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ოთხელემენტოვანი ანალიზი ორგანული შემადგენელი ნაწილია 6. მარის «ახალი სენატმეცნიერო მოძრვებისა» და უსაფუძვლო მისი გამოთიშვა ამ მოძრვებიდან: გარეშე ოთხელემენტოვანი ანალიზისა 6. მარი ენათმეცნიერულიდ (ქ. ი. კონტრივი ფაქტების ანალიზით) ვერ «დაამტკიცებდა» თავის ვერც ერთ დებულებას³. ამ გარემოების გაუთვალისწინებლობა ნიშნავს 6. მარის მოძრვების შეცდომათა საფუძვლის გაუთვალისწინებლობას და, ცხადია, სწორი ოვალსაზრისის უქონლობას ენათმეცნიერების საკითხებზე.

თავისი დებულების ნათელსაყოფად ი. მეშჩანინოვი ცდილობს «აბუთების» მოპოვებას. იგი აყალიბებს განსხვავებას პალეონტოლოგიურ მეთოდოლოგიასა და ოთხელემენტოვან ანალიზს შორის. ი. მეშჩანინოვი აღნიშნავს, რომ:

„Элементный анализ выработался в тот период его работ, когда наибольшее внимание уделалось им семантике слова. Это был тот период, когда историческая перспектива развертывалась на языковом материале, главным образом, по движению значимости словарного запаса языков“⁴.

ი. მეშჩანინოვის აზრით 6. მარი ოთხელემენტოვანი ანალიზის გამოყენებას შემოფარგლავდა მხოლოდ სემანტიკით, ხოლო პალეონტოლოგია იყო მოძრვება მეტყველების წყობის «გარდასახების» («перевоплощениය») შესახებ. მაგრამ ი. მეშჩანინოვი ივიწყებს იმას, რომ 6. მარმა ენათმეცნიერული კვლევა, ბოლოს და ბოლოს, მთლიანად დაიყვანა სემანტიკურ კვლევამდე: «ახალი სენატმეცნიერო მოძრვების» ყველა ძირითადი ზო-

¹ ი. მეშჩანინოვი, ტარ. ვარ. გვ. 20 (ზაზი ჩვენია. ვ. ფ.).

² ქვემოთ ჩვენ შვეცარეთ, გვერდებინა სახლდობრ ოთხელემენტოვანი ანალიზის ადგილი 6. მარის მოძრვებაში (აქვე, გვ. 107 გვდ).

³ ი. მეშჩანინოვი, ტარ. ვარ. გვ. 20 (ზაზი ჩვენია. ვ. ფ.).

გადი დებულება დადგენილია სიტყვათა სემანტიკის ოთხელემენტოვაზურ და ზოგიერთი ზის საფუძველზე.

ი. მეშჩანინვი გვითვალისწინებს ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც, მისი აზრით, ოთხელემენტოვაზი ანალიზი არაა აუცილებელი, ხოლო პალეონტოლოგიური მეთოდი თითქოს უნდა გამოვიყენოთ. სახელდობრ, ოთხელემენტოვაზი ანალიზი არ გვესაჭიროება:

ა. როდესაც სიტყვის სემანტიკა იცვლება ისე, რომ მისი გარეგნული (ე. ი. ბერითი) მხარე არ შეცვლილა.

ბ. როდესაც ვიკვლევთ ფრაზის აგებულებას, ე. ი. წინადაღების აგებულებას.

გ. როდესაც პრუნვათა მნიშვნელობის ცვლას ან სხვა მორფოლოგიური მოვლენის ცვლილებას ვსწავლობთ.

ყველა ამ შემთხვევაში, ი. მეშჩანინვის აზრით, ენის თვის თბრივ ცვლილებებს, ე. ი. ენის თვისობრივ «გარდასახებათ» ვიკვლევთ პალეონტოლოგიური მეთოდით, ოთხელემენტოვაზი ანალიზი კი უვარვისიათ.

რით აიხსნება ი. მეშჩანინვის ასეთი თვალსაზრისი? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ი. მეშჩანინვი — განსაკუთრებით ნ. მარის სიკვდილის შემდეგ — იგრძნონ ნ. მარის მოძღვრების შინაგანი წინააღმდეგობანი: იგი ნათლად ხედავდა, რომ ოთხელემენტოვაზი ანალიზი გადაიქცა ფანტასტიკურ თვითნებობად როგორც თვით ნ. მარის კვლევაში, ისე განსაკუთრებით ზოგიერთი მისი მიმდევრის შრომებში. ი. მეშჩანინვი თვითონვე აღნიშნავს:

„У последователей Н. Я. Марра намечался одно время весьма упрощенный подход к палеонтологическому анализу. Отождествляя его с анализом по четырем элементам и пользуясь узко формальным приемом, легко было притти к ничего не означающей механической разбивке слов, доводя тем самым положение Н. Я. Марра до чрезмерной вульгаризации“¹.

ბუნებრივია, რომ ამგვარი საფრთხის წინაშე ი. მეშჩანინვი უნდა დაფიქრებულიყო და ახალი გზის ძიება დაეწყო. იმის მაგივრად, რომ პირდაპირ უარეყონ ნ. მარის მცდარი მეთოდოლოგია, იგი შეეცადა გამართლება მოეპოვებინა პალეონტოლოგიური მეთოდისათვის იმის დასაბუთებით, რომ ეს მეთოდი თითქოს არ ემთხვეოდეს ოთხელემენტოვაზი ანალიზის მეთოდს და რომ მას აქვს დამოუკიდებელი ღირებულება. კერძოდ, ი. მეშჩანინვი შეეცადა თავის უფლებებში აღდგინა ნ. მარის მიერ სრულებით უგულებელყოფილი ენის წყობის, ენის გრამატიკის (მორფოლოგიისა და სინტაქსის) კვლევა-ძიება, ცხადია, პალეონტოლოგიური მეთოდოლოგიის საფუძველზე. ასეთი ტენდენცია ი. მეშჩანინვის შრომებში ნათლად ჩანს საზოგადოდ². იმავე დროს ი. მეშჩანინვი თავს ვერ აღწევს ნ. მარის ზოგად მცდარ შეხედულებებს, არ უარყოფს «ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების» იდეოლოგიურ საფუძველს, მის ძირითად

¹ ი. მეშჩანინვი, Очерк задачи, გვ. 23 (ნაზი ჩვენია. ვ. ფ.).

² შდრ. მაგალითად: «Язык ванской клинописи. Структура речи», ტ. II (1935 წ.), «Новое учение о языке» (1936 წ.), «Члены предложения и части речи» (1945 წ.).

ამოსავალ დებულებებს, იმ იდეებს, რომლებიც ნ. მარტინიშვილი ადგინა ოთხელემენტოვანი ანალიზის მეთებით. კერძოდი. მეტანინოვი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ თვალსაზრისით ენათას ტადიური განვითარების ანალიზს, რაც, მისი აზრით, წარმოადგენს მარქსიზმის პრინციპების განხორციელებას ენათმეცნიერებაში. იგი მიუთითებს: „Палеонтологический анализ теснейшим образом связан со стадиальным прослеживанием развития речи... „Дело в том, что если признается за факт качественная перестройка речи, то признается и стадиальная периодизация. Установление же последней не может быть проведено без прослеживания процесса качественных изменений..., то есть без палеонтологического изучения наблюдаемого языкового факта“¹.

საბოლოოდ ი. გერჩანინოვი ისკვნის: „Безусловно правильно выдвинутый Н. Я. Марром палеонтологический анализ, являющийся проводником основных устоев марксистской диалектики² в языковые исследования, стоит, таким образом, в ближайшей связи со стадиальными переходами или, как их иначе называет Н. Я. Марр, ступенчатыми, взрывчатыми. Стадия — это ступень в развитии языка со своими качественными от других различиями“³.

ამრიგად, ი. გერჩანინოვის თვალსაზრისით ხელულებლად რჩება ნ. მარის მოძღვრების არსი, მისი მცდარი ამოსავალი დებულებები. ბუნებრივია, რომ პალეონტოლოგიური მეთოდის «დასაბუთებისა», და «გამართლების», ცდა მარცხით უნდა დამთავრებულიყო და დამთავრდა კიდევაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ი. გერჩანინოვი ოთხელემენტოვანი ანალიზს ასე თუ ისე მაინც სტოკებს, ოლონდ ითვალისწინებს იმ სიძნელეებს, რომლებიც ახლავს ამ მეთოდის გამოყენებას. ამ სიძნელეთა გათვალისწინებით ი. გერჩანინოვი ოთხელემენტოვანი კვლევის არეს ზღუდავს. სახელდობრ, ოთხელემენტოვანი ანალიზი არაა აუცილებელი:

პ. ისეთ ენებში, სადაც „ფუძეები არ ემთხვევიან პირველადი ოთხი ელემენტის უშუალო სახელშვაობებს“ და სადაც ეს ელემენტები სიტყვის ძირებში სუსტად მჟღავნდებიან.

გ. ზოგ ენაში ამ ოთხი ელემენტის წარმომადგენელი ძირები სრულებითაც აღარაა დღეს, ცხადია, ასეთ ენებში ამგვარი ანალიზი უსარგებლოა.

გ. ელემენტთა აღნაგობას აბუნდოვანებს ძირების შეჯვარედინება, რაც აგრეთვე ართულებს ელემენტთა მართებულ გამოყოფას.

დ. ელემენტურ ანალიზს აძნელებს ისიც, რომ თვით ელემენტებმა გაიარეს ხანგრძლივი განვითარების გზა და, ცხადია, იცვალეს თავისი სახე. ამი-

¹ ი. მეტჩანინოვი, Очер. задачи, გვ. 24 (ჩაზი ჩვენია. ვ. ფ.).

² დედანში შეცდომით დამტკიცითა — «диалектология».

³ იქვე, გვ. 24 (ჩაზი ჩვენია. ვ. ფ.).

ტომ თავდაპირველად საჭიროა თვით ელემენტების რაობის დადგენა ენთა-
«სტადიების» მიხედვითათა¹.

უსამართველო
შიგლისის მუზეუმი

ამისდა მიხედვით ი. მეშჩანინოვმა საკმარისად შეზღუდა ოთხელემენტო-
ვანი ანალიზის მეთოდის გამოყენება და მივიღა ამგვარ დასკვნამდე: „მე-
მენტНЫЙ анализ не заменяет собою палеонтологического,
а служит только техническим приемом, и то лишь в работе над сло-
вами, а не над строем речи во всем многообразии последнего“².

როგორც ირკვევა, ი. მეშჩანინოვი პრინციპულიდ არ უარყოფს ოთხელე-
მენტოვან ანალიზს, იგი ზღუდვებს მხოლოდ მისი გამოყენების ფარგლებს:
მას მიაჩნია, რომ როგორც ტექნიკური ხერხი სიტყვის კვლევის დროს
იგი გამოსადევია. მაგრამ სწორედ ამიტომ ი. მეშჩანინოვი წინააღმდეგობაში
იხლართება. პალეონტოლოგიური ანალიზი, ოთხელემენტოვანი ანალიზი ნ. მარმა
საბოლოოდ მიიჩნია ენათმეცნიერული კვლევის ერთადერთ მეთოდად, ამ მეთო-
დის მეობებით საბუთდებოდა ახალი საენათმეცნიერო მოძღვრებისა პრინცი-
პული დებულებები. ი. მეშჩანინოვი ამ პრინციპულ დებულებებს უცვლელად
სტოკებს. ი. მეშჩანინოვი კვლავ იდასტურებს ენათ განვითარებაში «ერთიან
გლობულობნიურ პრიცესს», ე. ი. რომ ენათ განვითარება ემორჩილება
ენათ განვითარების ერთიან ზოგად კანონზომიერებას, რომ ენათ განვითა-
რებას აქვს «სტადიური» ხასიათი, რომ პალეონტოლოგიურმა კვლევამ მსოფ-
ლიოს ენათ ტანკოლოგიური შედარების საფუძველზე უნდა გამოავლინოს
ენობრივი განვითარების სხვადასხვა სტადია (ე. ი. ენობრივი «გარდასახებანი»—
«перевоплощенин»—ნ. მარის სიტყვით). ახალია აյ მხოლოდ ის, რომ ი. მეშ-
ჩანინოვი სიტყვის სემანტიკის კვლევის ნაცვლად ერთგვარ უპირატესობას
ახიქვებს გრამატიკული შეობის კვლევას.

ი. მეშჩანინოვი ამგვარად განმარტავს ამ ვითარებას:

„Стадиальные исследования ставят на очередь вопросы проис-
хождения формы и её развития. На этой почве строятся Н. Я. Марром
работы семасиологические и грамматические, касающиеся строя речи,
его отдельных грамматических форм и приемов. Для их установления в историчес-
ком движении Н. Я. Марр обращает особое внимание на семантику, на социаль-
ную значимость слова, его построения и его сочетания в пред-
ложении с другими наличными в нем словами“³.

ი. მეშჩანინოვს ავიშყდება ოლონდ, რომ ნ. მარი ბოლოს და ბოლოს შე-
მოითარება მხოლოდ სემანტიკის კვლევით და რომ გრამატიკული წყობა მან
გამოაცხადა ფუჭ ფორმალობად⁴. შეიძლება ითქვას, რომ ი. მეშჩანინოვი
თავის თვალსაზრისს მიაკუთვნებს ნ. მარს და ამით თითქოს ცდილობს ერთ-

¹ ი. მეშჩანინოვი, Օცერ. задачи, გვ. 21 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

² იქვე, გვ. 24 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

³ იქვე, გვ. 24 (ხაზი ჩვენია. ვ. ფ.).

⁴ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 40.

გვარი გამართლება მოუპოვოს ნ. მარის აზალ საენათმეცნიერო მოძღვაუშინები
და მის პალეონტოლოგიურ მეთოდს.

იმავე დროს ი. მეშჩანინოვმა ვერ გვიჩვენა ნათლად, რა ადგილი უნდა
ეკავოს ოთხელემენტოვან ანალიზს (როგორც ტექნიკურ საშუალებას) კონკრე-
ტული ენობრივი კვლევის თუნდაც ანა თუ იმ ფარგლებში.

ი. მეშჩანინოვის თვალსაზრისიც მცდარია პრინციპულად და, ცხადია,
არ მართლდება ფაქტურად. ი. მეშჩანინოვიც უგულებელყოფს კონკრე-
ტულ ენათა ისტორიულ განვითარებას, მისი ტიპოლოგიური შედარება არ
ითვალისწინებს ენათა შინაგანი განვითარების კანონზომიერებას, მასაც მცდა-
რად ესმის ენისა და აზროვნების ურთიერთობა, მცდარად ესმის ენათ-
მეცნიერული კვლევა-ძიების პრინციპები და მეთოდოლოგია.

ნ. მარისეული «პალეონტოლოგიური ძიება» მცდარია მეთოდოლოგიუ-
რად და უვარებისი ენათმეცნიერული კვლევისათვის იმისდა მიუხედავად, იყე-
ნებს იგი ითხელემენტოვან ანალიზს თუ არა, მცდარია უპირველეს ყოვლისა-
თავისი ზოგადი ამოსავალი დებულებების გამო, რომელთა მცდარობა ბრწყინ-
ვალედ გვიჩვენა ი. სტალინმა თავის გენიალურ შრომაში «მარქსიზმი
და ენათმეცნიერების საკითხები».

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1952. XII. 25.)

1 საზოგადოდ ი. მეშჩანინოვი ნ. მარის მოძღვრების სუსტ ადგილებს ამჩნევდა და მათ-
გვერდს უვლიდა, ანდა ცდილობდა როგორმე «შეელამაზებინა». ნ. მარის დებულებები. ასე-
მხბდა ოთხელემენტოვანი ანალიზის საკითხშიც. ამის გამო იყო, რომ ნ. მარმა მას უწინდა:
„Вернейший и осторожный яфетидолог“: ნ. მარი, ქ. ბაკ. დის., გვ. 11.

В. Н. Панчвидзе



Методологическая несостоятельность четырехэлементного анализа Н. Я. Марра в свете трудов И. В. Сталина о языке*.

Резюме

1. Своими гениальными трудами «Относительно марксизма в языкоznании», «К некоторым вопросам языкоznания» и «Ответ товарищам» И. В. Сталин создал новую эру в развитии советского языкоznания. На основе принципов творческого марксизма И. В. Сталин наглядно показал ошибочность и антимарксистский характер т. н. «нового учения о языке» и исчерпывающе осветил основные проблемы общего языкоznания.

И. В. Сталин дал глубокую оценку и исчерпывающую характеристику палеонтологического метода Н. Я. Марра, назвав этот метод «действительно идеалистическим». И. В. Сталин обосновал исходные положения, на основе которых необходимо конкретно выявить научную несостоятельность и идеалистическую природу четырехэлементного анализа Н. Я. Марра.

2. Развитие методологии Н. Я. Марра протекало своеобразным путем. В продолжение ряда лет Н. Я. Марр работал сравнительно-историческим методом, но он превратно понимал сущность последнего и в отдельных случаях своеобразно применял принципы этого метода. Вопреки основному требованию сравнительно-исторического метода, Н. Я. Марр языковые факты не изучал в конкретных исторических условиях; очень часто языковые явления он подгонял под свои общие гипотетические положения и в процессе анализа этих явлений игнорировал грамматический строй того или другого языка и его специфику.

3. Начиная с 1924 г., Н. Я. Марр разрабатывает новую методологию; он стал отрицать ценность сравнительно-исторического метода и, взамен последнего, вносит в языкоznание т. н. метод четырехэлементного анализа (resp. палеонтологический метод). Н. Я. Марр думал, без всякого на то основания, что его палеонтологический метод является при-

* Деложен на II (VIII) научной сессии Института языкоznания АН Грузинской ССР. См. „Академия Наук Грузинской ССР. II (VIII) научная сессия Института языкоznания, посвященная годовщине выхода в свет гениального труда И. В. Сталина «Относительно марксизма в языкоznании», 15 и 16 июня 1951 года. План работы и тезисы“, Тбилиси, 1951, стр. 23—27.

менением марксистского диалектического метода в области языко-
знания.

4. Прослеживая сущность палеонтологического метода (resp. ме-
тода четырехэлементного анализа) и практическое применение его
Н. Марром в своих работах, приходим к тому выводу, что новый
метод необходим был Н. Я. Марру с целью обоснования ошибочных
положений «нового учения о языке». Как известно, Н. Я. Марр внес в
языкознание ошибочное положение, что язык «надстроечная» категория
и, следовательно, «классовое» явление. С целью «обоснования» этого оши-
бочного положения Н. Я. Марр всецело переключился на исследование
семантики слов. Путем выявления всевозможных «семантических пере-
ходов» он пытался показать, что социально-экономическое развитие
общества отражается в языке таким же образом, как и в надстроенных
явлении.

Одновременно с этим Н. Я. Марр считал нужным обосновать эти
«семантические переходы» и звуковыми переходами. Для Н. Я.
Марра существенным является не только установление таких «семан-
тических переходов», как, например, 'дуб' → 'жолудь' → 'хлеб', но и
выявление в этих и аналогичных случаях звуковых переходов, сопут-
ствующих «семантическим переходам». Для достижения этой цели Н. Я.
Марру пришлось выявлять в языках своеобразные фонетиче-
ские процессы, произвольно расчленять слова и т. п. Для
такого рода анализа сравнительно-исторический метод со своими точ-
ными и определенными правилами не подходил. Н. Я. Марр был вы-
нужден создать новую «палеонтологическую методологию» (resp. мето-
дологию четырехэлементного анализа).

5. Основным источником ошибочности методологии Н. Я. Марра
является неправильное понимание им взаимоотношения языка и мыш-
ления. Он отрывает мышление от звукового языка. Оторвав мышление
от языка и «освободив» его от языковой «природной материи», Н. Я.
Марр попадает в болото идеализма (И. Сталин).

Н. Я. Марр утверждает, что поскольку развитие мышления подчи-
няется всеобщей единой закономерности, таким же образом всеобщей
единой должна быть и закономерность развития языков (т. е. разви-
тие языков подчиняется «единому глоттогонистическому» процессу).
Этот единый процесс, по мнению Н. Я. Марра, можно было исследо-
вать лишь универсальным четырехэлементным анализом. Н. Я. Марр
утвержал: «... все слова всех языков, поскольку они являются про-
дуктом одного творческого процесса, состоят всего-на-
всего из четырех элементов... в лексическом составе какого бы

то ни было языка нет слова, содержащего что-либо сверх всех тех же четырех элементов" (Подчеркнуто нами. — В. П.).

ЗАПРОСИТЬ

ПОСТАНОВЛЕНІЯ

В противоположность этому И. В. Сталин указывает, что языко-
вое развитие подчиняется своим внутренним законам.

И. В. Сталин обогатил языкоzнание следующим исключительно
ценным положением: "На самом деле при скрещивании один из языков
обычно выходит победителем, сохраняет свой грамматический строй,
сохраняет свой основной словарный фонд и продолжает развиваться по
внутренним законам своего развития, а другой язык теряет постепенно
своё качество и постепенно отмирает" (Марксизм и вопросы языкоzнания, 1950, стр. 29—30).

Н. Я. Марр на основе своей ошибочной методологии совершенно
устрил специфику развития языка, игнорировал внутреннюю зако-
номерность языкового развития и, взамен этого, установил т. н. «еди-
ный глоттогонический процесс».

6. Конкретное лингвистическое содержание четырехэлементного
анализа совершенно не выдерживает критики.

а. Во-первых, палеонтологический метод опирается на фонетиче-
ские «переходы» четырех элементов (Сал, Бар, Йон, Рош); при
этом эти «переходы» не подчиняются каким-нибудь закономерностям.
Фонетические законы Н. Я. Марра не обусловлены ни историческими,
ни какими-нибудь другими условиями; они являются универсаль-
ными законами.

б. Далее, палеонтологический анализ ставит целью выяснение
вопросов «палеонтологической семасиологии». Как известно, Н. Я. Марр
объявил грамматику пустой «формальностью» и основной задачей язы-
коzнания считал исследование семантики языка. На основе анализа
языковых фактов Н. Марр хотел доказать всевозможные «семантические
переходы» (например: 'дуб' → 'жолудь' → 'хлеб') при помощи звуковых
переходов. Для этой цели можно было использовать лишь четырехэле-
ментный анализ.

В этом случае Н. Я. Марр допускал—сознательно или бессозна-
тельно,—существование необходимой закономерной связи между зву-
ковой стороной слов и вещами, обозначаемыми этими словами. Такое
мнение давно отвергнуто языкоzнанием. Воскресив это устаревшее по-
ложение, Н. Я. Марр внес идеалистическое понимание в вопрос о вза-
имоотношении языка и мышления.

Методология четырехэлементного анализа совершенно игнори-
рует конкретный грамматический строй того или другого языка. Н. Я.
Марр анализирует лексические единицы (слова) не в соответствии с
грамматической структурой языка (т. е. не выделяет реальных эле-
ментов слова: основу и аффиксы), а по «четырем элементам». Наглядной

илюстрацией этого служат многочисленные этимологии Н. Я. Марра, а зачастую и анализ грамматической структуры того или иного языка, различающие древние и новые факты языка, подчас относя новые (диалектные) формы к древним ступеням развития языка.

7. После смерти Н. Я. Марра его последователи стали утверждать, что «новое учение о языке» может строиться без четырехэлементного анализа, именно на основе палеонтологического метода в новом понимании. В частности, акад. И. И. Мещанинов писал: «Правда, Н. Я. Марр широко пользовался элементным анализом, даже ставил необходимым условием применения анализа по четырем элементам в палеонтологических исследованиях. Но все же и в этом случае элементный анализ не заменяет собою палеонтологического, а служит только техническим приемом, и то лишь в работе над словами, а не над строем речи во всем многообразии последнего».

Фактически И. И. Мещанинов отрицает лишь «технические» моменты четырехэлементного анализа, оставляя без изменения принципиальные основы этого метода, а именно: И. И. Мещанинов признает «единый глоттогонический процесс», т. е. утверждает, что развитие языков подчиняется общей закономерности развития мышления, что языки развиваются по принципу «стадиальности», что посредством палеонтологического метода на основе типологических сравнений всех языков мира нужно выявлять различные «стадии» языкового развития.

Точка зрения И. И. Мещанинова принципиально ошибочна: он игнорирует историческое развитие конкретных языков; в процессе универсальных типологических сопоставлений языков не учитываются закономерности внутреннего развития языков; И. И. Мещанинов ошибочно понимает взаимоотношение языка и мышления. В результате этого И. И. Мещанинов новые языковые явления иногда рассматривает как проявление древней «стадии» в развитии языка (например, эргативную конструкцию в чанском диалекте).

Палеонтологический метод Н. Я. Марра ошибочен по существу, независимо от того, применяется при этом элементный анализ или нет. Ошибочностью методологии палеонтологического анализа предопределяется несостоятельность т. н. «нового учения о языке» Н. Я. Марра. Вне палеонтологического метода, в частности, вне четырехэлементного анализа, нельзя было выставлять основные антимарксистские положения, те положения, на основе которых Н. Я. Марр „был всего лишь упростителем и вульгаризатором марксизма, вроде «проletкультовцев» или «рапповцев»“ (И. Сталин).

8. В своих гениальных трудах по вопросам языкоznания И. В. Сталин наглядно показал ошибочность как общетеоретических зрений Н. Я. Марра, так и идеалистическую сущность его четырехэлементного анализа. И. В. Сталин дал следующую исчерпывающую оценку методологии Н. Я. Марра: „Н. Я. Марр крикливо шельмует сравнительно-исторический метод, как «идеалистический». А между тем нужно сказать, что сравнительно-исторический метод, несмотря на его серьёзные недостатки, всё же лучше, чем действительно идеалистический четырехэлементный анализ Н. Я. Марра, ибо первый толкает к работе, к изучению языков, а второй толкает лишь к тому, чтобы лежать на печке и гадать на кофейной гуще вокруг пресловутых четырех элементов“ (И. Стalin, Марксизм и вопросы языкоznания, 1950, стр. 33).

Долг советского языкоznания всецело изжить влияние методологии Н. Я. Марра и «нового учения о языке». Необходимо выявить «серьезные недостатки» сравнительно-исторического метода на основе указаний И. В. Сталина и тем самым глубоко внедрить методологию марксизма-ленинизма в области конкретных лингвистических исследований.

სეაგი ქლენი

ქართველები ინათა დიალექტის გასცავლის ზოგიერთი საკითხი ი. სტალინის საენათმეცნიარო შრომების შექმე

I

სტალინურ საენათმეცნიერო მოძღვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენისა და დიალექტების რაობისა და ურთიერთობის საკითხების გარკვევას.

ნ. მარისა და მისი მიმღევრების მთავარი შეცდომა ამ საკითხში, ისე როგორც ენათმეცნიერების ყველა ძირითადი საკითხის გაგებაში, იმაში მდგომარეობდა, რომ ენისა და დიალექტების რაობის შესახებ მათ ჰქონდათ „პრიმიტიულ-ანარქიული“ შეხედულებანი. ნ. მარის ე. წ. „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ სრული დაბნეულობა არსებობდა ენისა და დიალექტების ურთიერთობის გაგების საკითხში. ეს ცნებები ზუსტად არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან. ამიტომ უარგონი ანუ „კლასობრივი“ დიალექტი ენად იყო გამოცხადებული, ადგილობრივი დიალექტიც ზოგჯერ უმართებულოდ ენად იყო წოდებული. ეს გარემოება კი განსაკუთრებით ხელს უწყობდა „ისტორიული პერსპექტივის დაქარგვას და მარქსიზმის პოზიციებიდან გადახვევას“ (ი. სტალინი).

ი. სტალინის საენათმეცნიერო შრომების გამოქვეყნებამდე ხშირად უგულებელყოფილი იყო ენასა და დიალექტს შორის განსხვავების არსებობა და უმართებულოდ იყო გაგებული ენისა და დიალექტების განვითარების კანონისმიერება.

ი. სტალინი სასტიკად აკრიტიკებს ყველა მათ, რომლებიც „დიდი თანაგრძნობით როდი ეკიდებიან ენასა და დიალექტს შორის განსხვავების არსებობას“¹

ამასთან ერთად ი. სტალინი განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ „ლიტერატურაში ხშირად ეს დიალექტები და უარგონები არასწორად კვალიფიცირებულია როგორც ენები...“².

ი. ადგილობრივი დიალექტის ენად გამოცხადების ერთი მაგალითი. ნ. მარმა „ქველი ქართული ენის ძირითად ტაბულებში“³ (1908 წ.) კანური და

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1951, გვ. 14.

² იქვე. გვ. 11.

³ Н. Марр, Основные таблицы в грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими, 1908 г.

მეგრული ერთი ენის კილოებად ჩათვალა. მანვე ჭანებში მოვზაურობის შემდეგ 1909 წელს შეიცვალა აზრი ჭანურის მიმართ და იგი ცალკე დამოუკიდებელი ენად გამოაცხადა¹.

6. მარმა ი. ყიფშიძის „Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем“ გამოქვეყნების გამო დაწერილ რეცენზიაში 1915 წელს ასე დააზუსტა თავისი მისაზრება ჭანურ-მეგრულის შესახებ: მეგრული და ჭანური ერთი ენის ორი კილოა, რომლებიც კულტურულ-ისტორიული დაშორების შედეგად დამოუკიდებელ ენებად იქცნებონ².

1936—1938 წწ. ბათუმისა და აფხაზეთის რაიონებში მცხოვრები ჭანების მეტყველების შესწავლის საფუძველზე ჩვენ იმ დასკვნამდე მივეღით, რომ 6. მარი ცდებოდა ამ საკითხში. 1938 წელს ჩვენ მიერ გამოქვეყნებული „ჭანური ტექსტების“ შესაგალში ამის შესახებ ვწერდით: „ჭანურის ცალკე ენად გამოცხადება უთუოდ ჭანური მეტყველების მასალების სიმცირიდან გამომდინარეობდა, ისევე როგორც 6. მარის შემდეგი განცხადება: „ლაზებს არ შემოუნახავთ არც ხალხური თქმულებები, არც ხალხური პოემები და ზღაპრებიც კი“³.

მეორე მაგალითი: 6. მარი ისეთ მასობრივ გამოცემაში, როგორიცაა „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“, წერდა: „საქართველო სავსეა ცოცხალი ე. წ. კილოებით ანუ კილოკავებით, რომლებიც წარმოადგენენ გადმონაშებს და-მოუკიდებელი ენებისას“⁴.

ამის მიხედვითაც ნათლად ჩანს, თუ როგორ არასწორად ესმოდა 6. მარი ენის განვითარების კანონზომიერება და, კერძოდ, ენისა და დიალექტების რაობისა და ურთიერთობის საკითხი.

მე დაგუშვი სერიოზული შეცტომა, როდესაც ჩემი „გურული კილოს“ (1936 წ.) შესავალში მოვიყვანე 6. მარის ზემოხსენებული სრულიად დაუსაბუთებელი და არამცნიერული დებულება.

ქართველურ ენათა მდიდარი დიალექტები და კილოკავები არაჩვეულებრივ ხელსაყრელ პირობებს ქმნის სტალინური მოძღვრების საფუძველზე ნაყოფიერი დიალექტოლოგიური მუშაობის გასაშლელად.

ი. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა ის, რომ მასში გენიალურად არის გადაშეცვეტილი ეროვნული ენისა და დიალექტების ურთიერთობა და მათ შორის არსებული განსხვავება.

ი. სტალინმა მოგვცა ახალი მოძღვრება „კლასობრივი“ დიალექტებისა და ადგილობრივი („ტერიტორიული“) დიალექტების რაობის შესახებ და სრული სიცხადით გაარკვია მათი წარმოქმნისა და განვითარების გზები.

¹ Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, 1910 г.

² Записки Восточного Отделения ИРАО, т. XXIII, 1915, стр. 204.

³ ჩვენი: ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, 1938 წ., გვ. XIII—XIV.

⁴ БСЭ, ტ. 19, გვ. 612.

„კლასობრივი“ დიალექტი ანუ ქარგონი აღმოცენდება იმის საფუძველზე, რომ საზოგადოებაში სოციალური კვლევები არ არის ინტერესებისათვის, თავს მოახდიონ მას თავისი განსაკუთრებული ლექსიკონი, თავისი განსაკუთობრებული ტერმინები, თავისი განსაკუთრებული გამოთქმები. ამ მხრივ განსაკუთობრებით გამოიჩინებიან შეძლებული კლასების ზედაფენები, რომელიც მოსწყდნენ ხალხს და სძულო იგი: თავადაზნაურული არის ტოკრატია, ბურგუაზიის ზედაფენები. იქმნება „კლასობრივი“ დიალექტები, ქარგონები, საღონის „ენები“¹.

ი. სტალინი ქარგონის ანუ „კლასობრივი“ დიალექტის სპეციფიკურ ნიშნად ასახელებს იმ ფაქტს, რომ მას არა აქვს თავისი საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. მას არ გააჩნია რაიმე ენობრივი დამოუკიდებლობა და ამიტომ შეუძლებელიცაა ის დამოუკიდებელ ენად განვითარდეს. „კლასობრივი“ დიალექტი პარაზიტულად ამოიზრდება საერთო სახალხო ეროვნული ენის საფუძველზე და ემსახურება ვიწრო სოციალურ ზედაფენას, ამიტომცაა განწირული მისი არსებობა.

სტალინური მოძღვრების მიხედვით, ადგილობრივი დიალექტები ემსახურებიან ხალხის მასებს და მათ აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. „ამის გაზო წოვიერთი ადგილობრივი დიალექტი ერების შექმნის პროცესში შეიძლება საფუძვლად დაედოს ეროვნულ ენას და განვითარდეს დამოუკიდებელ ეროვნულ ენად“².

ი. სტალინი საილუსტრაციო კონკრეტულ მაგალითებსაც კი ასახელებს: კურსკ-ორიოლის დიალექტის საფუძველზე რუსული ეროვნული ენა წარმოიშვა და განვითარდა, ხოლო პოლტავა-კიევის დიალექტის საფუძველზე—უკრაინული ეროვნული ენა.

„რაც შეეხება ასეთი ენების დანარჩენ დიალექტებს, — წერს ი. სტალინი, — ისინი კარგავენ თავისთვალობას, უერთდებიან ამ ენებს და ქრებიან მათში“³.

ი. სტალინის დებულების გათვალისწინებას იმის შესახებ, რომ სათანადო პირობების საფუძველზე დიალექტები თავისთვალობას კარგავენ და უერთდებიან ენებს და მათში ქრებიან, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ი. სტალინმა კლასიკურ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გენიალური სიცხადით ახსნა ქალაქება და სოფელს შორის დაპირისპირებულობის პრობლემა. ამ პრობლემის სწორად გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურული ენისა და დიალექტების ურთიერთობის საკითხის გასრკვევად. ი. სტალინი წერს: „ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ქალაქება და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის დაპირისპირებულობისათვის ნიადაგი უკვე ლიკვიდირებულია ახლანდელი ჩვენი სოციალისტური წყობილებით.“

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ქალაქება და სოფელს შორის დაპირისპირებულობის მოსპობამ უნდა გამოიწვიოს „დიდი ქალაქების და-

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 11.

² იქვე, გვ. 41.

³ იქვე, გვ. 42.

ღუპვა“ (იხ. ენგელსის „ანტი-დიურინგი“). დიდი ქალაქები არათუ არ და
ღუპვა, არამედ გაჩნდება კიდევ ახალი დიდი ქალაქები, როგორც ცულტურება
რის უაღრესი ზრდის ცენტრები, როგორც ცენტრები არა მარტო დიდი
ინდუსტრიისა, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადა-
მუშავებისა და კვების მრეწველობის ყველა დარგის მძლავრი განვითარებისა.
ეს გარემოება გაადვილებს ქვეყნის კულტურულ იყვავებას და გამოიწვევს ქა-
ლაქად და სოფლად ყოფაცხოვრების პირობების შეთანასწორებას”¹.

ი. სტალინის მიერ აյ მოცემული ქალაქისა და სოფლის ყოფაცხოვრე-
ბის პირობების შეთანასწორების ნათელი გზები გულისხმობს ამავე დროს ლი-
ტერატურული ენის ყოველმხრივ განვითარებას ქვეყნის კულტურული ზრდისა-
და ყვავებისათვის.

ჩვენ სოციალისტურ წყობილებაში ქალაქსა და სოფელს შორის დაპი-
რისპირებულობის ნიადაგის ლიკვიდაციას, დროთა მსვლელობაში „მრეწველო-
ბასა და სოფლის მეურნეობას შორის არსებითი განსხვავების მოსპობას არ
შეუძლია გამოიწვიოს ყოველგვარი განსხვავების მოსპობა მათ შორის. რაღაც
განსხვავება, თუმცა არაარსებითი, უკველად დარჩება მრეწველობასა და სოფ-
ლის მეურნეობაში მუშაობის პირობების განსხვავების გამო“². ყველაფერი ეს
განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ლიტერატურული ენის ადგილობრივ დიალექ-
ტებზე გავლენას, და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ „გალიტერატურებას“.
ეს პროცესი საბოლოოდ უნდა დამთავრდეს დიალექტების თავისითავადობის
დაკარგვით და იმ ენებთან შეერთებით, რომელთა განშტოებასაც ისინი ჭარ-
მოადგენ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ი. სტალინის სწავლებას იმის შესა-
ხებ, თუ როგორ ვითარდება დაბალი ფორმებიდან — დიალექტებიდან მაღალი
ფორმა — ეროვნული ენა.

ი. სტალინი წერს: „მაშასადამე, მარქსი აღიარებდა, რომ აუცილებელია
ერთანა ეროვნული ენა, როგორც უმაღლესი ფორმა, რომელსაც ემორჩილე-
ბიან დიალექტები, როგორც დაბალი ფორმები“³. ამიტომ „დიალექტი, რო-
გორც ეროვნული ენის განშტოება, ვერ შეცვლის ეროვნულ ენას“⁴.

ი. სტალინის მოძღვრების თანახმად, „ენის ერთი თვისებრიობიდან
მეორე თვისებრიობაში გადასცლა ხდებოდა არა აფეთქების გზით, არა ძვე-
ლის ერთბაშად მოსპობისა და ახალის შექმნის გზით, არამედ ენის ახალი
თვისებრიობის, ახალი სტრუქტურის ელემენტების თანდათანობითი და ხან-
გრძლივი დაგროვების გზით, ძველი თვისებრიობის ელემენტების თანდათან-
ბით კვლომის გზით“⁵.

¹ ი. სტალინი, სოციალიზმის ექთომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ.
გვ. 28—29

² იქვე, გვ. 31.

³ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საჭიროები, გვ. 13.

⁴ იქვე, გვ. 13.

⁵ იქვე, გვ. 25.

ი. სტალინის მოძღვრება ენის გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის შესახებ საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ აღვიტოს დიალექტებს შორის მეტ-ნაკლებს განსხვავებაზე. მაგ., თუ ერთმანეთს შეცვდა-რებთ იმერულ-გურულ-აჭარულს, რაჭულ-ლეჩებუმურს, ქართლურ-კახურს, საერ-თოს უფრო მეტს აღმოვაჩინო, ვიდრე მაშინ, თუ თითორულ მათგანს შეცვდა-რებთ ხევსურულს, მაგრამ ეს ენობრივი ერთოვალები ერთმანეთის მიმართ მაინც დიალექტებით, ისე როგორც სვანური ენის ოთხ დიალექტს შორის — ბალშე-მოურსა, ბალსკემოურსა, ლენტებურსა და ლაშებურს შორის — განსხვავება კიდევ უფრო დიდია, ვიდრე ზემოდასახელებული ქართული ენის დიალექტებს შორის. ასევე, მეგრულისა და ჭანურის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენების შედარება ნათლად გვარშმუნებს, რომ ამ დიალექ-ტებს შორის განსხვავება კიდევ უფრო დიდია, ვიდრე ქართველურ ენათა სხვა დიალექტებს შორის არის დადასტურებული, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ჭანური და მეგრული ერთ-მანეთის მიმართ ენებად გვიმოვაცხადოთ, როგორც ამას ნ. მარი ამტკიცებდა, ვინაიდან „ფონეტიკური სისტემის, ძირითა აღნაგობის, მორ-ფოლოგიურისა და სინტაქსურის სტრუქტურის მიხედვით ჭა-ნური და მეგრული ორი კილო ერთი ენისა (ზანური ენისა), რომლის დიფერენციასაც ისინი წარმოადგენენ (და არა ორი ენა)“¹.

II

ი. სტალინმა თავის გენიალურ საენათმეცნიერო შრომებში ენათმეცნი-ერთა ყურადღება განსაკუთრებით გამახვილა ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლაზე, ვინაიდან ენა სრულყოფასა და წინსვლას განაგრძობს თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით. მსჯელობა „უცარ ენობ-რივ რევოლუციაზე“ ან „აფეთქებაზე“ ეწინააღმდეგება ენისა და დიალექტის განვითარების ისტორიას. სტალინური ენათმეცნიერების მიხედვით, ენის ბედს წყვეტის ეპოქებისა და საუკუნეების მანძილზე ენის განვითარების ხანგრძლივი, კანონზომიერი პროცესი.

ენის განვითარების შინაგანი კანონების გამოვლინების თვალსაჩინო ნი-მუშს წარმოადგენს ქართველურ ენათა დიალექტებში აბსოლუტური ბოლოსა-თვის დამხასიათებელი ფონეტიკური თავისიტურება, რომელიც საუკუნეების მანძილზე ხანგრძლივი კანონზომიერი განვითარების პროცესის შედეგია.

კნობილია, რომ ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში მომხდარ ფონეტი-კურ ცვალებადობას შეუძლია გავლენა იქნიოს ენის მორფოლოგიურ სტრუქ-ტურაზე და თანდათანობით შეცვალოს იგი. ამის კლასიკურ ნიმუშს იძლევა გერმანულში დადასტურებული უმლაუტი.

პროფ. ა. შანიძემ სვანური უმლაუტის განხილვის საფუძველზე ნათლად გაარკვია, თუ რა მნიშვნელობა აქვს უმლაუტს მორფოლოგიისათვის და რა გვარი ცვლილება შეაქვს მას სვანური ენის მორფოლოგიურ აგებულებაში².

¹ არნ. ჩიქობაგა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936 წ., გვ. 188.

² ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არილი, 1925 წ., გვ. 171—227.

როგორც ცნობილია, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოსთან დაკავშირებული ლია მრავალი სახის ფონეტიკური მოვლენა. მათგან ამჟამად მხოლოდ ერთს განვიხილავთ.

6. უსოგმა თავის „ექსპერიმენტულ ფონეტიკაში“¹ მეტად საყურადღებო ზოგადფონეტიკური შნიშვნელობის კანონზომიერი მოვლენა დაადგინა. მან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ცხვირისმიერ და ნარნარა თანხმოვანთა სრულ დაყრუება-გაუჩინარებაზე მიუთითა. ავტორის აზრით, ამავე წესს ემორჩილება აბსოლუტურ ბოლო ხმოვნებში ვოკალიზაციის ნაწილობრივ შემცირება, ზოგჯერ სრული დაყრუება-გაუჩინარებაც².

აბსოლუტურ ბოლოში ვოკალიზაციის დაყრუება-გაუჩინარება ენათა ის ტორით დადასტურებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა³.

აბსოლუტურ ბოლოში როგორც ვოკალიზაციის დაყრუება-გაუჩინარება, ისე ცხვირისმიერ და ნარნარა სონორ თანხმოვანთა და, საერთოდ, მულერთა დაყრუება ერთ საერთო კანონზომიერ პროცესს ემორჩილება.

აბსოლუტურ ბოლოში ცხვირისმიერ და ნარნარა თანხმოვანთა სრული დაყრუება-გაუჩინარების უხვ მასალას ქართველურ ენათა კილოები და კილო-კგებიც იძლევიან.

ასე, მაგალითად, დადგენილია, რომ ნ მეგრულ წარმოთქმაში აბსოლუტურ ბოლოში საერთოდ ვერ ძლებს, ყრუედება და გაუჩინარდება: მეგრულ წარმოთქმაში უნდა იყოს „რენ“, წარმოითქმის „რე“ („არის“); უნდა იყოს „ხენ“, წარმოითქმის „ხე“ („ზის“). ამავე ზმნებს ნ მრავლობითშიაც ეკვიცებათ წარმოთქმაში. უნდა იყოს: „რენან“, წარმოითქმის „რენა“ („არიან“), უნდა იყოს „ხენან“, წარმოითქმის „ხენა“ („სხედან“).

აღსანიშნავია, რომ თუ აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული ნ მეგრულში ვოკალ ელემენტს შეიძენს, წარმოთქმაში იგი შენარჩუნებულია, მაგ., „რენ?“ („არის?“), „რენან?“ („არიან?“); „ხენ?“ („ზის?“), „ხენან?“ („სხედან?“) (შდრ. ლიტ. მე, მოხეური: მენა).

მეგრულ წარმოთქმაში სახუთარ სახელებს, როგორც წესი, აბსოლუტურ ბოლოში ეკვიცება ნ, მაგ., დარჯა (← დარეჯან), იულო (← იულონ), ლევა (← ლევან), გუქა (← გულქან), ანტო (← ანტონ), სამსო (← სამსონ), შავა (← შავან), მელიტო (← მელიტონ) და სხვ.⁴

როგორც ირკვევა, მეგრულში ეს პროცესი სახელებში უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე ზმნებში, მაგრამ ზმნებშიაც იმდენად გავრცელებულია, რომ იგი მორთვოლოვიურ ელემენტებზეც ვრცელდება (შდრ. რე-რენ).

აკად. ს. ჯანაშიამ ისტორიულ-ლიტერატურული მონაცემებისა და მეგრულ-ქართულ და მეგრულ-სვანურ შესატყვისობათა საფუძველზე განიხილა

¹ Известия II отд. ИАН, т. II, 1897, кн. 4.

² იქვ, გვ. 923.

³ А. Мейе, Основные особенности германской группы языков, 1952, 68–72.

⁴ არნ. ჩიქობაგა, განურის გრამატიკული ანალიზი, 1936 წ., გვ. 72.

⁵ არნ: ჩიქობაგა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ გრეპში, 1942 წ., გვ. 104.

მეგრულ გვარისსახელთა დაბოლოებანი და აღნიშნა, რომ მეგრულ გვარულებულის დაბოლოება მიღებულია - იან ფორმისაგან. მაგალითად, მეგრ. ლეგლის ლიპარტია, რატია და მისთ. მომდინარეობები: დაღიან, ლიპარტიან, რატიან და ა. შ. ფორმებისაგან აბსოლუტურ ბოლოში ნ-ს მოკვეცით.

აკად. ს. ჯანაშია ასევე ფიქრობდა, რომ მეგრულ გვარებში -ვა დაბოლოება უნდა მომდინარეობდეს -ვან დაბოლოებისაგან: ფალავა (\leftarrow ფალავან), გალდავა (\leftarrow გალდავან) და ა. შ.

ს. ჯანაშია ნ-ს დაკარგვას აბსოლუტურ ბოლოში მეგრულისათვის ნიშან-დობლივ მოვლენად მიიჩნევდა და ასეთ დასკენას იძლევა: „ცხადია მხოლოდ, რომ ეს მოვლენა მეორადი ხასიათისაა”¹.

ჭანურისათვის ნ-ს აბსოლუტურ ბოლოში მოკვეცა ისე ნიშანდობლივი არ ჩანს, როგორც მეგრულისათვის, მაგრამ ჭანურშიაც საკმაოდ ფართოდაა ეს მოვლენა, გავრცელებული. ჭანურის კილოკავების მონაცემები ამ მხრივ სხვადასხვანაირია.

ჭანურის ხოფურ კილოკავში პირთა ნაცვალსახელებს აბსოლუტურ ბოლოში ნ შენარჩუნებული აქვთ, ვიწურ-არქაბულსა და ათინურს წარმოოქმნაში ნ გაუჩინარებულია, მაგ.:

ხოფური	ვიწ.-არქაბული	ათინური
მან (მე)	მა	მა
სინ (შენ)	სი	სი
ჩენ (ჩვენ)	ჩეუნ ჩეუ	შეუ
თქვან (თქვენ)	თქვან თქვა	თქვა

ყველა ამ ნაცვალსახელის წარმოოქმნაში მეგრულში ნ მოკვეცილია (შდრ. ქართ. „შე კაცო“).

ასევე ჭანურის ხოფურ კილოკავში დაშორებითი ბრუნვის დაბოლოება შენ სრული სახით წარმოითქმის, გაშინ როდესაც ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებში იგი უნაროდ (-შე) წარმოითქმის. ასევე წარმოითქმის იგი მეგრულშიც.

ჭანურის ვიწურ-არქაბულ კილოკავში ნანამყოფსრულარი თურმეობითი და ნააორისტალი თურმეობითი იწარმოება -დორ ენ მეშველი ზმნის მიმატებით. პროფ. ი. ყიფშიძეს ვიწურში დადასტურებული აქვს პარალელური ფორმები ნარიანი და ნარ მოკვეცილი. მაგ., ტესდორე (ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, გვ. 60, 32) ‘ყოფილან’ უნდა იყოს: ტესდორენ. უწუდორე (იქვე, 57, 23) ‘უთქვამს’, უნდა იყოს: უწუდორენ. თქუდორე (იქვე, 57, 23), ‘უთქვამს’, უნდა იყოს: თქუდორენ. იგზალუდორე (იქვე, 57, 7), ‘წასულა’, უნდა იყოს: იგზალუდორენ და ა. შ.

ასევე ჭანურში და მეგრულში პირობითი პირევლი და პირობითი მეორე იწარმოება -კონ’ ის დართვით, რომელიც მომდინარეობს ოკონ ზმნისაგან („უნდა“). ჭანურის კილოკავებში დასტურდება პარალელური ფორმები ნარიანი და ნარ მოკვეცილი. მეგრულ წარმოითქმაში ნ ყოველთვის მოკვეცილია

¹ ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალ, ტიბარენი, იბერი: ენიმენ-მოამბე, ტ. I, 1937 წ., გვ. 215.

(შდრ. ხევს. ფშ. -კენ თანდგებულის წარმოთქმა -კე'ს სახით: სახლ გამოსტყოფა
შინის კე, ცისაკე და მისთ. აგრეთვე მოთხოვობით ბრუნვის დაშორებულების
ქართულში -მან: ქაცმა → კაცმა; სენ. უი ← უინ (= ქართ. -ზე).

ჭანურში პარალელური ფორმების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ეს
პროცესი ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის, მაშინ როდესაც მეგრულში
იგი უკვე დასრულებულია. გარდა ამისა, ჭანურის მონაცემები იმაზეც მიუთი-
თებს, რომ ეს პროცესი არც მეგრულშია ღიღი ხნოვანებისა.

ალსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას სიტყვა
ერთმარცვლოვანია თუ მრავალმარცვლოვანი, მათ ერთნაირსად ეკვეცებათ ნ
აბსოლუტურ ბოლოში (შდრ. ქართ. დიალ. მ-ს მოკვეცის შემთხვევები: რო ←
← რომ, ხო ← ხომ და მისთ.).

ნ-ს აბსოლუტურ ბოლოში მოკვეცის შემთხვევები ისტორიულად და
მონათესავე ენებოან შედარებით დადასტურებულია ქართული ენის გარკვეულ
ლექსიკურ მარაგში, შაგ. ძმა, და, დაბა, ძე, დღე და მისთ.¹

დასახელებულ სიტყვებში ნ ალდება მრავლობითში -ებ სუფიქსის წინ
(შდრ. დაბ-ნ-ებ-ი, გურ. და-ნ-ებ-ი, ძმა-ნ-ებ-ი, გოგიბერიძ-ნ-ებ-ი და სხვ.).

პროფ. არნ. ჩიქობავა შეეცადა დასახელებულ მაგალითებში აეხსნა ნ-ს
მოკვეცის ფაქტი. ის წერს: „ამიტომ იბადება ექვი: მრავლობითში ნ-ს ქონამ
ხომ არ შეუწყო ხელი ფუძის ბოლოკიდურ ნ-ს დაკარგვას: ძმან → ძმა მეტა-
ანალიზის გამო?“².

პროფ. არნ. ჩიქობავა მეორე სახის ახსნასაც იძლევა: „დასასრულ; ასე-
თი განმარტებაც შეიძლებოდა მოგვეცა: ფუძის ბოლოკიდური ნ დაიკარგა
ფონეტიკურ ნიადაგზე გარკვეულ ლექსიკურ მასალაში, პირველ ყოვლისა,
სახელებში. შემდგომში ან პროცესი არ განვითარებულა, ან პროცესი გან-
ვითარდა, მაგრამ სათანადო კილომ კავშირი გაწყვიტა სალიტერატურო ენას-
თან, რომელშიც ამის გამო პროცესის შემდგომი საფეხურები არ ასახულა.

ასეთი რამ შეუძლებელი არ არის, მაგრამ ერთგვარად ხელოვნური
ახსნის შთაბეჭდილებას სტოკებს.

ამგვარად, საგსებით დამაკმაყოფილებელი ახსნა ბოლოკიდური თანხმოვ-
ნის დაკარგვისა ამჟამად არ მოგვეპოვება“³.

ნარის მოკვეცის შემთხვევები რომ უფრო გასაგები იქნეს, დავასახელებთ
აბსოლუტურ ბოლოში ლ-ს მოკვეცის რამდენიმე შემთხვევას, რომელიც უკვე
ცნობილია ლიტერატურაში.

მეგრულ-ჭანურში არის შემთხვევები აბსოლუტურ ბოლოში ლ-ს მოკვე-
ცისა, მაგრამ ფუძეს დაერთვის თუ არა ახალი, ხმოვნით დაწყებული მორფო-
ლოგიური ელემენტი მრავლობითში, ლ ისევ აღდება, მაგალითად:

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 105.

² იქვე; გვ. 106.

³ იქვე.

მეგრ.	მხოლ.	და	მრ.	დალ-ეფ-ი	ჭან.	მხოლ.	და	მრ.	დალ-ჭურულები
"	"	ჯიმა	"	ჯიმა-ლ-ეფ-ი	"	"	ჯუმა	"	ჯურულები
"	"	ქრა	"	ქრა-ლ-ეფ-ი	"	ქრა	"	ქრა-ლ-ეფ-ე	
"	"	თხა	"	თხა-ლ-ეფ-ი	"	თხა	"	თხა-ლ-ეფ-ე	
"	"	სიჯა	"	სიჯა-ლ-ეფ-ი	"	სიჯა	"	სიჯა-ლ-ეფ-ე	
"	"	ჯა	"	ჯა-ლ-ეფ-ი	"	ჯა	"	ჯალ-ეფ-ე	
"	"	ქვა	"	ქვა-ლ-ეფ-ი	"	ქვა	"	ქვა-ლ-ეფ-ე	
"	"	დღა	"	დღა-ლ-ეფ-ი	"	დღა	"	დღა-ლ-ეფ-ე	

და სხვ.

მეგრ.-ჭან. სიტყვა ხე მომდინარეობს ფორმისაგან: ხელ (შდრ. სვან. გუ, ქარს. გულ-ი; სვან. მუახ. ← ქართ. მოახლე, სვან. ბოთ ← ქართ. ბოთლ-ი; სვენ. (ლნტ.) მიხა, ჯიხა, ხოხა (← მიხალ, ჯიხალ, ხოხალ) — 'ვიცი, იცი, იცის' და სხვ. მისთ. აგრეთვე შდრ. ქართ. მამა ← მამალ, დედა ← დედალ, რომელ → რომე → რომ და მისთ.).

ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო საყურადღებოა ქართველურ ენათა კილოგბსა და კილოკავებში აბსოლუტურ ბოლოს ვრცალიზაციის დაყრუება-გაუჩინიარება. ეს მოვლენა ქართველურ ენათა კილოებში თავისი შედეგებით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ჩანს, ვიდრე აბსოლუტურ ბოლოს ცხვირისმიერ და ნარჩარა თანხმოვნებში მომხდარი ცვლილებანი.

ეს მოვლენა ყველაზე უფრო რელიეფურად ჩანს სვანურის ღიალექტებში. ამ ფაქტს პროფ. ა. შანიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება სვანურში. მან თავის გამოკვლევაში: „უმლაუტი სვანურში“ აღნიშნა, რომ „სვანურში დღეს არ არის გარჩეული და განსხვავებული ერთიმეორისაგან წრფელობითისა და სახელობითის ფორმები, როგორც ეს არის ძველს ქართულში: ორთავე ბრუნვათათვის სვანურს ერთი და იგივე ფორმები აქვს“¹. პროფ. ა. შანიძემ ისიც აღნიშნა, რომ ქართული ენის ინგილოურსა და ხევსურულ კილოებს ძირითადი ტენდენცია აქვს წრფელობითის ფორმები იყოს ყველგან, ხმოვნიან თემებშიაც და თანხმოვნიანებშიც. რაც შეეხება ახალ ქართულსა და მეგრულს „თანხმოვნიან თემებში სახელობითის ფორმებს მოუპირვებია უპირატესობა, ხმოვნიანებში კი წრფელობითისას, ასე რომ გაბატონებული არც ერთის ფორმებია სავსებით, არც მეორისა“².

პროფ. ა. შანიძე სვანურში სახელობითის ბრუნვის ხმოვნად ეს მიიჩნევს და ასეთ კვალიფიკაციის ძლევებს მას: „დავარქვათ ამ ე-ნს პირობით „უტყვი ე“, რადგანაც იგი დღევანდელ ჩვეულებრივ საუბარში არ გამოითქმის და მხოლოდ ლექსში იჩნევ ხოლმე თავს“³.

აღსანიშნავია, რომ სვანურში ე-ნს გარდა „უტყვი“ ხმოვნებია ა-ნიცა და ი-ნიც.

პროფ. ა. შანიძემ ამ „უტყვი“ ხმოვანთა ბუნების გარკვევით შუქი მოჰკინა უმლაუტის გაჩენას ბოლოვიდურ დასურულ მარცვლებში. ამის საფუ-

¹ ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: არილი, 1925, გვ. 218.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 219.

ძველზე კი პროფ. ვ. თოფურიამ შეძლო სვანურში სახელთა დაბოლოების უძველესი ისტორია გაერკვია¹.

პროფ. ა. შანიძისა და პროფ. ვ. თოფურიას გამოკვლევებით მტკიცედ იქნა დაგვენილი ის ფაქტი, რომ ხალხურ ლექსებში არსებული „უტყვია“ ხმოვნები წარმოადგენენ სახელობითი ბრუნვის ფორმასა და ფუძის ბოლოკი-დურ კუთვნილებას. პირვანდელი სახე დღეს სვანურ ხალხურ ლექსებშია დაცული².

ამით საბოლოოდ დამტკიცდა ის, რომ სვანურ სახელთა აბსოლუტური ბოლოს ფონეტიკური მოდელი უძველესი კი არ არის. არამედ მეორეულია. ამას ნათლად ადასტურებენ ქართულიდან სვანურში შესულ სიტყვათა აბსოლუტურ ბოლოში მომზღარი ფონეტიკური ცვალებადობანი:

ქართ.	საღილ-ი	სვან.	სპალი
„	ბარ-ი	„	ბპრ
„	მანკ-ი	„	მპნკ
„	გოჭ-ი	„	გოტჭ
„	ორბ-ი	„	უერბ
„	ლაბა	„	ლპბ ყანა
„	ბაღე	„	ბპლ
„	სარკე	„	სპოკ
„	ხარ-ი	„	კპნ
„	ჯიბე	„	ჯიბ
„	კაბა	„	კაბ ახალუხი, კაბა
„	სურა	„	სურ
„	ბოგა	„	ბოგ
და სხვ. მისთ.			

ამასთან დაკავშირებით აღხანიშნავია ისიც, რომ, თუ სვანურში აბსოლუტურ ბოლოში ხმოვნები კარგავენ ვოკალიზაციას, მეღრი ხშული თანხმოვნები ძლიერი შემართვისა და ძლიერი დამართვის შედეგად ძირითადად ინარჩუნებენ მეღრეობას³.

ამ მხრივ საყურადღებოა ის მონაცემები, რომლებსაც ჭანურის ქილოვანები იძლევიან. ამ მონაცემების მეგრულის მონაცემებთან შედარება ნათლად გვიჩვენებს, რომ ჭანურში ახალ ვითარებასთან გვაქვს საქმე. ირკვევა, რომ ჭანურს ამგამად აქვს ტენდენცია ბოლოთანხმოვნიან ფუძეებს მოკვეცოს სახელობითი ბრუნვის ი ხმოვანი, ფუძისეული ხმოვნები სახელებს და ბოლო ხმოვნები უფორმო სიტყვებს.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჭანურის რიცხვით სახელებში სახელობითი ბრუნვის ი-ს მოკვეცას საქმაოდ დიდი ხნის ისტორია უნდა ჰქონ-

¹ ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში: თბილისის უნივერსიტეტის მთამბეჭ, ტ. VII, 1927 წ.

² იქვე, გვ. 303.

³ ჩვენი: სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, 1949 წ., გვ. 152 — 157.

ଦେସ୍ ପାନ୍ଦୁରଣ୍ଠି ଚାରମନୋଟକ୍ଷମିଲିବେ: ଏହି, ଶୁଣି, ଶ୍ରୀମତୀ, ନାତକେ, ବ୍ୟକ୍ତି, ଅନ୍ଧି, ଶ୍ରୀରାମପାତ୍ରଙ୍କାଳୀ, କିମ୍ବାରାଜ, ପାତା, ପାତା ଲାଗେ ଏହି → ପାତିରାଜ ଲାଗେ ଏହି ପାତା.

ମେଘରୁଲଶୀ ଏହି ଶୈମତକ୍ଷେପସାରି ଶାକେଲାନବିତୀ ଧରୁନ୍ତରୀସ । ଡାକୁଲାଙ୍କା: ଏକଟା,
ଶୁଣିବା, ନାହିଁ, ନାହିଁ, ନାହିଁ, ଏଥିରେ, ଶୈମତି, ରାଜୁର, ନିବର୍ଣ୍ଣ, ବିତ୍ତି ତା ଆ ତା ।

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კანურის მონაცემები განსხვავდება მეგრულის მონაცემებისგან. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

„ଶ୍ରୀ ଶାତ ନବାବାରୁଟେ ମୁ ହେବି?“ (ବ. ଡାକ୍ତର, ପାଦ. ପ୍ରେସ୍‌ସ୍ଟ୍ରେଚ୍‌ବି, ପୃ. 81, 8) — ଏହା ବାବାଙ୍କ ଲାବାରୁଗ୍ଯା ଲାବାରୁଗ୍ଯାତ ଲାବାରୁଗ୍ଯା?

„დუნდას მოუთუ ვარ მინონ, მთელ ბორტი ბოზოგალა (ი. ყიფშიძე, პან. ტექსტი, 68, 23) — ქვეყანაზე ორაფერა მინდა, სტლ ვიყო გოგოსთან.

„სოლ იდუ“ (ექვე, 64, 10) — კვლავ წავიდა.
„სალ ონუ“ (არნ. ჩიქობავა, თაინური ტექსტ., 87, 29) — სალი არის.

„ତୀର“ (୭୩୩, ୨୦, ୩୩) — ପ୍ରାଣୀ, ମାଗରାଥ ଇହି କାରାଲ୍ଲେଲୁରାଙ୍ଗ ଗୃହିଦେଶ: ତୀର ବାର ମିଳିବାନ୍ତି” (୭୩୩, ୨୦, ୩୫) — ପ୍ରାଣୀ ଏହି ମାଜିବା.

ეს მოვლენა დასტურდება ჩვენ მიერ გამოცემული „კანური ტექსტები-თაც“, მაგალითად:

„ଗୁରୁ ପ୍ରସମ୍ଭ“ (45,- 14) — ସାହେଲି ପ୍ରାମା. „ଧାରଣାଲ ଲେ ଦଲ୍ଲୁଛାଇସ୍“ (87, 11) — ଶାରଙ୍ଗାନୀ ରା ଧରନ୍ତିବ୍ଦୀ.

„დიცხირ ჰექ გონდუნუ“ (107, 31) — სისხლი (ქვალი) იქ დაიკარგა. „ხოლ ნიხირუ“ (107, 26) — კვლავ მოიპარა. „ონჯღორ აფუ“ (111, 17) — სიირცხვილი დაემართა. „ნცხენ“ (112, 15) — ცხენი.

„ოკუլ զութեց-ի՞ն“ (109, 7) — Ցեմճեց զութեա, հռմ. „շօնճռոլ“ (108, 32) — Ցեզութան. „ուղ գրել“ (108, 33) — Ջայզութան. Ցըր. ոյցի: շօնճռոլ, ուղ գրել և լաւ սեց. մօտ.

ეს მოვლენა უფრო მასობრივადაა დადასტურებული გ. დუმეზილის მიერ 1937 წ. გამოქვეყნებულ „ჭანურს ზღაპრებში“. ამ მხრივ ეს ტექსტები გამოიჩინება ყველა დღემდე გამოქვეყნებული ტექსტებიდან. დავასახელებთ სინიმუშორ რამდენიმე მაგალითს:

„մա դուք յ ունե՞ր լո հյօնե՞ր յո՞ն ծո՞րյ“ (օյց, 56,1) — մյ սալուն (ծյցըն) նայութե լո մշողնյ յալո յար. „Յօվ յար ունի՞րյո՞ւն“ (օյց, 95, 8) — ծոյժ առ հաճա. „Հով լո յոմոչ լուցէծորյո՞ւն“ (օյց, 106, 11) — լուսո լո յմարո յամեջարոյցնյ. „Առ Շոյտալ եարեալյո՞ր Շյար...“ — յրտո յշածո ալոյլոյլոյլո Շյալո... „Քո՞ր ո ոց“ (օյց, 36, 8) — լությա ոցլո. „Առ թջօն լոյթօ“ (օյց, 12, 2) — յրտո թջօնո մոֆո.

„კანურ ზღაპრებში“ ხშირია შემთხვევა, როდესაც მრავლობით რიცხვში სახელებს მოკვეცილი აქვს ე ხმოვანი, მაგალითად: „ჰენფეფ დიდო ფუკარა ტეს“ (იქვე, 58, 2) — ისინი ძალიან ღარიბი იყვნენ. „კოჩეფ თითო-თითო გოლახთიმუს ქოგოჭეს“ (იქვე, 97, 5) — კაცებმა თითო თითოდ გა-მოსელა იწყეს. „საათეფ გოლილუ“ (იქვე, 20, 4) — საათები გავიდა. „ნენაფ“ (იქვე, 23, 11) — კარები. „სესეფ“ (იქვე, 20, 5) — ხმები. შედრ. „ხადარი ქეჩ ულუნ, თოლეფ ალუ“ (ი. ყიფშიძე, პანეტში მოგზაურობა:

ენამქის მოამბე, ტ. I, გვ. 164) — ლოყა თეთრი აქვს, თვალები ჭრელი.
„დიდო კოჩე ქომოხთეს“ (ჩვენი: ჭანური ტექსტ., გვ. 150, 20)
კაცები მოვიღნენ და სხვ.

თანდებულები -კალა (=ქართ.-თან.), -კელე (=ქართ.-კენ), —შ-ქულე (=ქართ.-შემდეგ) ამ ტექსტებში წარმოდგენილია ბოლოკიდურ ა და ე მოკვე-ცილად, მაგალითად:

„ჩ ქიმ კალ“ (გ. დუმეზილი, ჭან. ზღაპ., 56, 2) — ჩემთან.

„ბ ა დ ი კ ა ლ“ (იქვე, 56, 3) — ბერიკაცთან.

„ნებნი ფერად“ (იქვე, 12,5) — კარგებლან.

„ო թ շ ტ ე შ ე ვ ე լ լ“ (օქտ., 7, 3) — სოფლისა კ ე ნ.

„অৰ কুল“ (অম্বা, 74, 13) — গৰতিৱ মেৰামৰ:

„ნეკნა ნოკანკუ-შ-ქულ“ (იქვე, 60,3) — კარზე დატაკუნების შემდეგ.

„ဒေဝါရ ဇန်-၁၇-၂၀၁၅“ (၀၂၃၂, ၆၀, ၃) — စမ်းပေးခြင်း၊

„ოხორიშა օ დუ-შ-ქუ ლ“ (იქვე, 59,4) — სახლში წისკლის შემდეგ და სხვ. მისთ.

როგორც ჩანს, არც ჭანურისათვის არის უჩვეულო „უტყვია“ ხმოვნები აბსოლუტურ ბოლოში, ოღონდ ეს პროცესი ახალია და ინტენსიურად ვითარდება, სვანურში იგი უფრო დასრულებული სახისაა.

ქართული კილოებიდან ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინება ხევსურული და ინგილოური. ამ კილოების განვითარების საერთო ტენდენცია იმაში გამოიხატება, რომ აბსოლუტურ ბოლოში წარმოთქმაში თანხმოვნის შემდეგ ხმოვანი „უტყვია“ ხდება.

ମାତ୍ରାଲିତାଳ:

ხევსურული: „ქოლ ჰელს გააბომს მაშულლარს“ (ბ. გაბურის ტექსტები, 124, 31). „იარაღ არხოტიონს სრუ მუდამ წელზე აქვის“ (იქვე, 124, 29). „როსაც მაგარ შუღლ იქნების, მაშინ ქალებმ იციან, რო იმათ მისვლით ხალხ ერთოც თავს დაანებებს“ (იქვე, 125, 6), „ვინც ძალიან გულით უნდ“ (იქვე, 128, 5). „რა ქუდ უნდოდ ჩემთან, რა ხამი ორ იმის სახლში?“ (იქვე, 128, 11). „გაგიმარჯვას ღმერთმ“, (იქვე, 128, 19). „გადღევრძელას ღმერთმ“ (იქვე, 128, 25). „მასპინძლებ ეტყვიან“ (იქვე, 128, 28). „გვიდგას სუღებ“ (იქვე, 128, 32). „სტუმარ მოგვივიდ“ (იქვე, 129, 8). „ეგ გაჭირება სუყველაის კარად მივ“ (იქვე, 129, 31). „თუ ქალს ქმარ არ მაეწონ, დაუწყებს წუნობას“ (იქვე, 134, 21).

ჩვენ საშუალება გვექნდა ხევსურულ ცოცხალ მეტყველებას დავკირვებოდით სოფ. ჯუთაში. დავრწყმდით, რომ ხევსურულის ბევრი ფონეტიკური მოვლენა შედეგია ხევსურულის თავისებური წარმოთქმისა და, კერძოდ, ხევსურულისათვის დაბახასიათებელი აქცენტუაციისა. ასე, მაგალითად, მეორე თურმეობითის აღწერით ფორმებში მესამე პირის ნიშანი - მ წარმოითქმის ორგორუც გირი:

„ერთ მონალიზე ყოფილიყვა“. „ის ერთხან (=ერთხელ) სანალიროდ
წასულიყვა“ და სხვ.

ამავე მიზეზით სუბიექტური მესამე პირის ნიშანი ა ზმნებს ეკვეცება.

„წყალს გაკდ (=გაკდა)“, „„გიდს გაკდ“ (=გაკდა), „ეროვნული სურ მავიდ სტუმრად ჯუთაჩი“ და სხვ. მისთ.

მახვილის გავლენის შედეგები ანალოგიურია სვანურშიც, მაგ.: უცხვ ← ქართ. უცხო, კალვ ← ქართ. კალო, ასვ ← ქართ. ასო, სვან. დაღვ ← დაღო და ო. შ. ო → გ-ს ბოლო მარცვლის უმახვილო პოზიციაში.

ანალოგიური ვითარება დასტურდება დღეს ინგილოურშიც. თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს წარმოთქმაში ხმოვანი ეკვეცებათ, მაგალითად: ერ ბერ გელ ყოფილ (მ. ჯანაშვილი, ინგილოური ტექსტ., 183, 23) „ბერ გელ ძლივ ამდგარ, გასწორებულ, ამდგარ კიდემ წასულ (იქვე, 187, 2), „დედინაცოლ და ქალებ“ (იქვე) და სხვ.

რაც შეეხება ბოლოხმოვნიან სახელებს, ინგილოურში სახელობითი ბრუნვის ა დასუსტებულა და იოტად ქცეულა, ისე როგორც ამას ადგილი აქვს ქართულის სხვა კილოებშიც, მაგალითად: „კოსალავ და მელავ“ (იქვე, 181), ბაკალავ, ყბავ, ეჩოვ, საქმევ, კატავ, სახევ, ღონევ, ტყევ, ხემწიფევ“ და სხვა მისთ.

ენათა ისტორიის მონაცემებით დადგენილია, რომ აბსოლუტური ბოლო გარცვლის დასუსტება, ხმოვნისა თუ სონორი თანხმოვნის „უტყვ“ ბეგრებად გადაქცევა, შედეგია იმ საერთო ტენდენციისა, რომელიც მდგომარეობს მახვილის გაძლიერებასა და წინა გარცვალზე გადმონაცვლებაში. ეს პროცესი განსაკუთრებით ხელს უწყობს აბსოლუტური ბოლო ხმოვნის რაოდნობრივად შემცირებას. ამ პოზიციის ხმოვნები წარმოთქმაში გაურკვეველ სახეს იღებინ, უფერული ხდებიან და საბოლოოდ „უტყვ“ ხმოვნებად იქცევიან. სანამ ეს ტენდენცია საბოლოოდ გაიმარჯვებდეს ამა თუ იმ ენაში, მანამდე დუბლეტი ფორმებიც თანაარსებობენ (შდრ. მოიცა ← მოიცა ან კიდევ დუბლეტი ფორმები: ვიმი ॥ ვიმი) ¹.

როგორც ცნობილია, ენის განვითარების ზინაგანი კანონები თავისებურად ვლინდება ენის სხვადასხვა მხარეში — ლექსიკაში, გრამატიკულ წყობაში, ბერით სისტემაში.

როგორც ზემოთ დაგრმუნდით, ქართველურ ენათა კილოებში სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მომხდაო ფონერიკული ცვლილებანი სცილდება ბერითი სისტემის ფარგლებს და იგი მორფოლოგიაში იქრება, ოლონდ ქართველურ ენათა დიალექტებში ეს ფონეტიკული თავისებურება სხვადასხვა ტენდენციებსა და კანონზომიერებებში მეღანდება, ვინაიდან ყოველ ენას თავისი განვითარების ზინაგანი კანონები ძევს.

¹ В. Богородицкий, Экспериментально-графическое исследование двухсложных слов в общерусском произношении, стр. 322.

ი. სტალინის მოძღვრება ენის განვითარების შინაგანი კანონების შე-
სახებ პირველხარისხოვან ამოცანად სვამს ისტორიული ენათმეცნიერების უ-
ძირითადი პრობლემების გადაწყვეტას, მონათესავე ენების ღრმა და საფუძ
ვლიან შესწავლას. ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაშლას უდიდესი მნიშვ-
ნელობა აქვს საერთოდ ისტორიული ფონეტიკის საკითხების გადასაწყვეტად,
კერძოდ, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხების შესა-
სწავლად.

სტალინის საშეღობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა

(მემორიალური რედაქციაში 1953. I. 5)

სიმ. ყაჟახიშვილი

საბერძნეთის ეპევესი მოსახლეობისა და პერიოდი ცნის
გენერაციის საკითხი ი. ბ. სტალინის სახელმწიფის არა
მოძღვანელი გუეზა*

ინდოევროპული ენათმეცნიერების ზოგიერთმა მიღწევებმა XIX საუკუნეში, კერძოდ და განსაკუთრებით ბერძნული ენის საკითხებზე ჭარმობულმა ზედმიწევნითმა კვლევა-ძიებამ, შესაძლებელი გახადეს იმის დადგენა. რომ ბერძნები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოსულ ხალხს ჭარმოადვინენ და რომ ბერძნები მოსახლეობა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეიქმნა ინდოევროპულ ტომთა თანდათანობითი შემოქრის შედეგად, იმ ტომთა, რომელიც შეერივნენ ადგილობრივ დამხდურ მოსახლეობას. ამ დასკვნამდე მივიღა ჯერ კიდევ 1896 წელს P. Kretschmer-ი თავის წიგნში Einleitung in die Geschichte der griechischen Sprache.

ე. წ. „ახალგა მოძღვრებამ ენის შესახებ“ კრეჩმერის ამ დებულებიდან ერთი ნაწილი აიღო, სახელმობრი ის, რომ ბერძენი ხალხი შერევის საფუძველზეა ჭარმოქმნილი, და გამოიყენა იგი თავისი შეჯვარედინების თეორიისათვის. ეს იყო „ახალი მოძღვრების“ პირველ ეტაპზე, ხოლო მის შემდეგ, რაც ბ. მარმა, 1923 წელს, გამოაცხადა, რომ „Индоевропейские языки Средиземноморья никогда и ниоткуда не являлись ни с каким особым языковым материалом“¹, ის პირველი დებულება ეჭვის ქვეშ იქმნა დაყენებული. ამიტომაც ასი, რომ „История греческой литературы“-ს ავტორები აცხადებენ: „Но в настоящее время (г. о. 1946 წელს) в концепцию Кречмера нужно внести ряд существенных изменений, связанных с тем пониманием проблемы „индоевропеизации“, которое выдвигается советскими лингвистами в результате развития и углубления „нового учения о языке“ академика Н. Я. Марра в новейших работах советских ученых (Мещанинова, Жирмунского, Удальцова, Кацнельсона и др...“².

* მოხსენება ჭავითხუთა 1952 წლის 20 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების“ გამოსვლის ორი-წლისთავს.

¹ Н. Марр, Избранные работы, т. I, стр. 185.

² История греческой литературы, М.-Л., 1946. Изд. АН СССР, гл. 17—18.

ეს სიტყვები სწერია: „История греч. литературы“ - ს 17—18 გვერდზე აღნიშნული პეტიოთ; შეიძლებოდა ადამიანს ეფიქრა, რომ ეს დაწერილია ერთგვარული ფორმალური ვალის მოხდის მიზნით იმ პერიოდში, როდესაც ნ. მარის მიმდევრების წყალობით არაქტევის რეჟიმი იყო გაბატონებული, და რომ, როდესაც არსებითი მსჯელობა იქნებოდა ბერძნული ენის რაობის შესახებ, იქ ავტორები აღარ გაიხსენებდნენ ამ ცრუ-მეცნიერულ დებულებას. მაგრამ არა: წიგნის მომდევნო, მეორე თავი მიძღვნილი აქვს მთლიანად „ბერძნულ ენას“, და აქ ავტორები ცდილობენ გაშალო მსჯელობა ბერძნული ენის ჩამოყალიბების შესახებ იმ დებულებათა მიხედვით, რომლებიც წამოაყენა ნ. მარმა.

წიგნის ავტორები წერენ: „Считалось, что вторгавшиеся в Грецию последовательные волны „греков-индоевропейцев“ (языковое единство которых постулировалось a priori) навязывали покоряемому населению свою речь, а у него заимствовали лишь отдельные слова для обозначения неизвестных завоевателям понятий (*οἶνος*, *ἄλαιον*, *χρυσός*, *ἄργυρος*, *βασιλεύς*, *ψυχή* и т. п.) и топонимические названия. Эта точка зрения сейчас не может быть принята. Нужно считать, что язык древнейшего населения Греции, сохранившегося в памяти греков под именем „пелазгов“, явился одним из составных элементов в создании древнегреческих диалектов, которые „оформились как языковые единицы только на территории соответствующих областей Греции, но ни откуда извне в готовом виде принесены не были“ (ხაზგასმა ჩვენ გვეკუთვნის) ¹.

მაშასადამე, წიგნის ავტორები აშერად აცხადებენ, რომ ბერძნული ენა ჩამოყალიბდა მის შემდეგ, რაც მოსული ბერძნები შეერიგნენ აღილობრივ ძეველ მოსახლეობას, რომ ბერძნებს არსაიდან, გარედან, არ მოუტანიათ მზადასახით თავისი ენობრივი ერთეულები.

აქ საჭიროა შევნიშნოთ შემდეგი: წიგნის ავტორები აქ ბერძნულ ენაზე კი არ ლაპარაკობენ, არამედ ბერძნულ დიალექტებზე: ისინი სწერენ, რომ ძველი მოსახლეობის ენა „является одним из основных элементов в создании древнегреческих диалектов, которые оформились“ და სხვა. მაგრამ, ცრადია, აქ უნდა ვიტარისხმოთ არა ის დიალექტები, რომელიც არსებობდნ საერთო ენის გვერდით და რომელთა შესახებ ი. ბ. ს ტალინი ამბობს: „ლიტერატურული ხატურაში ხშირად ეს დიალექტები და უარგონები არასწორად გვალიფიცირებულია როგორც ენებით“ ². ბერძნული ენის მიმართ ხომ მდგომარეობა სხვანაირია: რომ ამბობენ იონიური დიალექტი, ეოლიური დიალექტი და დორიული დიალექტი — ეს რომელიმე საერთო ბერძნული ენის დაალექტები კი არ არს, ჩვენი აზლანდელი გაგებით, არამედ სრულფსული ენებითა ბერძნული ენის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც კერ კიდევ ერთიანი სალიტერატურო მორმების მქონე ბერძნული ენა არ არსებოდა. ის დილექტები, რომლებსაც ლაპარაკია ბერძნული ენის მიმართ, უნდა ჭარმოადგენდნენ, ჩვენის აზრით, სტალინის მოძღვავების მიხედვით გათვალისწინებულ „ხალხების ენებს“. გავისხმოთ ამხანაგ სტალინის დებულება: „რაც შეეჩერა შემდგომ განვითარებას საგარეულო ერებიდან ტოშების ენებამდე, ტოშების ენებიდან ხალხების ენებამდე და ხალხების ენებიდან ეროვნებულ ენებამდე, — ყველგან

¹ История греческой литературы, М.-Л., 1946. Изд. АН ССР, გვ. 30.

² ი. ბ. ს ტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1951, გვ. 11.

განვითარების უკეთესობაზე ერთ ენა, როგორც საზოგადოებაში ადამინთა ურთიერთობის საშუალება, საკრითო და ერთიანი იყო საზოგადოებისათვის¹.

ინ. 1935 წ. 10 გვ. 10

ამრიგად, წიგნის ავტორები ბერძნული ენის შესახებ ამბობენ, რომ იგი გაფორმებული სახით არსაიდან არ მოსულა, რომ ის გაფორმდა ადგილობრივ ძეველი მოსახლეობის ენასთან შერევის წყალობით. წიგნის ავტორების ეს დებულება უთუოდ განვითარებაა ნ. მარის სიტყვების, რომ „индоевропейские языки Средиземноморья никогда и ниоткуда не являлись ни с каким особым языковым материалом“². მაშასადამე, ისე გამოდის, რომ მოსული ბერძნების ენა შეერთა ძეველი მოსახლეობის ენას და მივიღეთ ახალი, მესამე ენა, ე. ი. ის ბერძნული ენა, რომლითაც დაწერილია ბერძნული სამწერლობო ძეგლები, მოკიდებული IX საუკუნიდან (პომეროსიდან).

ასეთი დასკვნის უაზრობა ნათელჰყოფილი ამხანაგმა სტალინმა. ამხანაგი სტალინი ამბობს: „სრულიადაც არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ, ვთქვათ, ორი ენის შეჯვარედინების შედეგად მივიღეთ ახალ, მესამე ენას, რომელიც არა ჰგავს არც ერთ შეჯვარედინებულ ენას და თვისებრივად განირჩევა თვითებული მათგანისაგან. ნაძლვილად შეჯვარედინების დროს ერთ-ერთი ენა ჩვეულებრივად იმარჯვებს“³.

წიგნის ავტორები თითქოს ერთგან სწორად მსჯელობენ, როდესაც ამბობენ: „Вместе с тем, строй этих диалектов показывает, что в процессе скрещения полную победу одержала морфология индоевропейского типа“. ნ. მარის ე. წ. „ახალი მოძღვრების“ მიხედვით ეს არ შეიძლება სწორი იყოს. და „ბერძნის ტერიტორიის ისტორიის“ ავტორებიც მაშინვე უკან იხევებ და აცხადებენ: „Эта морфология выковывалась тоже уже на территории Греции; некоторые её элементы... восходят генетически к общим с другими индоевропейскими языками корням“⁴. ავტორების აზრით, მაშასადამე, მორფოლოგია ბერძნებს თან არ მოუტანიათ; ბერძნული ენის მორფოლოგია იქნებოდა აგრეთვე საბერძნეთის ტერიტორიაზე, ე. ი. ადვილობრივი მოსახლეობის ენასთან შეჯვარედინების პირობებში. ბერძნულ ენაში წმინდა ინდოევროპულია მხოლოდ ზოგიერთი ელემენტი (некоторые элементы). საგულისხმოა, რომ, ავტორების აზრით, ამ ზოგიერთი ელემენტის ხევდრითი წონა მცირება; მთელი მორფოლოგიური სისტემა ბერძნული ენისა შედეგია ახალ პირობებთან შეგუებისა. ავტორები წერენ: ინდოევროპულია მხოლოდ ზოგიერთი ელემენტი, „некоторые элементы, не являющиеся специфическими для греческого языка (личные и падежные окончания, например), а также некоторые общие тенденции системы (но отнюдь не вся система)... Специфичность же всей системы греческого языка есть результат приспособления языка к удовлетворению тех новых форм потребности в общении людей, которые создались в Греции“.

¹ ი. ბ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1951, გვ. 10

² Н. Марр, Избранные работы, т. I, 185.

³ ი. ბ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 27.

⁴ История греческой литературы, стр. 30.

в условиях ускоренного разложения родового быта, бывшего главной причиной и племенных передвижений"¹.

ამრიგად, ბერძნული ენის ძირითადი მორფოლოგიური სისტემა ჩამოყალიბდა, ავტორების აზრით, საბერძნეთის ტერიტორიაზე, სადაც მოხდა შეჯვარედინება ბერძნებისა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ჩვენ კარგად ვიციოთ ი. ბ. სტალინის მოძღვრებიდან, რომ შეჯვარედინების შედეგად მორფოლოგია, გრამატიკული წყობა დარჩება გამარჯვებული ენისა. ამხანაგი სტალინი ამბობს: „ნამდვილად შეჯვარედინების დროს ერთ-ერთი ენა ჩვეულებრივად იმარჯვებს, ინარჩუნებს თავის გრამატიკულ წყობას“². ჩვენ შეგვიძლია ვილაბარაკოთ მხოლოდ იმაზე, რომ გამარჯვებული ენის ლექსიკური შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს, მას შეიძლება შემატოს დამარცხებული ენის მარაგიდან ახალი სიტყვები. „ამ დროს, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ხდება გამარჯვებული ენის ლექსიკური შემადგენლობის რამდენადმე გამდიდრება დამარცხებული ენის ხარჯზე, მაგრამ ეს კი არ ასუსტებს მას, არამედ, პირიქით, აძლიერებს მას“³.

ი. ბ. სტალინის ეს დებულება ამიერიდან გახდება ჩვენთვის ერთადერთი გასაღები იმ სიტყვების ასახსნელად, რომლებიც ბერძნული ენის ლექსიკაში მოიპოვება, მაგრამ ასენის ვერ პოულობს ინდოევროპული ენების ნიადაგზე.

როგორც ცნობილია, ძველი ბერძნული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მოიპოვება 30% ძირებისა, რომლებიც არ ისნება ინდოევროპული ენების ნიადაგზე. რა დასკვნა უნდა გამოვიწანოთ ჩვენ ი. ბ. სტალინის მოძღვრების მიხედვით ამ 30%-ის შესახებ. ჩვენის აზრით, ერთადერთი: პირველ რიგში უნდა ვეძებოთ ისინი ბერძნების წინადროინდელი მოსახლეობის ენაში (ერთი ნაწილი, რასაკვირველია, არის შეთვისებული ბერძნების მიერ სხვა წყაროებიდან).

როგორ იქცეოდა ნ. მარის ე. ჭ. „ახალი საენაომეცნიერო მოძღვრება“ ამ სიტყვების მიმართ? ცხადია, რადგან ნ. მარმა უარყო, საერთოდ, ინდოევროპული ენების, როგორც დამოკიდებული საკომუნიკაციო საშუალების, არსებობა, იგი მივიდა იმ ყალბ შედეგამდე, რომ ყველა ბერძნულ სიტყვაში დაინახა მასალა იაფეტიდოლოგიური ეტიმოლოგიების „ძიებისათვის“. ნ. მარი შეუდგა, საერთოდ, ყველა ბერძნული სიტყვის ეტიმოლოგიის ძიებას. მან დაიწყო თხი ელემენტის მიხედვით გადასინჯვა ყველა ბერძნული სიტყვის ეტიმოლოგიისა, მიუხედავად იმისა, რომ მათვების ასე თუ ისე უკვე მოძებნილი იყო ინდოევროპული ეტიმოლოგია. ასე, სიტყვები პირადული, პრივატული, საზოგადო, საკურთხევლობრივი, საკურთხევლობრივი და ბერძნის სხვა ეტიმოლოგიურად უკვე გარკვეული სი-

¹ История греческой литературы, стр. 30.

² ი. ბ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 27.

³ იქვე.

ტყვაც მოჰყვა ოთხელემენტოვან რევიზიაში და „პოვნილ“ იქმნა ახალი შექმნის გვიპლიტიკა
ტყვისობა, მაგალითად:

χοῖρος λοκρός θηρός¹
νεφέλη πετυς ποδ-γιμάτεσι
 үм
 раз-үм²

რასაც, რასაკვირველია, არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან.

ისტორიულ მეცნიერებაში დადგენილი ფაქტია, რომ ხმელთაშუა ზღვის კულტურა, ისტორიული წყაროების და არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით, ყოველ შემთხვევაში IX—VIII საუკუნეებიდან მოკიდებული, ე. ი. იმ საუკუნეებიდან, რომელისითვისაც ჩვენ უკვირ კუნძულ თერას და სხვა კუნძულების წარწერები მოგვეპოვება, — რომ ხმელთაშუა ზღვის კულტურა ეს არის კულტურა ბერძნულ-რომაული, და ამ კულტურის საკითხს ძირითადად გადასინჯვა არ ესაკიროება.

XX საუკუნეში იმავე ისტორიულმა მეცნიერებამ, არქეოლოგიისა და ენათმეცნიერების მიღწევათა მიხედვით, გაარცვია მრავალი საკითხი იმ კულტურის პრობლემათა, რომელიც წინ უძლოდა IX—VIII საუკუნეებით დაწყებულ ეპოქას. აქ მართებულად ჰპოვეს თავისი ადგილი ხეთებმა, ეტრუსკებმა, ლიდიელებმა და ციირე აზიის სხვა ხალხებმა: მეცნიერებაში დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ინტერპრეტაცია მიეცეს იმ ხეთურ წარწერებს, რომელთა ერთი წერი წერი ინდოევროპულ ენებთან ამჟღავნებს ნათესაობას, ხოლო მეორე — მცირეაზიულსა და კავკასიურ სამყაროსთან.

და, აი, ამ დროს ნ. მარი, რომელმაც უკვე მოასწრო უარყოფა ისტორიულ წყაროთა მნიშვნელობისა, რომელმაც უარყო კანონზომიერების არსებობა ენობრივ მოვლენათა განვითარებაში, უარყო ყოველგვარი ფონეტიკური კანონები და ნებისმიერ მნიშვლაციებზე დაამყარა თავისი ენათმეცნიერული მსჯელობა, აცხადებს 1933 წლის სექტემბერში (ე. ი. გარდაცვალების ერთი წლის წინ) წაკითხულ მოხსენებაში, რომ ხმელთაშუა ზღვის პრობლემა — ეს არის თურქული პრობლემა („Средиземноморская культура это турецкая проблема на данной ступени развития наших исторических знаний“)³, აცხადებს, რომ ამოსავალი წერტილი ხმელთაშუა ზღვის კულტურაზე მსჯელობისათვის არის დებულება „о нахождении турок в Средиземноморье до образования греко-римского мира, до возникновения греческого и латинского языков“.

რაღაც ასეთი დასკვნები არავითარ საბუთს არ ემყარება, არამედ ზეპირად არის ლიტონ-სიტყვად გადმოსროლილი, ნ. მარს ავიზუდება რა თქვა

¹ Н. Марр, Избранные работы, V, 233—234; II, 143.

² Н. Марр, Избранные работы, I, 333—334.

³ Н. Марр, О лингвистической поездке в Восточное Средиземноморье. М.-Л. 1934, стр. 12.

უკვე მოხსენების დასაწყისში; მან თქვა: „представить себе Средиземноморье без турок или турок без Средиземноморья никак нельзя ни за какую историческую документированную эпоху”¹. ასე რომ, თურმე თურქები ყოფილია წამყვანი ხმელთაშუა ზღვის აუზში არა მარტო და გამოცხადდა მუდამ.

სინამდვილეში, რა ვიცია ჩვენ თურქების შესახებ ხმელთაშუა ზღვის აუზში? ისტორიული დოკუმენტები შემდეგს გვეუბნებიან: პირველად თურქები ბერძნულმა სამყარომ გაიცნო ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში. სახელდობრ: 568 წელს იუსტინე II-სთან კონსტანტინეპოლში გამოცხადდნენ თურქთა ელჩები, და მისცეს წინადაღება ბიზანტიის კეიისარს სავაჭრო ურთიერთობის გაბმის შესახებ. ამის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე. ეს არის პირველი ცნობა თურქების მოსკოვის შესახებ საბერძნეთის ტერიტორიაზე; ამის შემდეგ, მართალია, ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში ხშირია მათი ხსენება (თეოფანე, ფოტიოსი, სვიდა და სხვები). ცხადია, მაშასადამე, რომ 6. მარის აღ ამ მსჯელობას ბერძნული ენის შესახებ და ხმელთაშუა ზღვის კულტურის ხასიათის შესახებ აქვს რაიმე საერთო მეცნიერებასთან.

ლაქვენები

1. ისტორიული მეცნიერებისა და ენათმეცნიერების მიღწევებმა XIX საუკუნეში შესაძლებელი გახადეს იმის დადგენა, რომ ბერძნები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შემოჭრილ ინდოევროპულ ტომს წარმოადგენენ.

2. ინდოევროპელ ბერძნებთა ტომს დახვდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ადგილობრივი ტომები, რომელიც ბერძნებმა დაამარცხეს და დამორჩილეს.

3. ეგრეთწოდებულმა „ახალმა საენათმეცნიერო მოძღვრებამ“ თავისი არსებობის პირველ ეტაპზე ამ დებულებათა ერთი ნაწილი გაიზიარა და გამოიყენა თავისი მიზნებისათვის შეჯვარედინების თეორიის წამოსაყენებლად და ალიარა ბერძნული ენა როგორც ინდოევროპული ბერძნული და ოდგილობრივი იაფეტურის შეჯვარედინებიდან მიღებული მესამე ენა.

4. ეს ცრუმეცნიერული დებულება ეწინააღმდეგება ხალხთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ძირითად კანონს. ანტიმეცნიერულია თქმა-იმისა, რომ „ორი ენის შეჯვარედინების შედეგად მივიღებთ ახალ, მესამე ენას... ნამდვილად შეჯვარედინების დროს ერთ-ერთი ენა ჩვეულებრივად იმარჯვებს, ინარჩუნებს თავის გრამატიკულ წყობას, ინარჩუნებს თავის ძირითად ლექსიკურ ფონდს“ (სტალინი).

5. თავისი არსებობის მეორე ეტაპზე ე. წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ კიდევ უფრო შორს წავიდა მეცნიერების მიღწევათა გაყალბებაში.

6. მარმა იმპერატიულად გამოაცხადა: „ხმელთაშუა ზღვის ინდოევროპული ენები არასდროს და არსაიდან არ მოსულან და არავითარი თავისე-

¹ Н. Марр, О лингвистической поездке в Восточное Средиземноморье. М.-Л. 1934, стр. 9.

ბური ენობრივი მასალა არ მოუტანიათ“. ნ. მარმა აღიარა ბერძნული ენის შედეგი ენათა სტადიალური განვითარებისა.

6. ნ. მარის მიმდევართა აზრით, არავითარი თავისი ენა ბერძნებს თან არ მოუტანიათ: მორცოლოფია ბერძნული ენის „იჭედებოდა უკვე საბერძნე-თის ტერიტორიაზე“, „არავითარი მზა მორცოლოფია ინდოევროპელ ბერძნებს თან არ მოუტანიათ“.

7. ი. ბ. სტალინის მოძღვრების საფუძველზე ნათელია, რომ ბერძ-ნებს თან ჰქონდათ თავისი გრამატიკული წყობა, მაშასადამე, მორცოლო-გიაც, და ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ბერძნული ენის მორცოლოფია შეიქმნა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და რომ ის არის რეზულტატი ენის შეფარდებისა მოთხოვნილებათა ახალი ფორმების დასაქმიყოფილებლად.

8. რადგან ნ. მარმა უარყო, საერთოდ, ინდოევროპული ენების როგორც დამოუკიდებელი საკომუნიკაციო საშუალების არსებობა, იგი მივიღა იმ ყალბ შედეგამდე, რომ ყველა ბერძნულ სიტყვაში დაინახა მასალა იაფეტიდოლო-გიური ეტიმოლოგიების „ძიებისათვის“. უკვე საქმიოდ გარკვეული ინდოევრო-პული სიტყვები (ჭარბაპიც, ჯირიც, წიპიც...) ყბადალებულ ოთხელემენტოვან მარჩიელობას დაუქვემდებარი.

9. ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების საფუძველზე შეგვი-ძლია მხოლოდ იმაზე ვილაპარაკოთ, რომ გამარჯვებული ბერძნული ენის ლექსიკური შემაღენლობა რამდენადმე გამდიდრდა დამარცხებული ენის ხარჯზე.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქლასიკური ფილოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1952. IX. 1)

0101 აგენტი

რამდენიმე საერთო ხმარების სიზყვა ქართულსა და სომხერში *

ი. ბ. სტალინის საერთო მიერადის მიხედვით ლექსიკური შემადგენლობა ენისა მის სპეციფიკურ სხვა მხარეებთან შედარებით ყველაზე უფრო ცვალებადია. ეს იმიტომ, რომ — გვასწავლის ამხანგი სტალინი — „ენა უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან ისევე, როგორც ყოველ სხვა საქმიანობასთან მისი მუშაობის უკლებლივ ყველა სფეროში“¹. არავერდი ისე სწრაფად არ ეხმაურება საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარ ძვრებს, როგორც ენის ლექსიკა, მისი ლექსიკური შემადგენლობა, რომელიც „იცვლება არა როგორც ზედნაშენი, არა ძველის გაუქმებისა და ახლის აშენების გზით, არამედ არსებული ლექსიკის იმ ახალი სიტყვებით შევსების გზით, რომლებიც წარმოიშვნენ სოციალური წყობილების შეცვლასთან, წარმოების განვითარებასთან, კულტურის, მეცნიერებისა და ა. შ. განვითარებასთან დაკავშირებით“².

მოყვანილი სიტყვების შესაბამისად ხალხების კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობაც სახელმწიფოს არსებობის პირობებში იგრეთვე ხელის შემწყობად უნდა წარმოვიდგინოთ ენის ლექსიკური შემადგენლობის ცვალებადობისათვის. რამდენადც სომეხსა და ქართველ ხალხს, როგორც საუკუნოვან კარის მეზობლებს, ასეთი ურთიერთობა ძალანა ძველი ხანიდან მოსდევსთ, ამდენად ამას თითოეული მათგანის ენის ლექსიკური შემადგენლობისათვის არ შეიძლება უკალოდ ჩაევლო. თქმულის სამოწმო მასალა დღემდისაც მცირე როდი გამოულინებია ქართულ-სომხურ ფილოლოგიას, მაგრამ ამიერიდან, რაც საბჭოთა ენათმეცნიერებას მტკიცე საფუძველი დაუდვა კომუნიზმის დიდმა ხუროთმოძღვარმა ი. ბ. სტალინმა, სამოწმო მასალის გამოწვლილვაცა და მოპოვებულის სათანადო გაშექებაც, ცხადია, უფრო მცირდ ნიადაგზე მიიმართება.

ჩვენი დღევანდელი მოხსენება შეხება ახალ გამოწვლილვილ მასალას, რომელიც ფილოლოგიურ ძებათა გზით არის მოპოვებული.

* წაკითხულია მოხსენებად 1952 წლის 10 დეკემბერს სტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სხდომაზე, რომელიც მიედღენა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 32 წლისთავს.

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. «სახელგამი», თბილისი 1951 წ., გვ. 22.

² იქვე, გვ. 22-23.



I. ქვე — ფიჩებ (ფიჩ, ფიჩა)

სომხური ენის ლექსიკურ შემადგენლობაში აღნიშნულ სიტყვას ძველი-დანცვე ვხვდებით როგორც ცალკე, ისე კომპოზიტების შემადგენლად. ცალკე ეს სიტყვა ასეთი დაწერილობითაც შემონახულა: ფიტკ, ფილა, ფლა, ფლაქ და ფლკ, ხოლო კომპოზიტში ის ფილა-ს სახით არის წარმოდგენილი: ფილა-ჩარგოლისტები. ახალ სომხურში ის მხოლოდ კომპოზიტებშია დაცული, მაგრამ ფიტკ-ს ფორმით. ეს კომპოზიტებია: ფიტკარქე, ფიტკარჟილისტები და ფიტკოლიტ.

თუ რას ნიშნავს ფილა, ფიტკ ან ფილა, ეს სათანადო მოწმობათა საფუძველზე ძველი სომხური მწერლობილი გარევეული აქვთ სომებს ლექსი-კოგრაფებს. ვერციის დიდი¹ და მცირე² ლექსიკონების შემდგენელთა გან-მარტებით, რასაც სხვებიც იწყნარებენ, ფილა, თუ ფილა აღნიშნავს: 1. კუ-ბის ფორმის სხეულს (კების) ან რიცხვს; 2. ბედის ნიშანს, ხვედრს (შრმწილი) და 3. სათანაშო კოჭს ან კენჭს.

ამ სიტყვის ხმარების უძველესი მოწმობა სომხურში ბიბლიის დაუცავს, სახელდობრ ოსეს, სადაც 4, 12-ში ვკითხულობთ:

Ի քուაյս հարցանէին՝ և գաւազա- შეშისა მიერ იმისნვიდა და კუმრთ-
նոք նորա պատմէին նմա: ხებითა მოუთხრობდეს.

სომხურის ի քოւაյս հարցանէին — „კენჭთა ჰეკითხვიდეს“ ქართულ ბიბლიაში გაღმოცემულია მისნობად („იმისნვიდა“), რასაც უძლვის, „შეშისა მიერ“-ო, როგორც ეს სხვა (ფრანგულ, გერმანულ) ბიბლიებშიც გვხვდება. მეტად რომ აღარ განვაგრძოთ, „კენჭთა ჰეკითხვიდეს“, როგორც ჩანს, მისნობას ნიშნავს.

ასეთივე ხმარებით სომხ. ფიტკ-ს ვხვდებით V ს-ის სომხური მწერლობის ერთ-ერთ ძეგლში, ფავსტოს ბიზანტიელის «სომებთა ისტორიაში». აქ, მეხუთე წიგნის 43-ე თავში, სადაც მოთხრობილია სომებთა მეფისაგან გამდგარისა და სარწმუნოების უარისმყოფელის მეტუებან. ორწუნის სპარსეთის ლაშქრით შემოსევა სომხეთში მანუელ სპასპეტის შესაბყრობად, ნათქვამია:

Եւ ինքն անցხեալ ըստ ուղին՝ իշა-
նէր ի հայս քաղդէութեան, գ ք ռ ւ
է ս հարցանէր. և ոչ գոյր նմա յա-
ջողակ յուռութ կախարդանացն՝ յոր
յուսայրն³, რაც ნიშნავს:

„თუთ წარვლო გზა, გარდამოქდა მი-
სნობად ქალდეველობისა, კ ე ნ ჭ თ ა
ჰეკითხვიდა. და ვერ განემარჯუა მას
საქმე გრძნეულებისა, რომელსა-იგი
ესვიდა“-ო.

¹ Նոր բառվիրք հայկակեան լեզուի... II Ծ., ვენეცია, 1837 წ.

² Առձեռն բառարան հայկագնեան լեզուի. II տպագրութիւն. ვენეცია, 1865 წ.

³ Փաւաստուի Բուլղան դաշւոյ Պատմութիւն հայոց... ի լոյս ած Ք. Պ., პეტერ-
ბურგი, 1883 წ., 83. 213.

ანდა:

მც ყეყილე, ქერს აანაჯხლ ქარ-
რაშოთე ყეჭუმ ფილე ჩენ ქა-
ხალეჭა¹, რაც ნიშნავს:

„ყურნი მივაპყრნეთ, ნუ უკუ უძლოთ
ცნობად კენჭებითა მსახეროლსა,
გრძნეულსა“.

უუბნება მანუელი თავის თანამესაგრეს.

როგორც ვხედავთ, აქ კველები მისნობა, გრძნეულება თუ მსახერილობა
კენჭით მკითხაობასთან, ე. ი. ფილარეტიშვილ-თან (ზ ფილარ-
ეანის, ყეჭუმ აარებასხ) არის დაკავშირებული.

„კენჭის“ შესატყვისად რომ სომხურში ფილარ გამოდის, შემ-
თხვევითი არ არის. კენჭი ინუ ფილარ, ფილარ აქ თუ ბედის სარჩევი ნივ-
თა, სხვაგან ის, ე. ი. კენჭი — ფილარ, ნამდვილი „კენჭია“, რაც, სულხან-
საბა თრგელიანის განმარტება რომ მოვიშველით, „მცირე ქვათაგანია
(კენჭითან), „ცერცუთა ტოლი და უდიდესი“ (ქვა/სთან)². ამის სამოწმოდ
სომხური დიდი ლექსიკონის შემდგენელთ მოჰყვით გრიგოლ ლოთისმეტყვე-
ლის ერთი ნაწარმოების «გლიახათ-მოყუარეობისათვს»-ის ძველი სომხური
ხარგმანის შემდეგი აღვილი:

Հոսանილე և առժամանაկხაյք և որպէս ի խաղ ფილარ ք³ այլ
ხერხში յაյլ փոփიխեაլք³:

გრიგოლ ლოთისმეტყველის აღნიშნული ნაწარმოების ძველი ქართული თარ-
გმანებიც მოგვებოვება, შესრულებული ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირის
მიერ. ექვთიმეს თარგმანში მოტანილი აღილი შემდეგნაირად იკითხება:

„[რამეთუ საწუთროესა ამის ყოველი] განჯრწნადი არს და წარმავალი,
და ვითარცა სამღერელი კენჭებისა და სხვაგან სხუათა მიმართ
მივარდების და მიიცვალების“ (A—1, გვ. 660).

ეფრემ მცირის თარგმანში კი ეს აღვილი ასეა წარმოდგენილი:

„რამეთუ ესე მდინარ არიან და წუთ-[ეა]მ, და ვითარ მღერათა შინა
კენჭები სხვთი-სხუად მიმომრდომ და მიმოდგმულ“ (A—109, გვ. 326).

ორივეგან ჩვენთვის საინტერესო სომხურ ფილარ სიტყვას „კენჭი“ შეესაბა-
მება. «სამღერელი კენჭები» ან «მღერათა შინა კენჭები» — ზ խაղ ფილარ, ე. ი.
„სათამაშო ქვები“, რასაკირველია, მცირე ქვებია ანუ კენჭები.

ამრიგად, ძველ სომხურში ხმარებული ფილარ, ფილე თუ ფილარ უპირ-
ვილეს ყოველისა აღნიშნავს მცირე ქვას ანუ კენჭს, განკუთვნილს სათამაშოდ

¹ Փաւստոսի Բուლանդացւոյ Պատմ. Հայոց, პეტერბურგი, 1883 წ., გვ. 214.

² ს.-ს. ორბეჭლიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ.

ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928 წ.

³ Նոր բառփիք հայկակեան լեզուի... II ტ., Վենչცია, 1837 წ., გვ. 1012.

და ბედის სამკითხაოდ, რომელსაც მერმე კუბის ფორმის გამო ამ სხვოთისა /
და მასში აყვანილი რიცხვის ტექნიკური ტერმინის როლი დაჰკისრებით იმოხავ

ახალ სომხურში ჭითებ-ს, რომელსაც, როგორც აღვნიშეთ, ძხოლოდ კომპოზიტებში ვხვდებით, მარტო „კენჭის“ მნიშვნელობა აქვს დაცული, ისიც ოდენ წმის მიცემასთან დაკავშირებით: ჭითეარები, ჭითეარებით — კენჭის ყრა და ჭითეარები — კენჭის ყრა.

ძველი და ახალი მნიშვნელობების გათვალისწინება ამ სომხურ სიტყვას—
ქოთხავ, ფოსტ თუ ფოსტა-ს — ფონეტიკურადაც შემხვედრ ქართულ ქვა სი-
ტყვასთან აკავშირებს. სომხურ ფოსტა-სთან შედარებით ქართული ქვა სიტყვის ფართო მნიშვნელობა, უკანასკნელს, ე. ი. ქართულს, წყაროდ აკა-
დებს პირველისათვის: სომხური ფოთხავ // ფოსტა ქართული „ქვა“-დან მიმდი-
ნარებს.

სომხური კუთხაյ სიტყვის ეტიმოლოგია, როგორც პროფ. პრ. აჭარიანის «ეტიმოლოგიური ლექსიკონიდან» ჩანს, რამდენგზისმე უცდიათ. ავეტიქიანს ის ბერძნულ ქი 30 'ა, იგვე ასტერ-სთან („კამათელთან, კოქთან“) დაუკავშირებია; გ. წ. ახალ სომხურ ლექსიკონს (ასე ეწოდება ვენეციაში 1836/7 წ. გამოცემულ დიდ სომხურ ლექსიკონს) კებლი—კიოსტან ერთად ის ბერძნული აქტივ, ლათინური *cubus* და ორაბულ კან ("კოჭი, კუბი, ნარდის ქვები") ჰგმნია. ი. კარსტს ის თათრული *qaya*-დან („ქვიდან, კლდიდან“) მომდინარედ მიაჩნია. პროფ. პრ. აჭარიანი კი Scheftelowitz-ის მოსახრებას იწყუარებს და წერს: „ეგვების სესხება იყოს ორამეული თაღმულურის *quawyā* (= Würfel, კუბი, კოჭი) სიტყვისათ, რომელიც თავის მზრითაც სესხებას წარმოადგენს ბერძნული ასტერა („კუბი, კოჭი“) სიტყვისათ. სინელექს ქმნის დასაწყისი ბერძნა კ—კ უნდა მოეცვა“¹.

მგონია, ზემორე წარმოდგენილ ეტიმოლოგიურ ძიებათა შედეგების გაცნობის შემდეგ საეჭვოდ აღარ უნდა დაურჩის ვისმე, რომ სომხური քուსაյ, ჭოქ თუ ჭოსაյ ქართულიდან შემოვისებული სიტყვაა და არა არამეულიდან, რომლისაგან მომდინარეობას სომხურში გარკვეული დაბრკოლებაც ჰქლებია.

კერძო - ფილავ (ფილ, ფილა) -ს გარდა თვით „კერძო“-იც არის სომხურში ზესული ქართულიდან კერძ ფორმით, რასაც პროფ. პ. აჭ-რაიანიც იწყებარებს, როცა წერს, რომ კერძ მომტკიცარებს ქართული „კერძო“-იდან, რაც იგივე „ღღინძა-ხვინძა“-აა?

[„ლღინგა-ხეინგა“, ასე აქვს „ამ სიტყვის ფორმების მოყვანილი ს.-ს. ორბელას თავის ლექსიკონში, ორმელშიც ის განმარტებული აქვს, ორგანოც „წყალთ კონჭი“. ძევლი ქართული ენის ძეგლებს შორის ეს სიტყვა შეგვევდრია მხოლოდ ასეთი ფორმით: „დღნჭი“. იგი იხმარება XI ს-ის მიწურულის ერთ ძეგლში, ორმელსაც „მამათა ცხოვრება“ ეწოდება და ორმელიც თეთვილე ხუცეს-მონაზონის მიერ არის თარგმნილი ბერძნულიდან. აქვე, სადაც ეს სიტყვა („ლღინგი“) იჩარება, მოცემულია კონტექსტში მისი განმარტებაც — „წურილონი ქვა“-ი (A-1005, 217v.).]

¹ Հ. Ա. Ա մ ս ն ե տ ն, Հայէլըն արմատական բառարան. Երևան, 1926—1932 թթ.

² Oct 30, III, 1198.

სომხური კუნძ, ჩვენი აზრით, განუყოფლია სომხურისავე კუნ — სისახაც, როგორც მათ თავან პირველი წარმოდგენილია სიტყვებში — կასა, კასამასა, კასამარატ, და სიტყვების გვაწვდის. ამ უკანასკნელიდან, ხოლო მეორე ცალკეც იხმარება და წარმოქმნილ სიტყვებაც გვაწვდის. ამ უკანასკნელიდან, ე. ე. სისა-ილან, ქართული „ჩიჭი — ხვინჭი-ის“ წარმომავლობა, როგორც ეს პროფ. პრ. აკა-რაინს მიაწინა, საეჭვო გვერია, რაღაც იგვენ „ხვინჭა“, მეორე მხრით, „ლვინჭა“—სთან ერთად კენჭ — კუნძ-ის ფონეტიკულ სახესხაობად წარმოუდგენია. მგონია, რაფერი არ უნდა გვაბრჭოლებდეს კუნ — სისა-იც კუნძ-თან დაგაკავშიროთ და უკანასკნელის წყროდ მინენული ქართული კენჭ — კუნჭ ამოსავლად მიგიჩინოთ კუნ-ისა და მისი კანონხომიერი ფონეტიკული შესა-ტყვისის სისა-ისავისაც. ეს უზრო შესალებელია, ვიდრე სისა-იდან მიღება ჯერ „ხიჭი — ხვინჭისა“ და მერმე „დვინჭა — ხვინჭა“—ს „ექნება“—თან ფონეტიკული დაკავშირება, რაც ქარ-თულ ნიადაგზე სათუა. უნდა დაგვძინოთ ისიც, რომ საეჭვოდ არ მიუჩინებათ სის — „ჩიჭი“-ისა და კუნ — „გიჭი“-ის ქართულ „დვინჭა“—თანა და „ექნება“—თან კავშირი არც აკად. ნ. შარსა და არც პროფ. გრ. ღაფანეგაძი.

ამრიგად, სომხურს გეელად ქართულიდან შეუთვისებია გარკვეული შინაარსით (= „გენ-ჭისა“) არა მარტო „ქვა“—როსა (ფოსტ, ფოსა), არამედ თვით „ექნება“-იც — კუნ, კუნძ || სისა-საკუთრივ კენჭ' ის ანუ ლკნჭ' ის შინაარსით.

„ქვა“ ცნების გამომხატველი სიტყვა სომხურში ფარ არის. სიტყვამ მოიტანა და გვინდა დაფიქტინოთ, რომ ეს სიტყვა სომხურიდან ქართულში არის გადმოსული, მაგრამ ახალსა და არა დევლში, და ისიც, არა ცალკე, არამედ გოპონიტებში წარმოდგენილი. ალ-ჩინზული აქვს უკვე პროფ. პრ. აკარიანს, რომ ახალი ქართულის „ქარაფ-ი“ (დევლი ქარ-თულით რომ იწოდებოდა კბო დე) სომხური ფარაშ-იდანაა, ისე როგორც „ქარაფშ“-ი («ქვის ხავსი რამ მცირე» — ს.-ს. ორბელიანი) სომხური ფარაჭუ-იდან.

2. კავშირი — რაცა

«მატიანე ქართლისაც-ს» ერთ იდგილს, სადაც საუბარია ვარანგთა ლა-შქრის მონაწილეობაზე სასირეოის შეტაკებაში ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ერისთავეს შორის ამტყდარი ბრძოლის გამო, ნაოქვემდია «ქართლის ცხოვრების» ანასეულსა (A) და მარიამისეულ (M) ნუსხებში, რომ

«ფერდარა უძლეს ბრძოლად (ბრძოლა M) ვარანგთა (ვარანგთა M) და (abs. A) მისცნა (მისცა M) ლიპარიტ პაშტინი (პაშტი A) და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს და ეგრეთ ლიხი ვარდავლეს-ო».

ეს იდგილი უნდა ჰქონდეს უთუოდ მხედველობაში სულხან-საბა ორ-ბელიანს, როცა „პაშტ“-ს თავის ლექსიკონში განმარტავს როგორც „პურის საკაზმავ ცხრილს“¹. ამ ახსნის ანგარიშგაწევით ზოგ მცვლევარს ისე ესმის ეს ადგილი, თითქოს შერცხვენის მიზნით დამარცხებულთათვის დაქმერინებინოთ ხელთ „პურის საკაზმავი ცხრილი“ და ისე გაეყოლებინოთ ვარანგთათვის².

ამ ადგილის ბუნდოვანობაზე ბოლო ხანს ყურადღება გაამახვილა თავის ერთ-ერთ ნაშრომში (საღოქტორო ღისერტაციაში) პროფ. იასე ცინცაძემ,

¹ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928 წ.

² დაქმერილებით იხ. ნ. ბერძენიშვილი, იასე ცინცაძე — ძეგბანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X — XVI სს). «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის», 1951 წ., ნაკვ. 29, გვ. 302 — 311.

რომელმაც მაშინვე მიაპყრო მისკენ ჩემი გულისყურიც. ხსენებული ქონტიული ქსტის მიხედვით პაშტ' ის საბასეული გაგება საეჭვოდ დამირჩა. ბრტყელადაც ის მეჩვენა გადამშერთაგან შებღალულ ფორმად, მაგრამ რომ მომაგონდა სომხურში ამ ფორმის მქონე պატა ძირი, რაც კომპოზიტებში կუალაზა, բარეალაზა, ასთოლაზალაზა და სხვაგან მსახურ რს აღნიშნავს (კუალაზა— კერპთ-მსახური, բარეალაზა— კეთილ-მსახური, ასთოლაზალაზა— ღმრთის-მსახური), მან პაშტ' ის როგორც „ჰურის საკაზმავი ცხრილის“ გაგება შეუფერებლად მიგვაჩნევინა მეცა და პროფ. იასე ცინცაძესაც.

«მატიანე ქართლისაც-ს» პაშტ' ის სომხურ პატანელ, პაზაონსავ-სთან დაკავშირების შესახებ პროფ. ნ. ბერძენიშვილიც იმ აზრისაა, რომ, მისი თქმით, ეს კავშირი უფრო „ბუნებრივადაც გამოიყურება“, მაგრამ სრული დაჯერებისათვის ის, როგორც ჩანს მისი შემდეგი სიტყვებით: «თუ „მსახურს“ ასეთი შესატყვისი აღმოაჩნდებოდა ქართულში-ო, კიდევ სხვა ხმარების შემთხვევის დამოწმებას მოითხოვს ქართულში¹.

დასახელებული სომხური კომპოზიტების შემადგენელი -პაზა თავისი სახით სომხურში თავდაპირველადი არ არის. ის, როგორც გარკვეულია სამეცნიერო ლიტერატურაში, პარეზა ძირიდან არის მიღებული, რაც ქველ სომხურში ზოგჯერ დაცულიცაა შედგენილსა თუ თხზულ სიტყვებში: ამწარეზა (← ან-პარეზა — უსჯულო, უღვთო, ე. ი. უმსახური), ბარეალპარეზა (← ბარე-ა-პარეზა — კეთილ-მსახური), კუალაპარეზა (← კილ-ა-პარეზა — კერპთ-მსახური) და სხ... Պაზანელ ზმნა * პარეზანელ-იდან მომდინარეობს. სომხური ფონეტიკური კანონზომიერებით მას გავლილი აქვს ასეთი გზა: * პარეზანელ → * პარეზანელ → პაზანელ. პროფ. პარიანის სიტყვით, „ეს ფორმა (პაზანელ) რომ წარმოდგა, მისოვის საგულისხმებელი გახდა პაზა ძირი, რომლის მიხედვითაც შეიქმნება: ბარეალპაზა, ხრკუალპაზა, კუალპაზა, ასთოლაზალპაზა... და სხ...“².

Պაზა თავისი წინანდელი სახით (პარეზა ← პარეზა), როგორც პროფ. პრ. აქარიანი იქვე თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში აღნიშნავს ა. მეიეს ერთ-ერთი ნაშრომის მიხედვით, ირანულიდან მომდინარეა, სახელდობრ * pari-stā („მსახურება, თაყვანის-ცემა“) ფორმიდან, რაც შედგება pari ნაწილაკისა და sthā ძირისაგან და ნამდვილად ნიშნავს „გარე დგომა“-ს. აქედანვე წარმომდგარი აგრეთვე ფალაური parastātan („მსახურება“), parastišn („მსახურება — პაზაპიში“, ე. ი. სლუჯენიე), სპარსული parastīdan („მსახურება“) და parast („მსახური“), „ს-თი შეცვლით „შ-თისა, რაც სპარსული დიალექტებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. სომხური თავისი „შ“ ბერით (* parištā → პარეზა) იცავს ირანულის უძველეს სახესო“, დაასკვნის ავტორი³.

¹ ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 307 (შენიშვნა).

² ქ. ა მ ა ს ა ნ, ჯაებენ არმათასას բასარან. V, გვ. 838.

³ იქვე, გვ. 839.

როგორც ვხედავთ, «მატიანე ქართლისა-ში» დაცული „პატტ-ი“ უთქმებოდა — შინაარსით და ფორმით უშუალოდ ძველი სომხური պაշտեლ სირცეების պაշտ ძირამდის აღის, რომელიც უადრინდელესი თავისი სახით — պარხმა-ით — ირანულიდან მომდინარედ ითვლება. უმეველია, რომ ძველი ქართულის ლექ-სიკურ შემადგენლობაში ეს სიტყვა სომხურიდან არის შემოსული.

სულხან-საბას განმარტება პაშტ-ისა, როგორც „პურის საკაზმავი ცხრილისა“, რომ შეუფერებელია ჩვენი კონტექსტისათვის, რომელზედაც ეს განმარტება უნდა იყოს ოპოციენებული, იქიდანაც ჩანს, რომ იქ ნახმარი სი-ტყვები „წინა მათსა პურისა უკაზმიდეს-ო“, პურის, ფქვილის გაცრას, ანდა მარცვლეულის წმენდას კი არ უნდა პგულისხმობდეს, არამედ პაშტის სომხური შესაბამისის, պაշտ(ხლ)-ის ერთ დამახასიათებელ მნიშვნელობას, რომლის მიხედვით პაშტელ — „მსახურება“ ნიშნავს ზოგჯერ „საჭმლისა და სა-სმლის მირთმევას“. ამისდა შესაბამისად ისტორიკოსის ნათქვამი „წინა მათსა პურისა უკაზმიდესო“ სწორედ პურის, ე. ი. საჭმლის კაზმას ანუ შემზადება-მირთმევას უნდა ითვალისწინებდეს და არა პურის — ფქვილისა თუ მარცვლეულის — კაზმას, ე. ი. ცრასა თუ წმენდას (და ისიც ცხრილით), ან მარტო-დენ პურის შემზადებას, ანუ ცხობას, როგორც შეიძლება კაცმა იფიქროს.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძველი ქართული ენის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1952. XII. 10)

ქ. ღომთათიძე

სემანტიკის ზოგი საკითხის შეალისარი საენათმაცნიარო
მოძღვანების შეაზე

ი. სტალინმა შექმნა მარქსისტული ენათმეცნიერების საფუძველი. შეიტანა
რა სრული სიცხადე ყველა ძირითადი საკითხის გარკვევაში, დაადგინა საენათ-
მეცნიერო დარგთა საგანი და დასახა მათი შემდგომი კვლევის ამოცანები. ფრიად
სადაც დარგს ენათმეცნიერებაში წარმოადგენდა სემანტიკა. ი. სტალინმა
განსაზღვრა სემანტიკის აღგილი მარქსისტულს ენათმეცნიერებაში. „სემანტიკა
(სემასიოლოგია), — გვასწავლის ი. სტალინი, — ენათმეცნიერების ერთ-ერთი
მნიშვნელოვანი ნაწილია. სიტყვათა და გამოთქმათა შინაარსობლივ შხარეს
სერიოზული მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლის საქმეში. ამიტომ სემანტიკი-
სათვის (სემასიოლოგიისათვის) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი შესაფერი
ადგილი ენათმეცნიერებაში.

მაგრამ სემანტიკის საკითხების დამუშავებისა და მისი მონაცემების
გამოყენებისას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაზეიადებულად შევაფა-
სოთ მისი მნიშვნელობა, და მით უმეტეს — არ შეიძლება ბოროტად გამოვიყე-
ნოთ იგი¹.

სემანტიკის გაზეიადებასა და მის ბოროტად გამოყენებაზე იყო დაფუძ-
ნებული ე. წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“. ნ. მარმა მოსწყვიტა ენა
და აზროვნება ერთმანეთს, ადამიანთა ურთიერთობა შესაძლებლად მიიჩნია
მხოლოდ აზროვნების შემწეობით ენის „ბუნებითი მატერიის“ გარეშე.

„ენა არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ვლინდება ბეჭრებით;
აზროვნების მოქმედება გამოულინებლადაც ხდება... ენა (ბეჭრით) ახლა
უკვე უთმობს თავის ფუნქციებს უახლეს გამოვლენებებს, რომლებიც უეჭველად
ძლიერი სივრცეს, ხოლო აზროვნება აღმავლობის გზით მიდის მის მიერ წარ-
სულში დაგროვებულისა და გამოუყენებელისაგან და ახალი მონახვეჭისაგან,
და მომავალში იგი გარიყავს და მთლიანად შეცვლის ენას. მომავალი ენა ბუ-
ნებითი მატერიისაგან თავისუფალ ტექნიკაში მხარდა აზროვნება იქნება. მას
ვერ გაუმტკლავდება ვერავითარი ენა, თუნდაც ბეჭრითი, რომელიც მაინც და-
კავშირებულია ბუნების ნორმებთან“².

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1951 წ., გვ. 35—36.

² Н. Я. Марп, Избр. раб., ტ. III, გვ. 121.

6. მარი დიდ დამსახურებად უთვლის თავის „თეორიას“ იმ ფაქტს, რომ ამ „თეორიაში“ სიმძიმის ცენტრი ფორმალური მხარიდან გაღაიტანა ეფექტულული გიურ მხარეზე და შექმნა ს ე მა ს ი თ ლ გ ი ა¹.

6. მარის მოძღვრების დედაარსი, მის ყალბად გაგებულ ენის განვითარებაში, იყო ბოროტად გამოყენებული სემასიოლოგია, ეს კი განსაზღვრავდა ხელისა და სახერთოდ ხაზოვანი მეტყველების თავდაპირველი არსებობის „დასაბუთებას“, ეს განსაზღვრავდა ბგერითს მეტყველებაში სტადიების გამოყოფას, ეს განსაზღვრავდა მომავალში ბგერითი ენის უარყოფას.

ი. სტალინმა პირველად გამოავლინა 6. მარის თეორიის აღნიშნულ დებულებათა ნამდევილი აზრი. ი. სტალინმა, დაასაბუთა რა ენისა და აზროვნების განუყრელი კავშირი, ამხელა 6. მარისა და მის მიმდევართა დეკლარაციულ განცხადებათა აზრი ენისა და აზროვნების კავშირის შესახებ, გამოააშეკრიავ მოყვანილ მტკიცებათა სრული წინააღმდეგური ხასიათი და საკითხის გადაწყვეტის მთელი იდეალისტური ბუნება.

რავი სიმძიმის ცენტრმა 6. მარის „ხალ საენათმეცნიერო მოძღვრებაში“ გადაინაცვლა სემანტიკაზე (სემასიოლოგიაზე), აქედან ბუნებრივ შედეგად მივიღეთ ის, რომ უარყოფილ იქნა ენის გრამატიკული წყობის მნიშვნელობა, მას დაერქვა ფორმალისტური შესწავლა ენისა და ენათმეცნიერების ძირითად ამოცანად სემანტიკის შესწავლა გამოცხადდა.

ი. სტალინმა მყაცრად გააკრიტიკა ასეთი დამოკიდებულება გრამატიკისა და სემანტიკისაღმი. ი. სტალინმა აღნიშნა:

„6. ი. მარი გრამატიკას თვლიდ ფუჭ „ფორმალობად“, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებსაც გრამატიკული წყობა ენის საფუძვლად მიაჩნიათ—ფორმალისტებად ეს კი მთლად სისულელეა“².

გრამატიკის როლი და მნიშვნელობა ენათმეცნიერებაში არასოდეს ყოფილა იმ სიმაღლეზე იყვანილი, როგორც ეს სტალინურ საენათმეცნიერო მოძღვრებაში მივიღეთ.

ი. სტალინმა მთელი სიხრულით დაგვიხასიათა გრამატიკა და გვიჩვენა მისი ის დიდი მნიშვნელობა, რაც მას აქვს სწორედ აზროვნებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

6. მარის „ახალი მოძღვრების“ თანახმად ენის უძველესი საფეხურისათვის დამასასიათებელი იყო პოლისემანტიზმი, რომელიც ასემანტიზმამდის დადიოდა. ამის შესახებ 6. მარი წერდა:

„... слова не имели вне среды никакого значения: среда определяла не то или другое из многих присущих впоследствии каждому из них значений, а вообще значение, то или иное, ему самому одинаково не присущее. То есть полисемантизму (многозначимости слов) синтетической системы предшествовал

¹ Н. Я. Марр, Избр. раб., ტ. II, გვ. 396.

² ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 40.

ა ს ე მ ა ნ ტ ი კ ი კ ი ს ზოგი საკითხი სტალინური საენათმეცნიერო მოძღვრების შუქშე
н о г о з н а ч е н и я ”¹.

სიტუაციის მნიშვნელობის სტაბილიზაცია, ნ. მარის აზრით, შემდეგ მოხდა.

„Поскольку осмысление слов, получающее впоследствии стабилизацию значений, усваиваемых каждому данному слову сначала целыми пучками, а потом и единицами, зависит от мировоззрения человеческого коллектива той или иной определенной структуры...”²

Б. მარისათვის პირველადს გაუდიფერენცირებელს სიტუაცია-ლური გა—ვითარების სხადასხევა საფეხურზე გამოიყოფა კოსმოსური (ცა, მიწა, ზღვა), მიკროურსმოსური (ხელი, თვალი, თავი...), სამეურნეო, საზოგადოებრივი და ა. შ. სტადიები.

კოსმოსურ ცა-ს, რომელიც აღნიშნავდა პირველად სამ ცა-ს (ცა—წემოთ, ცეცხლი, ცა—ქვემოთ, მიწა, ცა—ქვესკნელი, ქვეშ, წყალი და ა. შ.), გამოეყოფოდა ნაწილი მთელის მიხედვით დასახლების საფუძველზე (ცა—ლუბელი, ცა—ჩიტი, ფრინველი) და სახე ამ ასოციაციის მიხედვით (ცა—წრე, თაღი და ა. შ.). ცა-ს უკავშირდება (როგორც ლვთაებას) რწმენა, ფიცი, ბატონი; ამ სახელწოდებითვე გადმოიცემოდა — როგორც კულტის საგნები—ქურუმი, ექიმბაში, ჯადოქარი, მკითხავი, ჯადოსანი, მღვდელი, საკურთხეველი, ტახტი და სხვ. მრ.

ასევე საზოგადოებრივ წარმოდგენათა სხვა ეპოქაში ხელს ენიჭება ეს ფუნქცია და ხელი აღნიშნავს ყველაფერს.

სხვა საფეხურზე კი—ქალი წარმოდგენს ასეთ სიტუაციას და ა. შ.

ამოსაგალში კი ყველა ერთია: „...понятия „рука“ и „женщина“ при подлинном первобытном мышлении обозначались одним и тем же словом“³.

ამტომაც არის, რომ ზანურ ჭუმან „ხვალ“, ოქუმარე „დილა“ სიტუაციი კოსმოსური სტადიის შესაბამისად ნ. მარის შეუძლია დაინახოს ხელის აღნიშვნელი— მან—(ზდრ. ლათ. manus „ხელი“)*.

ასეთი მსჯელობა პირდაპირსა და შინაგან კავშირშია, რა თქმა უნდა, ე.წ. „ახალი საენათმეტნიერო მოძღვრების“ ელემენტოვან ფორმალურ ანალიზთან. ყველა სიტუაცია, რომელიც ბევრობრივად ერთმანეთზე დაიყვანება (ოთხ ელემენტაზე დაიყვანება), ასევე მნიშვნელობითაც თავისუფლად დაიყვანება ერთმანეთზე იმიტომ, რომ ყოველ მათგანს ამოსავალში პოლისემანტიზმი (ე. ი. ასემანტიზმი) ახასიათებდა და ამდენად მათი ეტიმოლოგიური დაკავშირების სრული შესაძლებლობა გვაქვს.

6. მარი, მაგალითად, ჩინური პოლისემანტიზმის შესახებს წერს: „Однако в китайском примитивность строя поддерживается примитивностью

¹ Н. Я. Марр, Избр. раб., т. II, гл. 109.

² იქვე, გვ. 103.

³ იქვე, т. II, гл. 132—134.

⁴ იქვე, гл. 134.

значимости слов, системы взаимной увязки слов со стороны ^{законов} семантики, т. е. учения о значениях, вскрытого ныне палеонтологией речи, как она устанавливается яфетической теорией. Так, когда в китайском языке мы имеем ряд созвучных слов, ничего, казалось бы, общего не имеющих между собою в смысловом отношении, например, „рыба“ уй „дождь“ уй, то теперь мы знаем, что эти слова вовсе не случайно созвучны, ибо из палеонтологии речи мы знаем, что „рыба“ получила свое название от „воды“ а „дождь“ также назывался по „воде“, т. е. в китайском сохранилось то примитивное состояние речи в отношении значений слов, когда одно и то же слово „вода“ использовалось еще в значении и „дождя“ и „рыбы“¹ (ხაზგასმა ჩვენია.—ქ. ლ.)

ამიტომაც გასაგებია, რომ ნ. მარისა და მისი მიმდევრებისათვის არ არსებობს ომობიმია. ორი სრულიად საჭინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვა თუ ჰგავს ერთმანეთს გარეგნულად, ბეგრობრივ, მნიშვნელობითი სხვაობა. ხომ აღარ დაგვაძრკოლებს, რადგანაც ნ. მარისათვის პოლისემიურ (ასემიურ) ლინგვისტურ ელემენტებს—სიტყვებს ყოველგვარი მნიშვნელობა შეეგუბა.

ამის გამოა, რომ ნ. მარი და მისი მიმდევრები არ დაგიდევენ სიტყვის ისტორიას. რა ისტორიის მქონეც არ უნდა იყოს იგი, სულ ერთია, უკიდი წინასწარ განსაზღვრული შესაძლებლობის ფარგლებს ვერ გაშორდება, ამის საფუძველია დიოფუზური-ბგერ ობრივი საჭყისი, დიოფუზური სე-მანტიკური საჭყისი. შემდევში, ნ. მარის აზრით, ხდება თანდათან ბგერთა გამოყოფა (და რაკი ამოსავალი ერთი აქვთ, ერთმანეთს უდრიან ეს გამოყოფილი ბგერები), შემდევში ხდება თანდათან ცალკეულ მნიშვნელობათა გამოყოფა (და რაკი ამოსავალი აქაც ერთია, შემდევ განსხვავებული ეს მნიშვნელობანიც ერთმანეთს უდრიან).

ამჟამად ზოგი მკვლევარი, როცა იხილავს ნ. მარის ნაშრომებს ცალკეულ ენათა მასალის მეცნიერული ისტორიის თვალსაზრისით, განაზავს, რომ ნ. მარი არ ფლობს აღნიშნულ მასალას. რა თქმა უნდა, ჩვენ არა ერთგზის შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ ნ. მარი ამა თუ იმ ენის მასალის ისტორიას ვერ ითვალისწინებს, მაგრამ ეს როდია მთავარი. ეს იქნებოდა ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა. აქ არსებითია მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომა. ნ. მარმა, მაგალითად, შესანიშნავად იცოდა, რომ ქართ. ხელი („рукა“) მომდინარეობს კელ-ისაგან და რომ სიტყვას—ხელს („გიჟის“ მნიშვნელობით) ჯ არ ჰქონდა ფუძეში; მაგრამ ეს როდი უშლიდა მას ხელს ისინი ერთმანეთის-თვის დაეკავშირებინა².

ნ. მარმა თავისი პალეონტოლოგიური სემანტიკით დაცალა ენა ყოველ-გვარი ისტორიული შინარსისაგან და მოსწყვიტა ენის განვითარება საზოგადოების ნამდვილ განვითარებას.

¹ Н. Я. Марр, Издр. раб., ტ. II, გვ. 55.

² Н. Я. Марр, Издр. раб., ტ. II, გვ. 266.

ი. სტალინი გვასწევლის: „ენა...უშუალოდ არის დაკავშირებული მოძღვრების მიანის საწარმოო საქმიანობასთან, და არა მარტო საწარმოო საქმიანობასთან, არამედ ადამიანის ყოველ სხვა საქმიანობასთანაც მისი მუშაობის კველა სფეროში წარმოებიდან ბაზისაზღვე, ბაზისიდან ზედნაშენამდე. ამიტომ ენა წარმოების ცვლილებებს ასახავს ერთბაშად და უშუალოდ, არ ელოდება ბაზისის ცვლილებებს. ამიტომ ენის, რომელიც ადამიანის საქმიანობის კველა დარღვევის, მოქმედების სფერო გაცილებით უფრო ფართო და მრივალმხრივია, ვიდრე ზედნაშენის მოქმედების სფერო. უფრო მეტიც, ივა თითქმის უსაზღვროა.

უწინარეს ყოვლისა სწორედ ამით აისწერა, რომ ენა, საკუთრივ მისი ლექსიკური შემადგენლობა, თითქმის განუწყვეტლივ იცვლება. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, გაჭრობისა და ტრანსპორტის, ტექნიკისა და მეცნიერების განუწყვეტელი ზრდა ენისაგან მოითხოვს. მისი ლექსიკის შევსებას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებიც საჭიროა მათი მუშაობისათვის. და ენა, უშუალოდ ასახავს რა ამ საჭიროებას, აესძეს თავის ლექსიკას ახალი სიტყვებით, სრულყოფს თავის გრაძატიკულ წყობას¹.

ამის საფუძველზე გასაგებია, რომ მეურნეობის სფეროში, ტექნიკაში, მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებაში განვითარება იწვევს ენის ლექსიკური შემადგენლობის განვითარებას, შევსებასა და გამდიდრებას. ასე, მაგალითად; როდესაც მეურნეობის სფეროში გაჩნდა მიწის დამუშავების გარკვეული წესი, გაჩნდა კიდევ სათანადო ზმნა: ხნავს (ხნა). ამით ენაში აისახა მიწის დამუშავების ის საშუალება, რაც გამოიყენებოდა მეურნეობის განვითარების გარკვეულ ღონებზე: ხნავს ზმნა ნაწარმოები იქნა ხარ-ს (სვან. გარიანტი კენ) — სიტყვისაგან, რადგანაც ხნავდნენ ხარის საშუალებით (შდრ. ბარი — ბარ-ივს, თოხი — თოხნის და სხვ...).

როგორ ხსნის ამ აშკარა ფაქტებს ნ. მარის პალეონტოლოგიური სემანტიკის კანონები? სწორედ ამ მაგალითის შესახებ ნ. მართან ვკითხულობთ: „Был большой соблазн увязать происхождение пахания с техникой работы с быками, что сравнительным методом легко поддерживается, и потому мы этому соблазну почти поддались, но палеонтология вскрыла, что смысл создается по функции, природная производительная сила (У. О. Ведро.—Д. Л.) следовательно и рабочая—по орудию“² და ვკითარებს რა ამ დებულებას პოლისემანტიზმისა და სტადიური მსოფლმხედველობის საფუძველზე, დაასკვნის, რომ ხვნა-ზმნაც ხელიდან მომდინარეობს, თღონდ ფუნქციონალურად არის იგი შემდეგ გადასული ხარზე.

განსაკუთრებით იქცევდა ნ. მარისა და მისი მიმღევრების (ნ. იაკოვლევის, გ. სერდიუჩენკოს) ყურადღებას აფხაზურ ენაში „შემორჩენილი“ ე. წ. პოლისემანტიზმი.

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენაომეცნიერების საკითხები, გვ. 9.

² Н. Я. Марр, Издр. раб., ч. II, гл. 282.

პოლისემანტიზმი ხომ, მათი გაგებით, ენის განვითარების უცველესი ჰერიოდისათვის იყო დამახასიათებელი. ამ პოლისემანტიზმისა და ჰერიოდის ნალური გადასვლების მიკვლევა იყო ძირითადი ამოცანა ე. წ. „ახალი, სახისათვის მეცნიერო მოძღვრებისა“ ენის პალეონტოლოგია, რამდენადაც ეს სემანტიკის პალეონტოლოგია იყო, სწორედ ამის გამოვლენას ემსახურებოდა. აფხაზური ენა კი ამ მხრივ ნ. მარისა და მისი მიმდევრებისათვის თითქოს ყველაზე უფრო საიმედო დასაყრდენს იძლეოდა, როგორც ენა, რომელმაც ვითომდცა მთლიანად დაიცვა ეს პალეონტოლოგიური ვითარება თავისი პოლისემანტიზმით.

б. მარი წერდა: „Выходит, следовательно, так, что путем палеонтологических раскопок в языке, особенно в языке такого порядка, как абхазский, без каких-либо непреодолимых помех устанавливается состав его словаря на различных ступенях развития (!)...“

Все это в других языках выявляется лишь углубленной палеонтологической работой, даже в части яфетических языков, языков третичного периода, не говоря о более поздних, как греческий и латинский, но в абхазском опять-таки все как на ладони...“¹.

აქედან მომდინარეობდა აფხაზური ენის მნიშვნელობის გაზვიადებული შეფასება და იდეალიზაცია ე. წ. „ახალი მოძღვრების“ მიმდევართა მიერ. ნ. მარის ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს ისეორებდნენ ნ. იაკოვლევი და გ. სერ-დიუჩენკო სწორედ იდეალისტური პალეონტოლოგიური ელემენტოვანი ანალიზის დასასაბუთებლად².

* * *

სემანტიკის გაზვიადებასა და ბოროტად გამოყენებასთან გვაქვს სიქმეთანა მედროვე რეაქციულ „ფილოსოფიურ“ მიმდინარეობაში — სემანტიკის მშენების სინამდვილეში არაფერი აქვს საერთო სემანტიკის. როგორც საენათმეცნიერო დისციპლინის, საკითხთა მეცნიერულ შესწავლასთან. იგი ენობრივი ფაქტების დამახინჯებული, იდეალისტური ინტერპრეტაციის ნიადაგზე ცდილობს იქცეს „უნივერსალურ“ მეცნიერებად და იკისროს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა „ახსნა“.

სემანტიკისტებმა გამოაცხადეს ენა და მისი „კანონები“ რაღაც „თვითკმარ“ სისტემად, ნიშნებად, რომლებიც დამოუკიდებლად და მოწყვეტილად არსებობს როგორც საზოგადოებისაგან, ისე საერთოდ მთელი სინამდვილისაგან.

¹ Н. Я. Марр, Избр. раб., Т. IV, გვ. 75—76, 80.

² გ. სერდიუჩენკო, მაგალითად, წერდა: „Первичный слово-элемент, по Марру, многозначно. К утверждению этого положения Н. Я. Марр пришел в результате большого исследовательского труда, связанного с анализом древнейшего (первичного) корнеслова различных языков мира и, в первую очередь, ряда яфетических языков Кавказа... факт существования в языках подобных первичных элементов первичного корнеслова вряд ли можно отрицать. свидетельство этих первичных элементов в языке дают корнесловы хотя бы яфетических языков Западного Кавказа, в которых легко прослеживаются подобные первичные корне-элементы“. ი. მარი „За дальнейший подъем нового, материалистического учения о языке“. Изв. АН СССР Отдел. языка и лит., т. VIII, вып. 4, გვ. 309 (ხაგასძა ჩვენია.—ქ. ლ.).

სემანტიზმი ამოდის დებულებიდან, რომ „სახელშროება არ არის ნივთი“, და აკეთებს მეტად შორსმიმავალ დასკვნებს. ისინი გვარშმუნებენ: რაც ენაში გამოიხატება აბსტრაქტულ ცნებათა საშუალებით, იმას აღვილი არა აქვს სინამდვილეში, ხოლო რაც სინამდვილეშია, ის არ ძალუძას გამოხატოს ენას...

აქ აშკარად ჩანს სრული გათიშვა ენისა აზროვნებისაგან, სინამდვილ-სავან. თანაც სემანტიზმისათვის ეს ენა არის არა არსებული ენა, არამედ რა-ლაც სქოლასტიკური ენის სისტემა.

სემანტისტებს თუ დავუჯერებთ, ენის სისტემის წესებს ყველა ენაში აქვს უნიფირსალური გამოყენება, და თუ ეს წესები იცით, თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ, როგორ უნდა გამოიყენოთ ენა, და მაშინ თურმე ისიც გეცოდინებათ, როგორ აიცდინოთ შეცდომა (რაც გამოწეულია ენის უკანონო გამოყენებით) და როგორ უნდა ილაპარაკოთ ყოველ შემთხვევაში გონივრულად. თურმე ადამიანთა შორის გაუგებრობა იმით იწყება, რომ ისინი ერთმანეთთან აიგივებენ ნივთსა და სახელწოდებას. თურმე ყოველგვარი უბედურების, კატასტროფის სათავე ენა არის. თურმე, თუ ჩვენ გვეცოდინება ენის სემანტიკის კანონები რა ბუნებისანი არიან, ავიცდენთ ამ კატასტროფას. მაგალითად, ჩეიზი, რომელიც ყველაზე უფრო აშკარად გამოიქვამს სემანტიზმის დედააზრს, წერს: სემანტიკას რომ საყოველთოდ იცნობდნენ და ადამიანები რომ ცდილობდნენ ურთოერთობის პროცესში თავი დააღწიონ მარცხს, მაშინ კატასტროფას არ ექნებოდა ადგილი. ადამიანებს რომ ჰქონდეთ სემანტიკის ცოდნა, მაშინ არ წარმოშვებოდა ასეთი უკულმა როთი ცნებებით².

¹ მონაცემის მორის კორნფორტის წიგნის „В защиту философии“-ს მიხედვით,

² „Однако, если бы знание семантики было всеобщим и люди старались бы избежать неудач в общении, то катастрофа едва ли могла начаться... „если бы люди были вооружены знанием семантики, то такие неправдоподобные понятия не могли бы возникнуть“ (Ф. М. Бахметьев, 1930, 140).

მისი გრამატიკა, ადამიანის აზროვნების აბსტრაქტულის მომხდენი უმუშესოფლივი შედეგად, აზროვნების უდიდეს წარმატებათა მაჩვენებლად დაახასიათება; სემანტიკულის ტები იბრძვიან ენის აბსტრაქტული ბუნების წინააღმდეგ, მორთხვენ დაყვანილ იქნეს ენის კანონები კონკრეტულ გამოხატულებებამდე; მაშინ როდესაც სტალინური კლასიკური განსაზღვრება ენისა გვასწავლის, რომ ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთობა გაგებას, სემანტისტები გვეუბნებიან, რომ ყოველგვარი გაუგებრობისა და კატასტროფების წყარო ენაა.

სემანტისტები ილაშერებენ ყოველგვარი ზოგადი, აბსტრაქტული ცნებების წინააღმდეგ, მოვლენების ყოველგვარი შეგნებული ანალიზის წინააღმდეგ. განსაკუთრებით ილვწიან სემანტისტები დაამტკიცონ სრული უაზრობა, უშინაარსობა და არარეალობა ტერმინებისა, როგორიცაა: „სამშობლო, ეროვნება, კონსტიტუცია, კანონი, პროგრესი, კომუნიზმი, თავისუფლება, შრომა, კაპიტალი, მასები, ფაზიზმი, უოლ-სტრიტი...“ და სხვ.

სემანტისტი ჩეიზი გვეუბნება: ყოველი დავისა და გაუგებრობის შემთხვევაში საჭიროა დაექმნილ იქნეს „რეფერენტი“—და ორივე მოწინააღმდეგ მხარეს შესაძლებლობა ექნება გაუგონ ერთმანეთს—მოიხსნას გაუგებრობა; ცნობილია მაგალითი, რომელიც მას მოჰყავს: „ჩვენ ხშირად ვხმარობთ სიტყვას—„კაცობრიობა“—როგორია მისი რეფერენტი?—კითხულობს ჩეიზი. კონტექსტის ან ამ სიტყვის ხმარების წესის მიხედვით რეფერენტი არის ყოველი პირი, რომელსაც ოდესმე—კი უცხოვრია, ყოველი ცოცხალი პირი ან მთელი რიგი პირები, ამჟამად მცხოვრები ყველა ადამიანი, შეიძლება ითქვას, რომ რეფერენტია ადამიანი, ადამიანი, ადამიანი და ასე 2.000.000.000 ადამიანამდე. აი ეს არის თქვენი რეფერენტი. (ხაზი ჩვენია.—ქ. ლ). არ არსებობს ასეთი „კაცობრიობა“. მოუწოდეთ რაც შეიძლება ხმამაღლა: „ე. ი., კაცობრიობავ, აქეთ!“ და არც ერთი ადამიანი არ გამოგეხმაურებათ“¹.

დღეს, როდესაც მოწინავე ადამიანები შეუპოვრად იბრძვიან, რომ იხსნან კაცობრიობა იმ კატასტროფისაგან, რასაც მას უმზადებენ ამერიკელი-ინგლისელი ავანტიურისტები, ჩეიზის პირით ამერიკული იმპერიალიზმის იდეოლოგები გვამშვიდებენ: რომელი კაცობრიობისათვის ზრუნავთ თქვენ, როცა არ არსებობს ასეთი კაცობრიობა. ეს მხოლოდ სიტყვაა და არა სინამდვილე.

როცა „კაპიტალის ტირანიის“. ქვეყანაში უმუშევარი შილიონები ულუქ-მაპუროდ დაეხეტებიან სამუშაოს საძებრად, სემანტისტი ფილოსოფოსები გვამშვიდებენ, ეს გაუგებრობა, არ ასესობს არავითარი კაპიტალი, ის რაც თქვენ ასე გაღელვებთ, ეს ენის მიერ მოგონილი „უმსგავსოება“, „სიტყვის ტირანიააონ“. ებრძოლეთ სემანტიკას, აბსტრაქტულ ცნებებს, ხსნა ამაშიაო.

¹ მ. კორნფორტი, В защиту философии. გვ. 139.

² იქვე, გვ. 141.

სემანტიკისტი „ფილოსოფოსები“ ცდილობენ შენიღბონ კლასობრივი წრები აღმდეგობანი, დააჩლუნგონ მუშათა კლასობრივი თვითშეგნება და მოაჯუნის მათი ბრძოლის უნარი.

სემანტიკისტი მოითხოვს აღამიანის აზროვნების მთელ მიღწევათა დაქვეითებას, შეზღუდვას უაღრესად კონკრეტულ გამოხატულებებამდე, ის ცდილობს ენა და აზროვნება დავიდეს აღამიანის განვითარების პირველყოფილ საფეხურამ. დე, ენისა და აზროვნების უდიდესი მიღწევა — ცნება „კაცობრიობა“ — დაიყვანოს კონკრეტულ ცალკეულ ერთეულ პირებამ ზე. ჩეიზის „რეფერენტის ძებნა“ სწორედ იმას ნიშნავს. რომ აბატრაქციის, განზოგადების საფუძველზე შემუშავებული ცნება. რომელიც საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად ჩავწედეთ სინამდვილეს, დახურდავდეს კონკრეტულ ერთეულ „ფაქტებამდე“. მოხდეს რეფორმა ენისა იმის ნაცვლად, რომ შეცვალოს კაპიტალისტური წყობის ბოროტებანი. რამდენად უტოპიურია ასეთი ზომები ენის მიმართ, კარგად ვიცით შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკური ნაწარმოებიდან: მხოლოდ დონ კიხოტებს შეუძლიათ ასეთი მიზნები დაისახონ, უკან მოაბრუნონ კაცობრიობის ისტორია, ენის განვითარება.

სწორედ ამის საპირისპიროს გვასწავლის ვლ. ლენინი: „Подход ума (человека) к отдельной вещи, снятие слепка (-понятия) с неё не есть простой непосредственный, зеркальномертвый акт, а сложный, раздвоенный, зигзагообразный, включающий в себя возможность отлета фантазии от жизни“¹.

კ. მარქსი წერდა: „საზოგადოდ წარმოება აბსტრაქცია, მაგრამ — აზრიანი აბსტრაქცია, რამდენადაც იგი მართლაც საერთოს გამოაცალკევებს, ფიქსაქციას უკეთებს მას და ამით ჩვენ განმეორებას თავიდან გვაცილებს“².

* * *

ი. სტალინი გვასწავლის — თუ სემანტიკას (სემასიოლოგიას) დავიცავთ ყველგვარი გაზვიადებისა და ბოროტად გამოყენებისაგან, „მას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს ენათმეცნიერებასონ“³.

სემანტიკის შესწავლის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ ენის ლექსიკაში გამოხატულებას პოვებს ენის მდგომარეობა. „ლექსიკური შემადგენლობა ასახავს ენის მდგომარეობის სურათს: რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენან“⁴, — გვასწავლის ი. სტალინი. ენის ლექსიკური შემადგენლობის განვითარება კვალდაკვალ მისდევს საზოგადოების განვითარებას. იგი უშუალოდაა დაქავშირებული ადამიანის მთელ საქმიანობასთან და უშუალოდ ასახავს საზოგადოების განვითარებაში ყოველგვარ ცვლილებას. „...ენა, საკუთრივ მისი ლექსიკური შემადგენლობა, — გვასწავლის ი. სტალინი, — თითქმის განუშევეტლივ იცვლება. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის, ტექნიკისა და მეცნიერების განუშევეტლივ ზრდა ენისაგან მოითხოვს მისი

¹ В. Денин, Философские тетради, 1947, გვ. 308.

² კ. მარქსი, პოლიტიკ. გეონომის კრიტიკისათვის, სახელგამი, 1932, გვ. 5.

³ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 37.

⁴ ი. სტალინი, იქვე, გვ. 21.

ლექსიკის შევხებას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებიც საპირო მათი მუშაობისათვის. და ენა, უშუალოდ ასახავს რა ამ საჭიროება შემადგენლობისათვის ლექსიკას ახალი სიტყვებით, სრულყოფს თავის გრამატიკულ წყობას¹. ამიტომაცაა, რომ ესა თუ ის ენა, მისი ლექსიკური შემადგენლობა სათანადო საზოგადოების ისტორიის სანდო მოწმედა მიჩნეული. ასე, მაგალითად, საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის ნაჩვენებია მნიშვნელობა ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა: „მარგვლა“ (დაკავშირებული მარგილთან), „სახლი“, „მასასახლისი“, „დია-სახლისი“, „გუთნის დედა“ და სხვ...²

ი. სტალინმა მოგვცა გასალები გავიგოთ ენის მთელი ლექსიკური შემადგენლობის განვითარება საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებით.

ახასიათებს რა ამ მხრივ ცვლილებას, მომხდარს პუშკინის შემდეგდროინდელ რუსულ ენაში, ი. სტალინი აღნიშნავს: „შეიცვალა რამდენადმე რუსული ენის ლექსიკური შემადგენლობა, შეიცვალა იმ აზრით, რომ შეივსო ახალი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელოვანი რაოდენობით, რომლებიც წარმოიშვნენ ახალი სოციალისტური წარმოების წარმოშობასთან, ახალი სახელმწიფოს, ახალი სოციალისტური კულტურის, ახალი საზოგადოებრიობის, მორალის გაჩენასთან დაკავშირებით. დასასრულ, ტექნიკისა და მეცნიერების ზრდასთან დაკავშირებით; შეიცვალა მთელი რიგი სიტყვებისა და გამოთქმების აზრი, რომლებმაც ახალი აზრობრივი მნიშვნელობა მიიღეს; ლექსიკიდან ამოვარდა გარკვეული რაოდენობის მოძველებული სიტყვები“³.

აქ ი. სტალინმა მთელი სისრულით დაახასიათა ის მხარეები ენის ლექსიკური შემადგენლობის ცვლილებისა, რითაც ვიღებთ მის შემდგომს განვითარებას. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ორი მომენტი: 1. რუსული ენის ლექსიკური შემადგენლობა შეიცვალა იმ აზრით, რომ შეივსო ახალი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელოვანი რაოდენობით; 2. შეიცვალა მთელი რიგი სიტყვებისა და გამოთქმების აზრი, რომლებმაც ახალი აზრობრივი მნიშვნელობა მიიღეს.

მაშასადამე, ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრება მიმდინარეობს: სიტყათა და გამოთქმათა ახალწარმოებით, რაც შესაძლებელია ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ბაზაზე (ძირითადი ლექსიკური ფონდი „არის ენის ბაზა ახალი სიტყვების წარმოსაქმნელადო“⁴, — გასწავლის სტალინური ენათმეცნიერება) და უკვე არსებულ სიტყვათა და გამოთქმებითა ახალი აზრობრივი მნიშვნელობის მიღებით.

ორივე ეს საშუალება გამოყენებულია ენებში ენის ლექსიკური შემადგენლობის გასამდიდრებლად, ოღონდ თითოეული ამ საშუალების ხვედრითი წონა სხვადასხვა ენობრივ თვისობრიობაში შესაძლოა სხვადასხვა იყოს. ზოგ ენაში და ზოგჯერ შეიძლება ჭარბობდეს სიტყვა არ მოებითი საშუალება,

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 9.

² ბ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯავაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 194.

³ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 4.

⁴ ი. სტალინი, იქვე, გვ. 21.

ზოგ ენაში და ზოგჯერ კი—არსებულ სიტყვათა (და გამოთქმება) აზრი რობრივი გამდიდრება.

ამ ნიადაგზე ჩვენ ვიღებთ სიტყვათა მთელ რიგ ახალ წარმოებებს.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი განვითარების ერთნაირს პირობებში წარმოქმნება ახალი ყოფის სიტყვა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა ენაში ის უთუოდ ერთნაირად ფორმდებოდა და აიგებოდა. ენათა ისტორია გვიჩვენებს სხვადასხვა ენისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, მაგ., სიტყვა მატირებელი გაჩნდა, რა თქმა უნდა, ტრანსპორტის ამ სახეობის გაჩენასთან ერთად. იგი ყველა ენაში გამოიხატება. მაგრამ გამოიხატება არა უთუოდ ერთგვარად. რუსულად მას ეწოდება— ი. ე. ე. — მა-ტარ-ე-ბ-ელი, აფხ.— აღიგდა— „მინდვრის გემი“, ყაბ. მა-ჭავი „ცეცხლის ურემი“ და სხვ. ჩვენ ვხედავთ ყველა ამ ენის დამახასიათებელ სიტყვათწარმოების წესს. ამაში მეღვინდება აღნიშნულ ენათა შინაგანი განვითარების კანონების თავისებურება ლექსიკის წარმოების მხრივ.

ასევე რუსული ოხი— „ფანჯარა“ მიჩნეულია იკი— „ფალ“ სიტყვიდან მომდინარედ; „იკი“, როგორც სინათლის წყარო დაუკავშირდა „ფალს“. ეს შესაძლებლობა: ასეთი შესაძლებლობა დასაშვებია სხვა ენებშიაც ყოფილიყო გამოყენებული აღნიშნული სიტყვის საწარმოებლად. მაგრამ ეს აუცილებელი არაა, ნ. მარის მოძღვრების მიხედვით კი ასეთი რამ ყველა ენაში აუცილებელი გამოდის. რომ ეს ასე არ არის, ამას ადასტურებს სხვა ენათა მასალა. მაგალითად, ქართულში იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვა „სარკელი“ მომდინარეობს, როგორც გარკვეულია. სარკუმელისაგან (შრდ. მეგრ. ა-კუ მაშე) და იგივე გამოდის, რაც „საკვამლე“; აფხაზურში შემორჩენილია ფანჯრის საკუთარი სახელწოდება ახე-ში ← → ॥ აკუ-ში, რაც ნიშნავს „თავ-კარი“ ანუ „სახლის სახურავის კარი“.

ამდენად ენათა ისტორია გვიჩვენებს, რომ არ არსებობს შინაგანი აუცილებლობა სემანტიკურად ყველა ენაში სიტყვა ერთიან კანონებს ეძორჩილებოდეს და ამდენადვე ნ. მარის სემანტიკური კანონები თავიათი უნივერსალური ხასიათით ეწინააღმდეგება ენათა ისტორიული განვითარების ფაქტებს და უგულებელყოფს ცალკეულ ენათა შინაგანი განვითარების კანონებს.

შეიძლება, მაშასადამე. ახალი სიტყვების წარმოების გვერდით, გამდიდრდეს უკვე არსებული სიტყვა ახალი შინაარსით, იქნება ეს სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებისა თუ დაიწროების გზით. თუ შემორჩენილი მნიშვნელობა და ახალი შემორჩენების, პოლისემანტიზმი შედენა კი სიტყვას შეუძლია საზოგადოებრივი განვითარების საფუძველზე და ამდენადვე ე. წ. „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ მტკიცების წინააღმდეგ პოლისემანტიზმი შედეგია საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებით ენის განვითარებისა. მაგ., სიტყვა ზღვა ჩვენ თვალწინ იღებს სულ ახალ გააზრებას. როცა ვამბობთ— „თბილისის ზღვა“, „მოსკოვის ზღვა“ ამგვარ გამოთქმებში „ზღვა“ სიტყვა პოლისემიური ხდება.

ყოველი ენის ისტორიიდან ვიცით, რომ სიტყვათა დიდი ნაწილის მნიშვნელობის ცელა მიმდინარეობს პოლისემურობისაკენ, იქნება ეს უკანასკნელი მნიშვნელობის გაფართოება თუ დავიწროება (ვიმეორებთ, პირვანდელ მნიშვნელობათა შენარჩუნების შემთხვევაში). მაგალითები: რუს. სიტყვა ორუებს პოლისემიური გახდა, მას ახალი მნიშვნელობა მოემატა რუსეთში სამხედრო ხელოვნებაში არტილერიის ჩამოყალიბების დღიდან: (артиллериистское) орудие, ე. ი. ზარბაზანი. ქართულში და სხვა ენებშიც. სიტყვა მანქანა—ამ ბოლო ხანებში—აეტომობილების შემოსვლის შემდეგ, პოლისემიური გახდა: მანქანით კერავს, მანქანით ქსოვს, მანქანით ჩამოვიდა და სხვ.

რუსული სიტყვა აეს პოლისემიურია. უშაკოვის ლექსიკონში აღნიშნულია ამ სიტყვის ოთხი მნიშვნელობა:

1. Пространство, заросшее деревьями. „Густой лес“, „гулять в лесу“;
2. Срубленные и приготовленные для разных надобностей деревья. „Лес строевой“, „для постройки нехватило леса“.
3. Множество каких-нибудь острых, торчащих предметов. „Целый лес штыков“.
4. Временное высокое сооружение из бревен и досок для работ возле стен строящегося или ремонтирующегося здания. „Мы бродили в неоконченном здании по шатким дрожащим лесам...“

ჭარმოდგენილი ოთხი მნიშვნელობიდან, მაგალითად ხარაჩოს მნიშვნელობა—ამ სიტყვამ შეიძინა უფრო გვიან. მას შემდეგ, რაც დაიწყო ქვის დიდი შენობების აგება.

ცნობილია ყველა ენაში სხეულის ნაწილთა სახელწოდებების—პირის, ცხვირის, თვალის, გულის, ხელის, ფეხის, თავის—პოლისემიურობა.

ორასი წლის წინათ ქართული სიტყვა პირი პოლისემიური იყო. საბაო ორბელიანი აღნიშნავს ამ სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობას: 1. პირი არ ბაგეთა აღმა (ე. ი. rot), 2. პირად ითქმის პირის სახე (ე. ი. лицо), 3. პირად ითქმის პირობისა და პარმის მიცემა (პირი მისცა), 4. პირად ითქმის ზღუათა და წყალთა კიდური (ზღვის პირი). 5. პირად უწოდენ ჭურჭელთა ბაქოს (კოკის პირი), 6. პირად უწოდენ ლახვართა და შახვილთა მკვეთრებლობათა (ხმლის პირი)¹. ყველა ეს მნიშვნელობა—როგორც ძირითადი, ისე გადატანითი, თანამედროვე ქართულს შემონახული აქვს. ამავე დროს პირისიტყვის მნიშვნელობა ქართულში კიდევ უფრო პოლისემიური გახდა ტექნიკის, მეცნიერების განვითარების გამო. მაგალითად, პირს მიეცა პიროვნების („личность“) მნიშვნელობა, ასევე პირი—როგორც გრამატიკული ტერმინი და სხვა; ¹ სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვების—გული, ხელი, ცხვირი, თვალი და სხვათა—პოლისემიურობა მომდინარეობს ძირითადი მნიშვნელობის, სხეულის ნაწილების—გულის, ხელის, ცხვირის—მნიშვნელობათა გადატანითი ხმარებიდან. პირვანდელი, ძირითადი მნიშვნელობაა სხეულის ნაწილის აღნიშვნა.

ეს ელემენტარული ჭეშმარიტება უგულებელ ყვეს 6. მარის მიმდევრებმა. მაგალითად, 6. მარის მიმდევარმა 6. იაკოვლევმა ასეთი სიტყვების ძირითად მნიშვნელობად მიიჩნია—იარალის ან სხვა საგნის ნაწილის აღნიშვნა.

¹ პირი აქვს აგრეთვე სახლს და სხვ.

ნ. იაკოვლევის აზრით, კბილი პირველად ეწოდა არა ადამიანის კბილს (ან/ცხოველის კბილს), არამედ ღორის ეშვეს, რომელსაც თურმე პირველად უნდოდა ადამიანი იყენებდა როგორც საწარმოო და საბრძოლო იარაღს. ასეთი იარაღის სახელწოდება შემდეგში თურმე გადავიდა ადამიანის კბილზე.

ადილეურ ენებში ნა ეწოდება ოვალს. ეგვევ სიტყვა აღნიშნავს ნაჯახის ან ჩაქუჩის ყუის იმ ნაწილს, სადაც ტარი ეყრება მას. ნ. იაკოვლევი ირწმუნება, თითქოს თვალის, როგორც ადამიანის ორგანოს, სახელწოდება მომდინარეობდეს ნაჯახის ყუის სახელწოდებისაგან. ასეთივე ახსნას აძლევს ის ადილეურ ენებში უა „ხელის“, ფა „ცხვირის“ და სხეულის სხვა ნაწილთა სახელწოდებას.

ნ. იაკოვლევის სემანტიკური კანონები რომ მივუყენოთ რუსული ენის მასალას, გამოვა, რომ, მაგალითად, რუს. ი. ი. „ცხვირი“, იავდაბირველად უნდა დარქმეოდა გემის წინა ნაწილს (ი. ი. კორაბლია) და აქელან უნდა ყოფილიყო გადმოტანილი ადამიანის ორგანოს ცხვირის, როგორც წინა ნაწილის, გამოსახატავად. ანდა ქართულში ფეხი პირველად უნდა დარქმეოდა ვთქვათ, მაგიდის ფეხი, და შემდეგ ადამიანის ფეხს... ასეთი მსჯელობა მარისტების ფანტაზიის ნაყოფია.

ამგვარად, ნ. მარისა და მისი მიმღებების მტკიცება, თითქოს თანამედროვე ენებში შემჩნეული პოლისემიური სიტყვები წარმოადგენდეს ენის უძველესი სტადიის გადმონაშთს, არ დასტურდება ენათა ისტორიის ფაქტებით. პირიქით, სიტყვათა პოლისემიურობა უფრო გვიანდელი, წარმოების განვითარების, საზოგადოების განვითარების, აზროვნების განვითარების შედეგია. ი. სტალინი გვასწავლის: „რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შემადგენლობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენა“². ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდირების, გამრავალფეროვნების ერთ-ერთი გზაა სიტყვის პოლისემიურობა. ეს საშუბლება მეტნაკლებადაა გამოყენებული სხვადასხვა გრამატიკული წყობის მქონე ენებში.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კავშასიურ ენათა კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1953. 2. 20)

¹ Н. Яковлев, Грам. литер. кабардинск. языка, 1948 г., №3. 160.

² ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 21.

III. ჯავახიძე

მინათმოქმედების იარაღები ჩასავდურ-ქართული კულტურა ჯერ კიდევ

გვიანი ბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული კულტურა ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის. მართალია, უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა ჩვენში არქეოლოგიური კვლევა-ძიება და ბევრი რამ გა-კეთდა კიდევ, მაგრამ მრავალი მნიშვნელოვანი საკიონი ჯერაც გადაუქროლი რჩება. არქეოლოგიურმა სამუშაოებმა, რომლებიც უკანასკნელ წლებში წარმოებს დასავლეთ საქართველოში, ჯერჯერობით სათანადოდ ვერ გამაოვლინა გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლები და თათქმის მთელი მასალა, რომელიც დღეს ნკლევარს ხელთა აქვს, დასავლეთ საქართველოდან, სამწუხაროდ, შეიმუშავით აღმოჩენების შედეგადა დაგროვილი. ამიტომაც, ამ მასალის შესწავლა, ძირითადად, შესაძლებელი ხდება კოლხური კულტურის წამყვანი ნივთების ტიპოლოგიური ანალიზის გზით. ამგვარი შედარებითი შესწავლა ამ კულტურის ძირითადი ტიპებისა დიდად შეუწყობს ხელს აგრძელვე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას, როგორიცაა კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხი. ეს კი დღეს ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხთაგანია ქართულ არქეოლოგიაში. კოლხური და ყობანური კულტურების შესახებ უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს ორი საკუთარი ტრადიციის მქონე კულტურა უნდა ყოფილიყო¹.

გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალა დასავლეთ საქართველოდან, უპირატესად, განძების სახითაა წარმოდგენილი. ამ პერიოდის სამარხები აქ დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი. ეს განძები, ძირითადად, ბრინჯაოს სამეურნეო იარაღებისაგან შედგება. ამიტომაცა, რომ ამიერკავკასიაში გავრცელებულ ამ პერიოდის სხვა კულტურებთან შედარებით, რომლებიც, უპირატესად, ცნობილია სამარხებში აღმოჩენილი ნივთებით, სამეურნეო იარაღი დასავლურ-ქართულ კულტურაში უკეთა წარმოდგენილი. ცნობილია, რომ სამეურნეო იარაღი სამარხებში ძალიან იშვიათად გვხვდება, განსაკუთრებით კი სასოფლო მეურნეობასთან დაკავშირებული იარაღი². სამწუხაროდ, არქეოლოგიური მასალა უმთავრესად სამარხებიდან მომდინარეობს და შრომის

¹ Е. И. Крупнов, Вопросы истории, 2, გვ. 130, 1950; მ. ჯაფარიძე, კოლხურ-ქართულ ცული: საქ მუზ. მთამბე, ტ. XVI-B, გვ. 37, თბილისი, 1950.

² Г. Чайки, Прогресс и археология, Москва, 1949, стр. 184.

იარაღებიც ნაკლებადაა ხოლმე წარმოდგენილი. შრომის იარაღების შესწავლას კი, უთუოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს. კ მარქსი აღნიშნავს, რომ უკავშირობრივი ნელობაც დაშთენილ ძვლების აგებულებას აქვს მოსპობილ ცხოველთა ჯიშების ორგანიზაციის შესასწავლად, ისეთივე მნიშვნელობა აქვს შრომის საშუალებათა ნაშთებს მოსპობილ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა შესასწავლად”¹.

ეს ნაშრომი სწორედ ამ იარაღების შესწავლას გულისხმობს. კოლხური კულტურის შრომის იარაღებიდან ჩვენ შევეხებით სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ იარაღს.

თოხი. განსაკუთრებით ფართო გავრცელება კოლხურ კულტურაში ბრინჯაოს თოხმა ჰქონა. იგი კოლხურ ცულთან და სეგმენტისებრ იარაღთან ერთად გვიანი ბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული კულტურის ყველაზე უფრო დამახასითებელ ნივთს წარმოადგენს.

კოლხური ბრინჯაოს თოხი ნაირი ზომისა და მოყვანილობისა გვხვდება. სატარე თითქმის ყველას ერთნაირად აქვს მოწყობილი; სატარის უკანა პირი მილისებურად გამოშევრილია; ხვრელი შესიერი მრგვალია; მისი უკანა პირი რამდენიმე მილიმეტრით უფრო პატარაა, ვიდრე წინა.

თოხები ძირითად პირის მოყვანილობით განსხვავდება ერთმანეთისაგან. გვხვდება ეგზემპლარები, რომელთაც პირი თანდათანობით უფართოვდება და იგი ტრაქეციის ფორმას წააგავს. არის ისეთი ცალებიც, რომელთაც მკვეთრად გამოსახული მხრები აქვს; ზოგიერთს ორივე მხარი მეტად, ზოგს კი ნაკლებად დაქანებული აქვს; ამგვარი თოხების პირი, უბირატესად, ფართოა და ძლიერ გორდა. სულ რამდენიმე თოხია ცნობილი დღემდე, რომელთაც წელი საკმაოდ გრძელი აქვს; მათი პირი „მცირედით გორდაა“. ყველა ცალში პირი ფხისაკენ თანდათანობით თხელდება.

თოხი უმთავრესად წელში მოხრილია, ზოგი უფრო მეტად, ზოგიც — ნაკლებად. გვხვდება აგრეთვე ისეთი ცალები, რომელთაც წელი სრულიად სწორი აქვს.

ზოგიერთ ეგზემპლარს პირის უკანა პირზე ჩვეულებრივად სამი რელიეფური წიბური გაუყვება ხოლმე. თითქმის ყველა თოხი სრულიად სადაა. გვხვდება მხოლოდ ორიოდე ცალი, რომელთაც პირის უკანა ნაწილზე მეტიც ტლანქად ნაკეთები, ფართო ირიბი ხაზები აქვს და ზოგჯერ ფხური ორნამენტი გაუყვება.

თოხები ერთმანეთისაგან ხშირად სიდიდითაც განსხვავდებიან. გვხვდება, შედარებით პატარა ზომის თოხები და აგრეთვე საკმაოდ მოზრდილი ცალებიც. საყურადღებოა, რომ თითქმის ყველა ეგზემპლარს აშკარად ეტყობა, რომ იგი ხმარებაში ყოფილა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ თოხები, აღმოჩენილი ურეკის განში, სოფ. ზენითში და აგრეთვე ზუგდიდის მუზეუმში დაცული ორი თოხი. ურეკის

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 140, თბილისი, 1930

განძის თოხები ფორმით განსხვავდებიან კოლხური კულტურისათვის დამახა-
სიათებელი თოხებისაგან და აგრეთვე ასაკითაც წინ უსწრებენ მათულუსინისკენ
ისევე როგორც ზენითისა და ზუგდიდის მუზეუმის თოხები, მხოლოდ სა-
ტარის მოყვანილობით ემსგავსებიან კოლხურ თოხეს. ურეკის თოხის თავისე-
ბურებას წარმოადგენს ის, რომ მას პირი სამუშაოში მოყვანილობისა აქვს.
სოფ. ზენითში აღმოჩენილი სამი თოხი, რომლებიც დღეს ბათუმის მუზეუმშია
დაცული, აგრეთვე პირის მოყვანილობით განსხვავდება ჩვეულებრივი თოხე-
ბისაგან. მათ ფართო აქვთ პირის ზედა ნაწილი, რომელიც დახლოებით შეა-
ნაწილიდან ქვევითკენ სწრაფად ვიწროვდება². განსაკუთრებით საყურადღე-
ბოა ზუგდიდის მუზეუმში დაცული, სოფ. ჯვარში აღმოჩენილი სრულიად თა-
ვისებური მოყვანილობის თრი თოხი. პირი გრძელია და ვიწრო. იგი რომბი-
სებური მოყვანილობისაა; შეა ნაწილისაკენ თანდათანობით ფართოვდება და
შემდეგ კვლავ ვიწროვდება. ორივე თოხი წელში ძლიერ მოხრილია³.

როგორც უკვე ზემოთ აღნიშნეთ, ბრინჯაოს თოხი ფართოდ იყო გავრ-
ცელებული გვიან ბრინჯაოს ხანაში დასაცლეთ საქართველოში. მაგრამ, ჩანს,
რომ იგი ყველგან ერთნაირად არ დამკვიდრებულა. აფხაზეთში დღემდე არც
ერთი თოხი არ აღმოჩენილა.

სამეგრელოს ნიადაგმა რამდენიმე თოხი მოგვცა. სამწუხაროდ, ზუგდი-
დის მუზეუმში დაცულ რვა თოხიდან მხოლოდ სამის აღმოჩენის აღგილია
ცნობილი. ერთი მოზრდილი თოხი აღმოჩნდა სოფ. წალენჯიხაში (ზუგ.
მუზ. № 44); ორი რომბისებრი მოყვანილობის თოხი ნაპოვნი იყო სოფ.
ჯვარში (ზუგ. მუზ. № № 52, 53). ერთი თოხი აღმოჩნდა ამავე სოფელში
1905 წ. ნაპოვნ განძში⁴. სოფ. მახარიაში აღმოჩენილ განძში ერთი თოხია⁵.

რამდენიმე თოხია ცნობილი გურიიდანაც. ერთი აღმოჩნდა 1938 წ. სოფ.
ხილისთაგში (საქ. მუზ. კოლ. 4—34/2). მახარაძის მუზეუმში ინახება ერთი
განძი, შემთხვევით აღმოჩენილი მიწის სამუშაოების დროს 1936 წ. თიხის
ჭურჭელში სოფ. გაყიჯვარში (აღგილი ქორბული). განძში თოხი თოხია. თო-
ხებს თან ახლავს ერთი I₁ ქვეტიბის კოლხური ცული; ორი კოლხური ცულის
ყუის ნატეხი, ორივე I ტიპისა; ოერთმეტი ნატეხი სეგმენტისებრი იარაღისა;
შების პირის ფრანგმენტი; წალდის ნატეხი; ბრტყელი ცულის ზედა ნაწილი;
ერთი თხელი ბრინჯაოს მავთული და ზოდები (სურ. 1) ამავე მუზეუმში ინა-
ხება მეორე განძი, ნაპოვნი სოფ. შრომაში. იგი შედგება შემდეგი ნივთები-

¹ მ. ჯაფარიძე, დაცვერვითი ექსპლიცია გურიაში: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XVI—B,
83. 116, თბილისი, 1950.

² Б. А. Куптии, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XII—B, გვ. 317, სურ. 15, თბი-
ლისი, 1944.

* იქვე.

⁴ А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе: Изв. ГАИМК, вып. 120, М—Л, 1935, стр. 125, Б. А. Куптии, Материалы к архео-
логии Колхиды, т. I, Тбилиси, 1949, стр. 139.


⁵ А. А. Иессен, ვიტ. ნაზრ., გვ. 124.



სურ. 1. ვაკევლის განი (მანარაბის მუზეუმი).



სურ. 2. ურობის განძი (მახარაძის მუზეუმი).



სურ. 3. ორბირა თოხი.

საგან: ერთი I ტიპის კოლხური ცული; ორი მთელი და რამდენიმე ჩატვერთმეტი სეგმენტისებრი იარაღი; სამი თოხის ნატეხი; ერთი ორთოხი; სატევროს ფრანგენტები; ბრტყელი ცულის ყუის ნატეხი; ბრტყელი გრძელფრთიანი ისრისბირი; ერთი სატეხი (?); სამაჯური და მრავლად ზოდები (სურ. 2).

ამ განძიღან განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი იარაღი, რომელსაც ორბირა თოხის მოყვანილობა აქვს (სურ. 3). იგი წარმოადგენს დაახლოებით სწორკუთხა ფორმის პილებობს თუ სპილენძის ფირფიტას, რომელსაც შეა ნაწილში სატარე ხვრელი აქვა. სატარეს უკანა პირი, ისევე როგორც ჩვეულებრივ ბრინჯაოს თოხებს, მიღისებურად გამოშევრილი აქვს. იარაღის ორივე პირი მოცვეთილია; ჩანს, რომ მისი ორივე პირი თანაბრად ყოფილა გამოყენებული. შესაძლოა ამ იარაღის ორივე პირი თოხისმაგვარად იყო გამოყენებული მიწის დასამუშავებლად. აღსანიშნავია, რომ ამგვარი იარაღი ჯერჯერობით სხვაგან სრულიად უცნობია. დასავლურ-ქართულ კულტურაში ორბირიანი იარაღი დღემდე მხოლოდ ცულნამგალად ცნობილი ერთი ლაჟობის ძირის კოლექციიდან¹, მეორე კი ცხინვალის განძიღან². მაგრამ ამ კომბინირებულ იარაღში სხვადასხვა ფუნქციის მქონე იარაღია შერწყმული — ცული და ნამგალი. ზემოთ აღწერილი იარაღის ორივე პირი კი ერთი დანიშნულების მატარებელია. ორბირა იარაღი, რომლის ორივე პირი ერთ ფუნქციის ასრულებს, ამიერკავკასიის მასალებიდან ჩეხეთვის მხოლოდ ერთია ცნობილი, ორ-პირა აღმოსავლურ-ქართული. ტიპის ცული, რომელიც ი. ჭუმელმა აღმოჩინა ელენენგოროვთის ყორილანში³. მაგრამ იგი საომარ, სრულიად განსხვავებული ხასიათის იარაღს წარმოადგენს და ამ შემთხვევაში ნაკლებად გვაინტერებს. აյ მხოლოდ ფაქტი აღნიშნეთ.

ამრიგად, სამეურნეო რიგის იარაღთაგან, რომელთაც ერთი ფუნქციის მატარებელი ორი პირი აქვს, ზემოთ აღწერილის გარდა, ჯერჯერობით ცნობილი არაა. მაგრამ, რომ ორბირა თოხი უფრო მოგვიანო ხანაშიც იყო ცნობილი, ეს კარგად ჩანს ს ერთა პიონ ზარზე მეღლის ცხოვრების ერთი აღგილიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ სერაპიონმა «...ალილ ჰელითა თვისითა ორთოვა რეინისად და გამოაქანდაკა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი იგი იხილებათ ვიდრე დღენდელად-დღემდე»⁴. თუ რა ფორმისა უნდა ყოფილყო ეს „ორთოხი“ მძეობად ძნელი სათქმელია; ის კი ცხადი უნდა იყოს, რომ ამ შემთხვევაში ორ-პირიანი თოხი იგულისხმება. ს. ორბელიანი ორთოხის განმარტებისას აღნიშნავს «ორთოვა — ორთვითვე საოხოროლი».

¹ Б. А. Куфтин, Урартский „Колумбарий“ у подошвы Арапата и Куро-Аракоский энеолит: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XIII—B, თბილისი, 1944, გვ. 28, ტაბ. XIII.

² თ. ჯაფარიძე, ცხინვალის განძი: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XVI—B, გვ. 102, სურ. 4, თბილისი, 1950; ბ. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1945, табл. XIV.

³ Я. И. Гуммель, Погребальный курган (№ 1) около Еленендорфа, Баку, 1931, стр. 14, табл. V.

⁴ ბასილ ზარზე მეღლი, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1, შედგ. ს. ყუბანენშეილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 92.

საქართველოს თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, როგორც ნ. რ. ხევიშვილი აღინიშნავს, ტერმინი „ორთოხი“ აღარ ჩანს¹ და არ ჰქონია თოხი გვხვდება. მაგრამ, სამაგიეროდ, კარგადაა ცნობილი კომბინირებული იარაღი: თოხ-წერაქვა, ბარ-თოხა, ცულ-წერაქვა და სხვა. ჩანს, მიწათქმედებაში სხვადასხვა ხასიათის იარაღის შერწყმა გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იყო. იარაღს საჭიროების მიხედვით ხან ერთი თავიდან ამუშავებენ, ხან კი მეორიდან. ორმაგი იარაღი, რომლის ორივე პირი ერთ ფუნქციას ასრულებს, როგორც ჩანს, ნაკლებად იყო გავრცელებული და დღეს, თითქმის, ხმარებიდანც გამოვიდა.

ამრიგად, სოფ. შრომის განძში აღმოჩენილი ორბირა იარაღი, ვფიქრობთ, ორთოხი უნდა ყოფილიყო, რომელსაც მიწის დამუშავებისათვის ხმარობდნენ.

კარგადაა წარმოდგენილი თოხები ა ჭარი და ნ. საყურადღებოა, რომ დღევანდელი იჭარის ასსრ ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი სპილენძის თუ ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძები. რასაკვირველია, ეს გარემოება უთული იმით აისხნება, რომ, როგორც არაერთგზის იყო უკვე სათანადო ლიტერატურაში აღნიშნული, ჭოროხის აუზში უნდა ყოფილიყო გვიანი ბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქრისტული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელი კერა.

აქ აღმოჩენილი განძებიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ 1905 წ. ციხისძირში ნაპოვნი განძი (საქ: მუხ. კოლ. 93—07). იგი თითქმის მთლიანად ნაკლული ნივთებისაგან შეღება: ჩეილმეტი თოხი (აქედან ცხრა მთელია); რამდენიმე ნამგლის ფრანგმენტი; ბრტყელი ცულის ყუის ნატეხი; სეგმენტისებრი იარაღის ფრანგმენტები (რამდენიმე მთელია); სპილენძის თუ ბრინჯაოს შენადნობის ნატეხები; ფირფიტის ფრანგმენტები და სპილენძის ზოდები².

სოფ. სალიბაურში აღმოჩნდა განძი, რომელიც შედგებოდა მთელი და ნაკლული თოხებისაგან³.

ბრინჯაოს თოხები სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე მახინჯაურში⁴.

ბათუმის მიდამოებში 1914 წ. ნაპოვნი იყო განძი, რომელიც მხოლოდ თოხებისაგან შედგებოდა⁵.

სოფ. ზენითში 1926 წ. მიწის ხენის დროს შემთხვევით აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რომელშიც ბრინჯაოს ნივთები იყო ჩაწყობილი. განძში რამდენიმე თოხია⁶.

¹ გსარჯებლობთ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებთ უფრ. მეცნ. თანამშრომელს. ² რ. ხევიამგალის, რომ ლომაც ნება დაგროვთ გავრცობოდით მის ნაშრომს „ქსნური ქარჩი“.


³ ბ. ა. კუჭინ, მათერიალы к археологии Коахиды, т. I, с.п. 222, рис. 43.

⁴ ა. ა. იესსენ, ციტ. ნაშრ., გვ. 118.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

⁶ ა. ა. იესსენ. ციტ. ნაშრ., გვ. 122.



სურ. 4. ლეგენდისას განძი (ქუთაისის მუნიციპატი).

ბათუმის მუზეუმში ინახება სოფ, ხუცუბანში ნაპოვნი სამი თოხის კოდექსი უკავშირის გვერდის მიზანით დატეხი.

სოფ. ზენითში 1935 წ. აღმოჩნდა სამი ჩვეულებრივი თოხი (ბათ. მუზ. კოლ. 37). ამავე წელს იქნა ნაპოვნი (ბათ. მუზ. კოლ. 36) ზემოაღნიშნული სამი თავისებური ფორმის თოხიც.

არსებული მასალიდან ჩანს, რომ ბრინჯაოს თოხი ყველაზე მეტად საქართველოს ამ კუთხეში იყო გავრცელებული.

ფართოდა გავრცელებული ბრინჯაოს თოხი აგრეთვე იმერეთში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება 1938 წ. სოფ. კალვათაში აღმოჩენილი განძი, რომელშია კეგვის თოხია¹.

სამი თოხი ორ კოლხურ ცულთან ერთად აღმოჩნდა სოფ. ხანში (მაიაკოვსკის რაიონი)².

ერთი თოხი ნაპოვნია სოფ. ჩრდილოში (შორაპნის მაზრა), სოფ. კინჩაში (წულუკიძის რაიონი) და სოფ. ძევრში (ჩხარის რაიონი. ქუთ. მუზ. 2261).

სოფ. ბორითში 1925 წ. აღმოჩდა ორი თოხი³.

ქუთაისის მუზეუმში ინახება 1929 წ. მიწის ხენის დროს შემთხვევით აღმოჩენილი ერთი კოლექცია სოფ. გორიაში (მაიაკოვსკის რაიონი). იგი შედგება შემდეგი ნივთებისაგან: ერთი მთელი და სამი ნატეხი I ტიპის კოლხური ცული; ხუთი თოხი, თერთმეტი სეგმენტისებრი იარაღი და ერთი ზოდის ნატეხი (ქუთ. მუზ. 752).

სოფ. ფარცხანაყანევში I ტიპის კოლხურ ცულთან და სეგმენტისებრ იარაღებთან ერთად აღმოჩნდა ერთი თოხი (ქუთ. მუზ. კოლ. 1586).

სოფ. საქარაში ძველი მკლესის ნანგრევებთან 1924 წ. აღმოჩნდა I₁ ძველის კოლხური ცული და ორი თოხი⁴ (ქუთ. მუზ. კოლ. 833).

ერთი თოხი, I ტიპის კოლხური ცული და სამი სეგმენტისებრი იარაღი აღმოჩნდა სოფ. ქვემონორლაში 1925 წ. (ქუთ. მუზ. კოლ. 1373).

სოფ. ოფშეკითში (ქუთ. რაიონი) აღმოჩდა საკმაოდ მოხრილი განძი, რომელშიც იხუთმეტი I ტიპის კოლხური ცულია; ოცდახუთი ცალი სხვადასხვა ზომის სეგმენტისებრი იარაღია; ერთი თოხის ყუის ნატეხი; ხუთი ნამზღვის ფრანგმენტი; ერთი ბრტყელი ცულის ნატეხი; მასივური რგოლი და ორი ზოდის ნაჭერი (სურ. 4).

ქუთაისის მუზეუმის კოლექციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ზემო სიმონეთში უნაგირას მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი განძი. მასში შედის ერთი აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცული: ორი ქედაბეკური მახვილის ფრანგმენტი; სატევრის პირის ფრანგმენტი; ისრის პირის ნაჭილი⁵; ორი

¹ ო. ჯაფარიძე კოლხური ცული, გვ. 70, სურ. 13.

² ექვე, გვ. 51, სურ. 7.

³ М. М. Иващенко, Материалы к изучению культуры колхозов: майякское и сафуарское наименование и гравированные на погребальных сосудах, Известия АН Грузинской ССР, 1941, № 19, стр. 19.

⁴ ქუთაისის მუზეუმის გატალოგში შეცდომით თოხის ნაცელად აღნიშნულია დანა.

⁵ კატალოგში შეცდომით შების პირის შეტანილი.

თოხის ნატეხი; ექვსი სეგმენტის ებრი იარაღი; ბრინჯაოს ჭალდის (კულტურული მენტი, სპილენძის თუ ბრინჯაოს თხელფურცლიანი ჭურჭლის ნატეხები; ბრინჯაოს ზოდები 79 კგ. და თიხის ჭურჭლის ნატეხები (სურ. 5).

ეს კოლექცია საყურადღებოა იმით, რომ აქ კოლხური კულტურის ნივთებთან ერთად გვხვდება ამიერკავკასიაში გავრცელებული მეზობელი კულტურებისათვის დამახასიათებელი ტიპიური ფორმები. სამწევაროდ, დასავლურ-ქართული კულტურის ურთიერთობა ამიერკავკასიაში გავრცელებულ თანადროულ კულტურებთან სადღესოდ ნაკლებადაა შესწავლილი, ვინაიდან საამისო მასალა ჯერჯერობით მეტად მწირია. დღემდე, მაგალითად, დასავლურ-ქართულ კულტურისათვის დამახასიათებელ ნივთთაგან განჯა ყარაბაღულ კულტურაში მხოლოდ ერთი კოლხური უკლია ნაპოვნი ყობანურ სწორკუთხა ბალთასთან ერთად სოფ. ვართაშენში¹. კოლხურ კულტურაში კი, თუ არ ჩავთვლით, რა თქმა უნდა, აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცულს და ხელქის, რომლებიც, გარდა აღმოსავლურ-ქართული კულტურისა, დამახასიათებელია აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელებულ გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურებისათვის, განჯა-ყარაბაღული კულტურის ნივთები ჯერჯერობით სრულიად უცნობი იყო. ამიტომაცა, რომ სიმონეთის განძში განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ აქ ქედაბეკური ტიპის ორი მახვილი აღმოჩნდა. ამ ტიპის მახვილები კარკადაა ცნობილი განჯა-ყარაბაღულ კულტურაში. ორი ამგვარი მახვილი აღმოაჩინა რვანოვსკიმ ქედაბეკსა და კალეკვენტს შორის, სადაც მან 72 სამარხი გათხარა². ერთი ამ ტიპის მახვილი იპოვა ჩელებურმა 1894 წ. სოფ. უზუნლართან³. ჰუმელმა ელენენცორფის მახლობლიდ გათხრილ № 1 ყორძინში სხვა ნივთებთან ერთად აღმოაჩინა ერთი მახვილიც⁴. რამდენიმე ამგვარი მახვილია დაცული საქართველოს მუხუმის არქეოლოგიის განყოფილებაში. ისინი დღევანდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიის სხვადასხვა აღვილებშია ნაპოვნი⁵.

პროფ. გ. ნიორაძე, რომელმაც პირველმა შეისწავლა ამიერკავკასიაში გავრცელებული მახვილები, აღნიშნავს, რომ ქედაბეკური ტიპის მახვილი აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი მდებარე ევეკუნებში, მტკვრის მარჯვენა მხარისაკენ იყო გავრცელებული, მტკვრის მარცხნივ კი, აღმოსავლეთ საქართველოში—ბოლოვეთილი მახვილები⁶. აღმოსავლეთ საქართველოში დღემდე არც ერთი ქედაბეკური ტიპის მახვილი არ აღმოჩენილა. აღმოსავლეთ საქართველოში ამ პერიოდში სრულიად განსხვავებული ტიპის მახვილები იყო გავრცელებული. ეს მახვილები აღმოსავლურ-ქართული კულტურის ერთ-ერთ

¹ ОАК за 1895, გვ. 57, სურ. 121—124, С. Петербург, 1897.


² А. А. Ивановский, По Закавказью: МАК, т. VI, стр. 89 и 103, табл. I, 1, 3, Москва, 1911.

³ ОАК за 1894, стр. 14, рис. 70.

⁴ Я. И. Гуммель, Погребальный курган (№ 1) около Еленендорфа, стр. 13, табл. VI.

⁵ გ. ნიორაძე, ზემოავტალის სამარე, გვ. 206.

⁶ გ. ნიორაძე, ციტ. ნაშრ., გვ. 206.



სურ. 5. ზემო სიმღერის განძი (ქუთაისის მუზეუმი).

დამახასიათებელ იარაღს წირმოადგენდა. მათი გავრცელების არეალი მართლა თაღად კახეთით შემოიფარგლება. რამდენიმე ამგვარი მახვილი საშთანეო აღმოჩნდა. მათი გავრცელების უკიდურესი პუნქტი საქართველოში საღვეოსოდ სოფ. ახალქალაქია ქართლში. აქევ უნდა აღვინიშნოთ, რომ ა. იესენის მიერ შედგენილ რუკაზე „ამიერკავკასიში გავრცელებული მახვილები“ აღნიშნულია, რომ ერთი მახვილი თითქოს ნაპოვნი იყო შორაპანში¹. ბ. კულტინი საცხებით სამართლაბანდ აღნიშნავს, რომ ცონბა შორაპანში აღმოჩნდილი მახვილის შესახებ, რომელსაც ა. იესენი იყენებს, მეტად საეჭვოა². ამრიგად, აღმოსავლურ-ქართული ტიპის მახვილების გავრცელების არე დღეს ახალქალაქს აღწევს.

დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით ამგვარი მახვილი არ აღმოჩნდილი. აქ საღვეოსოდ მხოლოდ სიმონეთის განძში ნაპოვნი ქედაბეკური ტიპის მახვილებია ცნობილი³. ეს პირველი შემთხვევად ამ ტიპის მახვილის აღმოჩნისა საქართველოში. ეს გარემოება, საფიქროებელია, გამოწვევულია იმით, რომ საქართველოს ის კუთხე, რომელიც უშუალოდ ემიჯნება იმ რაიონს, საღაც ქედაბეკური ტიპის მახვილები იყო გავრცელებული, არქეოლოგიურად დღეს ნაკლებადაა შესწავლილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ქედაბეკური ტიპის მახვილი კოლხურ კულტურაში აღმოსავლურ-ქართული კულტურის გზით შევიდა.

სამწუხაოოდ, ჯერჯერობით აღმოსავლურ-ქართული კულტურის საზღვრები სათანადოდ შესწავლილი არ არის და არც დასავლურ და აღმოსავლურ-ქართული კულტურების ურთიერთობის საკითხია ჯეროვნად გაშექმდული. ჯერ კიდევ ზუსტიდ არ არის დადგენილი, თუ სად გადიოდა აღმოსავლურ-ქართული კულტურის დასავლების საზღვარი. უკანასკნელ ხანებში ბ. კულტინმა გამოთქვა მოსაზრება, რომ დასავლურ და აღმოსავლურ-ქართულ კულტურათა საზღვარი არაგვის ხეობასთან უნდა ყოფილიყო, ე. ი. დაახლოებით იქ, სადაც შიდა ქართლის აღმოსავლებითის საზღვარი იყო⁴. ვთიქრობთ, რომ ბ. კულტინის ეს მოსაზრება საცხებით მართებული არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ, როგორც ბოლო დროს ჩატარებული კვლევა-ძებილან ირკვევა, ქართლში, გვიან-ბრინჯაოს ხანაში, თითქოს შესაძლებელი ხდება თავისებური კულტურის დადგენა. ეს სამთავროს მასალებიდან კარგად ჩანს. როგორც ტ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს, სამთავროს ორმოსამარხებში, რომ ლეგშიც ჯერ კიდევ არ ჩანს რკინა, განსაკუთრებით კარგად გამოიჩინა ისეთი ფორმები, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, საკუთრივ ქართლისთვისაა დამახასიათებელი⁵. ამ საფეხურზე ეს კულტურა გარკვეულ მსგავსებას იჩენს

¹ А. А. Иессен. ციტ. ნაშრ., გვ. 169, რუკა, VI.

² Б. А. Куптина, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии: საქ. მუზ. მოაზღ. ტ. XII—B, გვ. 330.

³ რაც შევხება საქ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში დაცულ კოლექციას № 5—49, აღმოჩენილს დრონდაში, რომელშიც სხვა ნივთებთან ერთად ქედაბეკური ტიპის მახვილიც გვხდება, მისი აღმოჩნის გითარება მეტად საეჭვოა.

⁴ Б. А. Куптина, ციტ. ნაშრ., გვ. 327, რუკა 12.

⁵ Т. Н. Чубинишвили, Древнейшие грунтовые погребения Сamtаврского могильника: КСИИМК, вып. 46, 1952, გვ. 59.

დასავლურ-ქართულ კულტურასთან, რომელიც ამ პერიოდში მძლავროւაში აქ. მაგრამ გვიან-ბრინჯაოს ხანის მომდევნო საფეხურზე, როგორც მათთვის კულტური ელემენტი ქართლში თანდათანობით სუსტდება და ადგილს უთმობს აღმოსავლურ-ქართული კულტურის მძლავრ ნაკადს. თუ რა ხდება ამ დროს აქ, ჯერ კიდევ სავსებით გარკვეული არ არის. რამდენად სწორია ბ. კუფტენის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ პერიოდში „შიდა ქართლი“ იმ აღმოსავლურ-ქართულ ტომთა ექსპანსიას განიცდის, რომლებიც თავისი დროისათვის შესანიშნავი იარაღ-საჭურველით იყვნენ აღჭურვილნი (აღმოსავლურ-ქართული ცული, 2 ტიპის მახვილი, სატევარი, შუბისა და ისრის პირები¹ და სხვა), ძნელი სატემელია. ასეა თუ ისე, ერთი კი თითქოს ცხადი უნდა იყოს, რომ აღმოსავლურ-ქართული კულტურის ტიპიური ფორმები მძლავრიდ იქტებიან ამ დროს აქ და გაბატონებულ მდგომარეობას აღწევენ. ეს კარგად ჩანს თუნდაც იმ შერეული ხასიათის კომპლექსებიდან, სადაც უკვე აშეარად აღმოსავლური ელემენტი ჭარბობს დასავლურს.

აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ სამთავროს ანთროპოლოგიური მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ სამთავროს გვიან-ბრინჯაოს ხანის ანთროპოლოგიური ტიპი აშეარად განსხვავდება რეინის ხანის ტიპისაგან. როგორც მ. აბდუშელიშვილი ონიშნავს, სამთავროს გვიან-ბრინჯაოს ხანის ანთროპოლოგიური ტიპი (ტიპი I) გარკვეულ მსგავსებას იჩენს ყობანის კულტურის მატრიეტელ მოსახლეობასთან. ბრინჯაოდან რეინაზე გარდამვალ პერიოდში სამთავროში ჩნდება სრულიად განსხვავებული ტიპი, რომელიც საკუთრივ რეინის ხანაში აქ გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს. ეს ტიპი, რომელსაც მ. აბდუშელიშვილი II ტიპს უწოდებს, ანალოგიას პოულობს უკვე ხამხრეთ კავკასიის ბალკანანთროპოლოგიურ ტიპებთან (სევანი, აზერბაიჯანი²). როგორც ჩანს, გვიან-ბრინჯაოს ხანის მოგვიანო საფეხურზე, როდესაც სამთავროში და საერთოდ შედა ქართლში. აღმოსავლურ-ქართული ელემენტი იწყებს მომძლავრებას, სამთავროში სრულიად განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპი ჩნდება, რომელიც გარკვეულ მსგავსებას იჩენს აზერბაიჯანისა და სევანის რაიონში გავრცელებულ ტიპებთან.

სამწუხაროდ, დაუმდე არ არის შესწავლილი ამ პერიოდის ანთროპოლოგიური მასალა კახეთიდან, რომელიც, ჩანს, აღმოსავლურ-ქართული კულტურის ძირითადი ცენტრი უნდა ყოფილიყო და ამიტომაც ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეგვიძლია აქ გავრცელებული ანთროპოლოგიური ტიპის შესახებ. მაგრამ არქეოლოგიური მასალების მიხედვით იმის დადგენა კი შეიძლება, რომ გვიან-ბრინჯაოს ხანაში კახური ბრინჯაოს კულტურა ახლო იდგა აზერბაიჯანისა და სევანის რაიონში გავრცელებულ თანადროულ კულტურებთან და უკანასკნელი, ეგებ, როგორც ს. ჭანაშია ონიშნავს, ნაწილო-

¹ В. А. Күфтпн, ციტ., № 86. 325.

² მ აბდუშელიშვილი, ქართველი ერის ჭარბობის პრობლემა პალეონთოპოლოგიური მონაცემების მიხედვით (სამთავროს სამაროვნის კრანიოლოგიური მასალა), მოხსენების თეზისები, თბ., 1951.

ბრივ აღმოსავლურ-ქართულ კულტურაშიც შედიოდა¹. ამიტომ შესაძლოა იყ რომ აღმოსავლურ-ქართული კულტურის მატარებელი მოსახლეობაში უკავშირდებოდა და, ეგებ, სწორედ მას შემოაქვს შიდა ქარლში ახალი ელემენტი. ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია, რომ შიდა ქართლში აღმოსავლურ-ქართული კულტურის მომძლავრებასთან ერთად სამთავროში სრულიად ახალი ანთროპოლოგიური ტიპი ჩნდება (ტიპი II).

ამავე პერიოდში იქრება, აღბათ, აღმოსავლური ელემენტი დასავლურ-ქართულ კულტურაში. მართალია, სადღეისონდ ჯერ კიდევ ჯეროვნად არ არის გამოვლენილი აღმოსავლურ-ქართული კულტურის ტიპიური ფორმები დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ზოგი რამ, თუმცა უპირატესად შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად დაგროვილი, მაინც მოგვეპოვება. უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვაზე მეტად აღმოსავლურ-ქართული კულტურის ნივთებიდან აქ ცული გვხდება². ღლეს უკვე რამდენიმე აღმოსავლურ-ქართული ცულია ნაპოვნი დასავლეთ საქართველოში. ამ ტიპის ერთი ცული, როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელ ხანებში აღმოჩნდა აგრეთვე სიმონეთის განძში.

ლეხებული დღემდე მხოლოდ რამდენიმე თოხია ცნობილი. სამი თოხი ნაპოვნია ცაგერის განძში, რომელიც 1938 წ. შემთხვევით აღმოჩნდა ცაგერის კოლმეურნეობის ფართობზე „ჩიხეში“ მიწის გადამრუნვების დროს თიხის ჭურჭელში. თოხებს თან ახლდა სეგმენტისებრი იარაღი (20 ც.); III ტიპის კოლხური ცული; აღმოსავლურ-ქართულ ტიპის ცული; ორი ნამგალი; სატეხი; მოზრდილი რგოლები; შუბის პირი; მხედრის ბრინჯაოს ქენდაკება; მილები და ზოდები (ცაგერის მუხ. № 1—19)³.

ერთი მოზრდილი თოხი აღმოჩნდა სოფ. ორბელში 1932 წ.

სოფ. ლეგორში II ტიპის კოლხურ ცულთან ნაპოვნი იყო თოხი; მთალეხეროზე ცულთან ერთად აღმოჩნდა თოხი და ნემსი⁴.

ერთი თოხი სოფ. ლაცორიიდან დაცულია საქ. მუხ. ეთნოგრაფიის განყოფილებაში (საქ. მუხ. № 68—39/51).

რაჭიდან სადღეისონდ თოხები ცნობილია ორი ადგილიდან: რამდენიმე ქვიშარის განძიდან⁵ და ერთი სოფ. ახალსოფლიდან (ამბროლ. რაიონი. ჭუთ. მუხ. № 231).

დასასრულ, აღვნიშნავთ მესხეთში აღმოჩენილ თოხებს. ბორჯომის მუზეუმში ინახება ერთი თოხი ნაპოვნი სოფ. თელოვანში სეგმენტისებრ

¹ 6. ბერძენი შვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1948, გვ. 27.

² ა. ჯაფარიძე, ბეჭათუბნის განძი: საქ. მუხ. მოამბე, ტ. XVI—B, გვ. 220, თბილისი, 1950.

³ Б. А. Куфтин, К вопросу древнейших о корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии: საქ. მუხ. მოამბე, ტ. XII—B, გვ. 340.

⁴ ა. А. Иессен: ციტ. ბაზრ., გვ. 128.

⁵ გ. ნიორაძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები: საქ. მუხ. მოამბე, ტ. XV—B, გვ. 13.

იარაღთან ერთად¹. მეორე თოხი ამავე სოფლიდან დაცულია საქართველოს მუშებუში². ორი თოხი ცნობილია ასპინძის რაიონიდან ნაცოვნი სოფების ბაკრაში ხელშების პირთან და სატევართან ერთად³ (სურ. 6).

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ბრინჯაოს თოხები გვიან-ბრინჯაოს ხანაში ფართოდ იყო გავრცელებული კოლხურ კულტურაში. ჩვენს ხელთ შეოთხი მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ თოხი ყველგან ერთხაირად არ იყო გავრცელებული. თოხი დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შედარებთ ნაკლებად გვხვდება, აფხაზეთში კი იგი დღემდე სრულიად უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე არქეოლოგიურად უკეთაა შესწავლილი, ვიდრე დასავლეთ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხე. შესწავლის შედევალ ირკვევა, რომ გვიან-ბრინჯაოს ხანაში ეს რაიონი თავისებურ, სპეციფიკურ სახეს ატარებდა. დღეს უკვე აშკარად შეიმჩნევა რიგი ისეთი ფორმებისა, რომელიც საკუთრივ აფხაზეთისათვისაა დამახასიათებელი (კონუსისებრი მოყვანილობის სამკაულები; ფუტურო სამაჯურები; მოზრდილი ბრტყელი სამაჯურები და სხვ.). აქ თითქმის სრულიად არ გვხვდება კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიკო. მაგალითისათვის შეიძლება დაგასახელოთ ბრტყელი ცული და თოხი. გარდა ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთში ჯერჯერობით აღმოჩენილია სეგმენტისებრი იარაღის მხოლოდ ერთი ვარიანტი, კერძოდ მოზრდილი ცალები, რომელიც, ეგებ, ბარის ფუნქციას ასრულებდა. ამგვარი იარაღის სხვა ვარიანტები აქ დღემდე უცნობია. როგორც ჩანს, გვიან-ბრინჯაოს ხანაში აქ საკუთარი მეტალურგიული კერა უნდა არსებოლიყო. როგორც უკვე აღნიშნავდით, საღვეოსოდ არსებული მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ჭოროხის აუზში, ლეჩხემშა და აფხაზეთში უნდა ყოფილიყო კოლხური კულტურის ძირითადი მწარმოებელი ცენტრები⁴. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული უფრო წვრილი მეტალურგიული კერების არსებობაც⁵. როგორც ირკვევა, თითოეული მწარმოებელი ცენტრი, მეტანაკლებად, გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებს. აფხაზეთის შესახებ უკვე ზევით გვქონდა ლაპარაკი. დაახლოვებით იგივე შეიძლება ითქვას ლეჩხემზედაც, საღაც აგრეთვე გამოიჩინევა საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი ფორმები (მიგ., კოტებიანი ბრტყელი ცული).

კოლხური კულტურის ინდუსტრიული ცენტრებიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ჭოროხის მეტალურგიული კერა. იგი, როგორც ჯერ კიდევ თავის დროზე აღნიშნავდა ა. იესენი⁶, ჩანს, ყველაზე მძლავრი უნდა ყოფილიყო. ამას ერთგვარად იკიც აღასტურებს, რომ სწორედ აქ არის აღმოჩე-

¹ გ. ნიორა ა. გ. არქეოლოგიური დაზერვები მტკვრის სეინაში: საქ. მუხ. მოამბე, ტ. XIII—B, თბილისი, 1944, გვ. 190.


² იქვე, გვ. 192.

³ კატალოგში აღნიშნულია, რომ თოხებთან ერთად აღმოჩენდა ორი შების პირი, ნამდვილად კი ერთი ხელშების პირია, მეორე კი სატევრის პირის ნატეხი.

⁴ ო. ჯაფარიძე, კოლხური ცული, გვ. 52.

⁵ A. A. Иессен, ციტ. ნაშრ., გვ. 129.

⁶ იქვე.



სურ. 6. ხელშუბის პირი, სატევრის პირი და თოხები, აღმოჩენილი სოფ. ხიზაბავრაში (საქართველოს მუზეუმი).

ნილი ყველაზე მეტად განძები. ეს განძები თითქმის ყოველთვის თოხებისა, სეგმენტისებრი იარილისა და ხოდებისაგან შედგება. საყურადღებო და საკულტურული საქართველოს სხვა ადგილებში ნაპოვნი განძები სხვა ნივთებთან ერთად თითო ოროლა თოხესაც შეიცავს ხოლმე. ამიტომ, საფიქროებლია, რომ თოხი ძირითადად ჭოროხის მეტალურგიული ცენტრიდან გამოსული ნაწარმი უნდა ყოფილიყო და აქედან უნდა გავრცელებულიყო იგი, უპირატესად, სხვა რიონებში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ, როგორც ჩანს, თოხი ხშირად ხალასი სპილენძისაგანაც მზადდება¹. სამწუხაროდ, დღემდე დასავლურ-ქართული კულტურიდან გამოსული ნივთების მხოლოდ რამდენიმე ქიმიური ანალიზია ჩატარებული; მაგრამ იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც სა-დღეისოდ ხელთა გვაქვს, შეიძლება ითქვას, რომ გვიან-ბრინჯაოს ხანაში და-სავლეთ საქართველოში, ჩანს, ნივთები ხალასი სპილენძისაგანაც უკეთებიათ. კიდევ მეტიც: როგორც ბ. კუფრინი აღნიშნავს, ზოგიერთი ტაბის ნივთებს, უპირატესად, ბრინჯაოსაგან ასხამდნენ, ზოგს კი ხალასი სპილენძისაგან². რამდენად სწორია ეს უკანასკნელი მოსაზრება, ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ძნელი სათქმელია, ოღონდ არსებული მასალებით კი ერთის თქმა შეიძლება, რომ ამ პერიოდში ნივთები ზოგჯერ ხალასი სპილენძისაც უმზადებიათ. შესაძლოა, რომ ეს მართლაც, როგორც ამას ზოგიერთი მკლევარი აღნიშნავს, გამოწვეული იყო კალის ნაკლებობით, რომელსაც, ალბათ, პერიოდულად განიცდიდა წარმოების ესა თუ ის ცენტრი. მით უმეტეს, რომ როგორც ფიქრობენ, კალა საქართველოში გარედან უმომჟონდათ.

აქვე უნდა აღნიშნოთ ერთი გარემოება, ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, წინასწარი დაკვირვების სახით. რომ ხალასი სპილენძის ნაწარმი ძირითადად ჭოროხის მეტალურგიული ცენტრიდან გამოდიოდა. ამ მოსაზრების წამოყენებას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ ყველაზე ხშირად სპილენძისაგან ნაკეთებია ის ნივთები, რომლებიც სწორედ ამ ინდუსტრიული ცენტრისთვისაა დამახასიათებელი — თოხი და სეგმენტისებრი იარაღი; მეორე მხრივ, ამას კარგად ადასტურებს სადღეისოდ ჩვენ ხელთ არსებული კოლხური კულტურის ნივთების ქიმიური ანალიზი. განსაკუთრებით საყურადღებოა ვ. სკინდერის მიერ შესწავლილი 1905 წ. ციხისძირში აღმოჩენილი რამდენიმე ნივთის ქიმიური ანალიზი. მან სამი ანალიზი გააქთა: ზოდი, ც. — 94, 75%; თოხი, ც. — 96,80%; სეგმენტისებრი იარაღი³, ც. — 97,01%. ამრიგად, სამივე ნივთი მცირე მინარევების გარდა თითქმის ხალასი სპილენძისაგანაა ჩამო, სხმული⁴. ა. იესესის თავის ცრტოლში მოჰყავს ციხისძირში 1927 წ. აღმოჩენილი განძის ერთი ზოდის ანალიზი, რომელიც დაახ. 100% სპილენძს შე-

¹ А. А. Иессен, ცატ. ნაშრ., გვ. 178.

² Б. А. Куприянов. Материалы к археологии Колхиды, т. I, стр. 210.

³ Б. А. Куприянов, იქვე.

⁴ Сკინდერის ნაშრომში აღნიშნულია „სეკირა“. ვფიქრობთ, რომ იგი სეგმენტისებრი იარაღი უნდა იყოს, გინარევების გარდა თითქმის ხალასი სპილენძისაგანაა ჩამო, სხმული.

⁵ В. Скиндер, Химическое исследование медных археологических объектов из Закавказья: Изв. Акад. Наук, VI сер., С.-П., 1909, стр. 75.

იცავს. უსათუოდ საინტერესოა სოფ. გოგოლევისუბანში 1944 წ. აღმოჩენილია განძიღან ზოდის, კოლხური ცულის და სამაჯურის ქიმიური ანალიზი¹. როგორც ირკვევა, ნივთები თითქმის სუფთა სპილენძისაგანაა ნაკეთები. აქევ უნდა შევნიშნოთ, რომ დღემდე მხოლოდ ომდებიმე კოლხური ცულის ანალიზია ჩატარებული. აქედან ზოგიერთები, — ერთი პროფ. გ. ნიორაძის მიერ ქვემო—სასირეოში ომოჩენილი ცული ($\text{Cu} = 91,01\%$; $\text{Sn} = 8,53\%$)²; გეორგ—ვენის მუზეუმში დაცული ცული ყობანიდან ($\text{Cu} = 79,13\%$; $\text{Sn} = 14,74$)³ და ოთხი ლეხვანოდან და ჯვარიდან⁴ საქმათ ოდენობით შეიცავენ კალას. შედარებით ნაკლები პროცენტია, კალისა ე. შანტრის მიერ ყობანში ომოჩენილ ცულში ($\text{Cu} = 95,8\%$; $\text{Sn} = 4,2\%$)⁵. დანარჩენი ორი კოლხური ცული—ერთი ორდუს განძიღან ($\text{Cu} = 98,9\%$)⁶, მეორე კი გოგოლევისუბანიდან ჩამოსხმულია თითქმის ხალასი სპილენძისაგან. საყურადღებოა აგრეთვე სოფ. ჯვარში ნაპოვნი ერთი ოთხის ქიმიური ანალიზი, რომელიც $97,4\%$ სპილენძს შეიცავს⁷. ეს კი, ვფიქრობთ, ერთგვარად იმაგრებს ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ჭოროხის საწარმოო ცენტრიდან განვითარებულ ბრინჯაოს პერიოდში ხალასი სპილენძის ნაწარმიც გამოდიოდა. ჭოროხი ხომ ძირითადად სწორედ ამ რაიონს აწვდიდა თავის ნახელავს. შესაძლოა ეს გარემოება გამოწვეული იყო იმით, რომ, როგორც უკვე აღნიშნული გვევნდა, ამ პერიოდში ჭოროხის ინდუსტრიული ცენტრი ყველაზე მძლავრი უნდა ყოფილიყო. აქედან გამოდიოდა, ალბათ, ძირითადი მასა ლითონის ნაწარმისა, რომელზედაც, ჩანს, ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო. ამ მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ალბათ, ყოველთვის არ იყო სამყოფი კალდა, როგორც ჩანს, კალის ნაკლებობას განიცდიდა არა მარტო ჭოროხის აუზი, არამედ საერთოდ კავკასიის ლითონის ინდუსტრიის სხვა ცენტრებიც. ალბათ, ამის გამო ზოგჯერ ნივთები სპილენძისაგანაც მზადდებოდა. რა თემა უნდა, დასავლურ-ქართული კულტურის სხვა მეტალურგიულ კერებთან შედარებით ამ ნაკლებობას სხვაზე მეტად ჭოროხი განიცდიდა, ვინაიდან იგი ყველაზე მძლავრი უნდა ყოფილიყო ამ პერიოდში. ბუნებრივია, მას გაცილებით უფრო მეტი მოთხოვნილება ჰქონდა კალისა, კალა კი, ალბათ, ყოველთვის საქმარისი რაოდენობით არ შემოდიოდა.

¹ ტ. ნ. ჩუბინი შეიღო, სოფ. გოგოლევისუბანში გვიან-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კომპლექსის აღმოჩენის გამო: მიმოხილვები, ტ. I, გვ. 295, თბილისი, 1949.

² G. Nioradze, Der Verwahrfund von Kvemo-Sasirethi; ESA, VII, Helsinki, 1932, გვ. 96.


³ F. Hancar. Die Beile aus Koban in der Wiener Sammlung Kaukasischer Altertümer; Wiener Prähistorische Zeitschrift, XXI, Wien, 1934, გვ. 16.

⁴ В. В. Данилевский, Историко-технологическое исследование древних бронзовых и золотых изделий с Кавказа и северного Урала: Изв. ГАИМК, вып. 110, М.-Л., 1935, გვ. 227.

⁵ E. Chantre, Recherches anthropologiques dans le Caucase, t. II, Paris-Lyon, 1886, გვ. 97.

⁶ St. Przeworski, Der Grottfund von Ordu: Archiv Orientalni, vol. 7, № 3; vol. 8, № 1, Praha, 1935—1936, გვ. 399.

⁷ В. В. Данилевский, იქნ.



სურ. 7. ჩურის-ხევის კოლექცია (საქართველოს მუზეუმი).

დასასრულ, უნდა აღნენიშნოთ, რომ თოხებს დიდი რაოდენობით ვხვდებით როგორც განძებში, ისე ცალკე აღმოჩენების სახით. თითქმის ყველა ლა ცალს აშეარად ეტყობა, რომ იგი ხმარებაში ყოფილა, ვინაიდან პირი ჩვეულებრივად ძლიერ მოცვეთილი აქვს ხოლმე, ხშირიდ კი ნაკლულია კი-დეც, განსაკუთრებით განძებში ნაპონი თოხები. ის გარემოება, რომ თოხები ასეთი დიდი რაოდენობით გვხვდება, გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ, როგორც აღვნიშნეთ, თოხი უპირატესად სპილენძისა იყო და ამის გა-მო იგი თავის სამუშაო ფუნქციას ისე ინტენსიურად ვეღარ ასრულებდა და შედარებით მაღლე გამოდიოდა ხმარებიდან, უვარევისი ხდებოდა, ვინაიდან თოხს ძირითადად მიწის დასამუშავებლად ხმარობდნენ, რაც, რასაკვირეველია, მეტად მძიმე იყო. საჭირო ხდებოდა ხოლმე მისი ასლით შეცვლა. ამი-ტომ მასზე დიდი მოთხოვნილება უნდა ყოფილიყო. უმართებლოდ გვეჩერებადა ა. იესენის მიერ გამოთქმული მოსახრება იმის შესახებ, რომ თოხი „შე-საძლოა, ზოდის როლსაც ასრულებდა“¹. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თითქმის ყველა თოხს აშეარად ეტყობა, რომ იგი ხმარებაში ყოფილა და ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაკვს მივიჩნიოთ იგი ზოდად, რომელიც თით-ქოს სხვა წითელა ჩამოსახებმელად იყო განკუთვნილი.

აღმოსავლურ-ქართულ კულტურაში რამდენიმე ბრინჯაოს თოხია აღმოჩე-ნილი, ხუთი თოხი ნაპონი იყო სოფ. თერეგვაში (ზნაურის რაიონი)². ერთი თოხი მასრავახსნილ შუბის პირთან, ხელშუბის პირთან, ნამგლის ფრაგმენტთან და ბრინჯაოს ფირფიტის ნატეხებთან ერთად აღმოჩნდა ამავე რაიონის სოფ. ჩუ-რის ხევში (სურ. 7). მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში ინახება ერთი თოხი, ნაპონი სოფ. ახუდნაში (სოფ. ლვჭეს მახლობლად). ბ. კუფტინს თავის უკანასკნელ ნაშრომში გამოქვეყნებული აქვს ერთი თოხი, აღმოჩენილი სოფ. მოხისში³. ერთი თოხი შემთხვევით აღმოჩნდა სოფ. ხანდაკში (კასპის რაიონი). დუშეთის რაიონში სოფ. კოდის-წყაროში მიწის ხნის დროს შემთხვე-ვით აღმოჩნდა ორი თოხი აღმოსავლურ-ქართულ ცულთან ერთად (სურ. 8). ამავე რაიონის სოფ. შუახევში სპილენძის მოზრდილ ჭურჭელში აღმოჩნდა ერთი პატარა თოხი, ლაგმის საყდეურის ნაწილი და 15 ზოდად.⁴

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვემოქართლში დღემდე ერთადერთი თოხია ცნობილი, რომელიც თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღ-მოაჩინა მარალი-დერესის სამარვანშე ვანის ეპოქის ერთ-ერთ სამარტი⁵.

ამრიგად, აღმოსავლურ-ქართულ კულტურაში თოხიც, ისევე როგორც კოლხური კულტურის სხვა ნივთებიც, ძირითადად შიდა ქართლში გვხვდება.

საქართველოს ფარგლებს იქნით ამ ტიპის თოხი საერთოდ უცნობია. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ორი თოხია აღმოჩენილი: ერთი ყარსის მხარეში, მეხჩის


¹ А. А. Иессен, Сიტ. ნაშр., გვ. 57.

² Б. А. Куттин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1947, стр. 31.

³ იქვე, ტაბ. VIII.

⁴ Б. А. Куттин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941, стр. 53.

⁵ იქვე, გვ. 52.



სურ. 8. ალაზანველურ-ქართული ცული და თოხები კოდის-წყარო გან
 (საქართველოს მუზეუმი).

ციხის ცნობილ განძში, მეორე კი ართვინის განძში¹. რაც შეეხება პიატიგორსკის მუზეუმში დაცულ ერთ თოხს, როგორც ა. იესენი აღნიშნავს, იგი, ალბათ თოხი უნდა იყოს, რომელიც ვ. სკინდერს გადასცეს საანალიზოდ ციხისძირის განძილან². აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პროფ. გ. ნიორაძე ქვიშარში აღმოჩენილი განძის განძილვისას ჩერდება აგრეთვე თოხებზედაც, რომელთაც იგი ხელებს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ამ ტიპის იარაღი საქართველოს ტერიტორიის გარეშე ბევრგანაა ცნობილი³. პარივემული მკვლევარი, ალბათ, საერთოდ ხელებინებს გულისხმობს, თორებ ამგვარი იარაღი საქართველოს საზღვრებს გარეთ, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენთვის უცნობია. რაც შეეხება ამ იარაღის ფუნქციას, ამის შესახებ უკვე ჩვენს ერთ ნაშრომში აღვნიშნავდით, რომ იგი თოხი უნდა ყოფილიყო⁴.

ვფიქრობთ, რომ ეს იარაღი, უთუოდ მიწის დასამუშავებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მიწათმოქმედებას, ჩანს, დასავლეთ საქართველოში გვიან-ბრინჯაოს ხანაში მეურნეობაში წამყვანი როლი ეკავა. საქართველოს ეს მხარე ამ პერიოდში დაფარული უნდა ყოფილიყო ხშირი ტყეებით და აგრეთვე მრავლად იყო დაჭაობებული ადგილებიც, რაც, რა თქმა უნდა, ხელს შეუშლიდა მესაქონლეობის განვითარებას⁵.

უკანასკნელი წლების არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად იჩქვევა, რომ საქართველოში ძველთაგანვე მიწათმოქმედება მაღალ საფეხურზე მდგარა. ნეოლითური ხანის სადგომებიდან, რომელთა რიცხვიც ჯერჯერობით, მართალია, მეტად მცირეა, უკვე აშვარად ჩანს, რომ მიწათმოქმედება გარევეულ განვითარებას აღწევს. სამწუხაროდ, დღემდე არც ერთი ნეოლითური სადგომი სათანადოდ შესწავლილი არ არის, მაგრამ ამ პერიოდის თითქმის ყველა ჩვენთვის ცნობილი ძეგლი მეტად საყურადღებო მასალას გვაწვდის სწორედ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით. ნეოლითური დროის სადგომებში ოდიშ-ში, თეთრა-მიწასა და სათაფლიაში, ანასეულში, კისტრიიში კარგადაა წარმოდგენილი ხელსაფეხვაის ქვები, კაუის დაკბილული ნამგლის პირები, ქვის თოხები და სხვა⁶. მომდევნო ხანის ძეგლებში კი უკვე კულტურული მცენარეების ნაშთებიც გვხდება. ამიერკავკასიაში ენეოლითური დროის ნამოსახლარებში მრავლად აღმოჩნდა ამ პერიოდის მცენარეულობა: შენგავითი, ელარი და სხვა. განსაკუთრებით საინტერესოა ანაკლისის მახლობლად მდებარე დიხა გუძუ-

¹ А. А. Иессен, ციტ. ნაშრ., 140.

² Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии: საქ. მუზ. მოამბე, ტ. XII—В, გვ. 329; ბ. ბიტელი, ართვინში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან გაკეთებული არქეოლოგიური ნაშთები: ენიმეის მოამბე, ტ. II₂, თბილისი, 1938, სურ. 6.

³ А. А. Иессен. ციტ. ნაშრ., გვ. 118 და 122, სქოლით.

⁴ გ. ნიორაძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 13.

⁵ თ. ჯაფარიძე, დაზვრუვითი ექსპლოიტაცია გურიაში, გვ. 117.

⁶ А. А. Иессен, ციტ. ნაშრ., 113; ბ. ხოშტარია, ლიხა "გუძუბა", კოლხეთის დაბლობის ძეგლი მოსახლეობა: საქ. მუზ. აკად. მოამბე, ტ. V, 2, გვ. 211, თბილისი, 1944.

⁷ ა. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში: ენიმეის მოამბე, ტ. IV, 1939, გვ. 369.

ბას ქვედა ფენაში აღმოჩენილი კულტურული და ტყის მცენარეულობის შიგნითი ნაშენები¹.

ეს მასალა შეისწავლა ბოტანიკოსმა ვ. მენაბდემ, რომელიც გამოყოფს: ფეტვს, ქერს, ხორბალს და სხვ.² საყურადღებოა, რომ აյ აღმოჩენდა ნახშირად ქცეული ხორბლის *Triticum macha Dekapr. et Men.* ნაშენები, რომელიც საქართველოს ორიგინალურ ენდემურ სახეობას მიეკუთვნება³. სპეციალისტთა აზრით, ხორბლის ეს ფორმა ერთ-ერთ უძველეს სახეობად შეიძლება ჩაითვალოს⁴. ვ. მენაბდე ფიქრობს, რომ *Tr. macha* წარმოადგენს გარდამავალ სახეობას გარეულიდან კულტურული ტიპის ხორბალზე და იგი ძველი აბორიგენული მცენარე უნდა ყოფილიყო⁵. ხორბლის ეს სახეობა დღეს შემორჩენილია დასავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში ლეჩხუმსა და ზემო იმერეთში. საქართველოს სხვა აღგილებში და მის გარეთ კი ეს ფორმა სრულიად უცნობია⁶. აღსანიშნავია, რომ საქართველოში (კნობილია აგრეთვე მეორე ენდემური სახეობა „ზანდური“ (*Triticum Timopheevi Zhuk*) და აგრეთვე რაღდენიმე უფრო წვრილი სისტემატიკური ერთეული⁷. გარდა ამისა საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე მოიპოვება აგრეთვე ისეთი ფორმა *Tr. persicum*, რომელსაც შედარებით უფრო ფართო არეალი აქვს (სომხეთი, ჩრდ.-აღმ. ოსმალეთი და დაღისტანი), ოღონდ ჩვენში მისი გაცილებით უფრო მეტი ნაირსახეობა მოიპოვება. საყურადღებოა, რომ საქართველოში გვერცელებულია აგრეთვე ისეთი ფორმა, რომელიც წინა აზიის ენდემურ სახეობას წარმოადგენს⁸. როგორც პროფ. ლ. დეკადერელევიჩი ფიქრობს, ეს ფორმები უნდა იყოს რელიქტური, ე. ი. ძველი ფორმები, რომლებიც წინათ უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი, დღეს კი ისინი გადაშენების გზზე არიან და აქ-იქ შეუცვლელი სახით გეხდებიან⁹.

ფორმათა ასეთი ნაირსახეობა სპეციალისტებს საშუალებას აძლევს გამოჰყონ ხორბლის ფორმათა წარმოქმნის საქართველოს კერა. სამეცნიერო ლოტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველო შედის ხორბლის წარ-

¹ А. Л. Лукин, Неолитическое селище Кистрик близ Гудаут: Сов. археология, т. XII, стр. 256, 260, 284; М. Л., 1950; მ. ჯაფარიძე, დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, გვ. 110; ბ. ხოჭარია, ციტ. ბაზრ., გვ. 210.

² В. Менабде, Ботанико-систематические данные о хлебных злаках древней Колхиды: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. I, № 9, გვ. 684, თბილისი, 1940.

³ В. Менабде ციტ. ნაშრ., გვ. 684; ლ. ლ. დეკადერელევიჩი, შ. რუსთაველის ეპოქის უმთავრესი კულტურები: შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, გვ. 5 და 35, თბილისი, 1938.

⁴ ლ. ლ. დეკადერელევიჩი, ციტ. ნაშრობი, გვ. 10 და გვ. 39.

⁵ В. Менабде, ციტ. ნაშრ., გვ. 685. იგვენ, შპენიცი ერთ საქართველოს ქადაგის მცენარეული კულტური, გვ. 10, 1948, სტ. 15.

⁶ В. Менабде, Ботанико-систематические данные о хлебных злаках древней Колхиды, стр. 684.

⁷ ლ. ლ. დეკადერელევიჩი, ციტ. ნაშრ., გვ. 5 და გვ. 35.

⁸ იქვე.

⁹ ლ. ლ. დეკადერელევიჩი, ციტ. ნაშრ., გვ. 5 და გვ. 35.

მოშობის ძირითად ოლქში¹. ცნობილია, რომ მკვლევართა უმრავლესობა წილში ლის წარმოშობის პირველად ცენტრად წინა აზიას მიიჩნევდა, უბირატესად, სუმერეთს². ბ. პროზნის აზრით, სუმერებმა გამოიყენეს პირველად მიწათმოქმედებაში თოხი და სახვნელი³. ნიშანდობლივია, რომ სწორედ აქ ურის გათხრების ღრაოს აღმოჩნდა უძველესი სახვნელი იარაღი⁴. ბ. პროზნი აღნიშნავს, რომ სუმერულ-ბაბილონურმა სასოფლო-სამეურნეო კულტურამ IV ათასწლეულში დიდი გავლენა იქნნა ეგვიპტის და ჩინეთის სოფლის მეურნეობაზე⁵. ცხადია, რომ ხალხს, რომელმაც პირველად გამოიყენა მიწათმოქმედებაში თოხი და შემდეგ სახვნელი, უთუოდ, დაწინაურებული მიწათმოქმედება უნდა ჰქონდა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართული სახვნელი, როგორც ამას გ. ჩიტაია აღნიშნავს, ახლო გენეტურ კავშირშია წინა აზიას სახვნელთან⁶. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ხორბლის 12 კულტურული სახეობიდან საქართველოში 10 სახეობა გვხვდება⁷ და რამდენიმე ენდემური ტიპი გამოიჩინა, ხოლო ამათგან Tr. macha, რომელსაც ჯერ კიდევ ველური ხორბლის თავისებურება ახასიათებს და, მეცნიერთა აზრით, კულტურული ხორბლის პროტოტიპს წარმოადგენს⁸, ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოში გვხვდება, მაშინ აშკარა გახდება, რომ ქართველ ტომებს ძველთაგნე დაწინაურებული მიწათმოქმედება ჰქონიათ და წინა აზიას სხვა ხალხებთან ერთად მათაც გარკვეული წვლილი შეუტანიათ სასოფლო-სამეურნეო კულტურის განვითარებაში. ცნობილია, რომ ქართველი ხალხის დაწინაურებულ მიწათმოქმედებაზე მოგვითხოვთ წერილობითი წყაროებიც. ჯერ კიდევ ჰეროდოტესთან ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ კოლხეთი ძველთაგანავე განთქმული იყო სელის ნაწარმით, რომელიც კიდევ გაჰქონდათ. ქსენოფონტე მოგვითხოვთ, რომ 10.000 ბერძენ მეომარს კოლხეთში დიდალი პური დახვედრია ჯერ კიდევ წინა წლის მოსავლისა. იგი აღნიშნავს, რომ აქ ორი სახეობის ხორბალი მოჰყავთო. საყურადღებო აგრეთვე ბერძნული თქმულება არგონაგტების შესახებ, რომელიც, აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, საქართველოს მიწათმოქმედების მაღალხარისხის კულტურის ანარეკლი უნდა იყოს⁹. დაახლოებით ამასვე ვხდებით აგრეთვე სხვა ხალხთა ლეგენდებშიც (ოსური, სკვითური და სხვა)¹⁰. ამგრიგად, ამ გადმოცემებიდანაც

¹ ლ. ლ. დეკაპტ ელევინი, ციტ., ნაშრ., გვ. 5 და გვ. 35.

² В. Менабде, Пшеницы Грузии, стр. 12.

³ В. Нроцнү, La Charrue en Sumer-Akad, en Egypte et en Chine: Archiv Orientalni, Vol. X, № 3, 1938, გვ. 437.

⁴ C. Woolley, Ur Excavations, Vol. II, New-York, 1934, გვ. 336, ფაბ. 192, 12.

⁵ В. Нроцнү, ციტ. ნაშრ., გვ. 437.

⁶ Г. Читая, К вопросу о происхождении абхазских пахотных орудий: საქმეც. აკად. მოამბე, ტ. II, № 4, თბილისი, 1941, გვ. 375.

⁷ ლ. ლ. დეკაპტ ელევინი, ციტ. ნაშრ., გვ. 4.

⁸ Б. Менабде, Пшеницы Грузии, стр. 15.

⁹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს კონომიური ისტორია, I—2, გვ. 263, თბილისი, 1930.

¹⁰ ივ. ჯავახიშვილი, ციტ. ნაშრ., გვ. 264; გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი: ენომეც-მოამბე, ტ. I, გვ. 291, თბილისი, 1937.

ნათლად ჩანს, რომ ქართველებს ძველთაგანვე განვითარებული მიწათმოქმედებული გაუმჯობესებული მიწის დასამუშავებელი იარაღიც უნდა ჰქონდა. სამწუხაროდ, სადღეისოდ მიწის დასამუშავებელი იარაღები მეტად მცირე მოვპოვება არქეოლოგიას არა მარტო ჩვენში, არამედ საერთოდ¹.

ცნობილია, რომ მიწის დამუშავების უძველეს იარაღს თოხი წარმოადგენს. თავდაპირველად თოხი ხის ან ქვის იყო, შემდეგ კი ლითონისა. მაგრამ რიგ ქვეყნებში ხისა და ქვის თოხები საკმაოდ დიდხანს შემორჩია². ძველ ეგიპტეში ხის თოხი ცნობილი იყო ყველა პერიოდში. ლითონის თოხი აქ, როგორც ჩანს, შედარებით იშვიათი იყო³. ჩვენში, რა თქმა უნდა, გარკვეულ საფეხურზე ხისა და ქვის თოხები იყო გავრცელებული, განვითარებულ ბრინჯაოს ეპოქაში კი ფართო გავრცელებას პოულობს ლითონის თოხი. ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი იყო ჩვენში ლითონის თოხი ლითონის ინდუსტრიის უფრო ადრინდელ საფეხურზე. პირველად ლითონის თოხი გვხვდება ურეკის განძში, რომელიც ჩვენ მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარს მივაკუთვნეთ⁴. ამ განძში სხვა ნივთებით ერთად თავისებური ფორმის რამდენიმე თოხი აღმოჩნდა. ჯერჯერობით სხვაგან ამ ტიპის თოხები არ გვხვდება. ეს თოხები დღემდე ჩვენში ყველაზე ადრეული ფორმა ჩანს, თუმცა ურეკის თოხები უკვე იმდენად ჩამოყალიბებულ ტიპს წარმოადგენს, რომ საგულისხმებელია ჩვენში უფრო აღრე არსებულიყო ლითონის თოხი. რასაკვირველია, ეს თოხი ჯერ კიდევ ვერ შეცვლილი საბოლოოდ ქვის ან ხის თოხს. ეს ჩანს დასავლურეართულ კულტურაში გვიან-ბრინჯაოს ხანაში მოხდა. სხვაგან, ძველ ცივილიზებულ ქვეყნებშიც კი, ბრინჯაომ საბოლოოდ ვერ განდევნა ქვა. მიწათმოქმედებაში ქვის იარაღი აქ საკმაოდ დიდხანს შემორჩია. მხოლოდ რკინამ შესძლო მისი საბოლოოდ გაძევება⁵. დასავლურ-ქართულ კულტურაში კი ეს პროცესი, ჩანს, უკვე გვიან-ბრინჯაოს ხანაში უნდა დამთავრებულიყო. აქ, როგორც ცნობილია, უხვადაა წარმოდგენილი ლითონის ინვენტარი: საომარი იარაღები, სამკაულები თუ შრომის იარაღები. ეს გარემოება, არსება იმით, რომ დასავლურ-ქართულ კულტურაში ამ პერიოდში ჭარბი იყო სპილენძის მაღანი და, როგორც აღნიშნული გვიჩნდა, მას ლითონის ინდუსტრიის რამდენიმე მძლავრი კერაც მოეპოვებოდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქვის იარაღი აქ შედარებით ადრე უნდა შეცვლილიყო ლითონით.

¹ А. В. Арциховский, Социологическое значение эволюции земледельческих орудий: РАНИОН, Труды социологической секции, т. I, стр. 125, Москва, 1927.

² Г. Чайлд, Прогресс и археология, стр. 52 и стр. 71, Москва, 1949; Очерки по истории техники Древнего Востока, стр. 151, М.-Л., 1940.

³ G. Nöltinger, Steinerne Ackerbaugeräte: Internationales Archiv für Ethnographie, Bd. XLV, 1947, 83. 114.

А. В. Мачинский, Две заметки о технике древне-египетского земледелия: Труды института истории науки и техники, сер. I, вып. 6, М.-Л., 1935, стр. 279.

⁴ მ. ჯაფარიძე, დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში, გვ. 118.

⁵ Г. Чайлд, ციტ. ნაშრ., გვ. 71.

საყურადღებოა, რომ საერთოდ სხვაზე მეტად ქვის იარაღი მედებაში შემორჩა (თოხები, ნამგლის პირები), ვინაიდან ლითონის იარაღი მიწის დამუშავებისას აღრე გამოდიოდა ხმარებიდან და იგი შედარებით ძვირი იყო. ლითონისაგან, უპირატესად, საომარი იარაღი და სამკაულები მზადდებოდა. დასავლურ-ქართულ კულტურაში კი, პირიქით, საომარ იარაღთან და სამკაულთან ერთად კარგადაა წარმოდგენილი სწორედ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ლითონის იარაღები: თოხი, ნამგალი და სხვა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ არც ერთ სხვა კულტურაში არ გვხვდება ასეთი დიდი რაოდენობით ლითონის თოხები, როგორც კოლხურში. ამ ტიპის თოხი სხვაგან სრულიად უცნობია. საფიქრებელია, რომ იგი დასავლურ-ქართული კულტურის ნიადაგზე შექმნილი ტიპი უნდა იყოს.

ნიშანდობლივია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბრინჯაოს თოხი გარკვეულ გენერულ კავშირშია მომდევნო ხანის საქართველოში გაფრცელებულ რკინის თოხებთან¹. საქ. მუხ. არქეოლოგიის განცოდილებაში დაცულია ორი რკინის თოხი, წემთხვევით აღმოჩენილი სოფ. ორბელში (ლეჩხუმი). ეს თოხები, უთუოდ. მსგავსებას იჩენენ ბრინჯაოს თოხებთან. საყურადღებოა, რომ გარკვეული მსგავსება შეიძინევა აგრეთვე საქართველოს დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გაფრცელებულ თოხებთან, განსაკუთრებით ე. წ. იმერულ თოხთან.

ამრიგად, ბრინჯაოს თოხს გვიან-ბრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედებაში ფართო გამოყენება ჰქონია დასავლეთ საქართველოში. მაგრამ ძველ უნდა აღვნიშნოთ, რომ თოხი ამ პერიოდში არ წარმოადგენდა მიწის დასამუშავებელ ერთადერთ იარაღს. საფიქრებელია, რომ გვიან-ბრინჯაოს ხანაში ამიერ-კავკასიაში მიწის დასამუშავებლად უკვე სახენელსაც იყენებდნენ². სამწუხაროდ, დღემდე რაიმე პირდაპირი საბუთი ამისა არა გვაქვს. მაგრამ პროფ. გ. ჩიტაიამ თავის საყურადღებო ნაშრომებში ქართული სახვნელი იარაღების შესახებ აშკარად დაგვანახა, რომ ქართული ტომები ძველთაგანვე იყენებდნენ მიწათმოქმედებაში სახვნელ იარაღს. აფხაზური სახვნელი იარაღის შესწავლისას იგი აღნიშნავს, რომ ეს სახვნელი ძალიან ახლო დგას ურის სახვნელთან, რომელიც ჯერჯერობით ჭველაზე ძველია³. ამ ტიპის სახვნელი საერთოდ ფართოდ იყო გარცელებული მთელ წინა-აზიაში. ახლო დგას აგრეთვე იგი ეტრუსკულ სახვნელთან, რომელიც ეტრუსკებმა შეიტანეს იტალიაში, თავისი ძველი სამშობლოდან⁴. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ სახვნელის ამ ტიპში თანდათანობითი განვითარების შედეგად ქართველ ტომებში შიალწია თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს რაჭული სახვნელის სახით⁵. როგორც ჩანს, ქართველმა ტომებმა გარეველი როლი შეისრულეს მიწათმოქმედების იარა-

¹ М. М. Иващенко, Материалы к изучению культуры колхов. стр 20 и 54.

² Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, стр. 71, Ленинград, 1919.

³ Г. Читая, К вопросу о происхождении абхазских пахотных орудий, стр. 375.

⁴ Г. Читая, Грузин. ნაზ., გვ. 375; გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, გვ. 286.

⁵ გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, გვ. 285; Г. Читая, ვიტ. ნაშრ., გვ. 375.

ლების, კერძოდ კი სახვნელი იარაღის გაუმჯობესებაში¹. ამრიგად, როგორც
ირკვევა, ქართველმა ტომებმა, წინა აზისის სხვა ხალხებთან ერთად, უძრავი დოკუმენტების ადრე დაწყეს მიწათმოქმედებაში სახვნელი იარაღის გამოყენება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გვიან-ბრინჯაოს ხანაში ამიერკავკასიაში უკვე აშეარად შეიმჩნევა ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის ნიშნები. ამიტომ საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში მეურნეობის წამყვანი დარგები, მიწათმოქმედება თუ მესაქონლეობა, უკვე გარკვეულ განვითარებას აღწევს, ვინაიდან მხოლოდ დაწინაურებული მეურნეობის დროსაა შესაძლებელი საზოგადოების ფერებად დაყოფა. ამ შემთხვევაში ჩენ დასავლურ-ქართულ კულტურის წრე გვაინტერესებს და, როგორც აღნიშნული გვქონდა, აქ ამ პერიოდში მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება უნდა ყოფილიყო. მიწათმოქმედების გარკვეულ საფეხურზე მიწის დამუშავების ძირითად იარაღს თოხი წარმოადგენდა, ხოლო მიწის დამუშავების პროცესს ამ დროს ძირითად ქალი ახორციელებდა. ამ სტადიაზე მიწათმოქმედება შედარებით უმნიშვნელო როლს ასრულებდა, ვინაიდან თოხით შესაძლებელი იყო მცირე ფართობის დამუშავება და ამიტომაც ამ პერიოდში მიწათმოქმედება ვერ იქნებოდა მეურნეობაში წამყვანი დარგი². მაგრამ შემდეგში სახვნელი იარაღის შემოღებამ მიწათმოქმედებაში, როგორც ცნობილია, დიდი გარდატეხა მოახდინა. მიწის დამუშავება თანადათანობით მამაკაცის ხელში გადავიდა, ვინაიდან ეს პროცესი ახლა უფრო რთული და მძიმე გახდა³. ახლა უკვე ადამიანს შეეძლო გაცილებით უფრო დიდი ფართობის დამუშავება და საშუალება ეძლეოდა იქ, ხადაც საამისო სათანადო პირობები იყო, მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვან დარგად გახეადა. ამრაგად, იქ სადაც მიწათმოქმედება მეურნეობის ძირითადი დარგი იყო, მიწის დასამუშავებლად, უთუოდ, სახვნელი იყენებდნენ.

მიწის მოხვნა ყოველთვის სახვნელით ვერ ხერხდება. ეს გარემოება, უპირატესად, გამოწეულია ხოლმე დასამუშავებელი ადგილისა და ნიადაგის თავისებურებით. ამ მხრივ, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ნიადაგი და მიწის ზედაპირი გასაოცარ მრავალგვარობას იჩენს, ზოგან ბარია, ზოგან მთა, ზოგი ადგილი ლრმა მოხვნას მოითხოვს, ხოგი კი — უფრო ზედაპირულს⁴. ცხადია, რომ ყოველი ნიადაგი თავისებურ დამუშავებას მოითხოვს.

საქართველოს რელიეფისა და ნიადაგის მრავალგვარობის გამო, ზოგჯერ მიწის დამუშავება სახვნელით ვერ ხერხდებოდა, ილბათ, უპირატესად მთის ზოლში, და მიწის დასამუშავებლად თოხს ხმარობდნენ ხოლმე. წერილობითს წყაროებში დაცულია რამდენიმე საყურადღებო ცნობა იქნას შესახებ, რომ მიწის დამუშავება მარტო სახვნელით კი არ წარმოებდა, არამედ თოხითაც. განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი მთაწმიდელის თხზულება იოანეს და ექვთიმეს ცხოვრების შესახებ, სადაც ვკითხულობოთ,

¹ გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, გვ. 276.

² A. B. A р ч и о в с к и й, ციტ. ნაშრ., გვ. 127.

³ იქვე, 88. 128

⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. I, გვ. 173.

რომ ათონის მთის ბერები მთიან ადგილებს თოხით ამუშავებდნენ: „მურადი და თაგან ყოველი სოფელი ჭირსა შინა იყვნეს და კნინდა უკაცრულ, უკაცრულ სა მაგიერ უფროსი სათესავი მთასა შინა იქმნებოდა თოჯითა; საწუნე და დიკა და სელი და თივისა თიბაძ და ამას ყოველსა ძმანი შურებოდიან და ვინავთგან ყოველი იქმნდეს, არა უმძიმდა, არამედ უდრტკნელად და სიხარულით იქმნდეს“¹.

საყურადღებო აგრეთვე რუსეთის მეფის შეირ 1639—1640 წწ. საქართველოში წარმოგზავნილ დესანის თვედოორე ელჩინის მოხსენებაში დაცული ერთი ცნობა, რომ „პურს თოხებით ხნავენ მთებზე და ბორცვებზე...“². დაახლოვებით იმასვე ვხვდებით ცოტა უფრო გვიან რუსეთის ელჩინის ნიკოფორე ტოლოჩანოვისა და დიაკ იველევის ალწერილობაში, რომ დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და სამეგრელოში, მიწას გუთნითა და თოხით ხნავდნენ³. ამრიგად, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში საყანე მიწის სახნავად, სახვნელთან ერთად, ზოგჯერ თოხსაც იყენებდნენ. აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ისტორიულ ხანაში სახნავის დამუშავება მარტო სახვნელით არ წარმოებდა, არამედ თოხითაც⁴.

საქართველოს თანამდეროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თოხი ზოგჯერ სახვნელის როლსაც ასრულებს. ფუნციის მიხედვით თოხები დღეს ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა. პირველს უკვე დახნულის დასამუშავებლად ხმარობდნ, მეორეს კი ჯერ უხნავის დასახნავად იყენებენ⁵. განსაზღვრულ პირობებში იგი ერთადერთი სახვნელი იარაღია, ძლიერ დაქანებულ ადგილებში, უსწორმასწორი ზედაპირის მქონე საყანე ადგილისა და სხვა⁶. ერთი სიტყვით, იქ, სადაც ხარსახვნელი ვერ უდგება, უმთავრესად მთიან ზოლში, მიწის დამუშავება ძირითადად თოხით წარმოებს. ზემო იმერეთის მთიან ნაწილში, ჩაჭისა და სვანეთის ზოგიერთ სოფლებში ახლაც მიწის სახნავად სახვნელთან ერთად ზოგჯერ თოხსაც ხმარობდნ⁷. ამრიგად, დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თოხს არ დაუკარგავს სახვნელის ფუნქცია. ზემონათქმიდნ შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასავლურ-ქართულ კულტურაში მიწის დასამუშავებლად თოხსაც იყენებდნენ, უპირატესად, ალბათ მთიან ადგილებში.

¹ გიორგი მთამწინდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთემესი, თბილისი, 1946, გვ. 42.

² Белокуров, Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьева в дахианскую землю (1639—1640), стр. 337.

³ გ. პოლივეგეტოვი, სტოლნიკი ტოლოჩანოვის და დიაკ იველევის ელჩობა იმერეთში 1650—1652, თბილისი, 1226, გვ. 187.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ციტ. ნაშრ., გვ. 210.

⁵ გ. რეხვია შვილი, მედ. დასავლურ-ქართულ კულტურაში მიწის დასამუშავებლად თოხსაც იყენებდნენ, უპირატესად, ალბათ მთიან ადგილებში.

⁶ გ. რეხვია შვილი, ქსნური ქანჩი (ხელნაწერი).

⁷ М. М. Ивашенко, ციტ. ნაშრ., გვ. 19; Л. Декапрелевич и В. Менадзе, К изучению полевых культур Зап. Грузии: თბილისის ბოტანიკური ბაღის მეცნიერულ-გამოყენებითი განკურება, ნაშრები, ნაწ. VI, თბილისი, 1929, გვ. 223.

თოხის ფუნქცია მხოლოდ საყანე მიწის დახვნით არ ამოიწურება. ხშირად მიწის დახვნილი მიწის ბელტების დასაფშენელად¹ და უპე დაჭურებული გასამარგვლავად იყენებენ. ჯერ კიდევ ძველ ეგიპტესა და ბაბილონში თოხის სახენელით დახვნილი მიწის ბელტების დასაშლელად ხმარობდნენ². აწინდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც თოხის ხშირად ხნულის გასაფხვიერებლად იყენებენ³. გარდა ამისა, თოხის დიდი გამოყენება უნდა ჰქონოდა აგრეთვე საბოსტნე და საბალე მეურნეობაში.

ამიერკავკასიაში რომ მებალეობა ძველთაგანე იყო ცნობილი, ამას კარგად მოწმობს ი. ჰეროდოს მიერ ხანლარის დასავლეთით გათხრილ ნასახლარში ოღმოჩენილი არქეომოტანიური მასალა, რომელსაც იგი ბრინჯაოს ეპოქის მეორე სტადიას მიაკუთვნებს. აქ ნაპოვნი იყო ატმის და ყურძნის კურქები, ნუში⁴. კიროვაბადის სამხრეთით გათხრილ უფრო მოგვიანო ხანის ალიზის სამარხში მან დიდი რაოდენობით ოღმოაჩინა ბლის კურქები⁵. ქართველ ტომთა დაწინაურებულ მებალეობაზე მოგვითხრობენ უძველესი ბერძნული ცნობები, სადაც ვკითხულობთ, რომ საქართველოში ქარგი ხარისხის ვაშლი და მსხალი მოჰყავთ. დიდი რაოდენობით გვხვდება ლელვი და ბროჭეული. საყურადღებოა, რომ კოლხეთის ქალაქ კერასუნტიდან რომაელებმა პირველად შეიტანეს ბალი ევროპაში⁶. დიდად დაწინაურებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე აქ მევენახეობა. აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის ექონომიური ისტორიის II წიგნში აღნიშნავს, რომ მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგანად საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეული⁷. რაკი მებალეობა ქართველ ტომებში ასე დაწინაურებული ჩანს, უნდა ვითქმიროთ, რომ თოხის აქაც დიდი გამოყენება უნდა ჰქონოდა. როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ბრინჯაოს თოხები ნაირი ზომისა და მოყვანილობის გვხვდება. საფიქრებელია, რომ თოხის ზომა და მოყვანილობა სამეურნეო დანიშნულებით განისაზღვრება. შესაძლოა უფრო მოზრდილებს მიწის სახნავად იყენებდნენ, მომცრო ზომისას კი, ეგებ, სამარგლავად ან საბალე მეურნეობაში.

გარდა თოხისა, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღებიდან დასავლურ-ქართულ კულტურაში ქარგადაა წარმოდგენილი ლთონის ნამგალიც. იქვე უნდა აღვინიშნოთ, რომ ჩვენში ლითონის ნამგალი შედარებით გვიან შემოდის და, როგორც ჩანს, მკისათვის კაესი დაკბილული პირებისაგან

¹ Б. Богаевский, История техники, т. I, М.—Л., стр. 368; გ. ჩიტაია, რაჭული სახენელი, გვ. 274.

² Очерки по истории техники Древнего Востока, стр. 24; G. Nöltker, ციტაშრ., გვ. 81 და გვ. 114.

³ ბ. რევენიაშვილი, მშედლობა რაგაში, გვ. 200.

⁴ Я. Гуммель, К проблеме археоботаники Закавказья; საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 10, თბილისი, 1940, გვ. 750.

⁵ Я. Гуммель, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 1—2, თბილისი, 1941, გვ. 129.

⁶ ბ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 45, თბილისი, 1948.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ექონომიური ისტორია, წიგნი II, გვ. 603, თბილისი, 1935.

შემდგარ ნამგალს იყენებდნენ. ამგვარი კაჟის პირები სადღეისოდ კურგაფლული ცნობილი სხვადასხვა აღგილებიდან. უ. დე მორგანი აღნიშნავდა, რომ კურგაფლული ნამგალი უპირატესად სამხრეთით უნდა ყოფილიყო გავრცელებული¹. მესოპოტამიასა და ეგვიპტეში კაჟის დაკბილული პირებისაგან შემდგარი ნამგალი საკმაოდ დიდხანს შემორჩა². უ. დე მორგანი ვიქრობდა, რომ კაჟის ნამგალი პირველად ქალდეაში უნდა გაჩენილიყო, ვინაიდან, მისი აზრით, აქედან უნდა გავრცელებულიყო მარცვლეული კულტურა ეგვიპტეში და, ბუნებრივია, სასოფლო-სამეურნეო იარაღიც³. ასეა თუ ისე ერთი კი ცხადია, რომ კაჟის ნამგალი ეგვიპტეში ახალ სამეფომდე იყო გავრცელებული და ახალ სამეფოს პერიოდში ლითონის ნამგალთან ერთად იყენებდნენ აგრეთვე კაჟის ნამგალსაც⁴.

უკანასკნელ ხანებში ჩატარებული პელევა-ძების შედეგად ორკვევა, რომ ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში კაჟის დაკბილული პირები საკმაოდ იდრეული პერიოდიდანაა ცნობილი. როგორც ზევით უკვე აღნიშნული გვერდა, საქართველოში მიწათმოქმედება ძველთაგანვე მაღალ საფეხურზე მდგარა. ნეოლითური ხანის ნამოსახლარებში აშეკარად შეიმჩნევა მიწათმოქმედების გარკვეული განვითარება და ამ პერიოდიდან ჩვენში, როგორც ჩანს, უკვე იცნობდნენ კაჟის ნამგალს. ქუთაისის მუზეუმში დაცულია რამდენიმე დაკბილული კაჟის პირი, აღმოჩენილი თეთრამიწის თუ სათაფლიას ნეოლითურ სადგომში⁵. კარგადაა ცნობილი ამიერკავკასიაში კაჟის დაკბილული ნამგლის პირები ენეოლითური ხანის ფენებიდანც: ოჩამჩირიდან⁶, შენგავითიდან⁷ და სხვა. მრავლად გვხვდება ამგვარი ნამგლისპირები აგრეთვე ბრინჯაოს ხანაში. ბეჭთაშენის ციხის ქვეშ რამდენიმე კაჟის ნამგლის პირი აღმოჩნდა⁸; კაჟის დაკბილული პირები ნაპოვნია დიხა გუძუბას ქვედა ფენაში⁹; სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ნამგლის პირი¹⁰ აღმოჩნდა ნაოხვამუს ქვედა და ზედა ფენაში. ფართოდ იყო

¹ J. Morgan, La Préhistoire Orientale, t. III Paris, 1927, გვ. 220.

² Б. А. Богаевский, ციტ. ნაშრ., გვ. 369; Очерки по истории техники Древнего Востока, стр. 26.

³ J. Morgan, ციტ. ნაშრ., ტ. II, გვ. 301.

⁴ Очерки по истории техники Древнего Востока, стр. 153.

⁵ ქუთაისის მუზეუმში თეთრამიწის და სათაფლიას მასალები ერთმანეთშია არეული. და ამიტომ ზუსტად ძნელია თქმა, თუ საიდან უნდა იყოს ეს კაჟის პირები.

⁶ Б. А. Куптина, Материалы к археологии Колхиды, т. II, Тбилиси, 1950, стр. 268, табл. 72.

⁷ Б. Б. Пиотровский, Поселения медного века в Армении: Советская археология, т. XI, М.—Л., 1950, стр. 173, 179.

⁸ Б. А. Куптина, К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, стр. 21.

⁹ Б. А. Куптина, Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 242.

¹⁰ Б. А. Куптина, Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 182, 219. საგსებით სამართლიანია ა. კრუგლოვისა და გ. პოდგავცის შენიშვნა იმს შესახებ, რომ კაჟის დაკბილული პირების ნამგლის პირებად მიჩნევისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მთელი რიგი არსებითი მომენტები (ხამუშაო პირი, ჩარჩოში დამაგრება და სხვა).

გავრცელებული კაუის ნამგალი გვიან ბრინჯაოს ხანაშიც. ამ პერიოდის ტე-
ლებში საქამად ხშირად გვხვდება დაკბილული კაუის პირები: საქართველოს
რამდენიმე უძველეს თრმოსამარხში აღმოჩნდა თითო კაუის ნამგლის პირი;
სტალინის ნაცარგორის გათხრების დროს გ. გობეჯიშვილმა მრავლად
აღმოჩნდა სხვადასხვაზომის ამგვარი ნამგლის პირები¹. განსაკუთრებით აღ-
სანიშნავია, რომ ბეჭაშვილის სამაროვნის რამდენიმე სამარხში ნაპოვნია კა-
უის დაკბილული პირებისაგან შემდგარი ნამგალი. საყურადღებოა აგრეთვე
ისიც, რომ სამაროვნის IV სამარხში კაუის ნამგალთან ერთად აღმოჩნდა ლი-
თონის ნამგალიც². როგორც სადღეისოდ ჩვენს ხელთ მყოფი მასალების მიხედ-
ვით ირკვევა; ლითონის ნამგალი ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველო-
ში, შედარებით გვიან შემოღის. აქ კაუის ნამგალი საქამად დიდხანს ყოფი-
ლა ხმარებაში და ლითონის ნამგალი პირველად მხოლოდ გვიან-ბრინჯაოს
ხანაში ჩნდება. მაგრამ ლითონის ნამგლის შემოსვლასთან ერთად ხმარებიდან
არ გამოდის კაუის ნამგალი, როგორც ეს კარგადა ჩანს თრიალეთის მაგალი-
თიდან. ეგვიპტის, სირიის და სხვა, წინა აზიის ქვეყნების მსგავსად აქაც მან
რკინის ხანის დასაწყისამდე შემოინახა თავი³. გ. გობეჯიშვილმა ნაცარგორის
მესამე ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კაუის დაკბილული პირები,
რომელთაც იგი რკინის ხანის დასაწყისს მიაკუთვნება⁴.

ამრიგად, ამიერკავკასიაში, წინა აზიის სხვა ქვეყნების მსგავსად, კაუის
ნამგალი გვიანობამდე შემორჩა. ლითონის ნამგალი აქაც შედარებით გვიან
შემოღის.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს
ენდემური ბურეულის აღების თავისებური წესი არსებობდა⁵. ლეჩებუში
დღესაც ამ წესით ჰკრეფენ მახასა და ზანდურს⁶. კ. ფლიაქსბერგერი აღ-

იხ. А. П. Круглов и Г. В. Подгаецкий, Родовое общество степей Восточной Европы, М.—Л., 1935, стр. 77.

აღნიშნული ავტორების სიტროტხილე, რა თქმა უნდა, საცემით სამართლიანია. ყველა
დაკბილული პირი ნამგლის პირი არ იყო. ზოგი მათგანი, შესაძლოა კაუის „ხერხის“ პირს
წარმოადგენდა. ამიტომცც, სიზუსტისათვის საჭიროა მთელი ამ მასალის სათანადო გადა-
სინვევა, რის შესაძლებლობაც, რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვქონდა და ძირითადად ლიტერატუ-
რაში დაცული ცნობებით გასარგებლობდით, სადაც თითქმის ყველა კაუის დაკბილული პირი,
როგორც წესი, ნამგლის პირადაა ხოლო მიჩინული.

¹ გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორი: მიმომხილველი, II გვ., თბ., 1951;
Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию
и Имеретию, стр. 58.

² Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, стр. 69; მისივა.
К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии, стр. 18.

³ Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на
Кавказе по данным археологии, стр. 234; მისივა, К вопросу о ранних стадиях
бронзовой культуры на территории Грузии, стр. 9.

⁴ გ. გობეჯიშვილი, ციტ. ნაშრობი.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. I, გვ. 344, 394;
ზოგვე, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. II, გვ. 80.

⁶ გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, გვ. 275.

ნიშნავს, რომ ასტურიაში (ესპანეთი) ადგილობრივი პურეულის „სპელტის“¹ მოსაკრეფად ხმარობენ ისეთსაც იარაღს, როგორსაც დასავლეთ საქართველოში ლოში Tr. mācha-ს ასაღებად იყენებენ². ამ იარაღით, რომელსაც „შეცეკვი“, ეწოდება, მხოლოდ თავთავი იკრიფება, ღერო კი, გარკვეული ღროს მანძილზე მინდვრად ჩებდა³. საფიქრებელია, რომ ძველადაც საქართველოს ენდემური პურეული მახა და ზანდური, რომლებიც, როგორც ირკვევა, ჩვენში საკმაოდ აღრეულ პერიოდში იყო გავრცელებული, „შნაკვის“ მაგვარი იარაღით იკრიფებოდა, მინდვრად დარჩენილი ღერო, როგორც ბ. კუჭტინი აღნიშნავს, ეგებ მართლაც კაუის ნამგლით იმკებოდა⁴. შესაძლოა ჩვენში გვიან-ბრინჯაოს ხანამდე ძირითადად ენდემური პურეული მოჰყავდათ და, ეგებ, სწორედ ამით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ ჩვენში ღითონის ნამგალი შედარებით გვიან შემოღის. ბ. კუჭტინი ფიქრობს, რომ ლითონის შემოღება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ახალი პურეული კულტურის შემსვლისთან⁵. შესაძლოა, ეს მოსაზრება მართლაც სწორი იყოს, ოლონდ მთლად მართებულად არ მიგვაჩნია მისი მტკიცება იმის შესახებ, რომ პურეულის ახალი ჯიში მაინცდამანც ხმელთაშუა ზღვიდან შემოვიდა და არა აღმოსავლეთიდან, ვინაიდან აღმოსავლეთში თითქოს სხვა ფორმის ნამგალი იყო გავრცელებული⁶. როგორც ქვევით დავინახავთ, ამიერკავკასიაში გავრცელებული ლითონის ნამგალი ახლო დგას წინა აზიის ნამგლებთან და ამიტომაც შესაძლოა, რომ ახალი ჯიშის პურეული და ლითონის ნამგალიც აქედან შემოვიდა ჩვენში. მით უმეტეს, რომ საქართველოში დღესაც გავრცელებულია ხორბლის ისეთი ფორმა, რომელიც წინა აზიის ენდემურ სახეობას წარმოადგენს⁷. საერთოდ, როგორც უკვე არა ერთგზის გვერდა აღნიშნული, ჩვენს სასოფლო-სამეურნეო კულტურას ბევრი რამ საერთო ჰქონია წინა აზიასთან, რომელსაც მკვლევართა უმრავლესობა, საესებით სამართლითანად, სასოფლო-სამეურნეო კულტურის ცენტრად მიიჩნევს.

ამრიგად, ლითონის ნამგალი ამიერკავკასიაში და კერძოდ კი საქართველოში გვიან-ბრინჯაოს ხანაში შემოღის. უნდა აღნიშნოთ, რომ ჩვენში, ისევე როგორც წინა აზიაში, ძირითადად უყუნწო ნამგალი იყო გავრცელებული, გაშინ, როდესაც ჩრდ. კავკასიაში, სადაც ლითონის ნამგალი ჟკვე იესენი-სეულ მეორე ეტაპის ბოლოში ჩნდება⁸, ევროპაში და სხვაგან უცირატესად

¹ К. Флякесбергер, Находки культурных растений доисторического периода: Архив истории науки и техники, т. II, Ленинград, 1934, стр. 169.

² ი. ვ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტ. I, გვ. 345.

³ გ. ჩიტაია, ციტირ. ნაშრ., გვ. 275.

⁴ Б. А. Күфтиян, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, стр. 324.

⁵ იქვ. გვ. 325.

⁶ იქვ. გვ. 325.

⁷ პრეც. დეკაპრეცენტი, ციტ. ნაშრ., გვ. 5, 35.

⁸ А. А. Иессен, ციტ. ნაშრ., გვ. 95, 113.

ყუნწიანი ნამგალი იყო ცნობილი. უყუნწო ნამგალს, ჩანს, ხის ტარი გვემოდა, რის გამოც ნამგლის პირს ცალ ბოლოზე ერთი ან ორი ნახერთული მანქელისათვის.

ამიერკავკასიაში ძირითადად ერთი ფორმის ნამგალი იყო გავრცელებული. ნამგლები უმთავრესად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტარის დაგების წესისა და დამზადების ტექნიკის მიხედვით. ზოგი ყალიბშია ჩამოსხმული, ზოგი ნაკედია; ზოგს ერთი ნახერეტი აქვს, ზოგს კი ორი; ნამგლები განსხვავდებიან, მეტნაკლებად, აგრეთვე რკალის მოყვანილობითაც. აქვე უნდა შევნიშნოო, რომ ამიერკავკასიის ლითონის ნამგლები ჩრდ. კავკასიის, ევროპის და სხვ. ნამგლებთან შედარებით უფრო გაშლილია.

დასავლურ-ქართულ კულტურაში დღემდე რამდენიმე ლითონის ნამგალია ცნობილი, სამწუხაოოდ, თითქმის ყველა მათგანი ნაკლულია და ამიტომაც დაბეჯითებით ძნელია რისამე თქმა მათი მოყვანილობისა და ტარზე დაგების. წესის შესახებ. ციხისძირის განძში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა სამი ნამგლის ფრანგმენტიც (სურ. 10, 2, 3). 1926 წ. სოფ. ზენითან შემთხვევით ნაპოვნი იყო ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძი, რომელშიც ნამგლის ორი ნატეხია¹. ქუთაისის მუზეუმში დაცულია სოფ. ოფშევითში ნაპოვნი განძი, რომელშიც ოთხი ნაკლული ნამგალია². ცაგრის განძში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ნამგალი³. პროფ. გ. ნიორაძის მიერ სოფ. ქვიშარში აღმოჩნდილ განძში ერთი ნამგალია⁴. ერთი ნამგალია ცნობილი სოფ. მახარიასთან აღმოჩნდილ განძიდან⁵. დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდან ლითონის ნამგალი საღლეისოდ სრულიად უცნობია.

ლითონის ნამგალი ცნობილია აღმოსავლურ-ქართულ კულტურაშიც. ერთი ნამგლის ფრანგმენტი აღმოჩნდა (სურ. 7 და სურ. 10, 1) ჩურის-ხევის კოლექციაში. სოფ. წოისის მოდამოებში აღმოჩნდილ კომპლექსში ორი ნამგალია⁶. როგორც უკვე აღნიშნული გვიონდა, თრიალეთის არქეოლოგიურმა ექსპერიციამ ბეჭთაშენის სამაროვნის მე-4 და მე-13 ორმო-სამარხებში თითო ნამგალი აღმოაჩინა⁷. უსათუოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართლში აღმოჩნდილი ლითონის ნამგლები ახლო დგას დასავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ ნამგლებთან. მაგალითად, წოისის ერთი ნამგალი სავსებით იქცეთივე ფორმისაა, როგორც ციხისძირის განძის ნამგლები. ახლო დგას აგრეთვე ჩურის-ხევის ნამგალიც. თრიალეთის ნამგლები ცოტა უფრო განსხვავებული მოყვანილობისაა, მაგრამ მაინც უახლოვდება კოლხურ ნამგლებს. აღსანიშნავია, რომ ეს ნამგლები გარკვეულ მსავსებას იჩენენ

¹ А. А. Иессен, ციტირ. ნაშრ., გვ. 122.

² Б. А. Купти, ციტირ. ნაშრ., სურ. 20, ტაბ. X.


³ იქვე, გვ. 340.

⁴ გ. ნორაძე, ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 14, სურ. 11.

⁵ А. А. Иессен, ციტ. ნაშრ., გვ. 124.

⁶ Б. А. Купти, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, стр. 26, таб. VIII.

⁷ Б. А. Купти, Археологические раскопки в Триалети, стр. 69.



სურ. 9. 1. ბრინჯაოს ნამზალი ბაკურიონიდან (საქართველოს მუზეუმი).
2. ბრინჯაოს ნამზალი ნორჩაიაშვილიდან (ერევანის მუზეუმი).

დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ, ნამგლებთან. მახარულიშვილი და ჩურის-ხევში აღმოჩენილი ნამგლები ახლო დგანან ლალაიშვილიშვილი 1929 წ. ნორბაიაზეთში ნაპოვნ ნამგლოთან¹ (სურ. 9, 2). ჩვენი ნამგლები უაბლოვდებიან სოფ. ტაკიაში აღმოჩენილ ნამგლებსაც, ოლონდ უკანასკნელს სამანქველე ნახერეტები რამდენადმე განსხვავებულად აქვს განლაგებული².

კახეთში აღმოჩენილი ნამგლები რამდენადმე განსხვავებული ფორმისაა. კახეთიდან სადღეისოდ ნამგალი ცნობილია ორი ადგილიდან: ოთხი ბრინჯაოს ნამგალი ბაკურციხიდან, აქედან ორი აღმოჩენილია ბაკურციხის არქეოლოგიური ექსპლოციის მიერ³ და ერთი შედარებით პატარა ზომის ნამგლისებრი იარაღი სოფ. ურიათუბნიდან⁴. ბაკურციხის ნამგლები ყველა ერთი ტიპისაა⁵ (სურ. 9, 1). ეს ნამგლები ჩამოსხმულია⁶. მათ ცალი გვერდი ბრტყელი აქვთ, მეორე გვერდის გარეთა პირი საგრძნობლად გამსხვილებულია და ფხისაკენ თანდათან თხელდება—ოთხივე ნამგალს ცალს ბოლოზე თითო ნახერეტი აქვს. ბ. კუჭტინი ფიქრობს, რომ ამ ნამგლებს ტარი არ ეგებოდა და ნახერეტი თითქოს სარტყელზე ჩამოსაკიდებელი ზონარის გასაყრელად იყო განკუთვნილი⁷. ვფიქრობთ, რომ ბ. კუჭტინის ეს მოსაზრება საგვებით მართებული არ უნდა იყოს. საქმე: ისაა, რომ ეს ნამგლის პირები არცუ ისე დიდი ზომისაა, რომ შეიძლებოდეს მათი უტაროდ ხეარება (სიგრძე დაახლ.—14,8 სმ.). ასეთ შემთხვევაში ნამგლის ნახევარზე მეტს ხელი დაიჭრდა და მას თითქმის აღარ დარჩებოდა სამუშაო პირი. ამიტომაც, საფიქრებელია, რომ ბაკურციხის ნამგლებსაც ხის ტარი ეგებოდა⁸.

ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლების განხილვისას ა. აფაქიძე საქმიოდ დაწვრილებით ჩერდება აგრეთვე ნამგლებზედაც. იგი მათ „სასხლავ ნამგალს“ უწოდებს. ა. აფაქიძის აზრით, ეს ნამგალი ძირითადად ვენახის გასასხლავი იარაღი იყო, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ განსხვავებულ პირებებში მკისათვისაც ყოფილიყო გამოყენებული⁹. შესაძლოა, რომ ეს მოსაზრება მართლაც სწორი იყოს: ნამგალი ზოგ შემთხვევაში ვენახის სასხლავადაც იყო გამოყენებული, მით უმეტეს, რომ, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, საქართველოში ბოლო დრომდე შემორჩი ვენახის სასხლავად ნამგლის

¹ ე. პაიბურთიანი, შრომის იარაღები ძეგლ სომხეთში: სომხ. სსრ ა. კ. ისტორიის და ლიტერატურის ინსტიტუტი, ტ. I, ერევანი, 1938, გვ. 212, სურ. 113.

² ე. ლალაიანი, ყორდანების გათხრები საბჭოთა სომხეთში 1931. ერევანი, 1931, გვ. 121.

³ ე. ბაიბურთიანი, ციტ: ნაშრ., გვ. 212, სურ. 114—115.

⁴ ა. აფაქიძე, ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაბეჭდი), თბილისი, 1941, გვ. 63.



⁵ Б. А. Куптина, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, стр. 325, табл. IX, 6.

⁶ ა. აფაქიძე, ციტ. ნაშრ., გვ. 63.


⁷ ბ. А. Куптина, ციტ. ნაშრ., გვ. 325.

⁸ ა. აფაქიძე, ციტირ. ნაშრ., გვ. 63.

⁹ იქვე, გვ. 66, 80, 87.



c



b

სურ. 10. 1. ნამზღვის-ფრავენერტი ჩურას-ხვეს კლუებიდან.
2. ნამზღვის ნალექები ციცასისარის განძღან.

ფორმის სავაზე¹, ოლონდ ვერ დავეთანხმებით მის მტკიცებას, თეოქტესტურ-გალი მევენახეობაში გაცილებით უფრო აღრე უნდა ყოფილიყმაზემატებულებული². როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ჩვენში ნამგალი საკმაოდ აღრე შემოდის ჯერ კაუის, შემდეგ კი ლითონისა და, რა თქმა უნდა, თავიდან იგი მარცვლეულის მკისათვის უნდა ყოფილიყმა გამოყენებული. ა. აფაქიძე ვრცლად იხილავს საქართველოში მევენახეობის განვითარების საკითხს და საცხებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ მევენახეობა ჩვენში ძველთაგანვე მაღალ საფეხურზე მდგარა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ საცხებით მართებულა არ უნდა იყოს მისი მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს გვიან-ბრინჯაოს ხანაში საქუთრივ კახეთისათვის წამყვან დარგს მევენახეობა წარმოადგენდა³. მევენახეობა-მებალეობა განვითარების ამ საფეხურზე, ვფიქრობთ, მეურნეობის წამყვანი დარგი ვერ იქნებოდა. მას მხოლოდ დამხმარე ხასიათი შეიძლებოდა ჰქონოდა. აღმოსავლეთ საქართველოში, და კერძოდ კახეთში, მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება და მესაქონლეობა უნდა ყოფილიყმა. როგორც ბ. პიოტროვსკი აღნიშნავს, ამიერკავკასიაში ამ პერიოდში აშკარად შეიძმინევა, რომ მთიან ნაწილში ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ, ბარში კი მიწათმოქმედებას⁴. რომ აღმოსავლურ-ქართულ კულტურაში ამ დროს მიწათმოქმედება ყოფილა განვითარებული, ადასტურებს აქ აღმოჩენილი კაუისა და ლითონის ნამგლები. ცენტრალურ ამიერკავკასიაში მიწათმოქმედების მაღალ საფეხურზე მიუთითებს ჰუმელის მიერ ხანლარის № 2 ყორანიში აღმოჩენილი კევრი⁵. ამგვარივე კევრი, ოლონდ უფრო მოგვიანო ხანის სამარხში, იპოვა უ. დე მორგანმა ახტალაში⁶. უკანასკნელ ხანებში ამავე პერიოდის კევრი აღმოჩენდა სამთავროშიც⁷. როგორც ჩანს, მიწათმოქმედებასთან ერთად ამ პერიოდში გარკვეულ განვითარებას აღწევს აგრეთვე მევენახეობა-მებალეობა. როგორც ზევით უკვე აღნიშნული გვქონდა, ჰუმელმა ხანლარის ნამოსახლარის გათხრების დროს აღმოაჩინა ყურძნისა და ატმის კურკები დასხვ.⁸ მაგრამ, რა თქმა უნდა, მებალეობა-მევენახეობა ამ პერიოდში მოსხლეობის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა ვერ იქნებოდა.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ შესაძლოა ბრინჯაოს ნამგალს მართლაც იყენებდნენ აგრეთვე მევენახეობა-მებალეობაში ვაზისა თუ ხის გასასხლავად. რომ გვიან-ბრინჯაოს ხანაში საკაფავად და სასხლავად ნამგლისებრი იარაღი იყო გამოყენებული, მოშმობს დასავლურ-ქართული კულ-

¹ ა. აფაქიძე, ციტ. ნაშრ., გვ. 71—73.

² იქვე, გვ. 67.

³ ა. აფაქიძე, ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები, თემისები საკანდიდატო დისტრიციისა, გვ. 2.

⁴ Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Ленинград, 1949, стр. 75.

⁵ Я. И. Гуммель, Кургай № 2 близ Ханлара: Краткие сообщения Института истории материальной культуры, вып. XXIV, 1949, стр. 55.

⁶ J. Morgan, Mission scientifique au Caucase, I, Paris, 1889, гვ. 58, სურ. 8.

⁷ ტ. ჩუბინიშვილი, მიცვალებულის კევრზე დასავლავება სამთავროში: საქ. სსრ-მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XII, № 1, თბილისი, 1951, გვ. 61.

⁸ Я. И. Гуммель, К проблеме археоботаники Закавказья, стр. 750.

ტურისათვის დამახასიათებელი კომბინირებული იარაღი ცულ-ნამდვილური იარაღი, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ა. აფაქიძე, „სამეცნიერო გლად“ ვერ გამოდგებოდა, ხოლო სასხლავად და საკაფავად იგი, უთუოდ, ეფექტური სახმარი იქნებოდა¹.

ამრიგად, ამიერქავებასიაში და, კერძოდ, საქართველოში ლითონის ნამგალი გვიან-ბრინჯაოს ხანაში შემოდის. აქ გავრცელებული იყო ერთი ტიპის უყურეშო ნამგალი, რომელიც, ძირითადად, „სამკალი ნამგალი“ უნდა ყოფილიყო.

როგორც ვნახეთ, დასავლურ-ქართულ კულტურაში მიწათმოქმედება მალალ განვითარებას აღწევს. ოუმცა აქ მიწის დამუშავებისათვის კველგან ერთნაირი პირობები არ იყო. მთის ზოლში მცენრების ამ დარგის განვითარებისათვის არ იყო ხელსაყრელი პირობები. სამაგიროდ აქ არსებული საძოვრები ხელს უწყობდა მესაქონლეობის დაწინაურებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრინჯაოს ხანაში ამიერქავებასიაში, და, კერძოდ, საქართველოში, როგორც ჩანს, მესაქონლეობა დიდ განვითარებას აღწევს. ამ პერიოდიდან იწყება მალალმთიანი რაიონების ათვისება. აქ მცხოვრები ტომების ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა წარმოადგენდა, რისთვისაც მთაში ხელსაყრელი პირობები იყო. მესაქონლეობის განვითარება ხელს უწყობდა მთის ზოლში მცხოვრები ტომების დაწინაურებას. ამ ტომების დაწინაურებაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე მეტალურგიამ. მეტალურგია ამ ეტაპზე ძირითადად მთის ზოლში იყო განვითარებული. ვინაიდან აქ იყო მაღნეული საბადოები, და ამიტომაც იყო, რომ ამ პერიოდში მეტალურგია მთიან რაიონში მცხოვრები ტომებისათვის უფრო ხელმისაწვდომი იყო². რომ მთის ზოლში ბრინჯაოს ხანაში მართლაც მძლავრი კულტურა იყო, ამას კარგად აღასტურებს თრიალეთის შესანიშნავი კულტურა. მთაში განვითარებული მეტალურგიის ანარეკლია ბრილისა და შომეთის სამაროვნებზე აღმოჩენილი მდიდარი კულტურა და სხვა. სამწუხაროდ, ჩვენში დღემდე ძალიან სუსტადა შესწავლილი ცალკეული მეტალურგიული კერძი. ამგვარი ლოკალური კერძის გამოვლენა ძალიან საყურადღებო მასალის მოგვცემს ცალკეული მეტალურგიული ჯგუფების შესასწავლად.

ერთი მხრით, მესაქონლეობა, მეორე მხრით კი—მეტალურგიის განვითარება ხელს უწყობდა მთის ზოლში მცხოვრები ტომების დაწინაურებას. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთის ზოლშიც მოსახლეობა მესაქონლეობის გვერდით მიწათმოქმედებას მისდევდა. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში მთასა და ბარს შორის ინტენსიური ურთიერთობის დამყარება, რა თქმა უნდა, ძნელი იყო. ამიტომაც, მთას თავის საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა ჰქონოდა. აქ შეძლებისდა გვარად მიწათმოქმედებაც უნდა ყოფილიყო განვითარებული. რასაკვირველია, თავისებური პირობების გამო მიწათმოქმედება მთის ზოლში არა ინტენსიური იყო, რის გამოც, როგორც გ. ჩი-

¹ ა. აფაქიძე, ციტ. ნაშრ., გვ. 82.

² Б. Б. Пиотровский. Археология Закавказья, стр. 54.

ტაია აღნიშნავს, მთაში სოფლის მეურნეობის პროცესებია განსაზღვრულია, ლიმიტირებულია იმდენად, რომ იგი მოსახლეობის რაოდენობის კუთხით გადასახლდეს იწვევს და მოსახლეობის ნამატი იძულებულია მთილან ბარში გადასახლდეს¹. სიყურადღებოა, რომ ამგვარი ურთიერთობა მთასა და ბარს შორის ბოლო დრომდე შემორჩია. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი მთასა და ბარს შორის ინტენსიური ურთიერთობის დამყარება და თანდანობით ეცლება საფუძველი მოსახლეობის ადგილ-მონაცემების მიზეზებს, რომლებსაც, გ. ჩიტაიას სიტყვით, ღრმა ეკონომიკური პირობები ედო სარჩულად². რა თქმა უნდა, ბრინჯაოს ხანაში გაცილებით ძნელი იყო მთასა და ბარს შორის ურთიერთობის დამყარება. ამიტომ, ამ პერიოდში მთაში, რამდენადც საამისო პირობები იყო, ვითარდებოდა მიწათმოქმედება, მთის ზოლში მიწათმოქმედების არსებობას ადასტურებს აქ აღმოჩენილი მიწათმოქმედების იარაღები.

ამრიგად, გვიან-ბრინჯაოს ხანაში მთის ზოლშიც, სადაც მესაქონლეობა მეურნეობის ძირითადი დარგი იყო, მიწათმოქმედებაც გარკვეულ განვითარებას აღმოჩენილი იყო.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1951. VII. 6)

О. ჯაპარიძე

Земледельческие орудия позднебронзовой эпохи Западной Грузии

Резюме

В течение ряда лет автор занимается изучением основных типов орудий позднебронзовой эпохи Западной Грузии. В данной статье рассмотрены земледельческие орудия колхидской культуры — мотыга и серп. Бронзовая мотыга — одна из самых характерных орудий этой культуры. В труде дается детальное описание мотыги, устанавливается ареал ее распространения как в Западной Грузии, так и за ее пределами.

¹ გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა (ჭინასწირი ანგარიში). მიმომხილველი, ტ. I, თბილისი, 1949, გვ. 365.


² იქვე, გვ. 365—366.

На основании изучения материалов Государственного Музея Грузии и краеведческих музеев, автор приходит к выводу, что этот тип мотыги местного происхождения изготавлялся, в основном, в чорохском металлургическом центре.

На территории Западной Грузии пока что известно несколько бронзовых серпов. Металлический серп в Закавказье и, в частности, в Грузии появляется лишь в позднебронзовую эпоху. До этого здесь употреблялся составной серп из кремневых вкладышей. В статье дано описание металлического серпа и установлены границы его распространения.

Основной отраслью хозяйства в западно-грузинской культуре, повидимому, являлось земледелие. Наряду с земледелием в горных районах успешно развивалось и скотоводство. Но кроме скотоводства горные племена занимались также и земледелием, в основном мотыжным.

В статье затронут вопрос о взаимоотношениях западно-грузинской и восточно-грузинской культур.





କୁଳାଲ୍ୟରେ ୩୦ ମାର୍ଗମ୍ବେଳାରୁ 17/XI 1952 ରେ କ୍ଷେତ୍ରମନ୍ତ୍ରୀଙ୍କିରଣିକା ପାଶାବ୍ଦୀକ୍ଷେତ୍ରାଧିକାରୀ 15/III 1953 ରେ ପ୍ରିଯାନ୍ତା 480
କୁଳାଲ୍ୟରେ ୦୨୩୧୬ ମାର୍ଗମ୍ବେଳାରୁ 70 x 108 $\frac{1}{16}$ = 6,875. କୁଳାଲ୍ୟରେ ପ୍ରଥମ ପାଶାବ୍ଦୀକ୍ଷେତ୍ରାଧିକାରୀ 18,83. କୁଳାଲ୍ୟରେ
ରାଜପ୍ରକାଶ ସାହାମନ୍ତ୍ରୀଙ୍କିରଣ 14,67. ଗାଁମନ୍ତ୍ରୀ ଶୈକ୍ଷଣିକ ନଂ 70. ପ୍ରାମଦିନ ଶୈକ୍ଷଣିକ ନଂ 518.
କୁଳାଲ୍ୟରେ ୧୦ ମାର୍ଗମ୍ବେଳାରୁ 10 ମାର୍ଗମ୍ବେଳାରୁ 10.

სტანდარტის საკ. თბილისის საჩვენებელში. უნივერსიტეტის გამომცემ. სტამბა, უნივერსიტეტის გ. 10.